

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვასტანბ მთონიშვილი

არაბვი და არაბველები



„მეცნიერება“

თბილისი

1985

წერილობითი წყაროების, სპეციალური ლიტერატურისა და დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განხილულია არაგვის ხეობის ლოკალიზაციის, ეთნიკური და სოციალური ისტორიის საკითხები. საქართველოს მიწა-წყლის რა ნაწილს მოიცავს არაგვის ხეობა, ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ვინ ცხოვრობდა აქ და ვინ იყვნენ არაგველები — ამ საკითხებზე მკითხველი მიიღებს ზუსტსა და ამომწურავ პასუხს. ნაშრომში დაზუსტებულია სამასი არაგველის ვინაობა და ნაჩვენებია მთიელთა ღვაწლი უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. წიგნი გათვალისწინებულია როგორც ჰუმანიტარული დარგების მკვლევართათვის, ისე სტუდენტების, ასპირანტების, ისტორიის მასწავლებლებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. ანთელავა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები
გ. არახამია, გ. გასიტაშვილი

წინასიტყვაობა

საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ შესწავლას საქმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს. არაიდენტური სამეცნიერო პროფილის მქონე სწავლულთა ხანგრძლივმა შეცადინებამ მთის სხვადასხვა რეგიონების, ცალკეული მიკრო თუ მაკრორაიონების მრავალსპექტიანი შესწავლის მიმართულებით უდავოდ თვალსაჩინო შედეგები გამოიღო, რამაც, ცხადია, ახალი იმპულსი მისცა მთიანეთის ისედაც პოპულარული თემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტთა სოლიდური წრის შემდგომი გაფართოების პროცესს. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ არსებობს იმდენად, რამდენადაც მათ ფონზე კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთება პერსპექტიულ სამუშაოთა, მართლაც, ვეებერთელა მასშტაბები და იშვიათი აქტუალობით გამორჩეულ, თუმცა ჯერაც ხელშეუხებელ ან არამართებულად გადაწყვეტილ პრობლემათა მთელი კომპლექსი. ეს გარემოება კი თავისთავად გვავალებს დროის მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზებული კვლევა-ძიების განსაკუთრებულ ინტენსიფიკაციას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობის ცალმხრივად გაზვიადების ან დაკნინების, აგრეთვე საექვო ხარისხის სამეცნიერო პროდუქციისადმი ზედმეტად ღმობიერი დამოკიდებულების ერთობ არასახარბიელო ტენდენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ უხერხულიცაა სათანადო იმედების დამყარება თავის დროზე დაწინაურებული იმ სახელმძღვანელო თეზისის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობაზე, რომლის თანახმად „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენისაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია. მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია... და ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისათვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის...“¹

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 175.

ესოდენ რთული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ჩვენს ისტორიო-გრაფიაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საქართველოს მთიანეთის ერთიანი მიწა-წყლის ნაწილ-ნაწილ შესწავლას ცალკეული ხეობების, მათ ფარგლებში ლოკალიზებული ან თავად ხეობების შემცველი დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნების მიხედვით, რაც ნიადაგ გულისხმობს თითოეული ტერიტორიული ერთეულის საზღვრებზე და მოცულობაზე, კონკრეტული კუთხის ისტორიულ წარსულზე და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და კულტურაზე ზედმიწევნით ზუსტი წარმოდგენის შემუშავებას საკვლევად შერჩეული მხარის შესახებ არსებული უხვი ფაქტობრივი მასალის (წერილობითი, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ტოპონიმიური მონაცემების) სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე.

ამასთან, აღნიშნული კუთხით წარმართული საქმიანობის განუხრელი აქტივიზაციისა და ხაზგასმულ პრობლემატიკასთან მკიდროდ დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციების მომრავლების საქმეში ალბათ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის დარგში მომუშავე სპეციალისტებმა, ვისაც პროფესიული ორიენტაციის შესაბამისად პირველ რიგში ხელეწიფება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ფორმირებული „ქვეყნების“ წარმოქმნის საფუძვლების გარკვევა და მათი საზღვრების დადგენა, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნოგრაფებმა, რომელთაც ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის მიჯნების ჩვენებასთან ერთად ყველაზე მეტად უადვილდებათ კონკრეტული ალაგის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის ამომწურავად დაზუსტება მარტოდენ მოცემული რაიონისათვის დამახასიათებელი კუთხური თავისებურებების იმავდროული გამომწეურებით. ორივე დისციპლინის შესაძლებლობების ამომწურავად გამოყენებისა და, რაც მთავარია, მათი ეფექტიანი კოორდინირების შემთხვევაში კი, ვფიქრობთ, არ გაჭირდება აშკარა სხვაობის დანახვა დღემდე გაუმიჯნავ ცნებებს — „ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანასა“ და „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ქვეყანას“ შორის, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს განკარგულებაში არსებული ტერმინოლოგიური აპარატის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განყოფილების („ქვეყანა“, „სანახი“, „თემი“, „სოფელი“, „რეგიონი“, „რაიონი“, „მხარე“, „ოლქი“) საბოლოოდ გამართვის (ძველი, ტრადიციული და გვიან შემოსული ცნებების ფრთხილი შეჯერების) რეალურ პერსპექტივაზე.

ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით იმ შეხედულების პრიორიტეტულ ღირებულებაში, რომ „ქვეყანა“ საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა“ შესწავლით

უნდა წარიმართოს...“² სწორედ ამგვარად დაგეგმილი კვლევა-ძიების ჩარჩოებში თავსდება წინამდებარე ნაშრომიც, რომელშიც თანმიმდევრულად არის გაშუქებული არაგვისა და თერგის ხეობების, ვითარცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ორი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის, აგრეთვე მუხნებურ „მთის კაცთა“ ისტორიული წარსულის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხი. აქვე დიდი ადგილი ეთმობა, ერთი მხრივ, ცალკეულ-გეოგრაფიულ სახელთა (ძირითადად ჰიდრონიმთა) წარმომავლობის ახსნას, ან უკვე გამორკვეულად მიჩნეულ ტერმინთა ეტიმოლოგიის ახლებურ ინტერპრეტაციას, რაც ყოველთვის არ მოითხოვს მაინცდამაინც ისტორიული ლექსიკოლოგიის სფეროში მომუშავე სწავლულთა ერუდიციას, ხოლო მეორე მხრივ, მთელ რიგ სახელწოდებათა გავრცელების არეალის დაზუსტებისა და ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზე მათი მართებული ფორმით დატანის ცდას, რაც მთლიანად ემყარება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის წყალობით რესტავირებული ოფიციალური თუ ხალხური ნომინაციის ტრადიციის ცოდნას.

რამდენადაც ჩამოთვლილი საკითხები განხილულია წერილობითი წყაროების ცნობების, სპეციალური ლიტერატურის მონაცემებისა და საკვლევ რეგიონში სხვადასხვა დროს შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების კრიტიკული შეფასების ბაზაზე, ცალკეულ ნაკვეთებში წარმოდგენილი საბოლოო დასკვნებით შეჯერებული ნაშრომი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევად დახასიათებას იმსახურებს. თანაც, ის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს იმ მრავალწლიანი მუშაობისა, რომელსაც ჩვენ 1978 წლიდან სისტემატურად ვაწარმოებდით არაგვის ხეობაში და რომლის პირველი სერიოზული შედეგი უკვე გამოტანილ იქნა მკითხველთა სამსჯავროზე 1986 წელს გამოცემული მონოგრაფიის სახით³.

1. ცხადია, არაგვის ხეობის მთიანეთის და სხვა „მთის ალაგების“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა მომავალშიც არ შენელებს. პირიქით, ის შემდგომ გაფართოებას და ახალ სიმაღლეზე აყვანას ელის, რისი უყოყმანო კონსტატაციის უფლებასაც გვაძლევს იმ მონაცემების არაჩვეულებრივი სიუხვის ფაქტი, რომელნიც სწავლულთა განკარგულებაშია, თუმცა ჭერჭერობით წინასწარი დამუშავების სტადიას არ გასცილებიან.

2. გ. ბ. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, 1975, გვ. 14.

3. ვახ. ით. ო. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები), თბ., 1986.

სახელწოდება არაგვის ეტიმოლოგიისა და გავრცელების არეალის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული პრობლემების დამუშავებაში ტოპონიმური მასალით სარგებლობას, რომელიც არაიშვიათად წერილობით ძეგლებზე გაცილებით უფრო ხნიანია და, ამდენად, მას ხშირად ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური ისტორიის საკვანძო საკითხების შესასწავლად ვარგისი პირველწყაროს ღირებულებაც გააჩნია¹. ამასთან, ეთნოგენეტიკური საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უძველესი ჰიდრონიმიის ჩვენებას², ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად, სწორედ ჰიდრონიმები და ორონიმები ქმნიან გეოგრაფიულ სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფს, განეკუთვნებიან რა ტოპონიმის უძველეს ფენას³.

სამწუხაროდ, დღეს ძალაუნებურად გვიხდება იმ სავალალო ფაქტის კონსტატაცია, რომ „ქართული ჰიდრონიმია არა თუ შესწავლილი, მთლიანად გამოვლენილიც არ არის: იგი ჯერ კიდევ არ გამო-

¹ Принципы топонимии, под ред. В. А. Никонова и О. Н. Трубачева, М., 1964; Никонов В. А., Введение в топонимику, М., 1965; მისივე, Топонимика в историко-географической этнографии, М., 1964; მისივე, Иностранная литература по топонимике, М., 1975; მისივე, Этнография имен, М., 1971; მისივე, Имя и общество, М., 1974; მისივე, Системы личных имён у народов мира, М., 1986; Мурзаев Э. М., Очерки топонимии, М., 1974; მისივე, География в названиях, М., 1982; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975; ალ. ლლონტი, ტოპონიმის ძეგანი, I, თბ., 1971; კრ. „ტოპონიმია“, ტ. 1—2, თბ., 1976—80; გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980 და სხვ.

² გ. ბედოშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 23.

³ Никонов В. А., Введение в топонимику, გვ. 43; ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28; გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 56; Э. М. Мурзаев, География в названиях, გვ. 7.

რებია მასალების პირველადი დაგროვების პერიოდს“⁴. ამიტომ, ესოდენ სერიოზული ხარვეზის შევსების საჭიროება ისტორიული ლექსიკოლოგიის, ისტორიული ფონეტიკისა და დიალექტოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, აგრეთვე ისტორიკოსებსა და ეთნოგრაფებს თავისთავად ავალებს კვლევა-ძიების განსაკუთრებულ ინტენსიფიკაციას არსებულ ჰიდრონიმთა სრულად აღწუსხვისა და მათი ეტიმოლოგიის დაზუსტების მიმართულებით. ამასთან, უპრიანია, უწინარეს ყოვლისა ყურადღება გამახვილდეს იმ სახელთა შესწავლაზე, რომელთა მატარებლად საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეები გვევლინებიან და რომელთა გამორჩეული არქაულობა დავას არ იწვევს.

ამ თვალსაზრისით კი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჰიდრონიმად წარმოგვიდგება საქართველოს დედამდინარის მტკვრის შარაცხენა შენაკადის აღმნიშვნელი სახელწოდება „არაგვი“, რომლის შესახებ ცნობებს სისტემატურად ვხვდებით ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ამსახველ წერილობით წყაროებში. ხსენებულმა მდინარემ, მის ხეობაზე გამავალი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიულ-ეკონომიკური კომუნიკაციითურთ ხომ უძველესი დროიდან მიიპყრო როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მემატიანეთა, მოგზაურთა თუ სწავლულთა ყურადღება, რაც უყოყმანოდ ითქმის მდ. არაგვისა და მის შემდინარეთა ხეობების ფარგლებში ლოკალიზებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანათა შესახებაც. თანაც, საკუთრივ სახელწოდება „არაგვი“ ექცევა იმ ღირსშესანიშნავ ჰიდრონიმთა ვიწრო წრეში (ალაზანი, ლიახვი, ჭოროხი, მტკვარი, რიონი, ფრონე, ჩხარულა, ფშანი და სხვ.), რომელთა მატარებლად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციის თანახმად, რამდენიმე მდინარე გამოდის. სწორედ ამ რიგის სახელთა კონკრეტულ მაგალითზე ჩანს გამოთქმული ის აზრი, რომ „ამა თუ იმ მიწა-წყლის მოსახლეობის, როგორც წინანდელი ტომობრივობისა, ისევე მისი ოდინდელი ფართობის გამოსარკვევად ერთი და იმავე გეოგრაფიული სახელების გავრცელების არესაც აქვს მნიშვნელობა. რატომ უნდა, ამ გზით მოპოვებულ ცნობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უცილობელი ღირებულება მიენიჭოს, თუ იმ სახელის სადაურობა, რომელიც დიდ ფართობზე არა ერთხელ გვხვდება, დანამდვილებით ირკვევა“⁵. ამდენად, სავსებით კანონზომიერად გვესახება ჰიდრონიმ არაგვის წარმომავლობისა და მისი გავრცელების არეალის საკითხის ვრცლად გაშუქებით საგანგებოდ დაინტერესება, მით

⁴ ალ. დლოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

უმეტეს, რომ აღნიშნული კუთხით წარმოებული ერთობ ფრაგმენტული ან შეზღუდული მასშტაბების მქონე კვლევის მთელმა წინანდელმა გამოცდილებამ მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოიღო სასურველი შედეგები⁶.

სახელწოდება „არაგვი“ ახალი წელთაღრიცხვის წინმსწრებ ეპოქაში ჩანს წარმოქმნილი. ძველ ქართულ მატრიანში ის იხსენიება ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII—VII სს. ისტორიული მოვლენების გადმოცემასთან დაკავშირებით⁷, თუმცა ეს გარემოება თავისთავად, არასაკმარისი დამაჯერებლობით უნდა მეტყველებდეს ტერმინ არაგვის უძველესობის, ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზევე მისი გაჩენის შესაძლებლობის დაშვების სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I ს. მიჯნის შესახებ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ფარგლებში იგივე ჰიდრონიმის არსებობის ფაქტი უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს. სტრაბონის სახელგანთქმულ „გეოგრაფიაში“ სიტყვა „არაგვი“ „არაგოსის“ ფორმით ხომ რამდენჯერმე ფიგურირებს მდ. მტკვრის ერთ-ერთი უმთავრესი შენაკადის ან ჩრდილო კავკასიის ტრამალეებზე მცხოვრებ მომთაბარეთა-

⁶ ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950, გვ. 507; Услар П. К., Древнейшее сказания о Кавказе, Тифл., 1881, с. 112; Ган К. ф., Опыт объяснения кавказских географических названий, 1909, с. 11; Марр Н. А., Этно и глоттогония восточной Европы, М.-Л., 1935, с. 137; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I. საქართველოს, კავკასიისა და მასლობელ აღმოსავლეთის პრობლემები, გვ. 105; თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან, ენიმკის შობაზე, V—VI, თბ., 1940; Мельхеев М. Н., Географические имена, М., 1961, стр. 11; Никонов В. А., Краткий топонимический словарь, М., 1960, стр. 29; ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1971, გვ. 145; ნ. კეცხოველი, მორბის არაგვი არაგვიანი, თბ., 1971, გვ. 193; ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 185; გრ. ბერიძე, ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელთა წარმოება, უფრნ. „მნათობი“, 1972, № 11, გვ. 188; ქ. ლომაშვილი, წერილები, თბ., 1975, გვ. 185; ბ. აბაშიძე, მითოლოგიის საკითხები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1978, გვ. 86; Асатиანი Л. Ю., К этимологии грузинских гидронимов Rioni и Aragwi, сб. „Ономастика Кавказа“, Ордж., 1980, с. 96—100; გ. ბედოშვილი, დასახ. ნაწარმი, გვ. 148—149; შ. გოგატიშვილი, რამდენი არაგვია? უ. „პიონერი“, № 8; 1983, გვ. 30; გ. ხორნაბული, მთები და სახელები, თბ., 1983, გვ. 143; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984, с. 940.

⁷ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“ (ქვემოთ ყველგან — ქც.), ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 9—12.

გან იბერიისკენ მომავლი გზისპირა მდინარის აღმნიშვნელი სახელწოდების სახით⁸.

სახელწოდება „არაგვის“ ეტიმოლოგიზაციის პირველი ცდა ვახუშტი ბაგრატიონის კაპიტალურ ნაშრომშია მოცემული, სადაც განმარტებულია, რომ „... მდინარე არაგვ განჰყოფს ქართლსა და კახეთსა. და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვინაჲთგან დის ჩქარა, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ესე წყალი ამ ჳევთა!“⁹

მნელი სათქმელია, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ვახუშტი ბაგრატიონის სუბიექტურ მოსაზრებასთან გვაქვს საქმე, თუ ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისთან. როგორც ჩანს, ორივე ვარიანტი თანაბრად სარწმუნოა. მაგრამ ვინაიდან ეთნოგრაფიული მუშაობის პროცესში დღესაც ხერხდება ზოგიერთი მთიელი მთხრობელისაგან შემდეგი განმარტების მიღება: „არაგვი წარმოსდგება იმისაგან, რომ არა გვიანობსო, ჩქარა მოდისო, აქედან დაერქვა“¹⁰, ალბათ, სრული უფლება გვაქვს, რომ ვახუშტის აღნიშნული შეხედულება პირველ რიგში სწორედ ამ რიგის ინფორმაციით სარგებლობის შედეგად ვიგულოთ.

მართალია, დამოწმებული მტკიცებისადმი ჯეროვანი ნდობის გამოცხადება მიზანშეუწონელია, მაგრამ მისდამი კრიტიკულად განწყობა ნიადაგ არც იმ ფაქტორების მნიშვნელობის შეგნებულად დაკნინებას ან შექანიკურად გამორიცხვას გულისხმობს, რომელთა გადამწყვეტი როლი ზოგიერთი „ალაგის“ (მთის, ხეობის, დასახლებული პუნქტის და ა. შ.) სახელწოდების წარმოებაში სრულიად უდავოა. ამ თვალსაზრისით კი მეტად ნიშანდობლივია საქართველოს წარსულისათვის დამახასიათებელი და სერიოზული სამეცნიერო კვლევის სიმადლეზე თუ არა, ზოგადი ვარაუდების დონეზე მაინც ყველაზე ადრე სწორედ ვახუშტის მიერ გააზრებული იმ მოვლენის გათვალისწინება, რომ ჩვენში არაერთი მდინარის (მაგ. ყვირილას, ჰოროხის, ქციის (ან ხრამის), ჩხერიმელას და სხვ.) საკუთარი სახელი მათთვის დამახასიათებელი ბუნებრივი თავისებურებების (წყლის დინების განსაკუთრებული სისწრაფისა და ხმიანობის, წყლის გამორჩეული შეფერილობის, მდინარის კალაპოტის თვალშისაცემი სიღრმისა და

⁸ ს ტ რ ა ბ ო ნ ის გეოგრაფია, თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 350.

⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ქვემოთ ყველგან — აღწერა...), ქც, ტ. IV, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 350.

¹⁰ ვ ა ხ ტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშავის ეთნოგრაფიული მასალები, 1987, რვ. № 1, გვ. 11.

დახრამულობის და ა. შ.) შესატყვისად იქნა გაფორმებული¹¹, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიც სავსებით აღიარებულია¹². ამიტომ, ვახუშტის მიერ შემოთავაზებული მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გაზიარებას თუმცა არ იმსახურებს, მაგრამ მისთვის ნაჩქარევად არც მინიმალურად ანგარიშგასაწევი კვალიფიკაციის ღირებულების ბოლომდე წართმევა ივარგებს, რის კვალობაზე ალბათ გასაგები უნდა გახდეს კავკასიურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმომავლობის ახსნით მოგვიანებით დაინტერესებულ მკვლევართა საქმოდ პოზიტიური დამოკიდებულება დიდი ქართველი სწავლულის თვალსაზრისისადმი: „Р. Арзгви у древ. Агагон и Агагус по Вахушту от Груз. ара гэис = не считает ли (эта река ущелья?); по другим от ара гэиანი ара гвиани = не опоздывающая, быстрая“¹³.

როგორც მოცემული განმარტებიდან ვგებულობთ, XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის ლიტერატურაში სათანადო ანგარიში ეწეოდა არა მარტო ვახუშტის „აღწერაში“ დაცულ ცნობას, არამედ საკვლევი ჰიდრონიმის ეტიმოლოგიის ახსნის კიდევ ერთ არადაამაჯერებელ ცდასაც, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ამჯერად უკვე ხალხში გავრცელებული და ვახუშტი ბაგრატიონისათვის ალბათ ასევე ცნობილი აზრი სახელწოდება არაგვის წარმოებაში სიტყვა „არაგვიანის“ მონაწილეობის შესახებ. სხვათა შორის, პირველ რიგში სწორედ „არაგვიანისაგან“ „არაგვის“ მომდინარეობაზე სახელდახელოდ შემუშავებული მოსაზრების მექანიკური გაზიარებით აიხსნება ერთ-ერთი ავტორის ის მტკიცება, თითქოს „არაგვი“ ნიშნავს „ჩქარას“¹⁴, თუმცა არაი გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ამ დასკვნამდე იგივე მკვლევარი მიეყვანა XIX ს-ის ზოგიერთი ენათმეცნიერის ნაშრომში გამოთქმულ ვარაუდს „არაგვის“ წარმოებაში ზენდურ სიტყვა arwati-ის („მორბენალი“) მიერ ნათამაშევი გადამწყვეტი როლის შესახებ¹⁵.

11 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 318, 321, 658, 676, 680, 685, 752, 758.

12 Ган К. Ф., დასახ. ნაშრომი; გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტება (შედგენილია გ. ნ. გეხტმანის, ნ. გეხტმანის, გ. ზარდალიშვილის და ნ. მესხის მიერ), თბ., 1965; ზ. კუმბურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, 161, 220, 226, 234 და სხვ.

13 Ган К. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ უფრო ადრინდელი ხანის რუსულ პუბლიკაციებშიც ვახუშტისეული ეტიმოლოგია ასევე სარწმუნოდ იქნა მიჩნეული (ОРВЗК, Ч. II, С-Пб., 1936, с. 129).

14 Мельхеев М. Н. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

15 Услар П. К., დასახ. ნაშრომი, გვ. 112; Ган К. Ф., დასახ. ნაშრომი,

საერთოდ, წინათქმულთან დაკავშირებით აუცილებელია განი-
მარტოს, რომ მდინარეთა სახელწოდებების წარმომავლობის ახსნას
ზემოთ დასახელებული ჰიდროლოგიური მარჯვენა მხარის შესაბამისად,
გვრთვე ამავ ენიშნის მიხედვით მდინარეთათვის აღწერილობითი ხა-
სიათის სახელწოდებების შერჩევას, ძალიან ძირძველი ტრადიცია გა-
აჩნია და ეს უკანასკნელი, ცხადია, მხოლოდ საქართველოს ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის არ ყოფილა დამახასიათებ-
ელი. თქმულის საილუსტრაციო მასალის სიუხვის გამო ამჯერად საკ-
მარისი ჩანს დაკმაყოფილება ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა ნა-
შრომებში დაცული იმ ცნობების წარმოჩენით, რომელნიც კავკასი-
ისა და საქართველოს მდინარეებს შეეხებიან.

მაგალითად, ერთ-ერთი ბერძენი სწავლულის ნაშრომში ორგზის
განმარტებულია, რომ მდინარე „არაქსმა თავისი ბობოქარი დინების
გამო თავისი სახელწოდება მიიღო ზმნისაგან *αραρσσει*“¹⁶, ან „არაქსი ასე
სახელდებულია იმიტომ, რომ მისი ტალღები ეხეთქებიან და ხმაურობენ
(ბერძნულად *αραρσσει*)“¹⁷.

საგანგებო ინტერესს იწვევს პლინიუს სეკუნდის (ახ. წ. 24—
79 წწ.) მიერ პირიქითი არაგვის (გვიანდელი თერგის) მყრალ მდინარედ
(Diriodoris) სახელების ფაქტიც¹⁸, რომელიც თამამად შეიძლება
ჩაითვალოს კონკრეტული მდინარისათვის ყველაზე ოპტიმალუ-
რი აღწერილობითი შინაარსის სახელწოდების გამოძენის საუკეთესო
ნიმუშად, თუმცა ხსენებულ სახელწოდებას არაქსისაგან განსხვავე-
ბით დროთა განმავლობაში არ შეუძენია ტრადიციული ჰიდრონიმის
შნიშვნელობა.

არანაკლებ საგულისხმოა დიონ კასიოსის თხზულებაში პი-
რაქეთი არაგვის მისამართით სახელწოდება პელორის (*πελαρον*)
გამოყენება¹⁹, რომლის აღწერილობითი ხასიათის გამოაშკარავებას
შეკვლევარნი ანერხებენ ბერძნულ *πελα-*ზე („ემოქრობ“, „მივის-
წრაფვი“) ან სიტყვა *πελα-*ზე („გოლიათა“, „უჩხული“), აგრე-
თვე იმავე *πελα-*სა და ლათინურ *rio-*ზე („წყალი“, „მდინარე“)

¹⁶ Евстафия, Объяснения к „Илиаде“ Гомера; В. В. Латышев, Изве-
стия древних писателей о Скифии и Кавказе, „ВДИ“, I, М.—Л., 1947, с. 290.

¹⁷ იქვე, გვ. 305.

¹⁸ Латышев В. В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе,
т. II, Латинские писатели, вып. I-й. С-ПБ., 1904, с. 182.

¹⁹ დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოური
გამოცემა, თბ., 1966, გვ. 60, 61.

დაკვირვების გზით²⁰, თუმცა ამ შემთხვევაშიც ღიად რჩება საკითხი დასახელებული გეოგრაფიული სახელის სათანადო პოპულარობისა და ახ. წ. I საუკუნეში აღიარებული ჰიდრონიმის სახით იმხანად უკვე კარგად ცნობილ „არაგვთან“ მისი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ.

დაახლოებით იგივე ითქმის პროკოფი კესარიელის (VI ს.) ნაშრომში დაცულ ცნობებზე მდ. ყვირილას ბოასად (Βοαζ), მდ. ჰოროხის ასევე ბოასად და აკამფისად (Ακαμφισ)²¹, ხოლო სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მდ. ცხენისწყლის ჰიპოსად (‘Ιππος) სახელდების შესახებ²², რომელნიც შესაძლოა წარმოდგენდნენ პირველ მკაფიო ჩვენებას უცხოელ დამკვირვებელთა მიერ ქართული აღწერილობითი ხასიათის ჰიდრონიმებისათვის მეტნაკლებად ზუსტი შესატყვისი სახელწოდებების გამოძებისა და უკვე ამ ნათარგმნი ფორმით ოფიციალურ წყაროებში მათი ასახვის ტრადიციის არქაულობაზე. მართლაც, ხომ ძნელი დასაჯერებელია, რომ თავისი ხმაურიანი დინების გამო ყვირილად წოდებულ მდინარეს ბერძნული წყარო შემთხვევით წარმოაჩენდეს ბოასის სახელწოდებით (რაც ბერძნულად ნიშნავს „ხმაურიანს“, „სწრაფს“), ხოლო ჰოროხი და ცხენისწყალი ძველბერძენ ავტორთა თხზულებებში ასევე შემთხვევით ფიგურირებდეს მაინცდამაინც აკამფისის („ხმაურიანი, სწრაფი“) და „ჰიპოსის (‘Ιππος—ცხენი) სახელწოდებებით, რაც თავის დროზე უკვე იქცა საგანგებო მსჯელობის საგნად²³. მაგრამ, რადგან ამავე დროს ამაოა გარჯა საკუთრივ ქართული სახელწოდებების — ყვირილას, ჰოროხის და ცხენისწყალის გაჩენის დროის ზუსტად დადგენაზე, მთლად მართებული მაინც არ ჩანს სახელწოდებების — ჰიპოსის, ბოასისა და აკამფისის სრულიად დამოუკიდებელი გზით (ქართულ ჰიდრონიმებთან შეხების გარეშე) გაფორმების ვარიანტის კატეგორიულად გამოორიციხვა, რაც თავისთავად მხოლოდ ადასტურებს განსაზღვრული თავისებურებებით გამორჩეულ მდინარეთათვის აღწერილობითი ში-

²⁰ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб. 1959, с. 329; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ..., გვ. 106—107; ჯ. ლომაშვილი, წერილები..., გვ. 185 (შენიშვ.: ჯ. ლომაშვილის აზრით, „სიტყვა პელორი ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა და შედგება ორი სიტყვისაგან. პირველი სიტყვა პელო ბერძნულად სწრაფს, ჩქარს. მოძრავს ნიშნავს, ხოლო რი (რიო) — ლათინურად წყალს, მდინარეს ეწოდება. პელორი — ჩქარ მდინარეს, სწრაფად მოძრავ მდინარეს, მთის წყალს ნიშნავს“).

²¹ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლის საქართველოს შესახებ, ტ. II, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 3, 4, 33, 56, 97, 102, 107, 109, 122—123.

²² სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 123, 128.

²³ ზ. კუ მ ბ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 220, 225.

ნაარსის სახელს შერჩევის ტრადიციისავე სიმტკიცესა და არალოკალურ ხასიათს.

სწორედ აღნიშნული ტრადიციის გათვალისწინებისა და ზემოთ განხილული მონაცემებით სარგებლობის კვალობაზე, ვფიქრობთ, არც ისე ადვილი უნდა იყოს თავის წინდაწინ დაზღვევა ტერმინ „არაგვის“ ანალოგიური მნიშვნელობისავე (ე. ი. აღწერილობითი შინაარსის) ჰიდრონიმად სავარაუდო გააზრების ცთუნებისაგან, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ძველ ბერძნულ ლიტერატურაში (მაგ. დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) ნაშრომში) დამოწმებული ის მტკიცება, თითქოს ხომალდმა არგომ „სახელი მიიღო ძლიერი სისწრაფის გამო, ვინაიდან ძველები „სისწრაფეს“ „არგოსს“ ეძახდნენ“²⁴. ამასთან, აქვე ანგარიშგასაწევია ის დეტალიც, რომ „არგოს“ ბერძნულად ნიშნავს არა მხოლოდ „სისწრაფეს“, არამედ „თეთრ-ქათქათასაც“²⁵.

თუ მხედველობაში მივიღებთ არაგვის სახელწოდებით ცნობილი მდინარის დინების, მართლაც, თვალშისაცემი სისწრაფის ფაქტს და სწორედ ამ უკანასკნელის გამომხატველი ბერძნული სიტყვებისაგან იმავე მდინარის აღსანიშნავად გამოყენებული სხვა სახელწოდება — პელორის — წარმოების შესაძლებლობაზე გამოთქმულ მოსაზრებას, აგრეთვე გავიხსენებთ ჰიდრონიმების — არაქსისა და არაგვის ეტიმოლოგიის ახსნის უწინდელ ცდებს, ალბათ ნამდვილად ღირს დაფიქრება ქართული „არაგვისა“ (სტრაბონისეული „არაგოსის“ ἀραγών) და ბერძნული „არგოსის“ (არგოს, -ος) ურთიერთმიმართებაზე, რაც ნიადაგ გულისხმობს არაგვ-არგოსს შორის რაღაც კავშირის დანახვით დაინტერესებას. ამგვარ ორიენტაციას კი ძალაუვნებურად მიეყვართ იმ ვარაუდამდე, რომ ბერძნული სიტყვა „არგოსი“ („სისწრაფე“ ან „თეთრ-ქათქათა“) არაგვის სახეშეცვლილი ფორმით თავდაპირველად სწორედ სწრაფი (სუფთა, ანკარა) მდინარის აღსანიშნავად შერჩეულ აღწერილობითი ხასიათის სახელწოდებად შეიძლებოდა გაფორმებულიყო ჩვენში, ხოლო დროთა განმავლობაში მას, არაქსის მსგავსად, უკვე ტრადიციული ჰიდრონიმის შინაარსიც შეეძინა. მოვლენათა ამნაირი მსვლელობის დაშვების შესაბამისად იგივე „პელორი“ თითქოს არაგვის გვიანდელი, მისი ზუსტი შესატყვისი მეორადი (ასევე აღწერილობითი ხასიათის) სახელწოდების შთაბეჭდილებას ტოვებს, მით უმეტეს, რომ ბერძნულ ზმნა πειλα -ს („ვმოძრაობ“, „მივისწრაფვი“) და სიტყვა πειλαρ -ს („ბუმბერაზი“, „ურჩხული“)

²⁴ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1976, გვ. 85.

²⁵ Греческо-русский словарь, ч. I, М., 1848, стр. 221—222.

მეტად საგულისხმო პარალელი მოექმნება ასევე ბერძნული ზმნა *αργος*-ისა („სისწრაფე“) და სიტყვა „არგოსის“ (ან „არგუსის“) (ბერძ. *αργος*, ლათ. *Argus*—ბერძნულ მითოლოგიაში მრავალთვალა გოლიათი²⁶) სახით.

მაგრამ ვითარების ასეთნაირად შეფასებას, ცხადია, სულაც არ აქვს პრეტენზია, დაგვაქვოს საკვლევი საკითხის გაცილებით უფრო ღრმად გაშუქების საპირობებაში, ვინაიდან აღნიშნული ვარაუდით დაკმაყოფილების ნებას არ გვაძლევს თუნდაც სიტყვათა გარეგნული მსგავსების (ზოგჯერ კი პირდაპირი დამხვევის) ფაქტების იდეალიზაციის პრაქტიკის სრული შეუთავსებლობა სერიოზული სამეცნიერო კვლევა-ძიების პრინციპებთან²⁷. თუმცა, რაოდენ არადამაჯერებლადაც არ უნდა გამოიყურებოდეს „არაგვისა“ და „არგოსის“ ურთიერთ-შეპირისპირების ცდა მათ შორის რეალური კავშირის გამოძებნის იმედით, მას იმდენად მაინც მოექმნება გამართლება, რამდენადაც როგორც სიტყვა „არგოსში“, ისე ტერმინ „არაგვი“ მეტ-ნაკლები ყოყმანით ამოცნობას ექვემდებარება საერთოინდოევროპული უძველესი ძირი *er-or-ar-r* „ადგომის“, „ამოძრავების“ ზოგადი მნიშვნელობით²⁸, რომელსაც, სხვათა შორის, მიეწერება საერთოდ ცნება „მდინარის“, „ნაკადის“ შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება²⁹.

სპეციალურ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულია რა ვარაუდი ინდოევროპელ ხალხებთან თავისი წარმოშობის აირველ საფეხურზე ცნებების „მდინარის“ და „მოძრაობის“ ერთიან სემანტიკურ წრეში შესვლისა და იდენტური ფორმალური მაჩვენებლით მათთანაარსებობის შესახებ³⁰, ძირი *ar* — ზოგადად „წყლის“, „დინების“ აღმნიშვნელადაც არის გააზრებული³¹, რასთან დაკავშირებითაც მეტად ნიშანდობლივია ხეთური და ძველინდური ლექსემები *ar-*, *-rnoti*, *-iyarti*. შესაბამისად „ადგომის“, „მოძრაობის“, „ამოძრავების“ ეტიმოლოგიით, აგრეთვე ხეთური *ars* (— „ნაკადი“). პროტოხეთურში დამოწმებული *arpa*, *aripna* („წყარო“), სანსკრიტული *arpa* („ბობოქარი“, „სწრაფი“, „მჩქე-

²⁶ Мифы народов мира, энциклопедия, Т. I, М., 1987, с. 100; ა. გ ე ლ ო ვ ა ნ ი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 68.

²⁷ А баев В. И., О принципах этимологического исследования, „Вопросы методики сравнительно-исторического изучения индоевропейских языков“, М., 1956; Никонов В. А., Пути топонимического исследования, сб. „Принципы топонимики“ М., 1964.

²⁸ Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., დასახ. ნაშრომი, გვ. 672.

²⁹ Асатиани Л. Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

³⁰ იქვე.

³¹ Мурзаев Э. М., Словарь народных географических терминов..., გვ. 57—58.

ფარე“, „დაუდგრომელი ნაკადი“), *arsati, ardati*. („ნაკადი“), *var* („წყალი“), თრაკიული *arma* („ქაობი“), *ars* („მდინარე“), *arta(s), arda(s)* („დინება“, „მდინარე“), ბერძნული *ardo* („მორწყვა“), ლათინური *arrigo* („წამოყენება“, „აღვზნება“), სომხური *aru* („ნაკადული“, „მდინარე“, „დინება“, „რუ“), სპარსული *har* („ცოფიანი“, „გიჟმაჯი“, „ბობოქარი“), *harakat* („მოდრაობა“), *arq* („სარწყავი არხი“), ესპანური *arroyo* („ნაკადული“, „ნაკადი“), ქართული „არხი“, ლეკური *arx* („თხრილი“), ოსური *ærx* („დამშრალი კალაპოტი“, „ხევი“, „ღელე“, „ლარტაფი“), *aryq* („ხევი“, „ლარტაფი“), ლიტუური *arma* („გუბე“), ხორეზმული წარმომავლობის *arna* („არხი“, „მდინარის ტოტი“) და მისგან ნაწარმოებად მიჩნეული შუა აზიური (თურქული) ტერმინები *арна* („არხი“, „მდინარე“, „მდინარის კალაპოტი“, „ხეობა“), *арык, арын* („ხელოვნური არხი“, „ნაკადული“), ამ უკანასკნელებთან ჰომოგენური თურქულივე *ирмок, ырмок* („მდინარე“), *армак* („წყარო“), *араз* („ნაკადი“) და ერთობ დამაფიქრებელი პარალელები: ძველთურქული *arǵu* („მთათაშორისი ხეობა“), უნგრული *ar* („მდინარე“, „წყალი“, „ნაკადი“, „წყალიდობა“ „წარღვნა“). მონღოლური *аруг* („სარწყავი არხი“), *араг* („მშრალი კალაპოტი“), შორული *аргы* („მდინარის კალაპოტი“, „მდინარის ტოტი“) და ა. შ.³²

მართალია, წარმოდგენილი მონაცემებიდან ყველა ვერ გამოდგება *ar* — ძირის მნიშვნელობის შეძლებისამებრ მკაფიოდ ილუსტრირებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მათი გამომზეურების შემდეგ რამდენადმე უფრო გვიადვილდება ხსენებულ ბაზაზევე აღმოცენებული იმ ჰიდრონიმების მოძებნა, რომელთა გავრცელების უაღრესად ფართო არეალში მკვლევარნი ევროპისა და აზიის უზარმაზარ ტერიტორიას (მათ შორის კავკასიის რაიონსაც) აქცევენ, როდესაც პირდაპირ მიუთითებენ მრავალრიცხოვან მდინარეთა სახელწოდებებში გამოყოფილი *ar* — ძირის („მომდინარე წყალი“) აშკარა ბატონობაზე ვალიაში, ალპების ჩრდილოეთით, იტალიაში და პირენეის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე, ზოგადად მდინარის ან ხეობის აღმნიშვნელ დერივატ *ar* — *aran*-ის არსებობაზე იბერულ-ბასკურ ენაში, ხოლო ნათქვამის დასასაბუთებლად იმწმებენ ევროპაში დაფიქსირებულ ისეთ ჰიდრონიმებსა და სიტყვებს, როგორებიცაა შვეიცარული *Aar* (კობლენცის მახლობლად, შუა საუკუნეების *Ara* ან *Arula*), *Ar* (მდ. მოზელის შენაკადი), *Arc* (ჰაობში ჩამდინარე, შუა საუკუნეების *AR*, *Arun*), ინგლისური *aire* — სწრაფი, ძლიერი ნაკადი (მდინარე)³³.

³² Мурзаев Э. М., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 53—58, 235; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., *დასახ. ნაშრომი* გვ. 672.

³³ Мурзаев Э. М., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 57.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოდ გვესახება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონებში დადასტურებული მდინარეთა შემდეგი სახელწოდებებიც: არაგონი, არგა, არდილა, არნოია, არლანსა, (ესპანეთი, პორტუგალია); არკი, არვი, არროსი, არრაცი, არიეჟი, არჟანსი (საფრანგეთი); არდა, არნო (იტალია); არანკა, არჯეში, არიეში (რუმინეთი); არდა, არჩარი (ბულგარეთი); ვარდარი (იუგოსლავია); არაზტოსი (საბერძნეთი); არდგენი (დას. გერმანია); არენი, არროუ (დიდი ბრიტანეთი); ბარროუ (ირლანდია); არიოზი (შვეიცარია); არაგუაო, არო (ვენესუელა); არაგუარი, არაგუაია (ბრაზილია); აროს (მექსიკა); არნო (კანადა); არაქსი (ან არაზი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანის სსრ); არუნი (ნეპალი), არგანდაბ (ავღანეთი); არპა (ყირგიზეთი); გეტარრუ (დღევანდელი აგრიჩაი, აზერბაიჯანი); ბაგარრუ (ამჟამინდელი ბაზარჩაი, აზერბაიჯანი); არგუნი (ან არლუნი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ); არგუდანი (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ); არაგოზი (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ) და სხვ.

მოტანილ სახელებზე დაკვირვება, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურად განგვაწყობს კითხვისაკენ -- იქნებ ტიპოლოგიური თვალსაზრისით ანალოგიური კატეგორიის ჰიდრონიმად დახასიათებას იმსახურებს არაგვიც? ჩვენი აზრით, დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხისაგან თავის შეკავება, მართლაც, ძნელია იმდენად, რამდენადაც შეტადრე დამაფიქრებელია არა მარტო სემანტიკური სიახლოვის მანიშნებელი ar-ძირის ერთგვარი გამოკვეთილობა როგორც ზემოთ დასახელებულ ჰიდრონიმებში, ისე ტერმინ არაგვიში, არამედ იმავე ძირთან დაკავშირებულად საგულეებელი არაერთი უცხო ჰიდრონიმის უდავოდ თვალშისაცემი გარეგნული მსგავსებაც ჩვენთვის საინტერესო მდინარის სახელწოდებასთან. ეს კი განსაკუთრებით კარგად ჩანს პირინეის ნ. კ-ზე და კავკასიის ფარგლებში აღრიცხულ ისეთ სახელწოდებათა მაგალითზე, როგორიცაა არაგონი, არგა, არგუნი (ან არლუნი), არგულდანი, არაგო-ზი, რაზეც უსათუოდ გვევალება ყურადღების გამახვილება თუნდაც ქართულ-ბასკური ენობრივი პარალელების ერთობ მრავალასპექტიანი პრობლემის იშვიათი აქტუალობის გათვალისწინებით.

სხვათა შორის, იგივე ითქმის საქართველოს ზოგიერთი სხვა მდინარის სახელწოდების შესახებაც, რომლის ფორმირებაში ასევე დასანახია იმავე საერთოინდოევროპული ძირის er-or-r-ის მიერ ნათამაშევი როლი და ამდენად არაა გასაკვირი მათი აშკარა მსგავსება (ან თითქმის მთლიანი დამთხვევა) ევროპასა და აზიაში აღრიცხულ მთელ რიგ ჰიდრონიმებთან.

ამ შორეუ სანიმუშოა თუნდაც სახელწოდება რიონი (ძველი ბერძნული წყაროების რეონი, რიანი), რომელიც რეალურად ავღონს კავშირს უძველეს ინდოევროპულ sru (sreu), srav/sruta („დინება“) ბაზასთან დაახლოე-

ბულ სიტყვა რუ-სთან, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიც აღიარებულია³⁴. ამასთან, ზედმეტი არ იქნება დამატებით ისიც განიმარტოს, რომ, მაგალითად, ძველინდურში ზოგადად „დინების“, „ნაკადის“, „მდინარის“ აღსანიშნავად დასტურდება სიტყვების *rayas, retas, ritis, rinas, ravan, sravati, sarati* (რსებობა, ხოლო ძველ ირანულში ანალოგიური ეტიმოლოგიით სახეზე ვაჟქვს *rauta* („დინება“), სპარსულში *rud, ru* (შდრ.: ტაჯიკური *rud*, ქურთული *ro*, ბელუჯური *rod, rot*). დერივატ *sru (sreu)* -სგან მოუწყვეტლად არის განსახილველი აგრეთვე ბერძნული *ρῆα* („მოვედინები“), ლათინური *rivus* („ნაკადული“, „არხი“) ოსტგოთური *rigu, rin* („მოძრაობა“, „მდინარე“), გერმანული *rin, riz, rite* („მდინარე“), ძველი ინგლისური *rid* („ნაკადული“, „მდინარე“), ინგლისური *river* („მდინარე“), კელტური *ro, renos, riathos, rian* („მდინარე“), ესპანური *rio* („მდინარე“), ბერძნული *kremnos* („მდინარე“), ბალტიური *rivus* („მდინარე“), ლატვიური *ridan* („მდინარე“). რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ბულგარული, სერბიული, სორვატული, ჩეხური, სლოვაკური — *река, рака, рэка, pika, pujeka, rieka, rzeha* („მდინარე“), ალბანური *rite* („ნოტიო“, „წყალი“), ძველი რუსული *пруд*, ჩეხური და სლოვაკური *proud, prud* („ნაკადი“, „დინება“), გერმანული *strom* („სწრაფი მდინარე“, „ნაკადი“, „დინება“), ლიტვიური *struga, straume, strauja, strugla* („ქაობი“, „ნაკადი“, „სწრაფი ნაკადი“, „ყლის ქავლი“), ძველი რუსული *струга, струя*, პოლონური *struga*, ჩეხური *strouha*, სლოვაკური *struha*, სერბულ-ხორვატული *сруга*, სლოვენური *струја*, ბულგარული *струя, струмен* („ნაკადი“, „დინება“, „არხი“, „თხრილი“, „წყლის ქავლი“, „ნაკადული“, „მდინარის კალაპოტი“)³⁵, რომელთაც განაპირობებს კიდევ არა მარტო რიონთან შესაღარებლად საცხებიტ მართებულად შერჩეულ სახელწოდებათა (რაინი, რონა) წარმოება³⁶, არამედ ისეთ ჰიდრონიმთა გაჩენაც, როგორებიცაა: რენა, რონი, რენი, როდაჩი, რონდენი, ვარონნა, რეგენი, რეგა, რეგნიცი, რედნიცი, რიენცა, რიასა, რეისი, რეი, რეიბრუკი, რეილინი, რეინი, რიონეო, სტრუგა, სტრიმონი, სტრუმოკი, სტრუგი, რეჩა-მიკა, ცერნა-რეკა, რეკა, ბელარეკა (ევროპაში), რუდე-ნეკი, რუდე-შური, პავერუდი, პერირუდი, პერრუდი, ფარაპრუდი, სეფირუდი, თერაგერუდი, შურუდი, ბახრუდი, ბემერუ, ჩაირუდი (აზიაში) და ა. შ.

³⁴ გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის..., გვ. 229—230.

³⁵ Асатнани Л. Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 97, 99; Мурзаев Э. М. დასახ. ნაშრომი, გვ. 467, 480, 485, 521; Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, ч. I, Тб., 1984, с. 227.

³⁶ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

დაახლოებით ასეთივე კუთხით ჩანს მიზანშეწონილი ჰიდრონიმ იორის წარმომავლობის ანსნაც, რაც ჩვენგან მოითხოვს ყურადღების კონცენტრაციას ერთი მხრივ er-or-r — ძირთანვე დაკავშირებულ ძველინდურ ლექსებებზე ir („დენა“), irina („დენა“, „წყლის ჩამონადენი“, „კალაპოტი“), აგრეთვე ბასკურ სიტყვაზე ur (წყალი)³⁷, ძველებრაულ სიტყვაზე iordan („დიდი ვარდნის მქონე“), განსაკუთრებით კი ავარულ ტერმინებზე ზორ, ზურ („თხრილი“, „ლეღე“, „მდინარე“), ხოლო მეორე მხრივ იმ მრავალრიცხოვან ჰიდრონიმებზე, რომელთა აგებულებაში ალბათ შემთხვევით არ გვაქვს წარმოდგენილი თავსართი ირ, -ორ, -ურ-, ან ბოლოკიდური -ურ: ორბიგო, ორლა, ორდი, ორტიგა, ორლიცე, ორი, ორხონი, ორხი, ორნი, ორკო, ური, ურკი, ურტი, ურუნგუ, ურუხი, ურგი, ურკანი, ირავადი, ირგიზი, ირბიტი, ირა, ირო, ირიუ, ირშორი, ირსუ, ირტიში, ვირი, იორდანე, ირონი, ირმინიო, ყიზილ-ირმაკი, იეშილ-ირმაკი, სურა, სამური, კადური, აღური, კოდორი, თიანაორი, ბეცორი, ვაარაორი, კანაორი, კიორი, გოხლორი, ჯოხორი, კუდაორი, ცემაორი, ხვანორი, ორიაორი, ჩარასალდაორი, ანწალორი, ლაგოდეხორი, ცუმადაურუხი, ორვილი და სხვ.

ამასთან, მოტანილი ჰიდრონიმების გარკვეული ნაწილის უდავოდ თურქული წარმომავლობა (თურქ. uran — „მდინარე“ აღმ. თურქ. erin — „მომდინარე წყალი“, iren — „ნაკადი“, „მდინარე“, „წყალი“, ზმნა ыыр, ор — „თხრა“)³⁸ გვაიძულებს დაფიქრებას სახელწოდება იორის ფორმირებაში თურქული ძირის სავარაუდო მონაწილეობის შესახებ, რასთან დაკავშირებით მეტად პრობლემატურია თუნდაც ავარული სიტყვების შორ, შურ-ის („თხრილი, „მდინარე“, „ლეღე“) და თურქული ტერმინების or, ur-ის („თხრილი“, „ორმო“, „ხეობა“, „კალაპოტი“, „ლარტაფი“ „მდინარე“) ურთიერთშიმართების გარკვევა; თუმცა ამისგან დამოუკიდებლადაც „აზრი ორისა და იორის სახელების იგივეობაზე თავისთავად იზადება“³⁹. მაგრამ საკითხის ასეთნაირად დაყენებიდან, ცხადია, არ შეიძლება გამომდინარეობდეს კატეგორიული დასკვნა ხსენებული ჰიდრონიმის უსათუოდ ავარულ წარმომავლობისა და შორეულ წარსულში ივრის ხეობაში მარტოოდენ ღუნძური ტომების მოსახლეობის შესახებ, რასაც ვხვდებით ერთ-ერთ ნაშრომში⁴⁰.

³⁷ Март Н. А., Этно и глотогения Восточной Европы..., გვ. 305.

³⁸ Мурзаев Э. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54; შენ.: იორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე, გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

⁴⁰ Март Н. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

ყოველივე წინათქმულის გათვალისწინების შემთხვევაში, ვფიქრობთ, შედარებით უფრო თამამად შეიძლება ლაპარაკი საერთოინდოევროპული er-or-r — ძირის როლზე სახელწოდება არაგვის ფორმირებაში, რაზეც თავის დროზე უკვე გამოითქვა ვარაუდი ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში, როდესაც ზოგადად „მდინარის“, „დიდი წყლის“ აღმნიშვნელ სიტყვად გაგებული „არაგვი“ დაშლილ იქნა აპრეფიქსად (— აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ ართრონად), რა- ძირად, გვ- პოლივალენტობის ფორმანტად და ი- ქართული ენის სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად⁴¹.

ჩვენი აზრით, საკვლევი ჰიდრონიმის სტრუქტურის ამგვარი ინტერპრეტაცია რამდენადმე სადავოა, მაგრამ სამაგიეროდ მეტად დამაფიქრებელია იგივე სახელწოდების გააზრების ცდა ზოგადად „მდინარის“, „დიდი წყლის“ აღმნიშვნელი ტერმინის თავდაპირველი ეტიმოლოგიით, რომელიც ტერმინ არაგვის აგებულების სრულფასოვნად გარკვევის გარეშეც საკმაოდ მომგებიანად გვეჩვენება თუნდაც არაგვად სახელდებულ მდინარეთა უთუოდ თვალშისაცემი სიმრავლის ერთობ არაორდინარული ფაქტის საერთო ფონზე. სხვათა შორის, გაცილებით უფრო ადრე ზუსტად ასეთივე დასკვნამდე მივიდა ალ. ყაზბეგი: „სიტყვა არაგვი ბევრჯელ ნიშნამს დიდს მდინარე წყალსა მთაში ცხოვრებთ შუა“⁴². მოგვიანებით კი ივ. ჭავჭავიძემ მდინარეთა ზოგად აღმნიშვნელ სიტყვად სწორედ არაგვის მიჩნევისათვის სრულიად საკმარისად ჩათვალა მისი გავრცელების უაღრესად ფართო არეალზე დაკვირვება⁴³.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არაგვის სახელწოდებით ცნობილი თორმეტი (!) მდინარის არსებობის ფაქტი ნამდვილად არ შეიძლება არ აღძრავდეს ექვს სიტყვა არაგვის ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის შესახებ, მით უმეტეს, რომ აღნიშნული მოვლენის (ე. ი. ერთი რომელიმე ჰიდრონიმის გავრცელების არეალის სიფართოვის) შეფასება გვიხდება მაინცდამაინც იმ ჰიდრონიმთა მაგალითზე, რომლებიც, ერთი მხრივ, „არაგვისაგან“ პრინციპულად განსხვავებული თავდაპირველი შინაარსობრივი დატვირთულობით არ გამოირჩევიან, ხოლო, მეორე მხრივ, არცთუ ძნელად

⁴¹ Асатиани Л. Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 97—100.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ ნ. მარმა სახელწოდება არაგვი A-ra-gu ნაწილებად დაშალა, საიდანაც -gu ელემენტი მრავლობითი რიცხვის სუფიქსად მიიჩნია (იხ. Март Н. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 137).

⁴² ალ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 507.

შენიშვნა: არაა გამორიცხული, რომ ალ. ყაზბეგის ამ მტკიცებას საკვლევი ჰიდრონიმის ხალხური ეტიმოლოგია დასდებოდა საფუძვლად, რომელიც დროთა განმავლობაში დაიწყებდას მიეცა.

⁴³ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

გამოსაცნობი აღწერილობითი ხასიათის სახელწოდებებად წარმოგვიდგებიან. ამინ დასამტკიცებლად კი გამოდგება საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მიწაწყლის ფარგლებში ფორმირებული ჰიდრონიმების — რიონის, ალაზნის, მტკვრის, კოროზის, ლიახვის, ფშანის, ფრონეს, არგუნის (ან არლუნის) და ყოისუს დამოწმება, რომელთა მატარებლად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციის მიხედვით გამოდის შესაბამისად 3, 5, 2, 2, 2, 3, 4, 2 და 4 მდინარე. მაგრამ, მათგან განსაკუთრებულ ინტერესს მაინც იწვევს ჰიდრონიმები: ალაზანი, რიონი და არგუნი (ან არლუნი), ხოლო ნაწილობრივ ლიახვი და ყოისუ, ვინაიდან ხსენებულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიის გარკვევაზე დიდადა დამოკიდებული შესასწავლი ჰიდრონიმის მნიშვნელობის დადგენა იმ საგულისხმო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემით, თუ საერთოდ რამდენად მიზანშეწონილია დასახელებულ ჰიდრონიმთა (და მათ შორის არაგვის) პირვანდელი ზოგადი მნიშვნელობის დამამტკიცებელ საბუთად მათი სიმრავლის ფაქტის მიჩნევა.

წერილობითი წყაროების თანახმად, დასავლეთ საქართველოსა და ოსეთის (კერძოდ დიგორიის) ტერიტორიაზე აღირიცხება რიონად სახელდებული სამი მდინარე. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში საკუთრივ მდ. რიონის გარდა იმავე სახელწოდებით ფიგურირებს თერგის შემდინარე ურუხი (დიგორიის აღწერისას განმარტებულია, რომ მდინარეს, რომელიც „გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამას შორისსა კავკასსა, მოდის სამკრიდამ ჩრდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს... ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაჲთგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ და იქით — რიონი იმერეთისა“⁴⁴), აგრეთვე ურუხის ერთ-ერთი შენაკადი დიგორიისავე ფარგლებში („ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ მდინარე რიონივე. გამოსდის გლოლასა და ამას შორისს კავკასსა, მოდის სამკრიდამ ჩრდილოდ“⁴⁵). თუ ამას დაემატებთ იმ მრავლისმთქმელ ცნობას, რომ ზემო სვანეთში „რიენს“ გააჩნია ზოგადად „დიდი მდინარის“, „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვის შინაარსი (ამას მოწმობს სვანური გამონათქვამი: „ათხეი რიენს ესღვანდოვ“, რაც ქართულად ნიშნავს: „ნეტა ეხლაც წყალს მიჰქონდე“), ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მდ. ენგურსაც რიენს (||რიონს) ეძა-

44 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 649.

45 იქვე, გვ. 650.

ხის⁴⁶, ალბათ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს სახელწოდება „რიონის“ ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის შესახებ⁴⁷.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ფარგლებში დასტურდება ალაზნად სახელდებული ხუთი მდინარის: დიდი ალაზანი (ან უბრალოდ ალაზანი), მცირე ალაზანი (ან იორი), თუშეთის (გომეწრის) ალაზანი, ხისოს ალაზანი (თუშეთის ალაზნის შენაკადი), პირიქითი ალაზანი — არსებობდა⁴⁸, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია დიდი ბორბალოს აღმოსავლეთი ფერდობიდან მომდინარე და კახეთის ბარის მრწყეელი ალაზანი⁴⁹. ჰიდრონიმ ალაზნის ასეთ სიმრავლეს საგანგებო ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა, როდესაც შენიშნა: „უკვე ის გარემოება, რომ ძველ ქართულში დიდი და მცირე ალაზნის სახელები არსებობდა, რომელთაგან მეორე სათავითა და დიდ მანძილზე პირველისაგან სრულებით დამოუკიდებელი მდინარე იყო და თავისი საკუთარი სახელიც იორი ჰქონდა, ალაზნის სახელის ოდინდელს ზოგადს მნიშვნელობას ამჟღავნებს. ამრიგად, ალაზანი, საფიქრებელია, წინათ ზოგადად მდინარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში, ჩანს, ჯერ ორი პარალელური მიმდინარეობის მქონებული ზემოდასახელებული წყლების, ხოლო შემდეგ უკვე საკუთრივ მარტო ერთად-ერთილა მდინარის სახელად ქცეულიყო. ზემოგამოთქმული მოსაზრება რომ სრულ ჭეშმარიტებად მისაჩნვეი გახდეს, უნდა თვით ამ სახელს ალაზან-ში ან მთლიანად, ან ნაწილობრივ მაინც მდინარის, ანდა წყლის, გინდ სასმელის ოდინდელი აღმნიშვნელობის რაიმე კვალი მაინც ჩანდეს. აღიღეთურს, ჩერქეზულ-

⁴⁶ მოცემულ შემთხვევაში ვსარგებლობთ ისტორიის ბენეიკრებათა კანდიდატის ან ზორ ჭალდანიასაგან მიღებული ინფორმაციით.

⁴⁷ კ. ვანის განმარტებით, საქლწოდება Рион... „происходит от греч. ἔω-течь или от сван. Риен, что означает: „большая река“... Свапы все реки называют „чала“... Больше же реки как в Свалетии Ингур, в Течхуми—Цхеннс-Цкали, в Абхазии—Кодор, в Раче—Рион, в Карачае—Кубань, они называют „риен“ (Ган К. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 119, 158).

⁴⁸ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქც, I, გვ. 5; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 526, 527; ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ. 1933, გვ. 5—6.

⁴⁹ ამ მდინარის აღსანიშნავად ერთ-ერთ ნაშრომში შერჩეულია სახელწოდება „კახეთის ალაზანი“ (იხ. რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თ. ჯაგოდნიშვილის რედ., თბ., 1986, გვ. 63), რაც ერთი და იგივე სახელწოდების მატარებელი რამდენიმე მდინარის ზუსტი ნომინაციის გამარტების მიზნით ხმარებანი შემოტანილ პირობით (საორიენტაციო) თბულ ჰიდრონიმად უნდა აღვიქვათ. საყურადღებოა, რომ სახელწოდებას „კახეთის ალაზანი“ ასახელებს მ. მაჩაბელი (Ма ча б е л и М. В., Экономический быт государственных крестьян Тпанетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V. Тифл., 1887, с. 321).

ყაბარდოულ ენოვან ჯგუფს, ეს სიტყვა მარტო სასმელის მნიშვნელობით კი არა აქვს დაცული, არამედ წყაროს წყლის სახელებადაც მოეპოვება. უკვე აკ. კლაპროთმა განმარტა, რომ ჩრდილო კავკასიონის განთქმული ვეძას სახელი ნარზანი წარმომდგარია ნართზანისაგან და ორი ცალკეული ნაწილისაგან ნართ-ისა და ზანისაგან არის შემდგარი. ზან სასმელს, წყაროსა ნიშნავს, ხოლო ნართ ადიღეველთა წარმართული პანთეონის გმირების სახელია. საეპარისია ამის შემდეგ ჩვენი ანალიზის საგნად კვლავ ალაზანი ვაქციოთ, რომ მდინარის ამ სახელის აგებულების ორნაწილელობის ექვი თავისთავად აღგვეძრას: საფიქრებელია, რომ იგიც ალა-სა და ზანისაგან იყოს შემდგარი და, რაკი, ბუნებრივია, რომ ზანი აქაც სასმელის, წყაროს და წყლის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ, ამიტომ, ნართ-ის მსგავსად ალა უგების ამ წყლის ან განკუთვნილობის ან კუთვნილების გამომჟღავნებელი იყოს⁵⁰.

მართალია, ვითარების ასეთნაირად შეფასებისას ივ. ჯავახიშვილს არაფერი აქვს ნათქვამი თუშეთის ალაზნების შესახებ, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ამცირებს ავტორის ნააზრევის ღირსებას, ხოლო დამატებითი მონაცემების წარმოჩენა, პირიქით, მხოლოდ დამაჯერებლობას ჰმატებს მას. ნათქვამის სისწორეში კი ადვილად დავრწმუნდებით, თუ დავაწინაურებთ იმ საგულისხმო ფაქტს, რომ საქართველოს ცალკეულ მხარეებში ტოპონიმიკური კვლევა-ძიებით დგინდება ზოგადად „წყაროს“, „ნაკადული“ აღმნიშვნელი სიტყვა „ალაზანი“ რეალურად არსებობა. ამ მხრივ სამაგალითო არაგვის ხეობის მთიანეთში ხომ მრავალი ათეული „ალაზანია“ აღრიცხული ხსენებულ რეგიონში ასევე ფართოდ გავრცელებული სახელწოდება „ფშას“ (//„წყაროს“) პარალელურად⁵¹, რის გვერდით, ალბათ, მეტად ნიშანდობლივია (თუნდაც სიტყვა „ალაზნის“ ზან ელემენტის დანახვის პერსპექტივით) წერილობით წყაროში დაცული ცნობა არაგვის ხეობაში ერთ-ერთი წყაროს ზანავად სახელდების შესახებ⁵², აგრეთვე ქართლსა და სამეგრელოში შესაბამისად ჰიდრონიმების ზანავ-რვილისკევისა⁵³ და ზანას არსებობა⁵⁴. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის დეტალი, რომ საქართველოს მონაპირე მთის კუთხეში—ხევში ადიღეველ წყალზე ხალხმა ტრადიცი-

50 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

51 გ. ხორაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 81, 83, 87, 91—99, 104, 119, 120, 130, 138.

52 ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა..., ქტ, I, გვ. 16.

53 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 380.

54 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

ულად იცოდა თქმა — „ეს რამოდენა ალაზანი მოქანავსო“⁵⁵, ხოლო ფშავლები აბობოქრებულ ფშავის არაგვზე თურმე იტყოდნენ — „ეს რამხელა ალაზანი მოდისო“ (// ეს რამოდენა წყალი მოდისო)⁵⁶. ცხადია, მოცემული ფაქტების შეფასებისას ნებისმიერ დამკვირვებელს საფსებით ბუნებრივად შეიძლება დაეხადოს აზრი აღნიშნულ გამონათქვამებსა და ვაჟა-ფშაველას მეტაფორულ სტრიქონს „ცრემლი სდით ალაზნიანი“ (მდრ.: ხალხური გამოთქმა: „სისხლი სდით ალაზნიანი“ ან „სისხლის ალაზანი“) შორის შინაარსობრივი სიახლოვის თაობაზე; მაგრამ იმავე ხევში მომდინარე თერგის წყალუხვობისა და წყალდიდობის ქაშს მის პირთამდე სავსე კალაპოტში წყლის არაჩვეულებრივად შმაგი დინების გახსენების კვალობაზე, ალბათ ძნელი დასაჯერებელია, რომ მოხვევებებს მდინარის ადიდებისა და მისი ბობოქარი დინების საზომად მაინცდამაინც ალაზნის წყალუხვობა და შმაგი დინება ექციათ. ამდენად, მეტ-ნაკლები ყოყმანის მიუხედავად, მაინც უფრო სარწმუნო ჩანს განხილული გამონათქვამების აღქმა სიტყვა ალაზნის ზოგადი მნიშვნელობის მანიშნებელ კიდევ ერთ საბუთად.

როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონს არ ჰქონდა ხელთ აღნიშნული მონაცემები, თორემ მათი გამოყენების შემთხვევაში დიდი სწავლული ნიადაგ არ დაკმაყოფილდებოდა სიტყვა ალაზნის წარმოშობის ახსნით მარტოოდენ ტოპონიმ ალონთან მისი დაკავშირების გზით⁵⁷ და შედარებით უფრო დასაბუთებულ თვალსაზრისს შემოგვთავაზებდა.

⁵⁵ კონკრეტულ შემთხვევაში ვიყენებთ ვალ. ითონიშვილის მიერ ხევში წარმოებული ეთნოგრაფიული მუშაობის დროს დაფიქსირებულ ცნობას. შენიშვნა: საყურადღებოა, რომ ტოპონიმი ალაზანი (წყაროს აღმნიშვნელი) აღინიშნება ამაჟამად ოსებით დასახლებულ თრუსოს ხეობაშიც (იხ. Цагаева А. Д. Топонимия Северной Осетии, ч. I, Ордж., 1971, გვ. 122-).

⁵⁶ ვახტ. ითონიშვილი, ფშავის ეთნოგრაფიული მასალები, 1987, რვ. I, გვ. 25.

შენიშვნა: საინტერესოა, რომ ერთ-ერთი რუსი დამკვირვებლის ცნობით: „У Тушей алазань означает вообще реку или приток, а цкали—источник“ (იხ. ОРВЗК, ч. I, С-П-Б.; 1836, с. 392), ხოლო ა. შანიძის განმარტებით: „ალაზანი—დიდი მდინარე საზოგადოდ (შატილში, არღოტში, პირიქით თუშეთში, თუშეთის გომეწარში): „რა დიდი ალაზან მოდიოდა თბილისშიო“ (ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თბილუბანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1984, გვ. 278).

⁵⁷ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 526.

შენიშვნა: მიუხედავად ამისა, ვახუშტისეული ეტიმოლოგია გაცილებით უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე სიტყვა ალაზნის დაკავშირების ცდა ეთნონიმთან „ალანები“ და ამის კვალობაზე ალაზნის გაშიფრვა „ალანთა მდინარედ“, რასაც თავის დროზე ჰქონდა ადგილი ლიტერატურაში (Ган К. Ф., დასახ. ანაშრომი, გვ. 7).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების არასრულყოფილად გამოყენების მიზეზითვე ვერ მიიღო სოლიდური სახე სახელწოდება ალაზნის წარმოჩენის ცდამ ქართული სიტყვების ალა-სა („ნოტიო“) და ზანის-გან („ადგილი“) შემდგარ ტერმინად⁵⁸, რასთან დაკავშირებითაც აუცილებელია განიმარტოს, რომ თუკი საკვლევ ჰიდრონიმში ალა ნაწილის ამ შინაარსით გამოყოფას ასე თუ ისე კიდევ მოეძებნება გამართლება ერთობ ღირსშესანიშნავი ტერმინების „ალაბულსა“ („ნოტიოში ბეწვ-ჩალა ნარეკი“⁵⁹) და „ალაოს“ („ფქვილი დანოტი-ავებული“⁶⁰) დამოწმებით, ზან ელემენტის გაგება „ადგილის“ აღმნიშვნელი სიტყვის ეტიმოლოგიით მხოლოდ დაბნეულობის საფუძველს ქმნის.

სამაგიეროდ, გაცილებით უფრო სერიოზულ საფიქრალს გვიჩენს ტერმინ ალაზანის მეორე ნაწილის მნიშვნელობის დაზუსტებაზე გარჯა იმ აღიარებული ფაქტის გათვალისწინების შუქზე, რომ ინდოევროპულ ენაში «...Быстрое течение «реки» могло передаваться также глагольной формой $dh^{h}en$ —и её производными, ставшими позднее в отдельных языках субстантивированным обозначением «реки», «источника»: Др.-инд. $dhanvati$ —«быстро, стремительно двигатся»; др.-перс. $dānuvatiy$ —«течет»; тох. $A\ tzān$ —«течь»; Субстантивированные формы от этого корня в значении «река», «источник» представлены в лат. $fēns$ —«источник», в авест. $dānu$ —«река», осет. don —«река», «вода» а также в многочисленных названиях рек иранского происхождения: $Tauuaz$ «Дон» (у Геродота и Страбона), $Δαναπρις$ —«Днепр», др. рус. Дънѣпръ, $Δαναστρις$ —«Днестр» (Аммиан Марцеллин), др. рус. Дънѣстръ, $Δαναυσιος$ —«Дунай» (Аристотель, Птолемей, Страбон)»⁶¹.

⁵⁸ Ган К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 7 («Алазань—от груз. ала-зани—Сырое место, что действительно подходит к долине этой реки»). ვ. განის ეს მოსაზრება მთლიანად იქნა გაწმობრებული ვ. ნეკონოვის მეორე გამოცემულ მოკლე ტოპონიმურ ლექსიკონში: «Алазани—р. в Грузинской ССР (Кახети). Из грузин. ала—„сырой“, „влажный“ и занн „место“ (Никонов В. А., Краткий топонимический словарь...).

⁵⁹ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949, გვ. 22.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индо-европейский язык индоевропейцы, т. II, с. 671.

სპეციალურ ლიტერატურაში ნარზანის პირვანდელ ფორმად მიჩნეულია ნართ-სანე (ან ნარკანა); ამასთან ეს ტერმინი გააზრებულია ძველნდურ $gasayana$ -საგან ნაწარმოებ შუაზიურ არსან, არშან-ის („მინერალური წყარო“, „თერმული-სამკურნალო წყარო“, „წმინდა წყალი“) იდენტური მნიშვნელობის მქონე სახელ-

თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვა ალაზნის ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის დამამტკიცებელი მონაცემებით რეალურად სარგებლობის შესაძლებლობას და ამავე დროს ჯეროვან ანგარიშს გავუწევთ ივ. ჯავახიშვილის მიერ უდავოდ ობიექტურად აღძრულ საკითხს -ზან ელემენტის კონკრეტული ეტიმოლოგიის შესახებ, ალბათ ნამდვილად აქვს აზრი ქართულ ზანსა და ინდოევროპულ d^hen- ზმნისაგან გამოსულ dan, don, A tzän ფორმებს შორის გენეტიკური კავშირის ძებნას, მით უფრო, რომ იმავე ბაზაზე შეიძლება იყოს დამყარებული ჩრდ. კავკასიაში დაფიქსირებული და ალაზნთან შესაპირისპირებლად ასევე მართებულად შერჩეული ტერმინი ნართ-სანე (ან ნარკანა) ნარზანის გვიანდელი ფორმით. ყოველ შემთხვევაში, თუკი ინდოევროპულ d^hen ძირთან (და ამ უკანასკნელისაგან მომდინარე dan, don, A tzän ფორმებთან) ხსენებული ტერმინების მიმართების საკითხი წინასწარი (საორიენტაციო) ვარაუდის დონეს მაინც ვერ სცილდება, სახელწოდებების: ალაზნისა და ნარზანის მეორე ნაწილის — ზანის დაახლოებით იდენტური ეტიმოლოგია ივ. ჯავახიშვილის დაკვირვების წყალობით ნაკლებად უნდა წარმოადგენდეს დავის საგანს.

სხვათა შორის, ორივე ამ სიტყვის-ზან კომპონენტის მნიშვნელობის გაგებისათვის გარკვეულ ინტერესს იწვევს ოსური სიტყვა ჯაჰჯაჰი-იც („ჩანჩქერი“), სადაც ასევე გამოიყოფა -ზან ელემენტი. ვ. აბაევის აზრით, დამოწმებული სიტყვა წარმოდგება ჯა—ჯაჰჯაჰ-ისაგან, რომლის სტრუქტურაში ჯა-, აჰ-, „წყალს“ ნიშნავს, ხოლო ჯაჰჯაჰ-ში ამოიკნობა დღემდე შემოუნახავი ზმნის ფორმა ჯაჰჯ („ღვრა“, „ვარდნა“) შდრ.: ძველ-ინდ. sarj-, srj—„ღვრა“⁶². ამდენად სემასიური პარალელი ჯაჰჯაჰი—narzan.—alazan-ს შორის სავსებით ლოგიკური ჩანს.

საყურადღებოა, რომ განხილული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული აზრი „ალაზნის“ ზოგადი მნიშვნელობის შესახებ არსებით ცვლილებას ვერ განიცდიდა იმ შემთხვევაშიც, თუკი აღნიშნულ ტერმინს ქართულ ალაშა-საგან („ტაიჭი“, „ცხენი“) ნაწარმოებლად ვიგულებდით. ამნაირი ვარაუდის დაშვების გამბედაობა კი გვეოფნის იმდენად, რამდენადაც ისტორიულად ცნობილია არაერთი სწრაფი მდინარის ცხენთან შედარების ტრადიცია, რამაც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრა კიდევ მთელი რიგი თავისებური ჰიდრონიმების გაჩენა. სამეცნიერო ლიტერატურაში აკი შენიშნულია, რომ მა-

წოდებად, მაშინ როდესაც ალაზნთან მისი ურთიერთმიმართებით დაინტერესების საჭიროება რატომღაც არაა დანახული (იხ. Э. М. Мурзая, Словарь народных географических терминов, с. 53—54, 383—39).

⁶² Абаев В. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

გალითად „...Восстанавливаемый для индоевропейского образ „быстротекущей реки“ Нар—предполагает знакомство древних индоевропейцев со стремительно несущимися горными потоками... В этой связи интересно сравнение в «Ригведе» горных рек с лошадьми вырывающимися на волю... Такое сравнение „быстротекущей реки“, „потока“ с „лошадью“ весьма характерно для индоевропейской гидронимики... ср. например, лит. Ašva, Ašvija; древнебалканск. Ουταπίος и др.»⁶³.

როგორც ჩანს, სწრაფი მდინარის ცხენთან შედარების ტრადიცი-
ამ საკმარისად მყარი ნიშნები კპოვა საქართველოსა და საერთოდ კავ-
კასიის სინამდვილეშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე ძნელი ასა-
ხსნელია თუნდაც ჰიდრონიმ ცხენისწყლის (ბერძნულად
Ἰππος) გაჩენა, თუმცა გაურკვეველია ხსენებულ მდინარეს სახელ-
წოდება პირველად ბერძნებმა მისცეს Ἰππος-ის სახით, თუ ეს
უკანასკნელი ქართული სახელწოდების ჩვეულებრივ თარგმანს წარ-
მოადგენს. იმავე თვალსაზრისით არანაკლებ დამაფიქრებელია ფლა-
ვიუს არიანესთან მდ. კოდორის ჰიპოსად (Ἰππος)⁶⁴, ხოლო
სვანეთის, აჭარისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მომდინარე მდი-
ნარეების შესაბამისად ცხენურად, ცხენისწყლად და
ცხენისწყლად (ან ცხენისწყლად) სახელდების ფაქ-
ტები. საყურადღებოა აგრეთვე ჰიდრონიმ მტკვრის (მტკუარის, ბერძნ.
καρυν, καρος) ჰიერული მორფემის კუარ, კურ, კორ-სა და შემერულ
ქურ, კურ-ს („ცხენი“) შორის პარალელის გავლება, სახელწოდ-
ება იორის ეტიმოლოგიის გარკვევისას თურქული სიტყვის —
იორღას („კარგად მოსიარულე ცხენი“) მნიშვნელობის გათვა-
ლისწინება, ასევე აფხაზური სიტყვების აკუარასა („ღელე“) და
აკუარას („თახაჩი ცხენი“, შდრ.: ყაბარღული κλυερ —
„იორღა“) ურთიერთმიმართებით საგანგებოდ დაინტერესება, ხოლო
ჰიდრონიმ არგუნის გვერდით თურქული argamag-ის („ტაიჭი“,
„იორღა“) და უიღურული სიტყვა argun-ის („ცხენი“, „ტაიჭი“) ფიქ-
საცია. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ სწორედ აღნიშნული ტრადი-
ციის მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს სიტყვა ალაზნის
გაჩენა, რასთან დაკავშირებით ძალაუფლებურად კვლავ გვახსენებს თავს
მოსხვევებში გავრცელებული გამოთქმა — „ალაზანი მოქანავსო“.

⁶³ Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., დასაბ. ნაშრომი, გვ. 670—671.

⁶⁴ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 41, 70, 88, 90.

და ბოლოს, იგივე სიტყვის პირველი ელემენტის ალას ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება დაკვირვება "თურქულ ტერმინზე ალა" ("იორლა", "პრელი ცხენი", "მშვენიერი", "შესანიშნავი", "საუკეთესო"), რაც გვაპარაუდებინებს, რომ ალა შესაძლოა ნიშნავდეს სწრაფს, ბობოქარს ან მშვენიერს, საუკეთესოს, შესანიშნავს*.

ამრიგად, ზემოთქმულის შეჯამებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ "ალაზანი" თავდაპირველად უნდა გაფორმებულიყო საერთოდ "მდინარის", "წყლის" ან "სწრაფი მდინარის", "ბობოქარი ნაკადის", "შესანიშნავი წყლის" აღმნიშვნელ ტერმინად, რის გამოც სავსებით ბუნებრივია ამ სახელწოდების ფართოდ გავრცელება როგორც ცალკეულ მდინარეთა მისამართით გამოყენებული პილარონიმების, ისე წყართა აღმნიშვნელი სახელების სახით. ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად შეიძლება შეეფერებოდეს სინამდვილეს აღნიშნული ტერმინის დაშლა სამ ნაწილად: ალა ("ნოტიო", "წყლიანი" ან "ბობოქარი", "დიდი", "შესანიშნავი", "საუკეთესო") + ზან ("მდინარე", "წყალი") + ი (ქართული ენის სახელ. ბრუნვის ნიშანი).

როგორც ჩანს, ანალოგიური თვალთახედვით გაშუქებას იმსახურებს არგუნის (ან არღუნის) ეტიმოლოგიის საკითხიც.

ჩაჩნეთის მიწა-წყლის ფარგლებში არგუნის სახელწოდებით ცნობილია ორი მდინარე "ჩ ა ნ თ ი - ა რ გ უ ნ ი" და "შ ა რ ო - ა რ გ უ ნ ი", რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა "ო რ გ"-ს, "ო რ გ ა"-ს, "ო რ გ - ხ ი"-ს ან "ო რ გ უ ნ"-საც უწოდებს. საყურადღებოა, რომ იგივე სახელწოდება გაავრცელეს პანკისელმა ქისტებმა (სახელდობრ ს. ომალოში მცხოვრებმა ხილდინბაროელებმა) მდ. ალაზანზე,

* სიტყვა ალაზნის ალა ელემენტის გავებისათვის ალბათ მიზანშეწონილი იქნება დაინტერესება მდ. ყუბანის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ძველი სახელწოდებით — "ალარდასი", რომელიც წყაროებში ფიგურირებს იმავე მდინარის მისამართით გამოყენებულ ისეთ სახელწოდებათა გვერდით, როგორიცაა "დიდი მდინარე", "ბობოქარი მდინარე", "ყარა-ყუბარი", "შავი ყუბანი", "შავი მდინარი" და სხვ. (სულ ამ მდინარის აღმნიშვნელი 208 სახელწოდებაა აღრიცხული) (იხ. კრ. «Ономастика Кавказа», Орджон., 1980, გვ. 108—109). არაა გამორიცხული, რომ ისევე როგორც "ყარა-ყუბარი" და "შავი ყუბანი" ერთმანეთთან მიმართებაში სინონიმური პილარონიმებია, ასევე "ალარდასი", წარმოადგენს "დიდი მდინარის", "ბობოქარი მდინარის" შესატყვის სახელწოდებას, რაც მოგვეცემდა უფლებას სიტყვა "ალარდასი" გამოგვეყო "ალარ" და "დას" (ან "დან", "ღონა?") ელემენტები შესაბამისად "დიდის", "ბობოქარის" და "მდინარის", "წყლის" ეტიმოლოგიით.

დამაფიქრებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სიტყვა "ალი" მთიულურად ნიშნავს გიჟს, ვადარეულს (მაგ. "ალი ცხორი"; იხ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგ. აღ. ლლონტმა, I, თბ., 1974, გვ. 28).

თუმცა ხსენებულ ხეობაში გადმოსახლებული ქისტური მოსახლეობის უმრავლესობამ (ყერძოდ სოფ. დუისისა და სოფ. ჯოყოლოს მცხოვრებლებმა) აითვისა იმავე მდინარის ტრადიციული ქართული სახელწოდებაც „აღა-ზ“-ის ფორმით⁶⁵. ჰიდრონიმ არგუნცი (ან არღუნის) გავრცელების არეალის სიფართოვეზე შეიძლება მეტყველებდეს აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მდინარის (თერგის შენაკადის) არგუდანად (Argudan) ან არგუანად (Arguan) სახელდების ფაქტიც⁶⁶, რომლის შეფასებისას თავის დროზე სამართლიანად იქნა შენიშნული: „თერგის ამ შემდინარის სახელი — გასაოცრად მიაგავს არღუნს (მეტადრე თუ წარმოვიდგენთ, რომ არგუდან დამახინჯებული არგუნ+დონ-ისაგან არის წარმომდგარი, რომელიც არღუნის წყალს ნიშნავს)“⁶⁷. იმავე თვალსაზრისით არანაკლებ ინტერესს იწვევს მდ. კოდორის მარჯვენა შემდინარის სახელი არღუნიაც ან ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე (თერგის მარცხენა ნაპირზე) დაფიქსირებული ტოპონიმი არგუნინ⁶⁸, რის შემდეგაც უპრიანია დაკვირვება, ერთი მხრივ, მეტად დამაფიქრებელი ფონეტიკური ფორმის მქონე ბალყარულ ჰიდრონიმ ჯუარღუნზე, ხოლო მეორე მხრივ ვახუშტის მიერ მდ. სუნჯის სახელწოდებად აღნიშნულ ბორაღანზე⁶⁹ (მდრ.: გიულდენშტედტისეული Baragun⁷⁰), სადაც თავიკიდური ბ-ს ჩამოცილების შემთხვევაში ეგების ამოსაცნობიც გახდეს ჩვენთვის საინტერესო სახელი — არგუნო

65 კონკრეტულ შემთხვევაში ვსარგებლობთ ისტორიკოს შათე ციხეცაშვილისაგან მიღებული ინფორმაციით. სათანადო განმარტებები მოგვცა აგრეთვე ისტ. მეცნ. დოქტ. აბრამ შავხელიშვილმა.

66 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 43, 57, 169, 173, 217 (იხ. აგრეთვე თანდართული რუკა).

67 ივ. ჯაეახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 16.

68 Цагаева А. Д., Топонимия Севернoй Осетии, ч. I, გვ. 121

69 ვახუშტი აღწერა..., გვ. 553—554, 652—653.

70 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 37.

71 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, 1986, გვ. 75.

(ან არღუნე). მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ არღუნად არის სახელდებული არაგვის ერთი შენაკადი და არაგვის ხეობაში ლოკალიზებული ერთ-ერთი სოფელი, დაღესტანში კი იმავე სახელწოდებით ცნობილია ერთ-ერთი პუნქტი (თუ მხარე?) ანწუხის მეზობლად⁷¹.

უთუოდ განხილული მონაცემების ერთ ნაწილზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე განაეითარა აზრი, რომ „ჩაჩნურში „არღუნ“ მდინარეთა ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვაა“⁷². ამასთან, მოცემული დასკვნა მოსდევს ჰიდრონიმ არგუნის (ან არღუნის) ეტიმოლოგიის შემდეგნაირ ახსნას: „ღრმას გამოსახატავად ჩაჩნებსა და ქისტებს გიულდენშტედტის ჩანაწერით Kargunda ქარგუნდა უხმარიათ, წოვებს კი Kokurun... თანამედროვე ჩაჩნურად ღრმა იქნება ქორგუნა, რომელშიც ო უნდა უკუქცევიით ასიმილაციით იყოს პირველადი ა-საგან გაჩენილი. მდ. არღუნის სახელი უნდა ჩაჩნური ქორგუნა-ის XVIII ს. სახელისაგან იყოს წარმომდგარი თავკიდური ქს გაქრობით. ჩაჩნურად ქორგუნა ეხლაც ღრმასა ნიშნავს და ღრმა მდინარეს ქორგუნა ხი ეწოდება, მაგრამ XVIII ს. ახმოვანიანი ფორმა ყოფილა და თურმე ქარგუნ-დად გამოითქმოდა“⁷³.

მართალია, წარმოდგენილ მტკიცებას არ აკლია დამაჯერებლობა, მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ მაინც იგრძნობა იმის დამატებით განმარტების საჭიროება, რომ ჩაჩნურში „ღრმას“ აღმნიშვნელი სიტყვა kორга ხოლო ტერმინებს kIar, kIarгдан (kIarгдала, kIorгдала, kIarгдалар), kIorгалла, kIorго და kIorгаIин შესაბამისად „ორმოს“, „ჩაღრმავების“, „ღრმულის“, „სიღრმის“, „საკმაოდ ღრმას“ და „ღრმა ხევის“ ეტიმოლოგია გააჩნია, რის გამოც ჰიდრონიმ არგუნის (ან არღუნის) მაწარმოებელ სიტყვად მისაჩნევი გამოდის ან მხოლოდ kIorга („ღრმა“) ან კიდევ kIorгаIин („ღრმა ხევი“). საფიქრებელია, რომ ასეთნაირი ალტერნატივის წინაშე დადგომისას ივ. ჯავახიშვილმა მაინც მეორე ვარიანტზე შეაჩერა თავისი არჩევანი, ოღონდ მან სიტყვა kIorгаIин (kIorга „ღრმა“ + Iин „ხრამი“ „ხევი“, „უფსკრული“) გააიგივა kIorга-სთან („ღრმა“), რაც თავისთავად ძალზე უმნიშვნელო და მარტივად გამოსსწორებელი ხარვეზია.

ვინაიდან დიდი სწავლულის შეხედულებით, სიტყვა „ქორგუნა“-სგან ნაწარმოებად მიჩნეული არგუნი (ან არღუნი) ზოგადად მდინარის აღმნიშვნელ სახელწოდებად დახასიათებას იმსახურებს, ამ თვალ-

72 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები..., გვ. 105.

73 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

საზრისით ის გარკვეულ ეტიმოლოგიურ სიახლოვეს უნდა ამკლავ-
 ნებდეს ზოგადად მდინარის, ნაკადის, წყლის აღმნიშვნელ ქართულ
 ტერმინთან — „კევი“. ამასთან, თუ რამდენადმე მაინც სარწმუნოდ
 გამოიყურება ის ვარაუდი, რომ მაგ. ავარულ ენაში დაფიქსირებული
 სიტყვები მორ, მურ („ხევი“, „მდინარე“, „ორმო“, „თხრილი“),
 ქართული „კევის“ მსგავსად, თავდაპირველად შედარებით უფრო
 ვიწრო გაგებით, მხოლოდ „თხრილის“, „ორმოს“, წყლის მიერ
 გაკვალული (გახეული) კალაპოტის აღმნიშვნელ ტერმინებს წარმოად-
 გენდნენ და მოგვიანებითლა შეიძინეს ზოგადად „მდინარის“, „ღე-
 ლეთ უდიდესის“⁷⁴, „ლარტაფის“ სემანტიკა, ვფიქრობთ, არც თუ
 ძნელი უნდა იყოს იმ საკითხში ზუსტად ორიენტაცია, თუ მაინც რო-
 გორი კანონზომიერებით შეეძლო განეცადა ანალოგიურივე ხასიათის
 ტრანსფორმაცია ვაინახურ სიტყვას *κίοργαίν*.

სამაგიეროდ, ბევრად უფრო რთულია ყაბარდო-ბალყარეთში და-
 მოწმებულ ჰიდრონიმ არგულანისა და კოდორის შემდინარე არღუნისა
 (ან არღუნაას) წარმომავლობის ახსნა, იმ საკითხის სავალდებულო
 გარკვევის შუქზე, თუ რამდენად გამართლებულია ვეინახურ არგუნ-
 თან (ან არღუნთან) მათი სემანტიკური სიახლოვის დაშვება. სხვა სი-
 ტყვით რომ ვთქვათ, ხსენებული სახელების აშკარა მსგავსების ფაქ-
 ტი გვავალებს, ერთი მხრივ, მათი სტრუქტურის დაზუსტებაზე გარ-
 ჯას, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდ. კავკასიისა და ამიერკავკასიის სხვა-
 დასხვა რაიონებში სამი თითქმის იდენტური ჰიდრონიმის გაჩენის მი-
 ზეზის მიკვლევას, რაც თავის მხრივ ლოგიკურად აღძრავს ექვს ჩაჩ-
 ნურ სახელწოდება არგუნის წარმოებაში მარტოოდენ ტერმინის
κίοργαίν მონაწილეობაზე გამოთქმული თვალსაზრისის მიმართაც.

ასეთნაირი მიდგომის შესაბამისად კი ნიადაგ მოულოდნელო-
 ბის ელფერს აღარ უნდა ატარებდეს ჰიდრონიმ არგუნის (ან არღუნის)
 წარმოჩენის ცდა პირველ რიგში თურქული ძირისაგან მომდინარე
 სახელად, მით უმეტეს, რომ არგუნთან სავსებით მართებულად შე-
 პირისპირებული სახელწოდების მატარებელი იმავე მდ. არგულანის
 სათავეც და დინების საწყისი მონაკვეთიც სწორედ თურქულენოვან
 ბალყარელთა განსახლების ტერიტორიაზე თავსდება და ამდენად ის,
 უწინარეს ყოვლისა, ბალყარულ ტერმინად აღქმასაც შეიძლება იმ-
 სახურებდეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თურქულად *сукур*,
қој, *қуј* ნიშნავს „ორმოს“, „ღრმულს“, „თხრილს“, „სიღრმეს“, *ор*, *ур*
 კი „თხრილს“, „ხევს“, ხოლო ჩაჩნურსა და წოვა-თუშურში შესაბამისად
 გვაქვს სიტყვები *κίοργαίν* („ღრმა ხევი“), *κίοργა* („ღრმა“), *ор* („ორ-

74 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, გვ. 472.

მო“), *klar* („ორმო“), *kaɟkɟna* („სიღრმე“), *kaok* („ორმო“), *kaokɟa* („ღრმა“⁷⁵) და ამავე დროს ანგარიშს გაუუწევთ გიულდენშტედტის მეტად-საგულსხმო ცნობას წოვების მიერ „ღრმას“ გამოსახატავად ტერმინის *kokugun*, ხოლო ქისტების მიერ *kargunda*-ს განოყენების შესახებ, ვფიქრობთ, ვარაუდი თურქულ *cukur*-სა და ჩაჩნურ და წოვურ *klorɟa*, *kaɟkɟa*-ს შორის რალაც კავშირის არსებობის შესახებ თავისთავად იბადება. ალბათ ასევე კანონზომიერია თურქულ სიტყვას *argudal* („ხეობა“, „ღრმა ხრამი“, „ღარტაფი“) და ჩაჩნურს *klarɟdan*, *klorɟedal* („ღრმა“) შორის სემასიოლოგიური ჰარაღელის გავლება. არანაკლებ დამაფიქრებელია აგრეთვე ისეთი თურქულ-მონღოლური სიტყვების ეტიმოლოგია, როგორიცაა *charɟa*, *charɟu* („ჩქერი“, „სწრაფი ნაკადი“), *arguk* („ცოფიანი“, „აეი“, „ბობოქარი“, „ბოროტი“), *karɟa* (შუა აზიაში მთის მდინარეთა ზოგადი სახელწოდება), რომ აღარაფერი ვთქვათ თურქული წარმომავლობის სახელებში (შაგანი, ორაგუზი, უზაგანი, კუიგუნი, კოტუნი და ა. შ.) *ɟun*, *ɟur*, *ɟuz* ფორმანტის საკმაო ხშირი გამოკვეთილობისა და ასევე თურქულ-მონღოლური ჰიდრონიმების არგუნის, არგუტის და სხვ. არსებობის მეტად მრავლისმთქმელ ფაქტებზე. ამასთან, თუ დამოწმებულ მონაცემებთან ერთად მხედველობაში მივიღებთ ჩრდილო კავკასიაში არაერთი თურქული წარმომავლობის ჰიდრონიმის (მაგ. ყოისუს, თერგის, ბაქსანის, ჩერკეის, სუნჯას, ურუხის და სხვ.) აღრიცხვის შესაძლებლობას, რომელთა გავრცელების არეალში, სხვათაშორის, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ეთნოსთა საზოგადოებრივ ტერიტორიაც შედის და ამავე დროს თურქულ-კავკასიური ენობრივი კონტაქტების უშუალო რეზულტატად მივიჩნევთ ჩრდ. კავკასიაში მკვიდრ ხალხებთან ცალკეული ჰიდრონიმების აღმნიშვნელ მთელ რიგ ნომენკლატურულ ტერმინთა გაჩენას (მაგ.: ჩერქეზულ სიტყვებს *ko*, *kuɟs* „ხრამი“, „ხევი“, „ხეობა“; შდრ.: თურქულ *qoj*, *quj* „ხრამი“, „თხრილი“, „ღრმული“, „ორწი“, ავარულ ტერმინებს *op*, *yp* „თხრილი“, „ხევი“ — შდრ.: თურქულ *og*, *ug* „თხრილი“, „ხევი“; ოსურ *agud*, *agud*, *axɟ*, *axɟax* „ღარტაფი“, „ხევი“ — შდრ.: თურქულ-მონღ. *agud*, *agud*, *agk* „სარწყავი არღი“, „მდინარის კლაპოტი“, „თხრილი“⁷⁶ და სხვ.), არა გვგონია ხელოვნურ მტკიცებათა შთაბეჭდილებას ტოვებდეს შემდეგი ვარაუდები:

1. ჩაჩნური ჰიდრონიმის არგუნის წარმოებაში გადამწყვეტი როლი შეეძლო შეესრულებინა ზოგადად „ხეობის“, „მთის მდინარის“,

⁷⁵ Чеченско-Русский словарь, составил А. Г. Маишев, М., 1961; с. 257, 265, 323, 556.

დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 352—353.

⁷⁶ Абаев В. И., Дахаб. Наироми, გვ. 75, 185.

„სწრაფი წაკადის“, „ცოფიანის“, „ბობოქარის“ აღმნიშვნელი ერთ-ერთი თურქული სიტყვის (მაგ. argudal, kapra, xarıy ან arıyık) ან ამ უკანასკნელთან ვეინახური ტერმინის ИИИ („ხრამი“) შერწყმას, რაც გვაძლევს საკვლევი სახელის ასეთნაირი გაშიფრვის უფლებას: „არგუნი“ — „მთის მდინარე“, „ცოფიანი წყალი“, „ბობოქარი ხევი“.

დამოწმებული კვალიფიკაციის გვერდით კი ალბათ სქემატურად არ უნდა გამოიყურებოდეს ტიპოლოგიური თვალსაზრისით არგუნის შედარება ჩრდილო კავკასიაში ცნობილ ისეთ ჰიდრონიმებთან, როგორებიცაა სუნჯა (ჩაჩნეთში), ავარიის ყოისუ, ანდრიის ყოისუ და ყარა ყოისუ (დაღესტანში), რომელთა სტრუქტურაში ადვილად ამოსაცნობია ხსენებულ სახელწოდებათა მდგენელი ორი უმთავრესი ნაწილი — ერთ შემთხვევაში თურქულ სიტყვა cy-ს („მდინარე“, „ხევი“) და ჩაჩნური чИоджа-ს („ხეობა“⁷⁷; ეს სახელი შესაძლოა მომდინარეობდეს თურქულივე jag, juyka-სგან „გაპობა“, „თხრილი“, „ხრამი“; შდრ.: სპარსული джу, джа „ხრამი“, „ხევი“, „ნაკადული“), ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე cy-სა და თურქული köin, küin („ხრამი“, „მთის ხეობა“) ან ავარულ ენაში თურქულიდან შესული სიტყვის köй („ცხვარი“) სახით.

არაა გამორიცხული, რომ ზემოთ ხსენებული თურქული სიტყვებისგანვე ნაწარმოებად მიჩნევას იმსახურებდეს ჰიდრონიმები არგუდანი და არლუნია (კოდორის შემდინარე), რის კვალობაზე ადვილი ასახსნელი ხდება ჩრდ. კავკასიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამი თითქმის ერთნაირი სახელწოდების გაჩენა. ამასთან, სახელწოდება არგუდანის მეორე ელემენტის — დან-ის გააზრება ზოგადად მდინარის აღმნიშვნელ ირანულ სიტყვად გვარწმუნებს ყაბარდოს ფარგლებშივე დადასტურებულ მსგავსი აგებულების მქონე ჰიდრონიმებთან — ფსიგანსუსთან (ადილური ფსიგან + თურქული სუ) ან ფსიკუი-სთან (ადილ. ფ ს ი „წყალი“ + თურქ. კუი „ჭა“⁷⁸) მისი შეპირისპირების მიზანშეწონილობაში და საბოლოოდ გვეხმარება დასახელებული ჰიდრონიმის ეტიმოლოგიის დადგენაში: არგუდან — არგუნ („სწრაფი“, „ცოფიანი“, „ბობოქარი ხევი“) + დან („მდინარე“, „წყალი“) = „სწრაფი მდინარე“, „ბობოქარი წყალი“ ან „ცოფიანი ხევი“.

2. შესაძლოა განსაკუთრებით ახლოს დავდგეთ სინამდვილესთან აღბრუნულ საკითხთან დაკავშირებით თურქულ ტერმინებთან or, ur („ხევი“, „თხრილი“, „ორმო“, „მდინარე“) დაახლოებულად საგულ-

⁷⁷ Сулешманов А. С., Топонимия Чечено-Ингушетии, Грозный, 1978,

⁷⁸ Коков Д. Н., Адыгская (Черкесская) топонимия, Нальчик 1974, с. 26.

მებელი ჩაჩნური სიტყვის op („ორმო“) და ასევე ვაინახური ry („მთა“, „ქელი“), гуи („გეჟა“), Ии („ხრაში“, „უფსკრული“) ან იმავე op-ისა და თურქული гу-ის („ხევი“) ურთიერთმიმართებით დაინტერესების შემთხვევაში. ამასთან, საკვლევ სახელწოდებაში გამართლებული ჩანს ზოგადად მდინარის აღმნიშვნელი ორ ძირის გამოყოფის ცდაც, მით უმეტეს, რომ თურქულივე წარმომავლობის სიტყვებად ჩასათვლელ იმავე ავარული op, yr („ორმო“, „თხრილი“, „ხევი“) მაგალითზე ალბათ დასაშვებია ლაპარაკი საერთოდ ორმოს, თხრილის აღმნიშვნელი ტერმინების თავდაპირველი შინაარსის თანდათანობითი გაფართოებისა და დროთა განმავლობაში ზოგადად მდინარის, ხევის აღმნიშვნელ სიტყვებად მათი გადაქცევის ტენდენციის რეალურად არსებობაზე⁷⁹, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მოკლედ შენიშნული.

3. კიდევ უფრო ეფექტიანად გვესახება საკვლევ სახელწოდების მაწარმოებლად ვაინახური ტერმინების КIopra („ლრმა“) და Ии („ხრაში“) მიჩნევა, რასაც პრინციპში ამტკიცებდა კიდევაც ივ. ჭავჭავაძის და რასაც ეგების მხარს უჭერდეს ჩაჩნეთის ფარგლებში არგუნის გვერდით ჰიდრონიმების КIepиго-ахк и КIopry-хи ფიქსაცია, თუმცა თავად სიტყვის КIopra ფორმირებაში შესაძლოა დანახვას საპირობედეს თურქულ qui-სთან („ხრაში“, „თხრილი“, „ლრმული“. „ორმო“) და or-თან („თხრილი“, „ხევი“) დაკავშირებულად საგულეებელი ჩაჩნური სიტყვების КIаг („ლრმა“), op („ორმო“). აგრეთვე ry („მთა“) მიერ ნათამაშეი რალი.

4. დაბოლოს, უპრიანი ჩანს დაფიქრება თურქული ტერმინისაგან — argun („ცხენი“) ვაინახური არგუნის (ან არღუნის), ყაბარდობალყარული არგუდანისა და აბხაზური არღუნისა წარმომავლობის ვარიანტზეც, ვინაიდან კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვისაც არ ყოფილა უცხო სისწრაფის სიმბოლოდ ქცეულ ცხენთან მდინარის შედარების ტრადიცია, თუმცა მოცემული ვარაუდი, ალბათ, მაინც ყველაზე უფრო ნაკლებად დამაჯერებელია.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია — თურქულ ძირთან დაკავშირების შემთხვევაში ჰიდრონიმ არგუნის ეტიმოლოგიის ივ. ჭავჭავაძისეული გაგება არსებით კორექტირებას არ ექვემდებარება, ვინაიდან ხსენებული სახელწოდების ოდინდელ ზოგად მნიშვნელობაში დაექვემდებარების რეალური საფუძველი ნამდვილად არ ჩანს; საბაგიეროდ,

⁷⁹ ანალოგიური ხასიათის სუბსტიტუციის დამამტკიცებელ კიდევ ერთ საბუთად შეიძლება გამოდგეს ზოგიერთ ჩაჩნურ ჰიდრონიმში ბოლოკიდურის ахк დადასტურება (მაგ. КIepиго—ахк), რაც ჩაჩნურად ნიშნავს „უფსკრულს“, „ხრამს“ (შდრ.: ахка „ამოთხრა“, „თხრა“) და, ამდენად, ის ტერმინის хи („მდინარე“, „წყალი“) სინონიმად გვევლინება.

გარკვეულწილად ეფინება შუქი კავკასიის სამ სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში სამი მსგავსი ჰიდრონიმის გაჩენის მიზეზს.

სხვათა შორის, ანალოგიურ დასკვნამდე მივყავართ საკვლევი ჰიდრონიმის გააზრებას ინდოევროპული წარმომავლობის სიტყვად, როდესაც მეტ-ნაკლები მერყეობის მიუხედავად ყურადღების ცენტრში ექცევა კავკასიაში დადასტურებული ჰიდრონიმების — არგუნის (ან არღუნის), არგუდანის, არღონის (ოსეთი), არხონის (ოსეთი) და ახოანის (ყაბარდო-ბალყარეთი) სემანტიკური სიახლოვის საკითხი მათ სტრუქტურაში ჩვენთვის კარგად ცნობილი ег-ог-г ძირის გამოვლენის პირობით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მაგ. ირანული ძირის სიტყვა არღონი ოსურად ნიშნავს „ცოფიან მდინარეს“, ან „გიჟმაჟ, ბობოქარ წყალს“⁸⁰ (зрра „ცოფიანი, შეშლილი, გიჟმაჟი“ + дон „მდინარე“, „წყალი“, შდრ.: ег-ог-г ძირიდან მომდინარე სპარსულ haг „ცოფიანი, გიჟმაჟი, სწრაფი“), ჰიდრონიმების არხონისა და ახოანის ეტიმოლოგიის გამორკვევა ხერხდება შესაბამისად ოსური სიტყვების архайын, („ქმედება“, „სწრაფვა“) ან аргхъарын („დაღწა“) და შესაძლოა ასევე ირანული ძირის მქონე ტერმინად საგულგებელი ყაბარდოული архъуане-ს („ბობოქარი“, „ჩქარი“, „მორევი“) მნიშვნელობის გათვალისწინებით⁸¹, სახელწოდება არგუდანის დან ნაწილის სახით კი საქმე გვაქვს ზოგადად „მდინარის“, „წყლის“ აღმნიშვნელ ირანულ სიტყვასთან, ალბათ ნაკლებად გამართლებული უნდა იყოს არგუნის ფორმირებაში იმავე ег-ог-г ძირის შემცველი რომელიმე სიტყვის მონაწილეობის შესაძლებლობის ხელაღებით იგნორირება, მით უმეტეს, რომ ჩაჩნურშიც ხერხდება მეტად საგულისხმო ტერმინების — араида, арахъада („სირბილით გამოსვლა“: შდრ.: თსურ архайын, аргхъарын, ყაბარდოულ архъарын-ს) დამოწმება, ხოლო თავად ჰიდრონიმ არგუნს საკმაოდ წააგავს წერილობით წყაროებში Archun-ის⁸² (ან ирхунъ⁸³) ფორმით დაცული მდ. არხონის სახელწოდება.

80 Г а н К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

81 სპეციალურ ლიტერატურაში ჰიდრონიმი არხონი ოსურ სიტყვა „არხ“-ისა („ხრამი“, „ღარტაფი“, „უფსკრული“) და ონ-სუფიქსისგან შემდგარი გეოგრაფიულ სახელად არის გაგებული (იხ. Г а н К. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 14), ხოლო ახოანი ყაბარდოულ архъуане-სთან დაკავშირებულ ჰიდრონიმად არის გააზრებული (იხ. К о к о в Д. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 138).

82 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში..., ტ. II, გვ. 35.

83 მცირე ყაბარდოს, ოსეთის, ინგუშეთის და ჩაჩნეთის რუკა (XVIII ს. II: ნახ.), იხ. ნაშრომში: Волкова Н. Г., Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII—начале XIX века, М., 1974.

დაბოლოს, აუცილებელია შევხებით აგრეთვე თურქული თუ ინდოევროპული ძირებისაგან სრულიად დამოუკიდებლად სახელწოდება არგუნის ფორმირების საკითხს, რასთან დაკავშირებითაც უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება სიტყვა არგუნის ქართული წარმომავლობის შესახებ: «Главная река Чечни... Аргун». Слово «Аргун»—грузинского происхождения... Аргун—это Арагва («АргIვა»)⁸⁴.

მართალია, მოყვანილ მტკიცებას არ ახლავს ფაქტობრივი არგუმენტაცია, მაგრამ რამდენადაც არგუნის (ან არღუნის) სათავეც და მისი დინების საწყისი მონაკვეთიც (არაგვად წოდებული) პირიქითი ხევისურეთის ფარგლებში თავსდება, ხოლო ჩაჩნეთის ტერიტორიაზე ის უკვე არგუნის სახელწოდებით არის ცნობილი, ვფიქრობთ, არგუნ-არაგვს შორის რაღაც კავშირის ძებნა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ არაა გამორიცხული ზუსტად ისეთივე კანონზომიერებით ჩაჩნეთის მიწა-წყალზე არაგვის არგუნით შეცვლის შესაძლებლობა, როგორითაც არაგვმავე ვაინახებთან მიიღო არგივას (AргIვა) ფორმა. სხვათა შორის, ვითარების ასეთნაირად შეფასებასთან დაკავშირებით სასურველია გავეცნოთ სოფ. ზემო ხოდაშენის ეკლესიის კედელში ჩამოვლ ქვის ფირფიტაზე გამოსახულ ორენოვანი (ბერძნული და ქართული) წარწერის ტექსტს:

„გალავანი ესე დაშენებულ არს კახეთის სოფელ ზემო ხოდაშენს და ეკლთვნის წმ^ადასა მონასტერისა ფილოთეოსისასა რომელი არს ათონის მთასა შ^ახ ამას შინა მდგომარე სახლი საფუძვლითგან აღშენებულ არის შრომითა და საკუთარის საფასითა მისევე მონასტერის არხიმანდრიდის კესარიოსისითა რლ^ცა შბ^ილ არს ქუწყანასა პელაპონისასა ქალაქსა შ^ა არღუნს 1836 წელს 20 მაისს.

Εο παρον οσιπτον ενταυθα εις Ζεμα Χοβασειν της [Καχετίας υπαρχια μετοχιον τον ιερον μοναστηριον τον φιλοθεου κατὰ το Αγιον ορος τον Αθωνος το οποιον εκτισθη εκ Ρεθρον, δι εβδ^ομα παρὰ τον Αρχιμανθρον Καισαριον Φωσιμετον Πολοποννησιον εκ πολεως Αργουσ. 1836 μαιον 20⁸⁵.

როგორც ვხედავთ, ბერძნული ტექსტის მთარგმნელს ასოების ν და ს ერთმანეთში არევის შედეგად სახელწოდება Αργουσ ქართულ ენაზე არგოსის ნაცვლად არღუნის ფორმით აქვს გადმოცემული. ამდენად, გამოვლენილი ხარვეზის მიხედვით თავისუფლად შეიძლება

⁸⁴ Шавхелашвили А. И., Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963, с. 41.

⁸⁵ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ე. ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, 33- 328.

ლაპარაკი მექანიკური შეცდომების, ელემენტარული უყურადღებობის მიზეზით ამა თუ იმ ტრადიციული სახელწოდების დამახინჯებისა და მერმე უკვე ასეთი სახეშეცვლილი ფორმით მისი ხმარებაში დანერგვის ერთობ არასახარბიელო მოვლენაზე, რომლის ფონზე, ვგონებთ, უფრო სარწმუნოც უნდა გახდეს არაგვის არგუნად მცდარი სახელდების ვერსია. ამასთან, არგოსის არღუნის ფორმით წარმოდგენის კონკრეტულ მაგალითზე, როდესაც ასო გ-ს მაგივრად ჩნდება ლ, ხერხდება იმაში გარკვევაც, თუ მაინც რაგვარად უნდა განეცადა ჩაჩნურ სახელწოდება არგუნს არღუნად გარდაქმნა და უკვე ამ სახით საქართველოში გაბატონება.

მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართული წარმომავლობის სახელად არგუნის (ან არღუნის) მიჩნევის შემთხვევაში ძალაუწიურად კვლავ აღიძვრება ინტერესი ყაბარღო-ბალყარეთში მომდინარე არგულანისა და კოდორის შემდინარე არღუნის სახელწოდებათა სადაურობისა და ვაინახურ არგუნ — ქართულ არაგვთან მათი ურთიერთმიმართების საკითხისადმი. რამდენადაც ამ უკანასკნელის მეტისმეტი გამარტივების შიშით პირველი სამი ჰიდრონიმის მხოლოდ ჩვეულებრივ ომონიმებად წარმოჩენის ვარიანტისადმი სრული ნდობის გამოცხადება ძალზე ჭირს, ეგების ღირდეს სერიოზულად დაფიქრება საერთოკავკასიური ძირიდან მათი წარმომავლობის თაობაზე, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანში ძირეულ მორფემად თითქოს ფიგურირებს კიდევ არგუ (ან არგ) ელემენტი. ყოველ შემთხვევაში ამრიგად დასმული საკითხის გადაუჭრელადაც ერთი რამ სავსებით ნათელია — ისევე როგორც ქართული არაგვისა და ჩაჩნური არგუნის შეპირისპირებას ახლავს თან საერთო ძირიდან მათი გამოყვანის ცთუნება, ასევე არგულან — არღუნის ურთიერთმიმართებით დაინტერესება ჰბადებს აზრს მათი სემანტიკური სიახლოვის შესახებ.

ერთი სიტყვით, როგორი კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ. არგუნის ეტიმოლოგიას, ხსენებული სახელის სადაურობის ბოლომდე გაურკვეველადაც საბოლოო ანგარიშით მაინც იმ აპრობირებულ შეხედულებასთან მოგვიწევს შერიგება, რომ არგუნი ჩაჩნეთში თავის დროზე ზოგადად „მდინარის“, „ღრმა ხევის“, „სწრაფი მდინარის“, „ბობოქარი წყლის“, „მთის მდინარის“ აღმნიშვნელ ტერმინად იქნა გაფორმებული და მან მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა რიგითი ჰიდრონიმის შინაარსი.

როგორც ჩანს, ანალოგიური თვალთახედვით საქიროებს განხილვას სახელწოდება ლიახვის ეტიმოლოგიის საკითხიც, რომლის გაშუქებით დაინტერესებული მკვლევარნი სვამენ რა ლიახუსა და ლია, ლხოზა-ს შორის კავშირის არსებობის შესაძლებლობის საკითხს („მდ. ლიახვის სახელი შესაძლებელია ყინულის დნობის აღმნიშვნელი ლხო-

ბა ზმნასთან იყოს დაკავშირებული. იელზ-არ, იელზუ — წვიმის მოსვლას, გაწვიმებას და თვალებთან დაკავშირებით ტირილსაც ნიშნავს... ს. ორბელიანის ცნობით, ქართულად „ლერწმონათა საფლობთა ეწოდებიან ლია...“⁸⁶), იქვე ხაზს უსვამენ ხსენებული ჰიდრონიმის დვალურ წარმომავლობას და საგანგებოდ მიუთითებენ დვალური ენის ნათესაობაზე ჩაჩურ-ქისტურ ენებთან, რასაც მოსდევს განმარტება, რომ ლუო-ლოა ჩაჩურად ნიშნავს თოვლს, ხი — წყალს⁸⁷; აქედან დასკვნა: „ლიახუ შეიძლება დავშალოთ ასე: ლია (←ლუო, ლოა — თოვლი) და ხუ (←ხი — წყალი), რასაც ექნება მნიშვნელობა თოვლის-წყალი (მდინარე) ან თოვლ-წყალი⁸⁸. მაგრამ ამ თვალსაზრისის გაზიარებასთან ერთად ზოგიერთ ნაშრომში ჩვენ სახეზე გვაქვს ხსენებული ჰიდრონიმისათვის ქართული ძირის მოძებნის ცდაც, რაც ხორციელდება სვანურ ენაში დამოწმებულ სიტყვებზე ლი-ლეხუსა და ლი-ლხვე-ზე („თოვლის დნობა, ლხობა“) და ლეჩხუმში მიკვლეულ ტერმინ ლიანღვაზე („ნიადღარი“) ყურადღების აქცენტირების გზით⁸⁹.

დამოწმებულ კვალიფიკაციებს ჩვენი მხრიდან შეგვიძლია დავურთოთ ის საგულისხმო ფაქტები, რომ ქართულ ენაში სიტყვა ლია ნიშნავს ლამს, საფლობს, ტალახს, მოვარდნილი, მიშვებული წყლის ღვარს ან გუბეს⁹⁰, ხოლო ადიღურ ენებში გვაქვს ტერმინები лъахъ ხევი“, „ხრამი“) лъагуан („ხევი“, „ღარტაფი“) და ху („თეთრი“)⁹¹. ამიტომ „ლიახვი“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც ზოგადად („მთის-ხევის“, „მღვრიე წყლის“ ან „ნიადღრის“ აღმნიშვნელი იმ რიგის სახელი, რომლის მაგალითზე კარგად იკვეთება საერთო ძირის მქონე კავკასიურ ტერმინთა ერთი განსაზღვრული ჯგუფის სინონიმური შინაარსობრივი დატვირთულობით ფორმირების უძველესი ტენდენცია. ამ უკანასკნელის გათვალისწინების შენთხვევაში კი ნიადღა ორი აზრი

⁸⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

⁸⁷ გ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნ. I, თბ., 1958, გვ. 55—56.

⁸⁸ იქვე, გვ. 85.

⁸⁹ ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

⁹⁰ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 179, 182; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედ., ტ. IV, 1955, გვ. 1532—1533.

⁹¹ Коков Д. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 23. შენიშვნა: სინტერესოა, რომ ოსურად лъахъ ნიშნავს „ტალახს“, „საფლობს“, ხოლო სიტყვა лъах ნიშნავს „ნაგავს“, რომელთაც მიეწერება მონაწილეობა ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე დამოწმებული არაერთი ჰიდრონიმის (მაგ. Лахъацдон, Дзыгуылахъ, Лахъондон, Лъахдадждон) წარმოებაში (იხ. Цагаева А. Д., Топонимия Северной Осетии, ч. П, Ордж., 1975, გვ. 14, 15, 30, 70, 135). როგორც ეხედავთ, აქ ოსური და კავკასიური ლექსიკური მასალის აშკარა შეხვედრასთან გვაქვს საქმე, რაც მომავალში ახსნას მოითხოვს.

არ შეიძლება არსებობდეს ჰიდრონიმ ლიახვის წარმოშობაში მაინც-
დამაინც არაქართული ძირის ძეგლის მიზანშეუწონლობაზე.

სხვათა შორის, ქართული ლექსიკის საფუძველზე ლიახვის ეტი-
მოლოგიის გარკვევის საჭიროება ჯერ კიდევ კ. განმა დაინახა, როდესაც
სავსებით ლოგიკურად განმარტა: «Лиахва груз. может-быть от
лиа-топи, болото и хви-ущелье...»⁹².

რაც შეეხება ასეთივე აღწერილობითი ხასიათის სახელწოდება
ყოფის, მის წარმოებაში ერთი მხრივ დასაინახია თურქულიდან ავა-
რულ ენაში შესული სიტყვის кой («ცხვარი») და ასევე თურქულის
su («მდინარე», «წყალი») მონაწილეობა, რის შესაბამისადაც ყოფის
(ან კოფის) შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც «ცხვრის წყალი»⁹³,
ხოლო, მეორე მხრივ, იმავე ჰიდრონიმის გაჩენა თურქული სიტყვე-
ბის койн, койын, койног, койнау («მთის ხეობა», «ხრამი»,
«ხევი», «ღარტაფი») და су-ს («მდინარე», «წყალი») დაწ-
ყვილება-შერწყმის რეზულტატად უნდა მივიჩნიოთ, რაც გვაძლევს
ხსენებული ტერმინის შემდეგნაირი წაკითხვის უფლებას: ყოფისუ —
«მთის ხევი», «მთის მდინარე»⁹⁴.

ამრიგად, ყოველივე წინათქმულის შეჭერების საფუძველზე შე-
იძლება დავასკვნათ, რომ სახელწოდებები რიონი, ალაზანი, არგუნი
(ან არღუნი, ორგუნი, ორგა, ორგ-ხი), ლიახვი და ყოფისუ ტრადიციულ
ჰიდრონიმებად გაფორმებამდე ზოგადად «მდინარის» (წყლის) ან
«სწრაფი მდინარის», «ბობოქარი წყლის», «მთის ხევის» აღმნიშვნელ
ტერმინებს წარმოადგენდა და ამიტომ სავსებით კანონზომიერია მათი
გავრცელების არეალის სიფართოვე.

უთუოდ ასეთივე კრილში გვმართებს სახელწოდება არაგვის
ეტიმოლოგიის საკითხის გაშუქებაც, რისი საჭიროებაც, როგორც ზე-
მოთ განიმარტა, თავის დროზე უკვე დაინახა ივ. ჯავახიშვილმა: «ჩაჩ-
ნეთში „არღუნ“ მდინარეთა ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვაა, ისევე
როგორც ძველ ქართულში „არაგვი“ იხმარებოდა»⁹⁵.

ვინაიდან მოცემულ თვალსაზრისს თან არ ახლავს სახელწოდება
არაგვის მატარებელ მდინარეთა არაჩვეულებრივი სიმრავლის დამამ-

92 Г а н К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

93 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 107.

94 ასეთივე დასკვნამდე მივიდა თავის დროზე კ. ვანი, რომელმაც უარყო რა
სახელწოდება «კოფისუში» «ცხვრის წყლის» ამოცნობის ცდა, ხსენებული ჰიდრო-
ნიმი სპარსული სიტყვისაგან koh («მთა») და თურქული ტერმინისაგან су («მდინა-
რე», «წყალი») ნაწარმოებად ჩათვალა (Г а н К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 85—86).

95 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ტყიციბელი ფაქტობრივი მასალა, ამ უკანასკნელის სრული სახით გამომზეურება ამჯერად ჩვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

როგორც წერილობითი წყაროების ცნობებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, საქართველოს მიწა-წყალზე აღირიცხება არაგვად სახელდებული შემდეგი მდინარეები:

1. ყელის ვულკანური მთიანეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში ლოკალიზებული ნეფისკალოს მთიდან მომდინარე არაგვი, ისტორიული ტრადიციის თანახმად — ქართლის არაგვი⁹⁶, შავი არაგვი⁹⁷, ან უბრალოდ არაგვი (არაგვ, არაგუი)⁹⁸ — არაგვის სისტემის უმთავრესი მდინარე, რომლის განსაზღვრული მონაკვეთი სათავიდან ვიდრე ფასანაურამდე (// ისტორიულ-ეთნოგრაფიული მთიულეთის ტერიტორია) ხალხში ცნობილია თეთრი არაგვის ან მთიულეთის არაგვის სახელწოდებით.

2. გუდამაყრის არაგვი (ან შავი არაგვი) — არაგვის მარცხენა შემდინარე, ქართულ წერილობით წყაროებში გუდამაყრის ხევის⁹⁹ სახელწოდებით რომ ფიგურირებს.

3. ბორბალოს მთიდან მომდინარე ფშავის არაგვი — არაგვის მარცხენა შენაკადი, ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში ფშავისწყლად¹⁰⁰ ან თეთრ არაგვად¹⁰¹ სახელდებული.

4. ხევსურეთის არაგვი (ვევსურეთის წყალი¹⁰²) — მდინარე პირაქეთ ხევსურეთში, რომელიც ორწყალთან უერთდება ფშავის არაგვს.

5. კავკასიონის მთავარსა და გვერდით ქედებს შორის მომდინარე პირიქითა არაგვი, რომელიც კვეთს რა ისტორიულ თრუსოსა და ხევის ტერიტორიას, წერილობით წყაროებში იხსენიება იქითა არაგვად¹⁰³, ხევის არაგვად¹⁰⁴ ან უბრალოდ არაგვად¹⁰⁵. იგივე მდინარეს

96 ქუანშერი ცხოვრება... გორგასლისა, „ქც“, I, გვ. 151.

97 ვახუშტი, აღწერა., გვ. 532, 534.

98 ქც, ტ. I, გვ. 8, 9, 10, 16... 25, 55... 202, ქც, ტ. II, ს. ყახხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1959, გვ. 349, 400, 443—446, 476; ვახუშტი, აღწერა., გვ. 49, 50—53, 90, 102... 350... 363, 432, 469 და ა. შ.

99 ვახუშტი, აღწერა, გვ. 354, 355.

100 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც, II, გვ. 348—349.

101 ვახუშტი, აღწერა, გვ. 532, 533, 534.

102 იქვე, გვ. 532.

103 ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები (ქვემოთ ქსძ), ტ. II, ი. დოლიძის რედ., თბ., 1965, გვ. 105; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც, II, გვ. 443, 446.

104 ვახუშტი, აღწერა., გვ. 641.

105 ლეონტი მროველი, ცხოვრება... მეფეთა, ქც, I, გვ. 12, 140; ქუანშერი, ცხოვრება... გორგასლისა, ქც, I, გვ. 151; ვახუშტი, აღწერა., გვ. 356.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ეწოდებოდა ლომეკი¹⁰⁶, რომელსაც მოგვიანებით შეენაცვლა თურქული ძირის სახელწოდება თერგი. ეს უკანასკნელი დღესდღეობით ხევის არაგვის ოფიციალურ სახელწოდებას წარმოადგენს, თუმცა მოხვევები არ იფიქებენ ხსენებული მდინარის უძველეს და უფრო ტრადიციულ სახელწოდებას არაგვს.

6. შავი არაგვი ან სნოსწყალი (ასევე ხევში), — მდ. თერგის მარჯვენა შენაკადი¹⁰⁷.

7. არხოტის წყალი (პირიქითა ხევსურეთში), რომელსაც ხევსურები არაგვსაც უწოდებენ¹⁰⁸, ხოლო ინგუშეთის ტერიტორიაზე იგივე მდინარეს ჰქვია ასა.

8. მთასიქითის (ლებაისკარ-შატილის) წყალი — პირიქითა ხევსურეთის ფარგლებში ასევე არაგვად, ხოლო ჩაჩნეთში უკვე არგუნად სახელდებული¹⁰⁹.

9. ბაკურხევის წყალი ან ბაკურხევის არაგვი — მდ. გუდამაყრის არაგვის მარცხენა შენაკადი¹¹⁰.

10. ხახმატის წყალი ან ხახმატის არაგვი — მდ. ხევსურეთის არაგვის ერთ-ერთი შენაკადი.

11. როშკის წყალი ან როშკის არაგვი — მდ. ხევსურეთის არაგვის შემდინარე¹¹¹.

12. არაგვისწყალი — არხოტისწყლის მარცხენა შენაკადი (პირიქით ხევსურეთში)¹¹².

ამასთან ერთად მეტად საინტერესოა ჩაჩნეთის ფარგლებში ჰიდრონიმ არაგო-ხი-ს დადასტურება¹¹³, რომელიც გარეგნულად აშკარად წააგავს საკვლევ სახელწოდებას. ალბათ, ასეთსავე დამაფიქრებელ ჰიდრონიმად დახასიათებას დაიმსახურებდა სახელწოდება შარო-არგუნი, თუკი სათანადო ფაქტობრივი მასალით იქნებოდა შემავრებული ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმული მოსაზრება თუშების მიერ აღნიშნული მდინარის შარი-არაგვის-ად სახელ-

¹⁰⁶ ლეონტი მროველი, ცხოვრება... მეფეთა, ქც, I, გვ. 5, 6, 12; ვახუშტი, აღწერა, გვ. 356.

¹⁰⁷ ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971, გვ. 43, 167—168.

¹⁰⁸ ს. შაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 13.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 13.

¹¹⁰ ვახ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1985, რე. № 1, გვ. 10.

¹¹¹ ვახტ. ითონიშვილი, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1988, რე. I, გვ. 3, რე. 2, გვ. 3.

¹¹² საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 17; ვახტ. ითონიშვილი, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1988, რე. 3, გვ. 65.

¹¹³ Сулейманов А. С., დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

დების შესახებ¹¹⁴, მაგრამ ვინაიდან ეს ვერ ხერხდება, შარო-არგუნსა და არაგვს შორის რალაც კავშირის ძებნას, ცხადია, ამჭერად აზრი ეკარგება.

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებული მონაცემები საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ სახელწოდება არაგვის ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის სასარგებლოდ (ერთი და იმავე სახელწოდების შეთვისება მთელი 12 (!) მდინარის მიერ ნიადაგ არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად), მათი შეფასებისას მაინც ელის დამაკმაყოფილებელ პასუხს ჩვენთვის უკვე ნაცნობი შემდეგი კითხვა — იქნებ საკვლევი ჰიდრონიმის გავრცელების არეალის ესოდენ გამორჩეული სიფართოვე აიხსნება არა იმდენად მისი ზოგადი შინაარსით. რამდენადაც ერთი კონკრეტული მდინარისათვის ოდესღაც შერქმეული სახელწოდების დიფუზიით?

მართალია, არსებული მონაცემების ანალიზი არ იძლევა სახელწოდება არაგვის დიფუზიის შესაძლებლობის ხელაღებით უგულვებელყოფის უფლებას და ამიტომ ზემოთ დასმული კითხვის ობიექტურობაში ეჭვს ნამდვილად ვერ შევიტანთ, მაგრამ, სამაგიეროდ, აღნიშნული ვერსიის დაწინაურებით ძალაუვნებურად გვიწევს გადახრა უკვე იმ ვარაუდისაკენ, რომ თუნდაც მხოლოდ ერთი მდინარისათვის შერქმეული სახელწოდების არაჩვეულებრივად ფართომასშტაბიანი დიფუზია მხოლოდ სიტყვა არაგვის განსაკუთრებულ სემანტიკას შეეძლო განეპირობებინა. კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მრავალ დიდ თუ პატარა მდინარეზე სახელწოდება არაგვის გავრცელება გარკვეულწილად უნდა გაეადვილებინა სწორედ სიტყვა „არაგვის“ ოდინდელ ზოგად მნიშვნელობას.

ამ თვალსაზრისით კი მეტად ნიშანდობლივია ძველ ქართველ მემკვიდრეთა იმ შეხედულებათა გაცნობა, რაც შეეხება ორი სხვადასხვა მდინარის (პირიქითა და პირაქეთა არაგვების, პირიქითა და პირაქეთა რიონის) აღსანიშნავად ერთი და იმავე სახელწოდების ხმარებაში დანერგვის განმსაზღვრელ პრინციპს. მაგ., ჭუანშერის თხზულებაში ვკითხულობთ:

„მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვ ჰქვან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვსა და ოვსეთისა არაგვსა“¹¹⁵.

¹¹⁴ Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973. с. 132.

¹¹⁵ ჭ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება... გორგასლისა, ქც, I, გვ. 151.

ვახუშტი ბაგრატიონი კი დიგორიის აღწერისას განმარტავს, რომ მდ. ურუხი „... გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამის შორისს კავკასსა, მოდის სამხრიდამ ჩდილოეთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს... ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაჲთგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ და იქით — რიონი იმერთისა“¹¹⁶.

როგორც ვხედავთ, არაგვისა და თერგისათვის, აგრეთვე რიონისა და ურუხისათვის ერთი და იგივე სახელწოდების შერქმევას ქართველი ისტორიკოსები ხსნიდნენ ხსენებულ მდინარეთა სათავეების ერთმანეთთან მეზობლობის ფაქტორით. ცხადია, ამგვარი მტკიცება კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუკი რამდენადმე სარწმუნოდ გავხდილით მათ ნააზრევს, აღნიშნული მოვლენის ობიექტურად შეფასებას პირველ რიგში სწორედ სიტყვების არაგვისა და რიონის ზოგადი მნიშვნელობის გათვალისწინება გაამარტივებდა.

ამრიგად. იმ საკითხის გადაუწყვეტლადაც, თავდაპირველად არაგვად სახელდებული იქნა მარტოოდენ ერთი მდინარე და შემდეგ ეს სახელწოდება მის შემდინარეებსა და სათავით დაახლოებულ მეზობელ მდინარეებსაც გადაეცა, თუ იგივე სახელწოდება იმთავითვე მრავალმა მდინარემ მიიღო, ერთი რამ სრულიად ნათელია — სიტყვა არაგვის მხოლოდ რიგით ჰიდრონიმად გააზრებისა და ამ სახელის ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის უარყოფის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ხსენებული სახელის, მართლაც, თვალშისაცემი დიფუზიის გამომწვევ მიზეზებში მართებულად ორიენტაცია.

ამასთან, როგორც ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, ზოგადად მდინარის, წყლის აღმნიშვნელ სიტყვა არაგვს დაახლოებით ისეთივე კანონზომიერებით შეეძლო ვანეცადა ერთი კონკრეტული მდინარის (ან ცალკეულ მდინარეთა) მისამართით გამოყენებულ საკუთარ სახელად გადაქცევა, როგორც, მაგალითად, ზოგადად მდინარის აღმნიშვნელმა ქართულმა სიტყვა „ქევემა“ ხევის ან ხევას ფორმით¹¹⁷, ხოლო ზოგადად წყლის, წყაროს აღმნიშვნელმა ტერმინებმა ფშამ („ფშა — მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“¹¹⁸) და ფშანმა („ფშანი — მრავალ ფშა“¹¹⁹) შესაბამისად ფშას და ფშანის ფორმით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში შეიძინა რიგითი ჰიდრონიმის შინაარსი¹²⁰. სხვათა შორის, ანალოგი-

116 ვახუშტი, აღწერა., გვ. 649.

117 ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, გვ. 15, 17, 20, 22, 27, 58, 64, 74; ი. სიხარულიძე, ნივალე, ბათუმი, 1985, გვ. 22, 26, 30—36, 38, 41—44, 47—51, 55, 58, 59, 70, 71, 75, 76.

118 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 363.

119 იქვე, გვ. 363.

120 ვახუშტი, აღწერა., გვ. 368, 369; გიულდენშტედტის მოგზაობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 35, 221.

ური ზასიათისავე. მეტამორფოზა შეინიშნება ადილური სიტყვების **псы** („მდინარე“, „წყალი“) და **псыхы** („მდინარე“¹²¹) და აფხაზურ-ადილური ჰიდრონიმების ფსი (მდ. ყუბანის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება)¹²² და ფსოუ მაგალითზე.

მაშასადამე, სახელწოდება არაგვის გავრცელების არეალის, მართლაც, თვალშისაცემი სიფართოვის მრავლისმთქმელ ფაქტს ნამდვილად ვერ დავუკარგავთ საკვლევი ჰიდრონიმის ოდინდელი ზოგადი მნიშვნელობის დამამტკიცებელი ერთ-ერთი საგულისხმო საბუთის ღირებულებას.

ვფიქრობთ, მიღებული დასკვნის შემდეგ ჩვენ კვლავ შეიძლება მივუბრუნდეთ (ოღონდ ამჯერად შედარებით უფრო დაწვრილებითი გაშუქების პირობით) შესასწავლი სახელის სტრუქტურის საკითხს, რომელმაც აქამდე უკვე მიიქცია ზოგიერთი მკვლევარის ყურადღება. ერთ-ერთი მათგანის შეხედულებას ზემოთ უკვე გავეცანით კიდევ, როდესაც შევეხეთ ჰიდრონიმ არაგვის დაშლის ცდას ა-პრეფიქსად, რა- ძირად, გვ- პოლივალენტობის ფორმანტად და -ი ქართული ენის სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად.

საყურადღებოა, რომ უფრო ადრე სხვა სწავლულმა უპირატესობა მიანიჭა სახელწოდება არაგვის ორაგვეს- ფორმით წარმოჩენის ცდას, რის საფუძველზე გამოითქვა აზრი ორაგვესა და ორგუნის იდენტურობის შესახებ¹²³. რამდენადაც მოცემული შეხედულება მოკლებულია ფაქტობრივ არგუმენტაციას, მისი გაზიარება დაუშვებელია.

ალბათ, კიდევ უფრო სერიოზული დაბნეულობის მიზეზად იქცეოდა იმ ავტორთა პოზიციასზე დადგომა, რომელნიც არაგვის ეტიმოლოგიის დაზუსტებისათვის სავსებით საკმარისად მიიჩნევდნენ, ერთი მხრივ, ქართული სიტყვა „რაგვის“ („მახე“, „ხაფანგი) მნიშვნელობის ხაზგასმას¹²⁴, მეორე მხრივ კი, თევზის აღმნიშვნელ სახელწოდება ორაგულის მაინცდამაინც არაგვეთან დაკავშირებას („... ორაგულის სახელი არაგვიდან წარმოსდგა: ორაგული — არაგული... არაგვი არის ორაგულის სამშობლო ქვეყანა“)¹²⁵, რამაც ცალკეულ მკვლევართ არა-

¹²¹ Кокос Д. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 56.

¹²² „Ономастика Кавказа“, Ордж., 1980, с. 108—109.

¹²³ თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან., გვ. 622.

¹²⁴ Никонов В. А., Краткий топонимический словарь, გვ. 29.

¹²⁵ ვაეფაეშაველა, თხზულებანი, IX, თბ., 1964, გვ. 345; შდრ.: ზ. ქუშურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145; ირ. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974, გვ. 206.

გვის უძველეს სახელწოდებად „ორაგვიც“ კი წარმოადგენინა (ორაგული — არაგვის თევზი, ე. ი. „თევზი მდინარე ორაგვიდან“)¹²⁶.

მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში არ დაგვიანდა საპირისპირო შეხედულებათა შემუშავებაც, როცა ერთ-ერთ ნაშრომში ჯერ სიტყვა „ორაგულის“ ტერმინ „რაგვიდან“ (// „სპეციალური თევზსაჭერი მახე“) წარმომავლობის დასაბუთების ნაცვლად დამტკიცებულ იქნა აღნიშნული თევზის ჯიშის არაენდემურობა¹²⁷, ხოლო მოგვიანებით სხვა გამოკვლევაში საგანგებოდ იქნა განმარტებული: „ორაგულ-ის არაგვ-თან დაკავშირების ცდას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიაჩნიათ, რომ ორაგული იგივე არაგული („არაგვის თევზი“) არის. ასეთი ვარაუდი ამ სიტყვათა ფონეტიკური სიახლოვის გამო უნდა იყოს გაჩენილი. ფაქტიურად ორაგულ-ფუძეს არაგვ-თან საერთო არაფერი აქვს. ორაგულ-ი, ჩვენი აზრით, რაგვ-სიტყვასთან კავშირშია განსახილველი, რაც დასავლურ დიალექტებში მახეს, ჩიტა და თევზთა საჭერ ხაფანგს ნიშნავს... ორაგ[ვ]-ულ-ი — „რაგვით დასაჭერი თევზი“. თავკიდური ო-ზანური დანიშნულების პრეფიქსი ჩანს: ო-რაგ[ვ]-ულ-ი („სა-რაგვ-ე“). ანგარიშგასაწევი ჩანს ის ფაქტი, რომ ორაგულს მდ-არაგვზე უწინ, მართლაც რაგვებით, ე. ი. დაწნული ლასტებით, გოდრებით და მსხვილი ფაცრებით იჭერდნენ. დასაელეთ საქართველოში ორაგულის რეწვა მდ. რიონზე უძველესი ხანებიდან იყო ცნობილი. როგორც ჩანს, ამ ჯიშის თევზს რაგვით იჭერდნენ და მას ხალხმა ო-რაგვ-ულ-ი შეარქვა (შდრ.: თევზის ჯიში ფიჩხ-ულ-ი, რომელსაც, საფიქრებელია, სახელწოდება ფიჩხის დაწნული ფაცრით, ფიჩხის რაგვით ჰერის გამო შეერქვა). საინტერესოა, რომ ორაგვე, ორაგვეთი (— ორაგვე-ეთ-ი) მდინარისა და სოფლების სახელად გვხვდება გური-ასა (ლანჩხ. რ.) და სამეგრელოში (წულუჯ. რ.). ამ ტოპონიმებისათვისაც ამოსავლად „რაგვი“ არის მიჩნეული (მეგრ. რაგვი, ლაზ. რაგ-ი). გურიის მიკროტოპონიმიაში ძალზე ზშირია ზანური წარმოშობის სახელწოდებანი, რომელშიც ეს რაგვ-ფუძე მონაწილეობს: ორაგვის-ზურგი (ს. წყარო, აცანის სას. ს.), ორაგვის ღელე (ქ. ლანჩხუთის ერთ-ერთი უბანთაგანი) და სხვ. საბოლოოდ: ორაგული (ო-რაგვ-ული) — „სარაგვ-ე, რაგვით დასაჭერი თევზი“¹²⁸.

ამდენად, „ორაგულის“ „არაგვისაგან“ მომდინარეობისა და შესაბამისად ჰიდრონიმ არაგვის ორაგვეს ფორმით გაჩენის ვერსია უყო-

126 ბ. აბაშიძე, მითოლოგიის საკითხები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, 33-86.

127 რ. ელანიძე, მ. მებრეველი, ო. ბურკულაძე, ბ. ყურაშვილი, საქართველოს მტკნარი წყლის თევზები, თბ., 1970, გვ. 12—13.

128 გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149.

მანოდ იმსახურებს უარყოფას, ისევე როგორც მიუღებელია სიტყვა „არაგვთან“ დაკავშირებულად მიჩნეულ სახელწოდება „ორაგულისა-ჯან“ ან მხოლოდ ტერმინ „რაგვისაგან“ თავად „არაგვის“ წარმომავლობის ვარიანტიც, რისი დაწინაურების ცოტუნებაც ძალაუვნებურად შეიძლება აღძრას რაგვ ფუძის მონაწილეობით ჩამოყალიბებულ ცალკეულ ტოპონიმებზე დაკვირვებამ.

საერთოდ, ნათქვამთან დაკავშირებით აუცილებელია შეინიშნოს, რომ მარტოოდენ ქართულ ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით შესასწავლი ჰიდრონიმის სტრუქტურის გარკვევა მეტისმეტად პრობლემატურად გამოიყურება. აკი მკვლევართა ნააზრევს საკვლევი საკითხის გარშემო აქამდე მეტ-ნაკლებად სოლიდური სახე გააჩნდა იმდენად, რამდენადაც სახელწოდება არაგვის ფორმირებაში უცხო წარმომავლობის ენობრივ მასალასაც მიიჩნევენ ამოსავლად. ამას მოწმობს ძაგალითად, ჯ. ლომაშვილის მიერ გამოთქმული შემდეგი მოსაზრებაც: „...ამვე დროიდან (იგულისხმება საქართველოში რომაელთა ლაშქრობის ხანა, ვ. ი.) უნდა ეწოდებოდეს მდ. არაგვს სახელი არაგვი (არაგვა). ეს უნდა იყოს წარმოქმნილი შემდეგნაირად. „არ“ — ცნობილია, რომ ძველი არამეულით „მთას“ ეწოდებოდა, ხოლო ლათინურად წყალი „აკვა“-ს („აგვა“-ს) ნიშნავს. ე. ი. „არ-აკვა“ ან „არ-აგვა“ მთის წყალს, მთის მდინარეს უნდა ნიშნავდეს“¹²⁹.

მართალია, წარმოდგენილი ვარაუდი, ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო გახდებოდა აგრ ელემენტის შინაარსის რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციის (თუნდაც er-or-r ინდოევროპულ ძირთან მისი დაკავშირების) შემთხვევაში, მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლადაც ის საკმაოდ საინტერესოდ გვესახება ერთ-ერთი ავტორის მიერ თავის დროზე გამოთქმული იმ ყოვლად უნიადაგო, თუმცა ერთი შეხედვით თითქოს მეტად ნიშანდობლივი მოსაზრების ფონზე, რომ „У осетин Арагви называется Хахде-дон, от хахде—горы и дон—вода гор, горная вода“¹³⁰. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ ზემოაღნიშნულ ეტიმოლოგიას სულ მალე მხარდამკერებიც გამოუჩნდნენ¹³¹,

„არაგვის“ აგებულების დაზუსტებისას შედარებით განსხვავებულ და ალბათ ყველაზე უფრო მყარ პოზიციასზე აღმოჩნდნენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, რომელთა ვარაუდით, ჰიდრონიმების — არაგვისა და არაქსის პირველი ელემენტი აგრ შესაძლოა ამოდიოდეს ინდოევროპული ძირისაგან r — („მოძრაობა“, „დენა“); ხოლო რაც შეეხება იმავე ჰიდრონიმების მეორე ელემენტს — agw, aks, ხსენებულ

129 ჯ. ლომაშვილი, წერილები, გვ. 185.

130 Ган К. Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 11. (შენ.: ქ. განსკლაროტის მიერ ხსენებულ „ხალდე-დონ“, ე. ი. „ხალის წყალი“ შეცდომით გაუგია როგორც „ხახდე-დონ“.

131 შ. გოგატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

სწავლულთა ნააზრევში გვხვდება ზოგადი მინიშნება იმ უძველეს ინდოევროპულ e/ok ფორმასთან („წყალი“, „ნაკადი“) მათი გენეტიკური კავშირის შესაძლებლობაზეც, რომელიც ძველევროპულ ენებში ასახულია ლათინური *aqua* („წყალი“), ძველსლანდიური *ager* („ზღვის დმერთი“), გოთური *aha* („მდინარე“, „ნაკადი“) ტიპის ფორმებში, ცენტრალურ აზიაში კი შემონახული ჩანს ანტიკური ხანის ავტორთა მიერ აღწუსხულ ცალკეულ ჰიდრონიმებში (Oξιδс ლათ. *Ochsus* — ამუდარია; *Ίαξαριης* — სირდარია)¹³².

ამიტომ, სადაც გამართლებულად არის მიჩნეული e/ok ფორმასთან შავ.: ძველთურქული *okus* („მდინარე“) სემანტიკური კავშირის დაშვება¹³³, არა გვგონია კიდევ უფრო მტკიცე ნიადაგზე არ იდგეს ქართული არაგვის მეორე ელემენტის — *agw* გააზრება კავკასიური და ინდოევროპული ენობრივი კონტაქტების შედეგად ფორმირებულ და ზოგადად „წყლის“, „მდინარის“ აღმნიშვნელ ცნებად, რასთან დაკავშირებით ალბათ ძნელია სათანადო ანგარიში არ გაეწიოს ქართულ *agw*-სა და ესპანურ *agua*-ს („წყალი“, „მდინარე“) შორის პარალელის გავლების მოთხოვნილებას, თუნდაც მხოლოდ სამერმისო დასკვნების გამოტანის პერსპექტივით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების გაშიფრვის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება ვიგულოთ შემდეგი: *ar* („სწრაფი“, „ბობოქარი“) + *agw* („წყალი“, „ნაკადი“, „მდინარე“) = *aragw* („სწრაფი“ „ბობოქარი წყალი“ ან უბრალოდ „მდინარე“).

ვითარების ასეთნაირი შეფასების შემდეგ არაგვის სინონიმური ეტიმოლოგიის მქონე ჰიდრონიმებად დახასიათებას შეიძლება იმსახურებდეს არაქსი (*ar* „სწრაფი“ + *oks* „მდინარე“ = „სწრაფი მდინარე“ ან უბრალოდ „მდინარე“) ან არღონი (*ar* „სწრაფი“, „ბობოქარი“ + *don* „წყალი“, „მდინარე“), თუმცა ეს უკანასკნელი, საფიქრებელია, სხვაგვარ დაშლასაც ექვემდებარებოდეს — ოსურ *арра* „შეშლილი“, „გიეი“ (შდრ.: ირანულ *har*-ს „შეშლილი“, „გიემაეი“) + *дон* „მდინარე“.

შესასწავლი სახელწოდების აგებულების დადგენასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება აგრეთვე სხენებულ ჰიდრონიმში იმავე *er-or-r* ზმნის ფორმასთან დაახლოებულ *ar* ან *har* ელემენტების გვერდით *gu* ნაწილის გამოყოფის ცდა ძველსლანდიური *gu* („აჩქარება“, „სვლა“. შდრ.: ოსური *гуд* „ცოფიანი“¹³⁴) და *gav* („მყვირალა“¹³⁵) მნიშვნელობის აუცილებელი გათვალისწინების შუქზე, რის კვალობაზე *argu* — *hargu* (ან

¹³² Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, с. 940.

¹³³ იქვე.

¹³⁴ Абаев В. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

¹³⁵ იქვე.

ærragu) ან argav—hargav (ærragav) თითქოს აღიქმება როგორც ზოგადად „სწრაფი, გიქმაგი მდინარის“ ან „ხმაურიანი წყლის“ აღმნიშვნელი სახელწოდება.

დაბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელწოდება არაგვის მოქცევის ცდა საერთოკავკასიური ძირიდან ნაწარმოებ იმ ჰიდრონიმთა ვიწრო წრეში, რომელთა სტრუქტურაში ერთნაირად ამოსაცნობია ზოგადად „მდინარის“ ან „წყლის“ აღმნიშვნელად საგულგებელი ძირეული მორფემა — არაგ, არგო, არგუ, ორგ. არაა გამორიცხული, რომ ნათქვამის საილუსტრაციოდ ვარგისი ჰიდრონიმების — არაგვის, არაგო-ხის, არგუნის, არგუდანის ურთიერთშეპირისპირებისას მათ შორის დაახლოებით ისეთივე სემანტიკური სიახლოვე იყოს დასანახი, როგორიც მეტ-ნაკლები თვალსაჩინოებით შეინიშნება ცნება „მდინარის“, „წყლის“, „წყაროს“ აღმნიშვნელ მთელ რიგ კავკასიურ ტერმინთა და მათთნ შინაარსობრივად ახლოს მდგომ ცლკეულ სიტყვათა (შდრ.: ქართული „ქევი“—ვაინახური ХИ „მდინარე“—უდიური qen „წყალი“—ლეკური hen hi „წყალი“; ქართული „ფშა“, „ფშანი“, „ფშატალა“ („გაზაფხულ წყალი თოვლ ნარევი“¹³⁶), „ფრე“ („წყარო ქისა“¹³⁷)—ადილური ПСЫ „მდინარე“, „წყალი“, ПСЫН „წყარო“, ПШЭ „თევზი“; ქართული „ლუარი“, „თქორი“—აფხაზური „ა-კუარა“, ყაბარდოული „klyз“; ქართული „ლია“ (ან „ლიანლე“) —ადილური „ЛИАХ“; ქართული „ალზანი“—ყაბარდოული „ნარზანი“; ქართული „ჩანჩქერი“—ვაინახური чачхара „ჩანჩქერი“; ქართული „ჩხერი“, „შხეპი“, „შხივილი“—ყაბარდოული шхъэл „წისქვილი“ და ა. შ.) და ცალკეულ ჰიდრონიმთა (შდრ.: ქართ. ფშა, ფშანი, ფრონე, სუფსა—ადილური ფშე, ფშეხა, ფსიეი, ფსინეე და სხვ.) მაგალითზე. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ სრულიად ნათელია—კავკასიური წარმოშობის სიტყვად „არაგვის“ წარმოსახვის ცდა არაფრით არ ეწინააღმდეგება ზემოთ არაერთგზის გატარებულ აზრს შესასწავლად შერჩეული სახელის ოდინდელი ზოგადი შინაარსის შესახებ

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვა „არაგვი“ ამოიცნობა ზოგადად „სწრაფი მდინარის“, „ბოზოქარი წყლის“ ან უბრალოდ „მდინარის“ აღმნიშვნელი ტერმინის ოდინდელი ეტიმოლოგია. შორეულ წარსულში არაგვად სახელდება უნდა დაემსახურებინა არაერთ მდინარეს (განსაკუთრებით მთის მდინარეებს), თუმცა დროთა განმავლობაში ჰიდრონიმული ერთეულის აღმნიშვნელი ეს ყოფილი ნომენკლატურული ტერმინი თანდათან დაცილებულა თავის თავდაპირველ შინაარსს და მას ჩვეულებრივ ჰიდრონიმებად გარდაქმნა განუცდია.

136 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი; სიტყვის კონა, გვ. 360.

137 იქვე, გვ. 363.

ისტორიულ-სემანტიკური თვალსაზრისით, „არაგვი“ მიეკუთვნება საქართველოსა და კავკასიის ფარგლებში აღრიცხულ ისეთ სპეციფიკურ (წარსულში ზოგადი მნიშვნელობის, აღწერილობითი ხასიათის) პიდრონიმთა კატეგორიას, როგორებიცაა: „რიონი“, „ალაზანი“, „ფშანი“, „ლიახვი“, „ფრონე“, „იორი“, „ქოროხი“, „ყვირილა“, „ცხენისწყალი“, „არგუნი“, „ყოისუ“ და ა. შ.



სახელწოდება არაგვის ეტიმოლოგიის გარკვევისა და მისი გავრცელების არეალის დაზუსტების შემდეგ, საგანგებოდ გვინდა შევეხოთ არაგვად სახელდებულ მდინარეთა უძველესი, შედარებით უფრო გვიანდელი და უახლესი ოფიციალური ნომინაციის პრობლემას, რომლის მართებულად გაშუქება თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზე ჩვენთვის საინტერესო პიდრონიმების უშეცდომოდ დატანის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მართალია, ზემოთ უკვე შევთავაზეთ მკითხველს საკვლევად არჩეული სახელწოდების მატარებელ მდინარეთა სრული სია, მაგრამ მაშინ შეძლებისამებრ ვრცლად გამომზეურებული ფაქტობრივი მასალის გაანალიზების საფუძველზე არ ვცდილვართ იმის დეტალურად გარჩევას, თუ რა სახელწოდებით ფიგურირებენ წერილობით წყაროებში პირაქეთი არაგვი და პირიქითი არაგვი თავისი შემდინარეებითურთ, როგორია იმავე მდინარეების სახელდების ხალხური ტრადიცია და რამდენად შეესაბამება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს იგივე მდინარეთა ამჟამად მიღებული ნომინაცია. არადა აღნიშნული საკითხების გადაქცევა დაწვრილებითი მსჯელობის საგნად სრულიად აუცილებელია იმდენადაც, რამდენადაც საპეციალურ ლიტერატურაში თავი იჩინა არაგვად სახელდებულ პიდრობიექტთაგან ზოგიერთისათვის არასწორი სახელწოდების შერქმევის ერთობ არასახარბიელო ტენდენციამ.

უძველეს წერილობით ძეგლად, რომელიც შეიცავს ცნობას მდ. არაგვის შესახებ, სტრაბონის „გეოგრაფია“ გვევლინება, თუმცა ლეონტი მროველის თხზულებაში იგივე მდინარე ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს. და უფრო აღრინდელი ხანის ამბების გადმოცემასთან დაკავშირებით იხსენიება.

სტრაბონის ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც იბერიის აღწერილობაა მოცემული, კავკასიის მთიდან მომდინარე არაგვი მტკვრის ერთ-ერთ შენაკადადაა წარმოჩენილი („... უდიდესი ამ მდინარეთა შორის არის მტკვარი, რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, პირდაპირ შემოდის დასახელებულ დაბლობში, ლებულობს არაგოსს, რომელიც კავ-

კასიონის მთიდან მომდინარეობს... ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის მტკვრის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის ეს მდინარეები, იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე... მტკვარზე მდებარეობს პარმოზიკე, ხოლო მეორეზე — სევსამორა¹³⁸. „გეოგრაფიის“ სხვა ადგილას კი, სადაც იბერი-აში შემომყვან ერთ-ერთ გზაზეა ლაპარაკი, განმარტებულია: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსავალია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის სავალი, ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“¹³⁹.

როგორც ვხედავთ, სტრაბონი სამგზის ახსენებს ჰიდრონიმ არაგვს. მათგან მტკვრის შენაკადად დასახელებულ არაგვში მარტივად ხერხდება იბერიის უმთავრესი მდინარის ერთ-ერთი უდიდესი შენაკადის ამოცნობა, მაშინ როდესაც ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან ქართლის სამეფოში შემომყვანი გზის პირად მომდინარე არაგვის რაობის დადგენა მთლიანად არის დამოკიდებული იმის გარკვევაზე, თუ მაინც რა ტერიტორიას ფარავს სტრაბონის მიერ აღწერილი მაგისტრალი — ის ჩრდილო კავკასიის ტრამალეებიდან მცხეთამდე გავრცობილ და მაშასადამე თერგისა და არაგვის ხეობებში გამავალ დიდრონ კომუნიკაციასთან იმსახურებს იდენტიფიკაციას, თუ 7 დღის სავალი გზა მარტოოდენ დარიალის სიმაგრესა და ნომადთა საცხოვრებელ ალაგს შორის არის საგულეებელი. მხოლოდ, ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთისადმი გადაამწყვეტი უპირატესობის მინიჭების შემდეგ გამოჩნდება — ბერძენი სწავლულის „გეოგრაფიაში“ ხსენებული არაგვი სამსავე შემთხვევაში პირაქეთი არაგვის მისამართით არის გამოყენებული, თუ ამ სახელწოდების ქვეშ პირაქითი არაგვიც (გვიანდელი თერგი) იგულისხმება.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო არ ჩანს ის ფაქტი, რომ სტრაბონის მიერ მოხსენიებული ძნელად ასაღები კედელი უდავოდ დარიალის კლდეკარის ყველაზე მიუდგომელ ადგილთან (ე. ი. დარიალის სახელგანთქმულ სიმაგრესთან) იმსახურებს გაიგივებას, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ გამოკვლევაში უარყოფილია ბერძენი ავტორის მხრიდან მხოლოდ ჩრდ. კავკასიის ველებსა და დარიალის ციხეს შორის მოქცეული კომუნიკაციის აღწერის შესაძლებლობა. „გეოგრაფიის“ ცნობაზე დაკვირვების შედეგად მიღებულია დასკვნა. თითქოს სტრაბონი გულისხმობდეს ჩრდ. კავკასიის ბარის ზონიდან მცხეთამდე მიმყვან გზას, რომლის პირველი მონაკვეთის (მომთაბარე ტომ-

138 სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ • ს გამოცემა, გვ. 127, 129.

139 იქვე, გვ. 129.

თა სადგომი ზონა—ჭერის უღელტეხილი) გავლას 3 დღის მგზავრობა სკირდებოდა, ხოლო უკვე პირაქეთი არაგვის ხეობაში გამავალი იმავე გზის მეორე მონაკვეთი 4 დღეში იყო დასაძლევია¹⁴⁰.

რამდენად შეესაბამება ამგვარი კვალიფიკაცია სინამდვილეს?

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი 7 დღის სავალი გზის პირველი (სამდლიანი) მონაკვეთის გადმოწევა ჭერის უღელტეხილამდე განაპირობა, ერთი მხრივ, „ძნელი ამოსასვლელის“ შინაარსის ცალმხრივმა გაგებამ, როდესაც „ამოსასვლელის“ მაინცდამაინც მთის მხარეში მდებარე გადმოსასვლელის რაიონში ძებნის მიზეზით გამორიცხული იქნა „ძნელ ამოსასვლელად“ საკვლევი გზის არასაუღელტეხილო ნაწილის სახელდების შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სტრაბონისეულ „არაგვის ვიწრო ხეობაში“ უსათუოდ არაგვის ხეობის დანახვამ, როცა თერგის აღსანიშნავად ძველთაგანვე გამოყენებული სახელწოდება არაგვის გავრცელების არეალი მხოლოდ პირაქეთ მომდინარე არაგვის ხეობით შემოიფარგლა. ამ დროს, პირველწყაროს საგულდაგულო ანალიზი აღძრული საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

როგორც სტრაბონის ცნობაზე დაკვირვება ცხადყოფს, ავტორს გზის აღწერისას ორიენტაცია აქვს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით და არა პირიქით. ტექსტში გარკვევითაა ლაპარაკი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციაზე, რომელიც ჩრდილო კავკასიელ მომთაბარეთა (ძირითადად სარმატულ ტომთა) დისლოკაციის ტერიტორიაზე (აღბათ სირაკთა და აორსთა დაბლობზე) იწყებოდა და იბერიისაკენ მიემართებოდა. ვინაიდან ხსენებულ ნომადთა მიერ იმხანად დაკავებული მიწაწყლის უკიდურესი სამხრეთი საზღვარი ძვ. წ. I ს. მიწურულს და ახ. წ. I ს. დასაწყისისათვის დაახლოებით გროზონალჩიკის პორიზონტალზეა საგულეებელი, გასაგებია, რომ ამ მიჯნის ზევით ლოკალიზებული მხარიდან (ოღონდ გაურკვეველია, ზუსტად რომელი რაიონიდან) იბერიისაკენ წამოსულ ცხენოსანს (ან ქვეითს) თანმიმდევრულად მოუწევდა ჭერ თერგისა და სუნჯისპირა დაბლობების (მოზდოკის ვაკე, ოსეთის დამრეცი ვაკე და სხვ.), შემდეგ ჩრდ. კავკასიის მთისწინა ზონის გავლა, ბოლოს კი ტყიანი, სასაძოვრე და კლდოვანი ქედების გადალახვით უშუალოდ მთის რეგიონში, კერძოდ ბალთის ხეობის საწყის მონაკვეთში შეღწევა.

¹⁴⁰ ს. ჭანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 250.—251; Магомедов: А. X., Культура и быт осетинского народа, Ордж., 1968, с. 167; ჯ. გვასალია, მ. გიორგაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ქურდულია, ხადის ხეობა, თბ., 1983, გვ. 4; ქსე, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 184 და სხვ.

ამ შემდეგ კვლავაში მივიღებთ ესოდენ დიდ მანძილზე თითქმის მუდმივი აღმართსელის მომქანცველ მგზავრობასთან დაკავშირებულ სერიოზულ სიძნელებებს და ამავე დროს სათანადო ანგარიშს გაუწევთ თვით XVI—XIX სს-ში იმავე გზის ექსპლოატაციის თანმხლებ პრობლემათა სიმრავლისა და სიმწვავის მრავლისმთქმელ ფაქტს, ჩვენთვის საინტერესო მაგისტრალის აღნიშნული უბნის შეფარდება სწორედ სტრატონისეულ „ძნელ ამოსასვლელთან“ სავსებით ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს, მით უმეტეს, რომ წყაროში ჭეროვანი თვალსაჩინოებით არის მითითებული ჩრდილოეთ მომთაბარეთაგან იბერიისაკენ მომართულ „ამოსასვლელ“ გზაზე და არა ოროგრაფიული თვალსაზრისით გამორჩეულ გეოგრაფიულ რეგიონში საძებნ რაიმე კლდეკარსა და უღელტეხილზე გამავალ კომუნიკაციაზე. ამასთან, „ძნელ ამოსასვლელში“ მაინცდამაინც დარიალ-ჭვრის უღელტეხილის რთულად სავალი მონაკვეთის ამოცნობის სასარგებლოდ არ შეიძლება მეტყველებდეს „ძნელი ამოსასვლელის“ მომდევნო „ალავად“ პირაქეთი არაგვის ხეობასთან ნაჩქარევად იდენტიფიცირებული „არაგვის ვიწრო ხეობის“ დასახელებაც, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილია პირიქით მხარეში (ხევში) არაგვად სახელდებული იმ მდინარის რეალურად არსებობაც, რომლის ხეობა ზუსტად ისეთსავე ტერიტორიულ მიმართებაში გამოდის ჩრდილო კავკასიის მთის რეგიონის მისადგომებამდე (ან მის საწყის ზონამდე) „გამოწეული“ „ძნელ ამოსასვლელთან“. როგორშიც აღმოჩნდებოდნენ ერთმანეთთან იგივე „ძნელი ამოსასვლელი“ და „არაგვის ვიწრო ხეობა“ შესაბამისად დარიალ-ჭვრის უღელტეხილის უბანსა და პირაქეთ არაგვის ხეობასთან მათი მცდარი გაიგივების შემთხვევაში.

რაც შეეხება იმავე გზის მეორე (ოთხდღიან) ნაწილს, „გეოგრაფიის“ ავტორის მკაფიო ჩვენების წყალობით აშკარად დარიალის სიმაგრესა და თერგის ხეობის მთიანი მონაკვეთის საწყის ზონას შორის ლოკალიზებულს, ის თავისი სიმოკლის (დაახლ. 18—20 კმ) მიუხედავად კიდევ უფრო რთულად დასაძლევია უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იბერიისაკენ მომავალთ „ძნელი ამოსასვლელის“ უკან ჩამოტოვების შემდეგ დარიალის ციხე-სიმაგრესთან მიახლოებამდე ჭერ ბალთის ხეობაში ელოდათ მგზავრობა (დღევანდელ სოფელ ლარსამდე მაინც), მერმე კი უკვე უშუალოდ დარიალის ხეობაში გადაადგილება, სადაც წინსვლა მეტისმეტად ჭირდა საკმაოდ მძიმე აღმართისა და „მთების უეცარი გაბობის შედეგად წარმოქმნილ“¹⁴¹ ამ კლდეკარზე

¹⁴¹ Плиний секунд. Латышев В. В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. II, Латынские писатели, с. 182.

გამავალი მეტად სახიფათო, მართლაც, „საცალფეხო გზის“ მიზეზით. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დარიალის ხეობის დაახლოებით 5-კილომეტრიანი უბანი (ზემო ლარსისა და დარიალის სიმაგრეს შორის მოთავსებული) იმსახურებს დახასიათებას ყველაზე ვიწრო ადგილად და აკი ამ ფაქტის შეფასებაში წერილობით წყაროებში არც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომ დღეჯერებელია, რომ სტრაბონის ნაშრომში ასახული ცნობა „არაგოსის ვიწრო ხეობაში“ გამავალი „საცალფეხო გზის“ შესახებ სხვა რომელიმე ალაგის, სახელდობრ პირაქეთი არაგვის ხეობის ნახვით მიღებული შთაბეჭდილების წერილობით გაფორმებას წარმოადგენდეს; ბოლოსდაბოლოს, პირაქეთი არაგვის ხეობასთან მისი გაიგივების საფუძველი ხომ პრაქტიკულად ხელიდან გვეცლება იმ მარტივი მიზეზითაც, რომ, ჯერ ერთი, არაგვის ხეობის მხოლოდ საწყისი მონაკვეთი (ღუდის ხევი) გამოირჩევა მეტ-ნაკლები სივიწროვით, მაშინ, როდესაც, სტრაბონის ცნობის თანახმად, მთელი „არაგოსის ხეობის“ (და არა მისი ერთი რომელიმე უბნის) სპეციფიკა მის განსაკუთრებულ სივიწროვეში მდგომარეობს. მეორეც, ამ ხეობის მთელ სიგრძეზე გამავალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალის წარმოდგენა საცალფეხო გზად ერთგვარად უხერხულიცაა იმავე არაგვის ხეობის ბარის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.

პირაქეთი არაგვის ხეობასთან „არაგოსის ვიწრო ხეობის“ ტერიტორიული შეფარდების ცდის მხარდამკერად არ გამოდგება საკვლევი კომუნიკაციის მეორე, ერთობ მოკლე მონაკვეთის გასაკვლელად საჭირო დროის (სულ 4 დღე) შედარებით მეტი ხანგრძლივობის ფაქტიც. კონკრეტულ შემთხვევაში, სერიოზული დაბნეულობისაგან თავის დაზღვევის აუცილებელ პირობად გვესახება უკვე იმ მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროებით სარგებლობა, რომელთა გაცნობა ცხადყოფს სწორედ ხსენებული 18—20 კმ-იანი გზის, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის ბოლო 6—7 კმ-იანი უბნის დაფარვასთან დაკავშირებულ დიდ სირთულეებს. მათგან საკმარისია თუნდაც XVI ს-ის რუს ელჩთა დღიურების დასახელება, რომელთა მიხედვით გვიანფეოდალურ ხანაში საქართველოში შემომყვანი თერგისპირა გზის სულ რაღაც 5 კმ-იანი მონაკვეთის დაძლევას მთელი დღე ეწირებოდა¹⁴². არანაკლებ ნიშანდობლივია გიულდენშტედტის ცნობა ყაზბეგიდან ლარსამდე მისასვლელად თერგზე გადებულ 5 ხილზე გადასვლის, ხოლო დარიალის სიმაგრიდან ლარსამდე ცხენით 5 სთ-ის მგზა-

¹⁴² Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, «Материалы извлечённые из Московского главного архива Министерства иностранных дел С. А. Белокуровых», вып. I, 1578—1613 гг., М., 1889, с. 222.

ვრობის საკიროების შესახებ¹⁴³, რასაც შეიძლება დაემატოს აგრეთვე საქართველოდან რუსეთს მიმავალი გრ. ორბელიანის ჩანაწერები, რომელთა თანახმად ყაზბეგიდან ლარსში ჩასული პოეტი აქ არჩევს შეჩერებას ღამისთევით, მგზავრობის გაგრძელებას კი შემდგომი დღისათვის გადადებს¹⁴⁴. თუ დამოწმებული ფაქტების რეტროსპექტული ანალიზის ხერხს მივიმართავთ, არა ვგვონია რაიმე არსებითი დაბრკოლება შეხედეს წინ წარმოსახვით რესტავრაციას იმ გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის სიძნელებებისა, რომელნიც უსათუოდ იჩენდნენ თავს (და თანაც ბევრად უფრო ფართო მასშტაბებით) ჩვენთვის საინტერესო მაგისტრალის იგივე მონაკვეთზე მგზავრობისას ახ. წ. I სის წინმსწრებ ეპოქაში.

ამდენად, წინათქმულიდან გამომდინარე, მკითხველს, იმედია, აღარ გაუჭირდება იმის გარკვევა, თუ რამდენად მიზანშეწონილია საკვლევი კომუნიკაციის ორ აშკარად გამოკვეთილ ნაწილს შორის არსებული თვალსაჩინო მოცულობითი სხვაობის მიუხედავად, პირველი, უფრო ვრცელი მონაკვეთის იდენტიფიკაცია შედარებით უფრო მკაცრად დროში დასაფარავ გზასთან. სამაგიეროდ, ამ კონტექსტში წინა პლანზე გამოდის სხვა მართლაცდა თავსატეხი კითხვები, რომელნიც მომავალში აუცილებლად თავს იჩენენ ბერძენი გეოგრაფოსია ტექსტის განხილული ადგილის ძველებური წაკითხვის ნებისმიერ ცდასთან დაკავშირებით:

1. საინტერესოა, რითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი მაგისტრალის პირველი, გაცილებით უფრო ვრცელი და, რაც მთავარია, უაღრესად რთული მონაკვეთის დასაფარავად შედარებით უფრო ხანმოკლე მგზავრობა იყო საკმარისი, ვიდრე იმავე გზის მეორე, ბევრად უფრო ადვილად დასაძლევ უბნის გასავლელად, რომელიც თითქოს უკვე არაგვის ხეობაში უნდა იგულისხმებოდეს — განა ჩვენს განკარგულებაში არსებული მონაცემები ბოლომდე არ გამორიცხავს ამგვარი ვერსიის დაშვებას?

2. თუკი აღნიშნული კომუნიკაციის ამოსავალ პუნქტად მცხეთას ჩათვლით, სტრაბონისეულ „არაგოსის ხეობას“ პირაქეთ არაგვის ხეობასთან გავაიგივებთ, ძნელად ასაღებ კედელს კი დარიალს შევეუფარდებთ (რასაც ჰქონდა კიდევ ადგილი ზოგიერთ გამოკვლევაში), მაშინ ხომ, ელემენტარული ლოგიკის თანახმად, საკვლევი გზის ბოლოს ნაგულისხმევი სიმაგრის ლოკალიზაცია მცხეთის ადგილას მოგვიწევს, ვინაიდან დასაზუსტებელი გზის მოცულობის თითქმის ორგზის გაზრდის მიზეზით მისი ჩამკეტი უკიდურესი სამხრეთი პუნქ-

¹⁴³ გიულდენშტედტის მოგზაურობა... ტ. 1, გვ. 179, 333.

¹⁴⁴ გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 155—161.

ტი სწორედ მცხეთა გამოდის და არა დარიალის სიმაგრე, რომელიც ძალაუნებურად უკვე იმავე გზის შუაში მდებარე საფორტიფიკაციო ნაგებობად უნდა იქნეს გააზრებული?

ცხადია, დასმულ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუკი სტრაბონის მიერ აღწერილი გზის უკიდურეს სამხრეთ მიჯნას არ გადმოვაცილებთ დარიალის კლდეკარის ყველაზე ვიწრო ადგილს, საეცნებით სამართლიანად „ძნელად ასაღებ კედლად“ სახელდებულს, რის შემდეგაც ამ კომუნიკაციის პირად მომდინარე „არაგოსში“ ადვილად ამოსაცნობი ხდება სწორედ თერგი.

მასასადამე, ძვ. წ. I საუკუნეში „არაგვი“ უკვე რქმევია როგორც პირაქეთ, ისე პირიქით მდინარეებს. არაა გამორიცხული, რომ ასეთი ნომინაცია შედარებით უფრო აღრინდელ ხანაშიც ყოფილიყო მიღებული, რასთან დაკავშირებითაც ამჯერად უკვე დამაფიქრებელია ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს-ის ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ლეონტი მროველის მიერ არაგვის კარის ხსენება. ყოველ შემთხვევაში, თუკი ესოდენ შორეულ წარსულში თერგის არაგვად სახელდების შესაძლებლობა მაინც საფუძვლიან ექვს იწვევს, სამაგიეროდ სადღაც ძვ. წ. III ს-ის მიწურულიდან მაინც, როდესაც თრუსოს ხეობაც (ძველი დვალეთის ერთ-ერთი ნაწილი) და ხევიც (//უძველესი წანარეთი) ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შემავალ მონაპირე მთის კუთხეებად წარმოგვიდგებიან, მათ ტერიტორიაზე მომდინარე თერგის აღსანიშნავად ჯერ კიდევ ზოგადი მნიშვნელობით ხმარებული ნომენკლატურული გეოგრაფიული ტერმინის — არაგვის გამოყენება, ან მასზე უკვე ლოკალურ ჰიდრონიმად გაფორმებული იგივე სახელწოდების გადატანა (რაზეც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი), სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მდებარე ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში უკვე აღიარებულ ჰიდრონიმად ფორმირებული „არაგვის“ საბოლოოდ გაბატონების ხანას, ასეთად, ჩვენი ვარაუდით, საგულვეტელი ჩანს ძვ. წ. II ს. I ნახევარი, როდესაც დარიალის კლდეკარის ყველაზე დავიწროებულ ადგილას მირიან I-ის (ძვ. წ. II ს. I ნახ.) მიერ აგებულმა სიმაგრემ სამუდამოდ იტვირთა იბერიის ჩრდილოეთი საზღვრის დამცველი უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო ნაგებობის როლი¹⁴⁵.

საყურადღებოა, რომ პირიქითი მდინარის არაგვად სახელდების ტრადიციას შემდგომშიც არ განუცდია რღვევა, რაც წერილობითი

¹⁴⁵ ლეონტი მროველი, ცხოვრება... მეფეთა, ქ. 1, გვ. 28; შდრ.: ვახუშტი, აღწერა..., გვ. 358.

წყაროების მონაცემებითაც მტკიცდება. თქმულის საილუსტრაციოდ რად ღირს თუნდაც ჭუანშერის თხზულებაში დაცული იმ ფრაგმენტის დამოწმება, რომლის თანახმად ალანებისა და ჰუნების ლაშქართან შესაბამელად გამზადებულ ვახტანგ გორგასალს მოწინააღმდეგეები „...მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა... და მასცა მდინარესა არაგვ ჰქევან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვსა და ოვსეთის არაგვსა“¹⁴⁶.

„ძეგლი ერისთავთა“—ში მოცემული არანაკლებ საინტერესო ცნობის მიხედვით, პირაქეთი და პირიქითი არაგვებისა და ამავე მდინარეთა ხეობების აღსანიშნავად ხმარებულ სახელწოდებებად წარმოგვიდგება შესაბამისად „არაგვი“ და „იქითა არაგვი“¹⁴⁷, ხოლო ამ ორ ხეობაში მცხოვრები მთიელები თრუსოში მცხოვრები დვალეების ჩათვლით გამოყვანილი არიან როგორც „მთიულნი არაგვისა ზედაზნით დარიალამდისნი“¹⁴⁸. ასევე, ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, „მდინარესა ჭევისასა უწოდება არაგვე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის მდინარე ძუელადგე, და აწ უწოდებენ თერგსა“¹⁴⁹.

როგორც ვხედავთ, XVII ს-ის I ნახევარში საქართველოს მონაპირე მთის კუთხეების — თრუსოს და ხევის ფარგლებში მომდინარე არაგვს („იქითა არაგვს“) თავისი პირვანდელი სახელწოდება ჯერ კიდევ მტკიცედ ჰქონია შენარჩუნებული, თუმცა ამ პერიოდისათვის მას ალბათ უკვე გაუჩნდა მეორე სახელწოდებაც იმხანად ჩრდ. კავკასიაში ერთობ „პოპულარული“ ჰიდრონიმის „თერგის“ სახით, რასთან დაკავშირებითაც შეტად დამაფიქრებელია ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე ხსენებული მდინარის გარკვეული მონაკვეთის აღსანიშნავად საქართველოს ტერიტორიაზე ერთდროულად სამი სახელწოდების — „არაგვის“, „ლომეკისა“ და „თერგის“ დატანის ფაქტი. ამ უკანასკნელის ფონზე, ვფიქრობთ, ჭეროვანი თვალსაჩინოებით იკვეთება „იქითა არაგვის“ უძველესი ოფიციალური ნომინაციის სფეროში მოსალოდნელი იმ ცვლილების კონტურები, რაც შედარებით გვიანდელ ხანაში (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განსაკუთრებული გაცხოველებისა და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში) გამოხატულებას პოულობს ჭერ ხსენებული მდინარის აღმნიშვნელ ჰიდრონიმად „თერგის“ გაფორმებაში, შემდეგ კი მის თითქმის სრულ გაბატონებაში სახელწოდება არაგვის

146 ჭუანშერი, ცხოვრება... გორგასლისა, ქ. ტ. 1, გვ. 151.

147 ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 105, 110; შდრ.; ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქც, II, გვ. 445, 446.

148 ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 117.

149 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 356.

ოფიციალური ხმარებიდან თანდათანობით გამოდევნის ხარჯზე. მოვლენათა ასეთი მსვლელობის საბოლოო შედეგი დღეს სახეზე გვაქვს — თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკებზე პირიქითი არაგვის უძველესი სახელწოდება გამქრალია და მის ადგილზე, როგორც წესი, ფიგურირებს თურქული ძირის სიტყვა — თერგი.

ყოველივე ამის მიუხედავად პირიქითა მდინარის არაგვად სახელდების მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ ჩვენ ეპოქამდე შემონახა თავი. ხევის მცხოვრებთა ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ძველი და იშვიათად საშუალო თაობა) დღესაც თერგს არაგვს უწოდებს. ამასთან, მოხევეები და ჭუთელი ხევსურები არაგვს ეძახიან სნოს წყალსაც, რომელიც ვახუშტის თხზულებაში აჩხოტის ჯევის სახელწოდებით არის შეტანილი („...აღმოსავლიდამ არაგუა ერთვის არშას ქუეით აჩხოტის ჯევი“¹⁵⁰), ხოლო მოსახლეობაში შავი არაგვის სახელწოდებითაც არის ცნობილი, რაც, ერთი მხრივ, ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის პირად მომდინარეობის შესაბამისად, მეორე მხრივ კი პიდროლოგიური ნიშნის (წყლის შეფერილობის) მიხედვით მდინარის სახელდების ხალხური ტრადიციის მოქმედების დამადასტურებელია.

სამწუხაროდ, ხევის მკვიდრთათვის სრულიად უცნობია ვახუშტისეულ „აღწერაშივე“ დამოწმებული „ჯევის მდინარის“ კიდევ ერთი საგულისხმო სახელწოდება — ხევის არაგვი („ხოლო ჯევის ბოლოს არს ლაზური. მას ქუეით, ჯარიხეს, მოერთვის ჯევის არაგუს ქისტ-ძურძუკის წყალი...“¹⁵¹), „რომელიც შესაძლოა ისეთივე ტიპის სახელწოდებად იმსახურებდეს დახასიათებას, როგორებადაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით წარმოგვიდგებიან: „ფშავის წყალი“ ან „ფშავის არაგვი“, „ჯევისურეთის წყალი“ ან „ჯევისურეთის არაგვი“, „გუდამაყრის ჯევი“ ან „გუდამაყრის არაგვი“. ამასთან დაკავშირებით კი ალბათ შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ ალ. ყაზბეგი „მთიულეთის არაგვის“ გვერდით ასახელებს „ხევის არაგვს“¹⁵². ჩვენი ვარაუდით, ვახუშტის მიერ ადგილზე წარმოებული გამოკითხვის დროს დაფიქსირებული ეს სახელწოდება დროთა განმავლობაში უბრალოდ ხმარებიდან უნდა ამოვარდნილიყო და საბოლოო ანგარიშით სრულ დაეიწყებას მისცემოდა, თუმცა, ამავე დროს, სამართლიანი ჩანს სათანადო ანგარიში გაეწიოს იმ ვერსიასაც, რომ დიდ სწავლულს აქაურ მთხრობელთა ინფორმაციით სარგებლობის გარეშე თვითონვე შეერჩია სახელწოდება „ხევის არაგვი“

150 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 357.

151 იქვე, გვ. 641.

152 ალ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 507.

პირიქითა არაგვისათვის, რაც თავისთავად კონკრეტული მდინარისათვის შესაფერისი სახელწოდების გამოძებნის საუკეთესო მაგალითად გვესახება.

სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით ჭუნაშერის თხზულებაში მოცემული სახელწოდება „ო ვ ს ე თ ი ს ა რ ა გ ვ ი ს“ შესახებ, რომლის გამოყენება „იქითა არაგვის“ მისამართით, როგორც ჩანს, მიზანწეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე იმ მეზობელი ქვეყნის (ე. ი. ოსეთის) შესახებ შეძლებისამებრ მკაფიოდ მითითების მოტივით, სადაც თავსდება აღნიშნული მდინარის გაცილებით უფრო ვრცელი მონაკვეთი¹⁵³. ამიტომ, ერთი შეხედვისთანავე აქ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ „ოვსეთის არაგვს“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ქართველი მემკვიდრის მიერ პირაქეთ არაგვთან შეპირისპირებაში გახსილული პირიქითი არაგვისათვის (მერმინდელი თერგისათვის) ერთობ ნაჩქარევად შერჩეული არაოპტიმალური, პირობითი ხასიათის სახელწოდებასთან. ამ უკანასკნელს. ცხადია, არ გასჩენია ტრადიციული ჰიდრონიმის უფლებით სარგებლობის პრეტენზია. ისევე, როგორც აღიარებულ ჰიდრონიმებად ვერ გაფორმდნენ, საორიენტაციო მიზნით წერილობით წყაროებში შემოტანილი სხვა სახელწოდებანიც (მაგ.: „იქითა არაგვი“. „რიონი იმერეთისა“¹⁵⁴ და სხვ.). თუმცა აქვე სავალდებულოა განიმარტოს, რომ თუკი იგივე „იქითა არაგვი“ სახეებით ამართლებს თავის დანიშნულებას და ამ სახელწოდებით სისტემატური სარგებლობა მხოლოდ აშარტივეებს არაგვად სახელდებულ ჰიდრონიმებზე განაგები ენით მსჯელობის ამოცანას, „რიონი იმერეთისა“ უფრო სახელდახელოდ შედგენილ სახელწოდებად გვევლინება, რის გამოც მისი გამოყენება სერიოზული დაბნეულობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

არანაკლებ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს აგრეთვე ჭუნაშერის თხზულებაშივე დატული კიდევ ერთი სახელწოდება — „ქ ა რ თ ლ ი ს ა ა რ ა გ ვ“, რომელიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს ზემოთგანხილულ „ოვსეთის არაგვთან“ და ამდენად მას არამც თუ ოფიციალურად მიღებული ჰიდრონიმის, არამედ პირაქეთი არაგვისათვის ობიექტურად შერჩეული პირობითი სახელწოდების ღირებულებაც არ შეიძლება გააჩნდეს. ცხადია, რამდენადმე განსხვავებულ პოზიციაზე აღმოვჩნდებოდით იმ შემთხვევაში, თუკი ჭუნაშერის მიერ ხსენებული „ქართლისა არაგვს“ პირველი სიტყვის ქვეშ დავინახავდით არა ქართლის მთელ სამეფოს (რასაც გულისხმობდა კიდევ ისტორიკოსი), არამედ საკუთრივ ამ

¹⁵³ ვახტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობა, მთის კუთხეების. ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები, თბ., 1986, გვ. 17.

¹⁵⁴ ვ ა ხ შ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 649.

უკანასკნელის ფარგლებში ლოკალიზებულ ქართლს, ვითარცა ერთგანსაზღვრულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს თავისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურითურთ, რის შემდეგაც მის ტერიტორიაზე მომდინარე პირაქეთ არაგვზე გავრცელებული „ქართლისა არაგვ“ სახეებით ბუნებრივად დატოვებდა ამჟერად უკვე კონკრეტული მდინარის კუთხური კუთვნილების მანიშნებელი სახელწოდების შთაბეჭდილებას¹⁵⁵. მაგრამ ვინაიდან არსებული მონაცემები ეწინააღმდეგება ამგვარი ვითარების დაშვებას, „ქართლის არაგვს“ ნიადაგხელოვნურად ვერ მივაწერთ. თუნდაც საორიენტაციო მიზნით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსატანად ბოლომდე ვარგისი დამხმარე სახელწოდების მნიშვნელობას. ამიტომ, მიზანშეწონილია მომავალში მანც, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთოდ არ მივმართოთ მისი გამოყენების უკვე ნაცად პრაქტიკას¹⁵⁶, ან, საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული სახელწოდება სათანადო კომენტარების თანხლებით დავიმოწმოთ. მით უმეტეს, რომ ამის გარეშეც სრულიადაც არ განვიციდით პირაქეთი არაგვის ზუსტი სახელებისათვის აუცილებელი მასალების ნაკლებობას — პრობლემა მხოლოდ ჩვენს განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების კვალიფიციურ ანალიზში მდგომარეობს.

როგორც მათი საგულდაგულო გაცნობა ცხადყოფს, პირაქეთა არაგვის მისამართით გამოყენებული ტრადიციული ჰიდრონიმის უფლებით ჩვენში შეუზღუდავად სარგებლობდა სიტყვა „არაგვი“, თუმცა მისი სრული დომინირების პარალელურად იგივე მდინარის საკმაოდ მოზრდილ უბანს (სათავიდან ვიდრე დაბა ფსანაურამდე) თავის დროზე დამატებითი სახელწოდებანიც დაუმკვიდრდა „თ ე თ რ ი ა რ ა გ ვ ი ს“ და „მ თ ი უ ლ ე თ ი ს ა რ ა გ ვ ი ს“ სახით. პირველად XIX ს-ის წერილობით წყაროებში¹⁵⁷ ასახული ეს ორი უკანას-

¹⁵⁵ საკითხის ამნაირი ინტერპრეტაცია კი მოგვემდგა მეტად საინტერესო ეტიმოლოგიური პარალელის გავლების უფლებას „ქართლის არაგვსა“ და XVIII ს. ერთ-ერთ საბუთში დადასტურებულ სახელწოდება „კახეთის არაგვს“ შორის (იხ. სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილენელ ქრისტეფორესადმი, 1746 წ., ქსძ, II, გვ. 396), რომელიც, მართალია, უფრო მეტად მაინც გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელ სახელწოდებად იმსახურებს გააზრებას, მაგრამ, ვფიქრობთ, ბოლომდე არაა გამოსარიცხი იგივე სახელწოდებით იმავე რეგიონში მომდინარე ფშვის არაგვის პირობითი სახელების შესაძლებლობაც, რაზეც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

¹⁵⁶ ვახტ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 15, 17, 20, 158.

¹⁵⁷ АКАК, т. П, Тифлис, 1868 г., с. 227, 335; АКАК, т. VII, Тифлис, 1878, с. 347; Ланд Ф., Гудамакарское ущелье, Кавказский календарь на 1863 г., Тифлис, 1862, с. 332; Н. И. Кн. Ф. О. Р. О. В. Н. К., Экономический быт

კნელი სახელწოდება, ჩვენი აზრით, შედარებით გვიან უნდა გაჩენილიყო, არაუადრეს იმ ხანისა, როცა საქართველოს სინამდვილეში ზოგადად „მთიანეთის“ ეტიმოლოგიის მქონე ტერმინ „მთიულეთის“ პირვანდელი ფართო შინაარსი თანდათანობით დაეიწროვებას განიცდის და ის არაგვის ხეობაში მდებარე ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის—ხადისა და ცხავატის ტერიტორიის აღმნიშვნელ ლოკალურ ცნებად (ერთი განსაზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის აღმნიშვნელ სახელად) იქცევა¹⁵⁸. ამასთან, მათი ხმარებაში დანერგვა სავსებით კანონზომიერად ჩანს განპირობებული, ერთი მხრივ, იმ გარემოებით, რომ საკვლევი მდინარის დინების ხაზგასმული მონაკვეთი აღმოსავლეთ საქართველოს ცნობილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის—მთიულეთის (ძველი ხადა-ცხავატის) ფარგლებში თავსდება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტორით, რომ ხსენებული მდინარის წყალი გამოირჩევა ერთობ თეთრი შეფერილობით, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია მისი შემდინარე „გულდამაყრის არაგვის“ (ან „შავი არაგვის“) წყლის აშკარად შავი შეფერილობის ფონზე. მაშასადამე, სახელწოდებანი „მთიულეთის არაგვი“ და „თეთრი არაგვი“ უყოყმანოდ იმსახურებენ დახასიათებას იმ კატეგორიის აღწერილობით ჰიდრონიმებად, რომელთა ეტიმოლოგიის გასარკვევად სრულიად საკმარისია ანალოგიური ტიპის სხვა სახელწოდებებთან (თუნდაც იმავე „გულდამაყრის არაგვთან“ და „შავ არაგვთან“) მათი პირდაპირი შეპირისპირება.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ XIX ს-ის წინმსწრები ხანის წერილობით წყაროებში სახელწოდებები „მთიულეთის არაგვი“ და „თეთრი არაგვი“ საერთოდ არ გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა...“ წარმოადგენს, თუმცა წყაროების სრული დუმილი ხსენებულ ჰიდრონიმა შესახებ მათი ჭეროვანი არქაულობის უარყოფელ არგუმენტად მაინც ვერ გამოდგება. ვახუშტისავე ნაშრომში მდ. არაგვის „შავ არაგვად“, ხოლო მის შემდინარე ფშავის არაგვის „თეთრ არაგვად“ სახელდების მეტად საგულისხმო ფაქტი¹⁵⁹ ხომ თავისთავად ჰიდროლოგიური (თუ კუთხური) ნიშნის მიხედვით საკვლევი მდინარის გარკვეული მონაკვეთისათვის აღწერილობითი ხასიათის სახელწოდების შერქმევის სწორედ იმ ხალხური ტრადიციის მოქმედების დამამტკიცებელ საბუთად შეიძ-

государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. У, Тифл., 1887, с. 4; Вейдембаум Е., Путеводитель по Кавказу, Тифл. 1888, с. 43.

158 ვახტ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55—59.

159 ვახუშტი, აღწერა, გვ. 531—534.

ლება ვიგულოთ, რომელსაც მიეწერება კიდევ თავად ჰიდრონიმების „მთიულეთის არაგვის“ (ან „თეთრი არაგვის“), „გუდამაყრის არაგვის“ (ან „შავი არაგვის“) წარმოქმნა. ამიტომ ნათქვამიდან გამომდინარე, უფრო მეტად სარწმუნოა ის ვერსია, რომ დასახელებული სახელწოდებანი დიდი ხნის მანძილზე მარტოოდენ არაგვის ხეობის „მთის კაცთათვის“ ყოფილიყო ცნობილი, ხოლო მათი აღნუსხვა ოფიციალური წერილობითი დოკუმენტების დონეზე მხოლოდ XIX ს-ში მომხდარიყო.

მართალია, ისინი ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით ვახუშტის თხზულებაშიც არ ასახულან, მაგრამ სამაგიეროდ შენიშნულ ხარეებს „აღწერის“ ავტორი ერთგვარად ავსებს არაგვის აღსანიშნავად მთიულთა მიერ თავის დროზე ხმარებული სხვა არანაკლებ საინტერესო აღწერილობითი ხასიათის სახელწოდების— „შავი არაგვის“ ფიქსაციით („... ხოლო კუალად ხარჭაშოს, საშიშს დასაელით, დის თ ე თ რ ი არ ა გ ვ ს ჰ დინარე. ესე გამოსდის ძურძუქს-ფშავს შორისს კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამკრით, და მიერთვის ჟინვანს აღმოსავლიდამ შ ა ვ ს ა რ ა გ უ ს... ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგვს შესაკრებელს შორის ციხე... ..ამ ჟინვანს ქუეით ერთვის შავს არაგვს ჳევი ბოდავისა. ამას ქუეით ერთვის არაგუსვე წირდალის ჳევი...“¹⁶⁰), რომელიც უთუოდ ისეთივე კანონზომიერებით უნდა შერქმეოდა მდ. არაგვს ამჟერად უკვე ფშავის არაგვთან (// „თეთრ არაგვთან“) მიმართებაში, როგორითაც იმავე მდინარის განსაზღვრულ ნაწილს ეწოდა თეთრი არაგვი გუდამაყრის არაგვთან ან შავ არაგვთან მიმართებაში. ამდენად, ვახუშტის დაკვირვების წყალობით, როგორც ჩანს, შემოგვენახა მეტ-ნაკლებად შორეულ წარსულში საკვლევ მდინარეზე გავრცელებული და დროთა განმავლობაში ხმარებიდან ამოვარდნილი ტრადიციული ხალხური ჰიდრონიმი, რომლის არსებობაზე არაგვის ხეობის მკვიდრთ დღეს უკვე აღარავითარი წარმოდგენა არ აქვთ¹⁶¹.

საყურადღებოა, რომ იგივე სახელწოდებას იცნობს XIX ს-ის გამოჩენილი ქართველი მწერალი რაფიელ ერისთავიც¹⁶², თუმცა ავ-

160 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 532, 534.

161 სამაგიეროდ არაა გამოირცხული, რომ სწორედ მთავარი არაგვის „შავ არაგვად“, ხოლო ფშავის არაგვის „თეთრ არაგვად“ სახელდების მიიწვებული ხალხური ტრადიციის მკრთალ (და დამახინჯებულ) გამოძახილს წარმოადგენდეს ერთ-ერთი ფშაველი ინფორმატორისაგან მიღებული შემდეგი განმარტება: „ემა ჟინვან-შია ორ არაგვ შაიყრება: თეთრი და შავი. თეთრ მთიულეთისია, ხელმარჯვნივ არი, შავი არაგვი კი კელმარცხნივა, ი შავ არაგვსა ხევსურეთის არაგვიც ერევა...“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 127—128).

162 რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 63.

ტორი „შავი არაგვის“ გვერდით დამატებით ახსენებს პირაქეთი არაგვის აღმნიშვნელ კიდევ ერთ მეტად საგულისხმო სახელწოდებას — „დიდი არაგვი“¹⁶³, რაშიც ადვილად ამოიცნობა არაგვის სისტემის უმთავრესი მდინარის რაობის დაზუსტებით დაინტერესებული მკვლევარის მიერ კონკრეტული პიდრობიექტისათვის სავესებით ობიექტურად შერჩეული პირობითი და არა ტრადიციული სახელწოდება.

მასასადამე, პირაქეთი არაგვის აღსანიშნავად წერილობით წყაროებში მოცემული გვაქვს სახელწოდებები — „არაგვი“, „შავი არაგვი“ და „ქართლის არაგვი“, ხოლო ეთნოგრაფიული მასალის თანახმად მისი დინების გარკვეული მონაკვეთი სათავედან ვიდრე დაბა ფასანაურამდე ცნობილია „მთიულეთის არაგვის“ ან „თეთრი არაგვის“ სახელწოდებით.

ნიშანდობლივია, რომ დაახლოებით ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე არაგვის („დიდი არაგვის“) შემდინარეთა ნომინაციის სფეროშიც. მაგ., მთიულეთის მომიჯნავე მთის კუთხის — გუდამაყრის ფარგლებში მომდინარე არაგვი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციის მიხედვით სახელდება „გუდამაყრის ხევად“¹⁶⁴, „გუდამაყრად“¹⁶⁵, „გუდამაყრის არაგვად“ ან „შავ არაგვად“¹⁶⁶, ხოლო რაც შეეხება ფშავის ტერიტორიაზე მომდინარე არაგვსა და მის შენაკად ხევსურეთის არაგვს, ისინი XIX ს-მდე წერილობით წყაროებში იწოდებიან შესაბამისად „ფშავის წყლად“¹⁶⁷, უბრალოდ „ფშავად“¹⁶⁸, „თეთრ არაგვად“¹⁶⁹ და „ხევსურეთის წყლად“¹⁷⁰; XIX ს-ის ლიტერატურაში კი

163 იქვე, გვ. 63.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ სახელწოდებას „დიდი არაგვი“ ვხვდებით XIX ს-ის სხვა სწავლულას ნაშრომშიც (იხ. ОРБЗК, ч. I, с. 396).

164 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 354.

165 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 223; АКАК, т. III, Тифл., 1869 г., с. 105.

166 АКАК т. II, с. 226, 227, 335; Ланд Ф. დასახ. ნაშრომი, გვ. 332; АКАК, т. V, Тифл., 1873, с. 517, АКАК, т. VII, Тифл., 1878, с. 347; Никифоров Н. К., დასახ. ნაშრომი გვ. 4; Венденбаум Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 43 და სხვ.

167 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც. II, გვ. 348—349.

168 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 223.

169 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 531—534; რ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

170 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 532, რ. ერისთავი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

უკვე „ფ შ ა ვ ი ს ა რ ა გ ვ ი ს ა“ და „ნ ე ვ ს უ რ ე თ ი ს ა რ ა გ ვ ი ს ა“ კუთხური სახელწოდებებით ფიგურირებენ¹⁷¹.

როგორც ვხედავთ, პირაქეთი არაგვი და მისი შემდინარეები, აგრეთვე პირიქითი არაგვი თავისი შენაკადითურთ, ერთი მხრივ, ძირითადი, ზოგადი („არაგვი“), მეორე მხრივ კი ურთიერთშეპირისპირებაში ფორმირებული კუთხური თუ აღწერილობითი შინაარსის სახელწოდებების („მთიულეთის არაგვი“ ან „თეთრი არაგვი“ — „გულდამყარის არაგვი“ ან „შავი არაგვი“; „შავი არაგვი“ — „თეთრი არაგვი“; „ფშავის არაგვი“ — „ხევსურეთის არაგვი“) მატარებელ მდინარეებად გამოდიან, რომელთა მაგალითზე განსაკუთრებით კარგად ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გამოქმული შემდეგი მოსაზრების სისწორე: «Мы привыкли рассматривать название реки как единственное название реки от её истоков до устья... Первоначально в перспективе веков это было вовсе не так. Отдельные части рек носили свое собственное название. Обычно это явление в гидрономике объясняют гидрографическими условиями реки, изменениями в её течении, слиянием с крупным притоком и т. п.»¹⁷².

ამასთან, არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე არაგვად წოდებულ მდინარეთა შორის არ კირს ორი უმთავრესის გამოყოფა — პირაქეთი არაგვისა და პირიქითი არაგვის (გვიანდელი თერგის) ანუ წერილობითი წყაროებით კარგად ცნობილი „ორი არაგვის“¹⁷³ სახით, რომელთაგან, თავის მხრივ, პირველის არაგვად სახელდების ტრადიცია უფრო ძირძველი და მყარი ჩანს — ვფიქრობთ, თუკი რამდენადმე სარწმუნოა თავდაპირველად ზოგადი შინაარსით გაფორმებული სიტყვა „არაგვით“ მხოლოდ ერთი კონკრეტული პიდრობიექტის აღნიშვნის შესაძლებლობა, ასეთ მდინარედ უწინარეს ყოვლისა მაინც პირაქეთი არაგვი უნდა იქნეს მიჩნეული.

¹⁷¹ Венденбаум Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 43; Ган К. Ф., Путешествие в страну пшавов, хевсур, кистин и ингушей (летом 1879 г.), «Кавказский вестник», № 4, 1900, с. 93, 95, 96, 99 და სხვ.

¹⁷² Волкова Н. Г., Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, с. 132.

შ ე ნ ი შ ვ ა: მართალია, მოცემულ შემთხვევაში ავტორი ლაპარაკობს ერთი მთლიანი მდინარის აღმნიშვნელი ძირითადი სახელწოდების ფორმირებამდე მისი დინების ცალკეული მონაკვეთებისათვის განსხვავებული სახელების შერქმევის ტრადიციაზე, მაგრამ ვფიქრობ, ამ უკანასკნელის ფონზე გასაგები ხდება საპირისპირო მოვლენის არსიც, რაც გამოიხატება ამჟერად უკვე ერთი ძირითადი სახელწოდების მატარებელი მდინარის განსაზღვრულ უბნებზე მოგვიანებით გაჩენილი აღწერილობითი სახელწოდებების გავრცელების პირიქით პროცესში.

¹⁷³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 205.

ვითარების ამგვარ შეფასებასთან დაკავშირებით კი, ჩვენი აზრით, მეტად ნიშანდობლივია თუნდაც ის დეტალი, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სახელწოდება არაგვის ეტიმოლოგიას სწორედ ნეფისკალოს-მთიდან მომდინარე არაგვის მაგალითზე არკვევს („... ხოლო მდინარე არაგვ განჰყოფს ქართლსა და კახეთსა. და ეწოდება სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვინაჲთგან დის ჩქარა, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ კვეთა!“... გამოსდის მალრანდვალეთის ქნოლოს კავკასის მთიდან“...¹⁷⁴).

არანაკლებ დამაფიქრებელია ის გარემოებაც; რომ ქართულ წერილობით წყაროებში პიდრონიმ არაგვის დასახელებას, მის ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმება პირაქეთა არაგვი, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელის გვერდით ან მისგან სრულიად დამოუკიდებლად პირიქითი არაგვის მოხსენიებას მთელ რიგ შემთხვევებში თან ახლავს მემატინათა სათანადო განმარტება ასევე არაგვად მისი სახელდების თაობაზე¹⁷⁵, რაც თავისთავად გვიანდელი თერგის აღსანიშნავად სახელწოდება არაგვისავე გამოყენების არასაკმარისად ცნობილ ტრადიციაში მკითხველთა გვარიანად გარკვევის აუცილებლობით ჩანს ნაკარნახევი.

დაბოლოს, ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ ორი არაგვისაგან თავისი ტრადიციული სახელწოდება დღემდე მტკიცედ შემონახა სწორედ პირაქეთა მდინარემ. ამ დროს პირიქითა არაგვმა დროთა განმავლობაში თითქმის მთლიანად „დაკარგა“ თავისი პირვანდელი სახელწოდება და ამის სანაცვლოდ შეითვისა ჩრდ. კავკასიაში ფორმირებული სახელწოდება — „თერგი“. სხვათა შორის იგივე ითქმის პირიქითა არაგვის შენაკად შავი არაგვის შესახებაც, რომელსაც პირაქეთი არაგვის შემდინარეთაგან განსხვავებით საბოლოოდ არაგვის ნაცვლად სახელწოდებად „სნოსწყალი“ დაუმკვიდრდა. შემთხვევითი არაა აგრეთვე სახელწოდებების არღუნის და ასას გაბატონება პირიქითა ხევსურეთის იმ მდინარეებზე, რომლებიც წარსულში ასევე არაგვებად იყვნენ სახელდებულნი, როგორც ჩანს, ძირძველი სახელწოდებების ამგვარი შეცვლა მოგვიანებით ფორმირებული ან გარედან შემოსული უცხო პიდრონიმებით კანონზომიერად მოხდა სწორედ იქ, სადაც მათი არაგვად სახელდების ტრადიცია შედარებით ნაკლები სიმტკიცით ხასიათდებოდა.

174 იქვე, გვ. 350, 351.

175 ქუან შერი, ცხოვრება... გორგასლისა..., ქც, 1, გვ. 151, ვახუშტი, აღწერა... გვ. 356.

გასაგებია, რომ სადაც ორ ძირითად არაგვის შორის გვიხდება მათი სახელდების ტრადიციის არქაულობაში არსებული სხვაობის შენიშვნა. საკუთრივ პირაქეთი არაგვის შენაკადების (გულდამაყრის არაგვის და ფშავის არაგვის) წარმოდგენა სახელწოდება „არაგვის“ გაჩენის დროიდანვე მის მატარებელ მდინარეებად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებისადმი კიდევ უფრო ფრთხილ დამოკიდებულებას გვაქვს.

საქმე იმაშია, რომ XI—XVIII სს-ის წერილობით წყაროებში სახელწოდება არაგვის მატარებლად სისტემატურად ფიგურირებს პირაქეთი არაგვის მთელი სისტემის უმთავრესი მდინარე („დიდი არაგვი“). რომელიც „...გამოსდის მდრან-დვალეთის ქნოლოს კავკასის მთიდან, და ციკარიდამ დის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა, ვიდრე გულდამაყრის ჭევემდე და მუნიდამ სამკრით დის მტკუარამდე“¹⁷⁶. ამ დროს მისი შემდინარეების (გულდამაყრის არაგვი, ფშავის არაგვი) აღმნიშვნელ ჰიდრონიმებად ხსენებული პერიოდისავე საბუთებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა¹⁷⁷, წარმოდგენილი გვაქვს არა „არაგვი“, არამედ შესაბამისად გულდამაყრის ჭევეი („მის ზეით ერთვის ჭევი გულდამაყრისა არაგუს ჩრდილოდამ, გამოსდის კავკასს გულდამაყრსა. ჭევესა და ძურძუკს შორისსა... ხოლო გულდამაყრის-ჭევეის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდილოს შუა, არს მთიულეთი“¹⁷⁸), ან უბრალოდ გულდამაყარი („არაგვი... მალალ მთებში იწყება და მიედინება სამხრეთით მტკვრისაკენ, რომელსაც თბილისის ზემოთ აღწევს. მთელი მისი დინება არის შიდა ქართლში; მისი ყველაზე დიდი შენაკადებია — გულდამაყარი, ფშავი, ხარეკეავი“¹⁷⁹, ფშავის-წყალი („... ამა კახთა ბატონთა მას ეამსა ეპყრა... ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადა შეერთვს ფშავისწყალი არაგუსს... ხოლო ძესა კონსტანტინესასა მეფესა დავითს ეპყრა... არაგუს — აქათი და ფშავისწყალს — აქათი...“¹⁸⁰), ან უბრალოდ ფშავი¹⁸¹. ამასთან XIX ს-ის დოკუმენტებში მდ. არაგვის ზოგიერთი შენაკადის (მაგ. გულდამაყრის არაგვის) აღსანიშნავად ასევე აღწერილობითი ხასიათის,

176 ვახუშტი, აღწერა... გვ. 351.

177 ვახუშტი, აღწერა, გვ. 532, 534; სამწყსოს განახლების სიგელი. ერეკლე II-ის წილქნელ ქრისტეფორესადმი, ქსძ, II, გვ. 396.

178 ვახუშტი, აღწერა... გვ. 354, 355.

179 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 223; შტრ.: AKAK, T. III, c. 105.

180 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქც, II, გვ. 348—349.

181 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 223; AKAK, T. III, c. 104.

ოლონდ ამჟერად კინობითი ფორმის მქონე, სახელწოდების გამოყენების ფაქტიც დასტურდება («Чёрная речка впадает в Арагу»¹⁸²).

რამდენადაც ძველი ქართველი ავტორები პირაქეთი არაგვის შენაკადების დასახელებისას აშკარად უპირატესობას ანიჭებდნენ აღწერილობითი ხასიათის სახელწოდებათა ხმარებაში შემოტანის პრაქტიკას და ერთგვარად „ერიდებოდნენ“ მათ მისამართით სიტყვა არაგვის გამოყენებას, განხილულ მონაცემებზე დაყრდნობით ალბათ ბუნებრივად ჩნდება ექვი სახელწოდება არაგვის გავრცელების უძველეს არეალში ფშავის, ხევსურეთისა და გუდამაყრის არაგვების შეყვანის მიზანშეწონილობის მიმართ. აკი ერთ-ერთ ნაშრომში გამოითქვა კიდევ აზრი თავდაპირველად ხევსურეთის წყლად და ფშავის წყლად სახელდებულ მდინარეებზე ჰიდრონიმ არაგვის მოგვიანებით გავრცელების თაობაზე¹⁸³. მაგრამ ვინაიდან ასეთნაირ მტკიცებას მაინც ეწინააღმდეგება ჩვენ განკარგულებაში არსებული ფაქტობრივი მასალის ერთი ნაწილი (მაგ., იმავე ფშავის წყალზე სახელწოდება არაგვის გავრცელებას თვალნათლივ მოწმობს სწორედ იმ ხანის წერილობითი ძეგლები¹⁸⁴, როდესაც დასახელებული მდინარის არაგვად სახელდების შესაძლებლობა თითქმის ბოლომდე ღიად იქნა დატოვებული), ცხადია, გაუმართლებელი იქნებოდა არაგვად წოდებულ მდინარეთა სიმრავლის ახსნა მართოდენ ერთი ჰიდრონიმიეტიცისათვის იმთავითვე შერქმეული სახელწოდების გვიანდელი დიფუზიით.

მაშ რაღა მოტივით არ ხედავდნენ ძველი ქართველი ავტორები გუდამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის მდინარეთა აღწინაშენელ სა-

¹⁸² АКАК. т. II, с. 335; Ланд Ф., Гудамакарское ущелье, Кавказский календарь на 1863 г., с. 332.

¹⁸³ აღ. ლ. ო. ნ. ო. ო., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, გვ. 185.

¹⁸⁴ ვ. ა. ხ. უ. შ. ო., აღწერა, გვ. 532, 534; სამწყისოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილებელ ქრისტეფორესადმი, ქ. ს. ძ, II, გვ. 396.

შე ნ. ი. შ. ე. ნ. ა: მეტად დამაფიქრებელია აგრეთვე ჭუნაშვილის თხზულებაში დაცული ცნობა „დიდსაცა არაგუთა მდინარე“-ს შესახებ (წილ მღვიმელს მიეწერება ის, რომ მან „მრავალი სასწაული აღასრულა: დიდსაცა არაგუთა მდინარე განაპო...“, იხ. ჭუნაშვილი, ცხოვრება... გორგასლისა, ქც, II, გვ. 212), რომელიც ეგების იკითხებოდეს როგორც „დიდი არაგუთა მდინარე“ (და არა „დიდი არაგვის მდინარე“, რაც მაინც უფრო დამაყრებლად გვეჩვენება). თუ ასეთნაირი ვარიანტი დასაშვებია, მაშინ ცნება „არაგუთა მდინარე“-ს ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ სწორედ რამდენიმე არაგვისაგან შემდგარი ერთი მდინარე, პირაქეთი არაგვის მთელი სისტემა (შდრ.: გამოთქმას „მორბის არაგვი, არაგვიანი“, რაც შესაძლებელია ნიშნავდეს არაგვთაგან შემდგარ ერთ მდინარეს და არა მაინცდამაინც ჩქარ, არაგვიან მდინარეს, როგორც ეს აქამდე ესმოდათ), რის კვლობაზე, ცხადია, ორი აზრი აღარ შეიძლება არსებობდეს არაგვად სახელდებულ მდინარეთა გავრცელების არეალის სიფართოვეზე საკმაოდ შორეულ წარსულში.

ხელწოდებად არაგვის მოხსენიების საპირობას? როგორც ჩანს, წერილობით წყაროებში მთელი არაგვის სისტემის უმთავრესი მდინარის არაგვად, ხოლო მის შენაკადთა (გულდამაყრის არაგვი, ფშავის არაგვი მის შემდინარე ხევსურეთის არაგვთან ერთად) შესაბამისად გულდამაყრის ხევის (ან უბრალოდ გულდამაყრის) და ფშავის წყლის (ან უბრალოდ ფშავის) სახელწოდებებით მოხსენიების ფაქტში, აგრეთვე არაგვთა შორის უდიდესი მდინარის ზოგიერთი შენაკადის კნინობითი ფორმით („река“) წარმოჩენაში თავის რელიეფურ გამოხატულებას პოულობს ერთი ძირითადი (//მთელ სისტემაში უმთავრესი) მდინარის მნიშვნელობის შეძლებისამებრ მკაფიოდ გამოკვეთის ტენდენცია, რომლის ძალითვე წერილობით წყაროებში, მაგ. სიტყვები „ლიახვი“ ან „ალაზანი“ წარმოგვიდგება სწორედ დიდი ლიახვისა და დიდი ალაზნის აღმნიშვნელ ჰიდრონიმებად, ხოლო ვახუშტის „აღწერაში“ ხევსურეთის არაგვი და ხევის არაგვის შენაკადი — შავი არაგვი შეტანილია შესაბამისად ხევსურეთის წყლისა და აჩხოტის ხევის სახელწოდებებით

სხვათა შორის, წერილობით წყაროებში დადასტურებული ნომინაციის ეს პრინციპი მართოდენ მწიგნობართა ვიწრო წრისათვის არ ყოფილა სახელმძღვანელო. როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (მთიულეთი, გულდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ქსანი, ბაზალეთი, საგურამო და სხვ.) ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, სახელწოდება არაგვის გამოყენებისას ინფორმატორები საკვლევი ჰიდრონიმის ქვეშ გულისხმობენ სწორედ ერთ უმთავრეს მდინარეს („დიდ არაგვს“), მაშინ როდესაც მისი შენაკადების ჩამოთვლისას უპირატესად კონკრეტული მდინარის კუთხური კუთვნილების მაჩვენებელი სახელწოდებით სარგებლობას არჩევენ. ჩვენს მიერ საგანგებოდ დასმულ კითხვაზე — „საიდან მოდის არაგვი? რომელი მდინარეა არაგვი?“ იშვიათი გამონაკლისის გარდა დაახლოებით ერთნაირ პასუხს ვღებულობთ: „არაგვი მოდის დუდიდან. ესაა მთავარი არაგვი. ფასანაურთან არაგვს ერთვის გულდამაყრის არაგვი, ჟინვალთან კი ფშავის არაგვი“¹⁸⁵.

მაშასადამე, არაგვთა მრავალრიცხოვნების მიუხედავად, დროთა განმავლობაში საქართველოს სინამდვილეში წარმატებით მოხერხდა საკვლევი მდინარეების სახელდების საკმაოდ „მომგებიანი“ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციის შემუშავება, რომლის ძალით სიტყვა არაგვს მთელი არაგვის სისტემის უდიდესი მდინარის აღმნიშვნელი ჰიდრონიმის როლი დაეკისრა, ხოლო მისი შემდინარეების მისა-

¹⁸⁵ ვახ. მთონიშვილი, მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1981, რკ. II, გვ. 16.

მართით უფრო კუთხური კუთვნილების მანიშნებელი აღწერილობითი შინაარსის სახელწოდებების გამოყენების პრაქტიკას მიენიჭა უპირატესობა¹⁸⁶. ასეთნაირი მიდგომის წყალობით, ცხადია, მნიშვნელოვანწილად გამარტივდა მათი ოფიციალური ნომინაცია, მინიმუმამდე იქნა რა დაყვანილი შესასწავლი ჰიდრონიმის მატარებელ მდინარეთა ერთმანეთში არევისა და ამ მიზეზით არაგვთა ზუსტი სახელდების სფეროში სერიოზული გაუგებრობის წარმოქმნის შესაძლებლობა.

სწორედ დამოწმებული ტრადიციის გაუთვალისწინებლობით აიხსნება ის, რომ თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ზოგჯერ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზეც სავსებით მართებულად გამოსახულ სახელწოდებათა („თეთრი არაგვი“, „შავი არაგვი“, „ფშავის არაგვი“, „ხევსურეთის არაგვი“) გვერდით ჰიდრონიმი „არაგვი“ საკვლევი მდინარის („დიდი არაგვის“) დინების მხოლოდ ქვემოწელი-სა და შუაწელის აღსანიშნავად არის დატანილი, მაშინ როდესაც მისი ზემოწელის აღსანიშნავად მარტოოდენ აღწერილობითი ხასიათის სახელწოდება — „თეთრი არაგვი“ არის გამოყენებული. ეფიქრობთ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით უფრო სწორი იქნებოდა „თეთრი არაგვის“ ნაცვლად რუკებზე პირდაპირ დატანილიყო სიტყვა „არაგვი“ ან უკიდურეს შემთხვევაში აქ უკანასკნელის გამოსახვის შემდეგლა აღნიშნულიყო (და ისიც ფრჩხილებში ჩასმით) სახელწოდება „თეთრი არაგვი“, რაც, მართალია, შედარებით უფრო გადატვირთავდა რუკას, მაგრამ სამაგიეროდ რამდენადმე გაამარტივებდა და ზედმიწევნით გასაგებს გახდიდა ჩვენთვის საინტერესო მდინარისა და მის შენაკადთა ოფიციალურ ნომინაციას:

¹⁸⁶ საყურადღებოა, რომ ნომინაციის ანალოგიური ტრადიცია საქართველოს სხვა რეგიონებშიც დგინდება. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება მაგ., ვახუშტის ნაშრომში დატული ის ცნობაც, რომ „ხერთვისს ერთვის ჭავახეთის მდინარე მტკუარს, რომელსა უწოდებენ ჭავახეთის მტკუარად...“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 667, 669, 670, 671), სადაც ჰიდრონიმი ჭავახეთის მტკვარი შემდინარის აღსანიშნავად საორიენტაციო მიზნით შერჩეულ სახელწოდებად დახასიათებას იმსახურებს. იგივე ითქმის სახელწოდება ალაზნის მატარებელ მდინარეთა შესახებაც, რომელთაგან მარტოოდენ ალაზნად სახელდება ყველაზე მთავარმა ალაზანმა (// წერილობითი წყაროების მიხედვით „დიდმა ალაზანმა“ ან „კახეთის ალაზანმა“) დომსახურა, მაშინ როდესაც სხვა ალაზანთა აღსანიშნავად დინერვა სახელწოდებები: „მცირე ალაზანი“ (მოგვიანებით ამ მდინარეს ეწოდა იორი). თუმცის (გომეწრის) ალაზანი და პირიქითი ალაზანი. იდენტური კრიტერიუმები იქნა გამოძენილი სახელწოდებების — არგუნისა და ლიახვის მატარებელ მდინარეთა სახელდებისას, რომელთაგან მთავარი მდინარეების (ჩანთი-არლუხისა და დიდი ლიახვის) აღსანიშნავად შემოტანილია ჰიდრონიმები არგუნი და ლიახვი, მაშინ როდესაც მათ შემდინარეთა მისამართით, როგორც წესი, გამოიყენება აღწერილობითი ხასიათის სახელები — შარო-არგუნი და პატარა ლიახვი.

ნიშანდობლივია, რომ ზუსტად ასეთი მიდგომის საფუძველზე თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ რუკებზე სახელწოდება არგუნი ჩანთი-არგუნის მაგივრად არის დატანილი, შარო-არგუნი კი მისი შენაკადის აღმნიშვნელ ჰიდრონიმად ფიგურირებს, ისევე როგორც ჰიდრონიმ „ალაზნით“ რუკებზე აღნიშნულია ისტორიული ტრადიციით ცნობილი „დიდი ალაზანი“ (//„კახეთის ალაზანი“), ხოლო თუშეთის ტერიტორიაზე მომდინარე ალაზნები შესაბამისად „თუშეთის ალაზნის“ და „პირიქითი ალაზნის“ სახელწოდებით არის გამოსახული.

საერთოდ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მთელი სერიოზულობით მივუთითოთ საქართველოს ძველი თუ თანამედროვე ჰიდრონიმიკის ჩვენებით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ სიტყვა არაგვით მხოლოდ პირაქეთი არაგვის მთელი სისტემის უმთავრესი მდინარის (//„დიდი არაგვის“) სახელების საკიროებაზე, მაშინ როდესაც შენაკადებისა და პირიქითი არაგვების აღნიშვნისას უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღწერილობითი შინაარსის სახელწოდებების („ფშავის არაგვი“, „ხევსურეთის არაგვი“, „გულამაყრის არაგვი“, „ხევის არაგვი“, „შავი არაგვი“) ან ზოგიერთი მათგანის ადგილზე მოგვიანებით დამკვიდრებული ჰიდრონიმების („თერგი“ „ასა“, „არგუნი“, „სნოსწყალი“) გამოყენება. ასეთნაირი ნომინაცია, ვფიქრობთ, განსაკუთრებით სარგებლობას მოუტანს საისტორიო გეოგრაფიისა და ეთნონიმიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს, რომელთა ნაშრომების ხარისხს არაიშვიათად ამცირებს სწორედ ამა თუ იმ ჰიდრონიმის თუ ორონიმის არაზუსტი ფორმით წარმოჩენა.

კორექტირებას საკიროებს აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის შენიშნული ერთი ხარვეზიც, გამოხატული სახელწოდება „მთიულეთის არაგვის“ გავრცელების არეალის მექანიკურ გაფართოებაში არაგვის დინების დაყოფებით, სამხრეთის მიმართულებით უინვალამდე და თვით მცხეთამდეც კი. ჭერ კიდევ ვაჟა-ფშაველა განმარტავდა, რომ „ძველს ნაქალაქარს უინვანს ორი არაგვი ერთმანეთს ერთვის, ერთი „მთიულეთისა“ და მეორე „ფშავისა“¹⁸⁷. ალ. ყაზბეგის ცნობით კი, „მთიულეთის არაგვს ეძახიან მთაში იმ არაგვს, რომელიც მტკვარს ცხეთას ქვეით ერთდება“¹⁸⁸.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ცნებების „მთიელისა“ და „მთიულის“, „მთიანეთისა“ და „მთიულეთის“ ერთმანეთთან მკლარი გაიგივებისაგან თითქმის არც ერთი ძველი ქართ-

187 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, თბ., 1964, გვ. 79.

188 ალ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 507.

ველი სწავლულის ნაშრომი არ აღმოჩნდა თავისუფალი და ამიტომ XIX ს-ის ლიტერატურაშიც საკმაოდ აშკარად იჩინა თავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის — მთიულეთის საზღვრების ხელოვნური გაფართოების (მეტწილად სამხრეთი მიჯნის შორს გადმოწევის) ტენდენციამ¹⁸⁹, ნიადაგ მარტივი ახსნა მოქმედება მხოლოდ ერთი კუთხის ფარგლებში მიღებული სახელწოდების — „მთიულეთის არაგვის“ გავრცელების არეალის თითქმის ორგზის გაზრდას. დაახლოებით იგივე ითქმის XIX ს. რუს და XX ს. ქართველ ავტორთა შესახებაც, რომელთა ნაშრომებში იმავე მიზეზით განმეორდა ადრე დაშვებული უზუსტობანი და სახელწოდება „მთიულეთის არაგვი“ ხსენებული მხარის სამხრეთით მდებარე მთის კუთხეების — ხანდოსა და ქართლის ტერიტორიაზე მომდინარე არაგვზეც იქნა გადატანილი¹⁹⁰.

ცხადია, კომენტარების გარეშე ვერ დავტოვებთ ცალკეულ მკვლევართა ნაშრომების იმ მონაკვეთებსაც, სადაც, მართალია, სავსებით სწორად არის ლოკალიზებული მთიულეთის ფარგლებში „მთიულეთის არაგვი“, ხოლო გუდამაყრის ხეობაში „გუდამაყრის არაგვი“, მაგრამ ამავე დროს თავად მდინარე არაგვიც („დიდი არაგვი“) და მისი შენაკადიც შეცდომით ერთი მდინარის ორ სათავედაა გააზრებული¹⁹¹; აგრეთვე საკუთრივ მდ. არაგვის საწყის პუნქტად სოფ. ფასანაურია გამოცხადებული (თეთრი და შავი არაგვის შესაყარი ადგილი)¹⁹², ან კიდევ პირაქეთი არაგვის ერთ-ერთ სათავედ მისი შენაკადია (ხადის წყალი ან ისტორიული „ციკარას წყალი“) მიჩნეული¹⁹³.


185 ამასთან დაკავშირებით იხ. ვახტ. ი თ ო ნ ი შ ე ი ლ ი, არაგვის ხეობა., გვ. 7—10, 57—82.

190 Г а н К. О. Путешествие в страну пшавов, хевсур, кистни и ингушей (летом 1897) КВ, № 4, 1900, с. 41; ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, გვ. 12—13 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, აკად. ს. ჭ ა ნ ა შ ი ა ს სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII—B. თბ., 1962, გვ. 58; მისი ევე, არაგვისა და თერგის ხეობა, ისტორიულ-არქეოლოგიური გზაშეკვლევი, თბ., 1972, გვ. 20; ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს მ ც ი რ ე ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, შეადგინა ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ შ ა, თბ., 1969, გვ. 355; 359; ჟ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ, V, თბ., 1975, გვ. 72; გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, მთები და სახელები, გვ. 8, 142; რ. რ ა მ ი შ ე ი ლ ი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, „მნათობი“, № 8, 1986, გვ. 131, ქსე, ტ. II, თბ., 1987, გვ. 230, 385 და სხვ.

191 В е и д е н б а у м Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

192 Ц а б а е в В. Т., По Военно-Грузинской дороге, Ордж., 1961, გვ. 45.

193 გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.



სქემა 1.

შემჩნეული ხარვეზების აღმოფხვრისა და ჩატარებული კვლევის შეჯამების საფუძველზე, ვფიქრობთ, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების გაანალიზების გზით შედგენილი რუკა, სადაც წარმოდგენილია არაგვად სახელდებულ მდინარეთა ტრადიციული ნომინაციის საბოლოოდ დაზუსტებული ასურათი (იხ. სქემა 1).

მართალია, მოცემულ რუკაზე ერთმანეთის გვერდით არის დატანილი როგორც ჩვენს ეპოქამდე მტკიცედ შემონახული, ისე ხალხის მიერ სრულიად დავიწყებული ან ხმარებიდან ამოვარდნილი, თუმცა მთიელთა მესხიერებიდან ჯერ კიდევ ბოლომდე წაუშლელი სახელწოდებანი, აგრეთვე ძველ სახელწოდებათა ადგილზე მოგვიანებით დამკვიდრებული ჰიდრონიმები, მაგრამ არა გვგონია, ამან რუკის გაცნობისას დამკვირვებელთ რაიმე სიძნელეები შეუქმნას, ვინაიდან ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის მასზე კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმით არის გამოსახული არაგვად სახელდებულ მდინარეებზე გვიან გავრცელებული, თუმცა დღეს ხმარებაში დანერგილი ჰიდრონიმები („თერგი“, „სნოსწყალი“, „ასა“, „არგუნი“), ხოლო ოთხკუთხა ფრჩხილებში ჩასმით წარმოდგენილია დროთა განმავლობაში უკვალოდ გამქრალი (და სიტყვათა დაწყვილებით მიღებული) სახელწოდებები (ვახუშტისეული „შავი არაგვი“, „თეთრი არაგვი“, „ხევის არაგვი“).

ცხადია, წარსულში ხმარებული სახელწოდებების რუკაზე დატანა სულაც არ არის ნაკარნახევი მათი „რესტავრაციის“ აუცილებლობით. უბრალოდ, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის პროცესში სისტემატურად გვიხდება ამ სახელწოდებებით სარგებლობა, რაც თავისთავად გვავალებს წარსულში მიღებულ ნომინაციაზე ზუსტი წარმოდგენის შემუშავებას.

არაბვი და არაბველები

საყოველთაოდ ცნობილია კრწანისის ომში დაღუპული სამასი არაგველის საარაკო გმირობის ამბავი. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა საკმაოდ რელიეფურად იქნა ასახული XVIII—XIX სს. ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში¹, ხოლო მადლიერმა შთამომავლობამ სამშობლოსათვის თავდადებულ წინაპართა ნათელი ხსოვნა თბილისის ერთ-ერთ უბანში აღმართული დიდებული ძეგლითაც უკვდავყო. ქართველთა შორის უთუოდ მინიმალურია თუნდაც არადამკამაყოფილებელი ერუდიციის მქონე იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არაფერი სმენოდეთ ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ, მართლაც, ტრაგიკული ეპიზოდის შესახებ, ან კიდევ ერთხელ მაინც არ წაეკითხოთ გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“, სადაც ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ მამულიშვილთა წმინდა სახელების გვერდით კრწანისის ბალებთან ერთიანად გაწყვეტილი მთიელებიც ფიგურირებენ:

„აი სამასნი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი

მეფის შეწვენად და მის წინ. მისთვისე შეფიცებულნი:

—„თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსლდევენთ მტრის ძალი, იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი!“

და გარდინწერეს პირ-ჯვარი... ვაჟკაცებრ ხმალი იწიშვლეს..

და შვარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხესა სიმრავლეს!

შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს...

ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს... მათცა სიკვდილით შემოწმეს!

... და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი, აწ ეკმზერთ სიამით ბაღთ მწვანეთ...“

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1972, გვ. 33, 35, 42; ალექსანდრე ვახტანგის ძე ჭამბაქურ-ორბელიანი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ტფილისში, უკრნ. „მოამბე“, 1895, № 7, გვ. 118, 159; გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 97; ი. გოგებაშვილი, სამასი თავდადებული გლეხი, კრ. „საგანძირი“, ვალ. რამიშვილის რედაქციით, თბ. 1986, გვ. 402—408; ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), ელ. ვირსალაძის გამოც., თბ., 1958; გვ. 153-154; ვახტ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 268—269; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ქს. სიხარულიძის გამოც., თბ., 1964, გვ. 24—25; ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბ., 1984, გვ. 43, 57.

მაგრამ კრწანისის ველზე დაცემულ გმირთა ღვაწლის ღირსეული დაფასების მიუხედავად ჩვენში, თითო-ოროლა მთიელის გამოკლებით, თითქმის არავის არ გააჩნია რამდენადმე მართებული წარმოდგენა სამასკაციან რაზმში გაერთიანებულ „კარგ ყმათა“ სადაურობის შესახებ. სხვათა შორის, სწავლულთა ფართო წრეებშიც კი ერთობ პრობლემატურია სამასი არაგველის ვინაობაში სრულფასოვნად გარკვეული მკვლევრის მოძებნა. სამაგიეროდ, ძალზე დიდია ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსებით დაინტერესებულთა რაოდენობა. პირველ რიგში კი ეს შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთის მხარეებს, რომელთა მოსახლეებს (ერთი მხრივ, მთიულთა, გუდამაყრელთა, ხანდოელთა და მოხევეთა, ხოლო მეორე მხრივ — ფშაველთა და ხევსურთა) შორის უკვე კარგა ხნის მანძილზე გაუთავებელ დავას აქვს ადგილი ერეკლე II-ის დროშის ქვეშ დარაზმული სამასი პატრიოტის კუთხური კუთვნილების გარშემო. არადა ეს ნამდვილად არაჯანსაღი „პოლემიკა“ იმთავითვე აშკარა პროვინციალიზმის ვიწრო ჩარჩოებში გამოიყვება და ის მეტისმეტად არასოლიდურ, ტენდენციურ ხასიათს ატარებს, რასაც ყველაზე მტიკინეულად თავად მოპაექრე მხარეები განიცდიან. ამდენად, პრობლემური ორიენტაციიდან გამომდინარე, დროა აღნიშნულ საკითხში სათანადო სიცხადე იქნას შეტანილი საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების ვრცლად გამომზეურებისა და მათი ობიექტური გაანალიზების შუქზე.

სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ ითქვას, რომ სამასი არაგველის ვინაობის განსაზღვრისას სერიოზული დაბნეულობის წყაროდ იქცა ზემოხსენებულ მთიელთა შორის მიღებული ხალხური ნომინაციის ტრადიცია. ამ უქანასკნელის ძალით, „მუნებურ“ მოსახლეობაში გავრცელებული შემკრებლობითი შინაარსის ტერმინების „არაგვის“, „საარაგვოს“ ქვეშ იგულისხმებოდა არაგვად წოდებულ მდინარეთა ხეობებში ლოკალიზებული ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რის შესაბამისად „არაგველებად“ თვლიდნენ თავს არა მარტო მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ქართლები და მოხევეები, არამედ ფშაველებიც და ხევსურებიც. ამასთან, როგორც მთიულურ, მოხეურ, ფშაურ და ხევსურულ ლექსებსა და ადგილზე დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, „არაგველად“ თავის წარმოჩენის პრაქტიკას მთიელებში განსაკუთრებით საპრესტიჟო ხასიათი უნდა მიეღო კრწანისის ეპოპეის შემდგომ ხანაში, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით ფართოდ გახმაურებულმა ამბავმა სამასი არაგველის თავდადების შესახებ გმირობის ერთგვარ ეტალონად ქცეულ სიტყვა „არაგველს“, მართლაც საყოველთაო აღიარება მოუპოვა. აკი თვით გენიალური ვაჟა-ფშავე-

ლაც დაუფარავი სიამაყით აცხადებდა: „მე არაგველი გახლავართ“-ო?, ხოლო მთიულეთში, გუდამაყარნი, ხევში, ხევსურეთსა და ფშავში დროთა განმავლობაში ერთობ მომრავლდა ისეთი პოეტური ქმნილებები, სადაც სიტყვები „არაგვი“ და „არაგველი“ უკვე აშკარად კონკრეტული კუთხის პოპულარიზაციის სამსახურში ჩანს ჩაყენებული:

„მე ვარ ხევსური, არაგვის შვილი, მტკვრის ნათესავი...
მტკვარს შიგ ერევა არაგვის ძალი, არაგვიანთა ხელში აქეთ ხმალი“...³

„ოსო, გუდუნით ნაზარდო, შენ, იმერელო — ლომითა,
საწყალო არაგვის კაცო, გაუმძღარო ომითა“⁴.

„ამბობენ მთიულთ შვილები: დრო არის ჩვენი ცდისაო,
მტერს კიდევ ერთხელ ვუჩვენოთ ძალი არაგველთ ხმლისაო“⁵.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ქვემარტივების დადგენაზე მეცადინეობას არსებითი სიძნელეები ახლავს, ვინაიდან მარტოოდენ ხალხური სიტყვიერების მასალებსა და მთხრობელთა ინფორმაციაზე დაყრდნობის შემთხვევაში ჩვენთვის ფაქტიურად ბოლომდე ნათელი ხდება მხოლოდ ის, თუ მაინც რომელი „მთის ალაგების“ მკვიდრნი სარგებლობდნენ წარსულში არაგველებად საკუთარი თავის სახელების უფლებით, მაშინ როდესაც თვით სამასი არაგველის ვინაობა კვლავ გამოუცნობი რჩება. სხვათა შორის, სწორედ ფოლკლორული შონაცემების მიხედვით რესტავრირებული სინამდვილისადმი სრული ნდობის გამოცხადების პრაქტიკასა და მდიდარი ფშავ-ხევსურული პოეზიის, აგრეთვე ვაჟას ნაწარმოებთა განსაკუთრებულ ავტორიტეტს უნდა ვუმაღლოდეთ იმ გარემოებას, რომ დღეისათვის კახეთის მთიანეთის ეგზოტიკით აშკარად გატაცებულ მკითხველთა უმრავლესობა და საერთოდ საქართველოს ნებისმიერი კუთხის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი თითქმის ბოლომდეა დარწმუნებული არაგველებთან პირველ რიგში ფშავ-ხევსურთა უყოყმანო გაიგივების მიზანშეწონილობაში⁶. როგორც ჩანს, იგივე ფაქტორით აიხსნება ზოგიერთი ავტორის მიერ კრწანისის ომში ერეკლე II-სთან პირნათლად გამოცხადებულ და თბილისთან თავდადებით მებრძოლ მთიელებად მხოლოდ

² ვაჟა ფშაველა, თხზ., ტ. IX, თბ., 1964, გვ. 345.

³ ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, თბ., 1979, გვ. 98.

⁴ იქვე.

⁵ ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1981, რვ. I, გვ. 73.

⁶ ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩატარებული საგანგებო გამოკითხვამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო, რაც ხშირად არ ემთხვეოდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის პერიოდს.

თუშ-ფშავ-ხევსურთა მიჩნევა, ხოლო დანარჩენ „მთის კაცთა“ დამსახურების იგნორირება⁷. მოვლენათა ამგვარი განვითარების საერთო ფონზე კი, ვფიქრობთ, სავსებით კანონზომიერია ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილ სხვა არაგველთა (მთიულთა, გუდამაყრელთა, ხანდოელთა, მოხვეეთა, ჭართლის მოსახლეთა) სამართლიანი უკმაყოფილება საკვლევი საკითხისადმი უდავოდ ცალმხრივი დამოკიდებულებით, რაც გამოხატულებას პოულობს მათ ერთობ კატეგორიულ, ზოგჯერ ზედმეტად მკაცრ მტკიცებებში:

„...ჩვენ გვქვიან არაგველები. არაგვის სათავეში ვართ ჩენა. აქ მთიდან გამოდის. თქვეს: „თუ დავიჯოცებით, ისე არ დავიჯოცებით, თითომ ათი კაცი არ ვიმსხვერპლოთ“. ის ჩვენი პაპები იყვნენ. არაგვს რა უნდა ხევსურეთში. ფშავლები და კვესურები წააყენეს, მთელი მთიულეთის. შრომა იმათზე გადაიტანეს, ეგვა“⁸. „...ჩვენ ვართ არაგველები. მწერალი არ გვყოლია და აბა ვინ დაწერდა ჩვენზე“⁹.

ამიტომ, შექმნილ სიტუაციაში სამასი არაგველის სადაურობის საკითხში მართებული ორიენტაციისა და მთიულთა მორიგი საყვედურისაგან თავის დაზღვევის აუცილებელ პირობად ძალაუვნებურად იქცევა ჩვენს განკარგულებაში არსებული წერილობითი მონაცემების ვრცლად გამოვლენა და მათზე დაყრდნობით ისტორიული ტრადიციით ცნობილი ტერმინების — არაგვის ხეობის, არაგვის, არაგველების მნიშვნელობის გამორკვევა, აგრეთვე ამ სახელების გავრცელების არეალის ზუსტად ჩვენება, რის შემდეგაც ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალაც გაცილებით უფრო ეფექტიანად შემოდის ბრუნვაში.

როგორც სხვადასხვა პერიოდის წერილობით წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, არაგვის ხეობად („კვეი არაგვისა“, „ვეობა არაგვისა“) წოდებული მხარე აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად იმსახურებს დახასიათებას, რომლის ფარგლებში ისტორიული ტრადიციის თანახმად იგულისხმება მდ. არაგვის (ვახუშტისეული „შავი არაგვის“) ნაპირებზე და მის შემდინარეთა (გუდამაყრის არაგვი, ხანდოს ხევი, ჭართლის ხევი, ვაშლობის ხევი, ვემათხევი და სხვ.) ხეობებში ლოკალიზებული ტერიტორიული ერთეულები: ხერკი (გვიანდელი საგურამო), ბაზალეთი, სამუხრანოს აღმოსავლეთი ნაწილი, ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი (ძველი ხადა და ცხავატი).

7 თ. უორდანი, „ქრონიკები“, III, თბ., 1967, გვ. 431; თ. შაიშველაშვილი, კრწანისის ბრძოლა, თბ., 1944, გვ. 39.

8 ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 182.

9 ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1984, რკ. 2, გვ. 16.

არსებული მონაცემების თანახმად არაგვის ხეობას არ „მეიწერება“ ფშავის არაგვისა და მისი შენაკადი ხევსურეთის არაგვის ხეობა, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე ადგილი ჰქონდა აღნიშნული რეგიონის მოცულობის დადგენის ცდას არაგვად წოდებულ მდინარეთა ერთიან აუზის ფართობთან სრულ შეფარდებაში, რაც იწვევდა არაგვის ხეობად სახელდებული მხარის ფარგლებში ფშავ-ხევსურეთის მექანიკურ შეყვანას¹⁰.

არაგვის ხეობის მოცულობის ამ ორ სხვადასხვაგვარ გაგებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ბუნებრივად იქცევის ყურადღებას ის საგულისხმო დეტალი, რომ საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით ხერხდება იდენტური სახელწოდების მატარებელ და, რაც მთავარია, ერთ ჰიდროსისტემაში გაერთიანებულ მდინარეთა აღრიცხვა. ასეთებად გვევლინებიან მტკვარი და მისი შენაკადი ჭავახეთის მტკვარი, დიდი ლიახვი და მისი შემდინარე პატარა ლიახვი, თუშეთის (გომეწრის) ალაზანი და მისი შენაკადი პირიქითი ალაზანი, დიდი ალაზანი (ან უბრალოდ ალაზანი) და მისი შემდინარე მცირე ალაზანი (ან იორი, რომელიც მინგეჩაურის წყალსაცავის შექმნამდე დიდ ალაზანს ერთვოდა), ჩანთი-არგუნი და მისი შენაკადი შარო-არგუნი (ჩაჩნეთ-ინგუშეთი), ავარიის ყოისუ და მისი შემდინარეები — ანდიის ყოისუ, ყარა-ყოისუ და ყაზი-ყუმუხის ყოისუ (დაღესტანი). მაგრამ ჩამოთვლილ მდინარეთა კუთვნილება ერთსა და იმავე აუზისადმი და მათი ადეკვატური ნომინაცია ნიადაგ ვერ გახდის სადავოს იმ ფაქტს, რომ ჭავახეთის მტკვრის, პატარა ლიახვის, პირიქითა ალაზნის, მცირე ალაზნის, შარო-არგუნის ან ანდიის ყოისუს ხეობები სრულიად დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს წარმოადგენენ და არა შესაბამისად მტკვრის, ლიახვის, თუშეთის ალაზნის, ჩანთი-არგუნის ან ავარიის ყოისუს ხეობების შემადგენელ ნაწილებს. ავი წერილობით წყაროებშიც ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს თავს ხსენებულ ხეობათა მტკიცე ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია, რაც მკაფიოდ იკვეთება თუნდაც პატარა ლიახვის და დიდი ლიახვის ხეობების ურთიერთმიმართების მაგალითზე¹¹.

¹⁰ არაგვის ხეობის, ვითარცა განსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, მიჯნების დაზუსტებასთან დაკავშირებით იხ. ვახტ. ი თ ო ნ ი შ ე ი ლ ი, არაგვის ხეობა, გვ. 15—20, 158—159.

¹¹ ვახუშტი ბგრატიონი ერთმანეთისაგან განცალკავებით აღწერს დიდი ლიახვის ხეობას და პატარა ლიახვის ხეობას და მიზანშეუწონლად თვლის ამ ორი სხვადასხვა ხეობის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად „ლიახვის ხეობის“ დანერგვას ხმარებაში (ვა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 362, 368—373); ანალოგიური სურათი

ასევე, არაგვის ხეობასაც, ცხადია, ხელოვნურად ვერ „მოვატმას-წებთ“ ფშავის არაგვის ხეობას მარტოოდენ იმ მოტივით, რომ არაგვადვე წოდებული ფშავის მდინარე ნეფისკალოს მთიდან მომდინარე უმთავრესი არაგვის (// „დიდი არაგვის“) შენაკადს წარმოადგენს და ამდენად მის აუზს განეკუთვნება. ესოდენ მცდარი მიდგომის ნაცვლად უპრიანია ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის „არაგვის ხეობის“ პარალელურად ხმარებაში დაინერგოს გამოთქმა „ფშავის არაგვის ხეობა“ ისევე, როგორც უკვე დიდი ხნის მანძილზე წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაშიც ერთმანეთის გვერდით ფიგურირებენ სახელწოდებები: „დიდი ლიახვის ხეობა“ და „პატარა ლიახვის ხეობა“, „მტკვრის ხეობა“ და „ჯავახეთის მტკვრის ხეობა“, „ჩანთი-არგუნის ხეობა“ და „შარო-არგუნის ხეობა“ და ა. შ. ამგვარი სახელდება, ჩვენი აზრით, მთლიანად შეესაბამება საქართველოს მიწა-წყლის რეგიონალური დარაიონების პრინციპებს, რომელთა საფუძვლიან აპრობაციას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამდენად, ჩვენ მოვალეობას შეადგენს მათი სრულყოფა და არა ნაჩქარევად კორექტირება, მით უმეტეს ხელაღებით უგულვებელყოფა.

სხვათა შორის, ვითარების ასეთნაირ შეფასებასთან დაკავშირებით აუცილებელია განიმარტოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ქართალი, ქსანი, მუხრანი, საგურამო, ბაზალეთი) შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვითაც სახელწოდება „არაგვის ხეობა“ ძირითადად ფარავს სწორედ ტერიტორიას მცხეთიდან ვიდრე ლუდის ხევის სათავემდე, ანუ არაგვის სისტემის უმთავრესი მდინარის ორივე ნაპირზე (არაგვის გზის აყოლებასზე) და მის შენაკადთა გვერდით ხეობებში მდებარე რაიონებს¹². თუმცა არაგვის ხეობის მოცულობის ამგვარი გაგების საპირისპიროდ ფშავ-ხევსურეთში იგივე ტერმინი გამოიყენება არაგვის აუზში შემავალი და არაგვად წოდებული ნებისმიერი მდინარის ხეობის მისამართითაც¹³. ამასთან, ფშაველ და ხევსურ

ის:ტება ი. ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში (იხ. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა..., გვ. 37—41) და სხვა საბუთებში (იხ. АКАК, т. VII, Типл., с. 359, 361, 376; История Юго-Осетии (в документах и материалах), т. II, сост. И. Н. Цховребов, Сталинир, 1960, с. 261 და სხვ.)

12 ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალები 1981 წ., რვ. 11, გვ. 16; 1982 წ., რვ. I, გვ. 47; 1983 წ., რვ. № 11, გვ. 45; 1984 წ., რვ. № 2, გვ. 11; მისივე, ხანდოს ეთნოგრაფიული მასალები, 1979 წ., რვ. № 11, გვ. 9; მისივე, ქსნის ეთნოგრაფიული მასალები, 1985 წ., რვ. № 1V, გვ. 17; მისივე, საგურამოს ეთნოგრაფიული მასალები, 1987 წ., რვ. № 2, გვ. 10 და ა. შ.

13 ვახტ. ითონიშვილი, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1987 წ., გვ. 78; ფშავის ეთნოგრაფიული მასალები, 1987 წ. გვ. 3.

მთხრობელთაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, არაგვად სახელდებულ მდინარეთა ხეობებისაგან შემდგარი ერთი მთლიანი ტერიტორიის (// არაგვის აუზის ფარგლებში ლოკალიზებული ქვეყნების) აღსანიშნავად ფშავსა და ხევსურეთში გამოიყენებოდა ტერმინი „საარაგვო“¹⁴. ხალხის მიერ ხმარებაში დანერგილი ეს სახელწოდება, ვფიქრობთ, სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას და ის ალბათ გარკვეული უპირატესობითაც სარგებლობს არაგვის ერთიან აუზთან შეფარდებული ვრცელი ტერიტორიის აღსანიშნავად რამდენადმე ვარგის სხვა სავარაუდო სახელწოდებებთან (მაგ. „არაგვთა ხეობა“ ან „არაგვისა და მის შემდინარეთა ხეობა“) შედარებით. ამდენად, არაფერია გასაკვირი, რომ ზოგიერთი მკვლევრის სწორი დაკვირვების წყალობით „საარაგვო“ სამეცნიერო მიმოქცევაშიც იქნა შემოტანილი არაგვად წოდებული ყველა მდინარის ხეობათაგან შემდგარი ვრცელი გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელი ყველაზე ოპტიმალური ზოგადი სახელწოდების სახით¹⁵. მართალია, ჩვენ ამ სიახლეს სავსებით ვუჭერთ მხარს, მაგრამ ხსენებული ტერმინის გამოყენების პარალელურად სავალდებულოდ მიგვაჩნია კვლავ მივეუთითოთ „არაგვის ხეობის“, ვითარცა არაგვის მთლიანი აუზის ფართობის შესაბამისად შემოფარგლული ტერიტორიის აღმნიშვნელი სახელწოდების, ხმარებიდან ამოღებისა და ასეთი მცდარი სახელდების ნაცვლად სწორედ „საარაგვოს“ შემადგენელ ორ სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად „არაგვის ხეობისა“ და „ფშავის არაგვის ხეობის“ წარმოჩენის აუცილებლობაზე.

მაშასადამე, მდინარეთა სახელწოდებების უბრალო დამთხვევისა და ჰიდროლოგიური ნიშნის მიხედვით არაგვის ხეობად წოდებული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნების გაზრდა მასში ფშავის არაგვის ხეობის შეყვანის ხარჯზე დაუშვებელია.

ცხადია, კიდევ უფრო მიუღებელია მარტოოდენ ჰიდროობიექტთა ერთნაირი ნომინაციის გამო არაგვის ხეობის მოცულობის გა-

¹⁴ იქვე.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ ხევსურეთში ტერმინით „საარაგვო“ აღინიშნება ხსენებული კუთხის ტერიტორიის გარკვეული ნაწილიც — მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე. (როშკისწყალსა და ორწყალს შორის მოქცეული) ტერიტორია, სადაც ლოკალიზდება სოფლები: გველეთი, დათვისი, მოწმარ, ჭკეხა, სახილე, ბარისახო, ჩირდილი, უკანახო, ბუნუკურთა, ოხერხევი, საბერწე. საერთოდ ხევსურეთის სხვადასხვა რაიონების მისამართით ხმარებაშია დანერგილი სახელწოდებები: „საარაგვო“, „ლიქოცი“, „წუალსიქითი“, „გორშელმა“, „ბისო-ხახმატის ხეობა“, „მთახიქითი“, „მიღმახევი“, „არხოტი“. ასეთნაირი დარაიონების პრინციპებზე სხვა დროს გვექნება საუბარი.

¹⁵ რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, შ. „მნათობი“, 1986, № 8, გვ. 129.

ფართოება მასში თერგის ხეობის ანუ პირიქითი არაგვის (ხევის არაგვის) ხეობის მექანიკური შეყვანის გზით, რასაც ასევე ჰქონდა ადგილი სხვადასხვა პერიოდის წერილობით წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში¹⁶.

ამჯერად სერიოზული შეცდომის გამომწვევ მიზეზად უნდა დავასახელოთ ძველ და თანამედროვე სწავლულთა ერთი ნაწილის მიერ სახელწოდება „არაგვის ხეობის“ უნებლიე იდენტიფიკაცია სიტყვა „კევთან“ (ან „კეობასთან“) ჩვეულებრივი დაწყვილების გარეშე ოფიციალურ დონეზე ხმარებულ ტერმინ „არაგვთან“, რომლითაც ტრადიციულად აღინიშნებოდა არა მარტო არაგვის ხეობა (თემურ ლენგი „... მივიდა კევსა არაგვსასა... მოაოჯრა და აღილო სიმაგრენი ყოველივე არაგვსა“¹⁷ ან „... შეიარეს არაგვ და გარდავლეს ჯუართა ყელი“¹⁸) და პირიქითი არაგვის (ხევის არაგვის, გვიანდელი თერგის) ხეობა („... ხლო გიორგი ძმაჲ ერისთავისაჲ უმცროსი ლაშქრობდის იქით არაგვსა და ტყუენვიდის“¹⁹), არამედ დაახლოებით XIV ს. წარმოქმნილი არაგვის საერისთავოც (1743 წ. შემდეგ არაგვის საუფლისწულოდ გარდაქმნილი), სადაც უკვე არაგვისა და თერგის ხეობების თანაარსებობა იგულისხმება საერთო საზღვრების ფარგლებში. ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „არაგვი“ ნაჩქარევად იქნა გაიგივებული ასევე დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგი-

16 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქს, II, გვ. 350; ახალი ქართლის ცხოვრება, შესამე ტექსტი, ქს, II, გვ. 488; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 393; პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1981, გვ. 53; წიგნი ერეკლე II-ისა ყულარაღას გიორგისადმი მორიგისათვის თავის ამრიღებელთა დარბევის შესახებ (1776 წ.), ქსძ, ტ. II, გვ. 416; AKAK, T. I, c. 470, T. IV, ТИФЛ., 1870, c. 120; T. V, ТИФЛ., 1873, c. 421, T. VI, ТИФЛ., 1874 c. 367; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 344; კ. ტაბატაძე, ქართული ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს-ის მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 34; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 181-182; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1981, გვ. 72 და ა. შ.

შენიშვნა: ზოგიერთი ავტორის ნაშრომში არაგვის ხეობის მოსახლეობად შეცდომით თუშუბეც კი არიან გამოცხადებულნი. (იხ. დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72).

17 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქს, II, გვ. 334.

18 ძველი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 105.

19 იქვე, გვ. 110.

ონის მისამართით გამოყენებულ სახელწოდება „არაგვის ხეობასთან“ (ან უბრალოდ „არაგვთან“), ამით არაგვის ხეობად წოდებული რეგიონის მოცულობაც ძალაუვნებურად განისაზღვრა არაგვად სახელდებული საერისთავოს (გვიანდელი საუფლისწულოს) საზღვრების შესაბამისად, რის კვალობაზე ხევის არაგვის ხეობაც („იქითა არაგვიც“) მექანიკურად არაგვის ხეობას მიაწერეს.

ესოდენ არამართებული მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ ილუსტრაციას კი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის სოფლების 1774 წლის აღწერისა და არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის სოფლების 1781 წ. აღწერის მცდარი დასათაურების პრინციპი, როდესაც XVIII ს-ის სინამდვილის ამსახველი ამ ძვირფასი სტატისტიკური დავთრებისათვის შერჩეულ იქნა შესაბამისად სახელწოდებები — „აღწერა არაგვის ხეობისა“ და „1781 წ. არაგვის ხეობის აღწერა“ რითაც „არაგვის“ (ყოფილი არაგვის საერისთავოს, იმხანად უკვე არაგვის საუფლისწულოს) აღწერაში აღრიცხული თერგის ხეობის სოფლები ფაქტიურად არაგვის ხეობაში ლოკალიზებულ პუნქტებად გამოცხადდა²⁰. საყურადღებოა,

²⁰ 1774 წლის არაგვის ხეობის აღწერა; „მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მთვარამეტე საუკუნეში“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ. 1907 წ. გვ. 407—486; 1781 წ. არაგვის ხეობის აღწერა, ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბ. 1967, გვ. 105—119, 247.

შენიშვნა: აუცილებელია განიმარტოს, რომ ერთ-ერთ ნაშრომში ჩვენ ქართლ-კახეთის მოსახლეობის 1770 წ. აღწერა, აგრეთვე ყოფილი არაგვის საერისთავოს 1774 და 1781 წლების აღწერები იმის დამამტკიცებელ საბუთად გვაქვს მოყვანილი, თუ რაოდენ ხელოვნურად ხდებოდა ძველი სტატისტიკოსების მიერ არაგვის ხეობის მოცულობის გაზრდა მასში ხევისა და თრუსოს შეყვანის შედეგად (იხ. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, გვ. 20). ამით ჩვენ ნაჩქარევად „მივიწერეთ“ 1770 წ-ის ქართლ-კახეთის ხალხის აღწერის ჩამტარებლებს ცნებების „არაგვისა“ და „არაგვის ხეობის“ მცდარი გაიგივება და ამის მიზეზით არაგვის ხეობის შეფარდება მთელი არაგვის საერისთავოს (ან უფრო სწორად არაგვის საუფლისწულოს) ტერიტორიასთან, ანუ ის უზუსტობა, რაც მხოლოდ 1774 და 1781 წწ-ის არაგვის საუფლისწულოს აღმწერლების და „აღწერაო“ გამოცემულების მიერ იქნა დაწებული. სინამდვილეში 1770 წლის ქართლ-კახეთის აღწერაში ხსენებული სიტყვა „არაგვი“ იმხანად არაგვის საუფლისწულოდ გარდაქმნილ არაგვის საერისთავოს შეეფერება და არა არაგვის ხეობას (იხ. ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წ., ქსმ, II, გვ. 420). მართალია, 1774 და 1781 წლის აღწერების ჩამტარებლებს ასევე აინტერესებდათ არა მარტომაც არაგვის ხეობის აღწერა, არამედ „ჩამი არაგვისა“ (ე. ი. ყოფილი არაგვის საერისთავოს ხალხისა), მაგრამ გაწეული მუშაობის შედეგად შედგენილი სტატისტიკური დავთრების დასათაურებისას მათ რატომღაც უპირატესობა მიანიჭეს სახელწოდებებს „აღწერა არაგვის ხეობისა“ და არა სახელწოდებებს „აღწერა არაგვისა“.

რომ ანალოგიური ხასიათის შენიშვნას იმსახურებს 1781 წლით დათარიღებული ქსნის საერისთავოს აღწერის („აღწერა ქსნისა“) დასათაურება „1781 წლის ქსნის ხეობის აღწერად“ (ან „ქსნის ხეობის მცხოვრებთა 1781 წ. აღწერად“); ამ შემთხვევაშიც ცალმხრივადაა გაგებული ქსნის საერისთავოს მისამართით გამოყენებული სახელწოდების — „ქსანის“ მნიშვნელობა და ამ ზოგადი შინაარსის ტერმინის ქვეშ მარტოოდენ ქსნის ხეობის დანახვის შესაბამისად ქსნის ხეობის შემადგენელ ნაწილად არის გააზრებული აღმწერთა მიერ აღრიცხული არაერთი დასახლებული პუნქტის შემცველი მეჭუდის ხეობაც²¹.

ვფიქრობთ, გამოვლენილ ხარვეზებზე საგანგებოდ მითითება და განსაზღვრული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ოფიციალური ტერმინის — „არაგვის“ შინაარსის მართებულად გახსნა. გვაძლევს იმის საიმედო გარანტიას, რომ მომავალში მაინც აღარ გაკირდება დამოწმებული „აღწერებისათვის“ ყველაზე შესაფერისი სათაურების შერჩევა, ერთი მხრივ, „არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის მოსახლეობის 1774 წლის აღწერის“, ხოლო მეორე მხრივ, „არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის მოსახლეობის 1781 წლის აღწერის“ სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, არ გიქნებით დაზღვეული ცნებების „არაგვისა“ და „არაგვის ხეობის“ ერთმანეთში არევის ნიადაგზე წარმოქმნილი მორიგი გაუგებრობისაგან.

საერთოდ, ისტორიული შიდა ქართლის ფარგლებში წარმოქმნილი ერთ-ერთი საერისთავოს (შემდეგ კი საუფლისწულოს) აღმნიშვნელ ოფიციალურ ტერმინად გადაქცევამდე სახელწოდება „არაგვი“ „არაგვის ხეობის“ იდენტური შინაარსით ჩანს გაფორმებული. ამას გვაფიქრებინებს XIV—XVIII სს-ის ზოგიერთ წერილობით ძეგლზე დაკვირვება, სადაც არაიშვიათად, „არაგვის ხეობის“ („ჴევი არაგვი-სა“, „ჴეობა არაგვისა“) ნაცვლად ძველი ავტორები არჩევენ უბრალოდ სიტყვა „არაგვის“ გამოყენებას (თემურ-ლენგი „... შეუხდა არაგუს, შემეუსრნა სიმაგრენი და მოაოჯრნა...“²²), რომელიც, ცხადია, პირიქითაა არაგვის (გვიანდელი თერგის) ხეობაზეც ვრცელდებოდა („... და მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგვსა“²³). მეტად ნიშანდობლივია აგრეთვე დღემდე შემონახულ ხალხურ (მთიულურ) სადიდებელში ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მოხსენიება „არაგვი-

21 1781 წ. ქსნის ხეობის აღწერა, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 205—225; 227—246; 247.

22 ვახუშტი, აღწერა... გვ. 271.

23 ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 109.

სა“ და „ქსნის“ (ე. ი. არაგვისა და ქსნის ხეობების) თავდამყურე და „არაგვის მეპატრონე“ სალოცავად („პირმა დაგლოცოსთ ღვთისამა... ლომისამ თორმეწამემა, პატრონმან არაგვისამან“²⁴ ან „...ღმერთო, გაუშარჯვეო... ქსნის და არაგვის დამყურებელს დიდ ლომისასაო“²⁵), სადაც ტერმინ „არაგვის“ ქვეშ კვლავ „არაგვის ხეობა“ იმალება²⁶.

მაშასადამე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სახელწოდება „არაგვს“ საკმაოდ შორეულ წარსულში გააჩნდა განსახვდრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინის ღირებულება, რომლის გამოყენების არეალად წარმოსადგენია როგორც თავად არაგვის ხეობა, ისე ხევის არაგვის ხეობა (// პირიქითი არაგვის ხეობა). ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ნამდვილად გაუმართლებელია ლაპარაკი ოფიციალურ დონეზე მიღებულ ნომინაციასთან ხალხური სახელდების ტრადიციის თუნდაც მინიმალურ შეუსაბამობაზე, ალბათ დაბეჭითებით შეიძლება გაეცხას ხაზი წერილობით წყაროებში რამდენადმე დაგვიანებით ასახულ სახელწოდება „ორი არაგვის“ არქაულობის ფაქტს.

როგორც ჩანს, არანაკლებ ახლოს დავდგებით სინამდვილესთან, თუკი ფშავის არაგვისა და მის შემდინარე ხევსურეთის არაგვის ხეობის აღმნიშვნელ ძირძველ ხალხურ ტერმინად ასევე „არაგვს“ გავიაზრებთ, მით უმეტეს, რომ ეთნოგრაფიული მასალაც მხარს უჭერს ასეთი ვარიანტის დაშვებას: ფშავლები და ხევსურები ხომ თავიანთი სამოსახლო კუთხეებისაგან შემდგარი ერთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად არაიშვიათად გვთავაზობენ სწორედ „არაგვს“ და არა „არაგვის ხეობას“.

ამდენად, წინათქმულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის („არაგვის ხეობა“, „ფშავის არაგვისა და მის შემდინარე ხევსურეთის არაგვის ხეობა“, „ხევის არაგვის ხეობა“) მისამართით ძველთაგანვე გამოყენებულ სამ ზოგადი შინაარსის სახელწოდებად საგულვებელია „არაგვი“, რაც თავისთავად გვაძლევს იმის უფლებას, რომ გაბედულად მოვახდინოთ არა მხოლოდ ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი „ორი არაგვის“, არამედ „სამი არაგვის“ რეალურად არსებობის კონსტატაცია.

24 ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1972, გვ. 140.

25 იქვე, გვ. 157.

26 მთიულთა ლოცვაში სიტყვა „არაგვი“ რომ არაგვის საერისთავოს აღნიშნავდეს, მაშინ ხომ ელემენტარული ლოგიკის ძალით სადიდებელში ლომისის ეკლესია არა „არაგვის“, არამედ „არაგვთა მეპატრონედ“ იქნებოდა გამოყვანილი, რადგანაც არაგვის საერისთავო პირაქეთა და პირიქითა არაგვის ხეობებს მოიცავდა.

ვფიქრობთ, ზუსტად ასეთივე ლოგიკის წყალობით და ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე უყოყმანოდ შეიძლება ლაპარაკი შორეულ წარსულში ტერმინების „ქსნისა“ და „ქსნის ხევის“ თანაარსებობაზე ნიადაგ იდენტური შინაარსობრივი დატვირთვით, რის შესაბამისად „ქსნელი“ მთლიანად შეფარდებოდა „ქსნისხევებს“. უთუოდ, ანალოგიური ხასიათის ცნებად იმსახურებს გააზრებას ასევე ძირძველი სახელწოდება „ლიახვი“, რომლითაც ტრადიციულად აღინიშნებოდა, ერთი მხრივ, დიდი ლიახვის ხეობა, ხოლო, მეორე მხრივ, პატარა ლიახვის ხეობა, ანუ ის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები, რომელნიც გვიანდელ წყაროებში (ძირითადად რუსულ საბუთებში) არაერთგზის იხსენიებიან „ორივე ლიახვის“ ფორმით.

საყურადღებოა, რომ არაგვისა და ქსნის საერისთავოების წარმოშობის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო რეგიონების ოფიციალური ნომინაციის სფეროში სერიოზული ცვლილებები შეინიშნება. გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდიდან ჩნდება და წერილობით წყაროებშიც არ აგვიანებს ასახვას ძრულიად ახალი შინაარსობრივი ძლერადობის მქონე ცნება „არაგვი“. ეს უკანასკნელი, მართალია, მანამდე ხმარებული „არაგვის“ მსგავსად კვლავ შემკრებლობითი მნიშვნელობის სახელწოდების როლში გამოდის, მაგრამ სამაგიეროდ ის ამჟერად უკვე წარმოგვიდგება არა მხოლოდ განსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის (არაგვად წოდებულ მდინარეთა ერთი რომელიმე ხეობის) მისამართით გამოყენებულ სახელწოდებად (როგორც ამას წარსულში ჰქონდა ადგილი), არამედ იმ ახლად წარმოქმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ოფიციალურ ტერმინად, რომლის ფარგლებში იმთავითვე ერთად იქნა შესული ისტორიულად კარგად ცნობილი „ორი არაგვი“ (ე. ი. არაგვის ხეობა და ხევის არაგვის ხეობა).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მეტამორფოზა ტერმინ „არაგვს“ დაახლოებით XIV საუკუნეში უნდა განეცადა, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც, მკვლევართა შეხედულებების თანახმად, უნდა მომხდარიყო კიდევ დამოუკიდებელი ერთეულის საერისთავოსაგან არაგვის საერისთავოს გამოყოფა დამოუკიდებელი ერთეულის დონეზე²⁷. ყოველ შემთხვევაში XIV—XV სს-ის ცალკეულ წერილობით ძეგლებზე დაკვირვება უკვე თვალნათლივ გვარწმუნებს იმაში, რომ მათში ხსენებული ტერმინი „არაგვი“ სრულიად აშკარად ფარავს სწორედ „ორი არაგვის“ მიწა-წყალს და არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ ისტორი-

²⁷ ქ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 62, 79—80.

ულ-გეოგრაფიულ რეგიონს (მაგ. არაგვის ხეობას). ამ მხრივ სანი-მუშოდ გვესახება თუნდაც „ძეგლი ერისთავთაში“ დაცული ის ცნობა, რომ „... მთიულნი არაგვსა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი ერთად შეკრებით იყუნეს...“²⁸ ვინაიდან, ზედაზნისა და დარიალის ლოკალიზაცია შესაბამისად არაგვის ხეობასა და პირიქითი არაგვის ხეობაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ცხადია, დასახელებულ ორიენტირებს შორის მოქცეული და არაგვად წოდებული მიწა-წყლის უყოყმანოდ შეფარდება არაგვის საერისთავოს ტერიტორიასთან სრული დამაჯერებლობით შეიძლება განხორციელდეს.

სახელწოდება „არაგვი“ უსათუოდ „ორისავე არაგვის“ ხეობათა ამოცნობის თვალსაზრისით არანაკლებ ნიშანდობლივია აგრეთვე „ძეგლი ერისთავთას“ თანადროული ზოგიერთი სხვა დოკუმენტიც, კერძოდ ალექსანდრე I-ის მიერ კათალიკოს-პატრიარქ დომეთეოსისადმი გაცემული სიგელი (1398 წ.), სადაც „არაგვზე“ მდებარე სოფლებად არის აღრიცხული, ერთი მხრივ, ხევის არაგვის ხეობის, ხოლო, მეორე მხრივ, არაგვის ხეობის დასახელებული პუნქტები²⁹.

იგივე ითქმის ბოდორნის ეკლესიაში წარსულში დაცულ საეკლესიო წიგნზე (XV ს.) დართულ შემდეგ წარწერაზეც: „წმინდაო გრიგორი ღუთისმეტყულო, არაგვსა განმანათლებელო, მეოხ მყავ წიგნისა ამის მწერალსა ცოდვლსა მღუდელსა იოანე ბოდორნელსა. ბატონის ათანასი ქორეპისკოპოსისათვის დავსწერე“³⁰. ცხადია, აქაც „არაგვის“ ქვეშ არაგვის საერისთავო იმალება.

ამრიგად, XIV ს. მიწურულისათვის სახელწოდება „არაგვის“ ოფიციალურ მიმოქცევაში შემოსვლა ერთ-ერთი დიდი პოლიტიკურ-აღმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინის უფლებით დავას არ იწვევს, რაც თავისთავად მყარი არგუმენტი იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ დაახლოებით იგივე პერიოდში შეიძლებოდა ჩაპყროდა (ან განმტკიცებოდა) საფუძველი „არაგვის“ გამგებელ ხელისუფალთა „არაგვის ერისთავებად“ სახელდების ტრადიციას.

საინტერესოა, რომ XIV-XV სს. მანძილზე საბოლოოდ შემუშავებულ ჩვენთვის საყურადღებო ნომენკლატურაში პრაქტიკულად არავითარი ცვლილებები არ მომხდარა „შემდგომად განყოფილები-სა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა“, როდესაც სათავადოების ჩისტემა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის ერთ-ერთ

²⁸ ძეგლი ერისთავთა, ქსდ, II, გვ. 117.

²⁹ АКАК, т. 1, с. 2.

³⁰ П. Иоселиани, Описание города Душета, Тифлис, 1860, с. 23.

მაპროფილებელ ფაქტორად იქცა. პირიქით, ამ ახალ ვითარებაში, არაგვის საერისთავოს როლის თანდათანობითი ამღლების პირობაზე, სწორედ ხსენებული სათავადოს აღმნიშვნელი ტერმინის დონეზე „არაგვის“ გამოყენების ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდა. ნათქვამის დამამტკიცებლად კი გამოდგება XVI-XVIII სს. სინამდვილის ამსახველი უხვი წერილობითი მასალა, რომელიც ქრონოლოგიურად ემთხვევა რა არაგვის საერისთავოს, ვითარცა დამოუკიდებელი და ძლიერი სათავადოს არსებობის ალბათ ყველაზე ღირსშესანიშნავ ხანას, არაერთგზის წარმოაჩენს როგორც „არაგვს“, ისე მისი იდენტური შინაარსის ცნებას „ქსანს“ სწორედ „ერისთავების ალაგების“³¹ (ე. ი. „ორის ერისთავის მამულის“³² // არაგვისა და ქსნის საერისთავოების) აღმნიშვნელ ზოგად ტერმინებად; თანაც ზოგიერთი დოკუმენტი პირდაპირ ჩვენებს შეიცავს „არაგვის ერისთავის მთის კაცთა“ სამოსახლო „ალაგების“ (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, თრუსო) შესახებ³³, რასაც ემატება ვახუშტი ბაგრატიონის ერთგვარად შემაჯამებელი განმარტებები იმის თაობაზე, რომ „... მუხრანი, ო რ ი ა რ ა გ ვ, ქსნის-ხევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არის...“³⁴ „... არს ეკლესია წილკანს, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი და შვენიერი, აღაშენა კე მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ო რ ი ს ა ვ ე ა რ ა გ ვ ს ა და ბაზალეთისა...“³⁵ მუხრანბატონს „... აქუს დროშა სასპასპეტე ა რ ა გ უ-ქსნისა“³⁶,

31 თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, თბ., 1967, გვ. 95.

32 დასტურლამალი, ქსძ, II, გვ. 272.

33 ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, ქსძ, III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 178; წილკნელის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელი (1669 წ.), ქსძ, III, გვ. 559; 1732 წ. პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ ოთარ ამილახერის-შვილისადმი, „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 233 და სხვ.

34 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 347.

35 იქვე, გვ. 351.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: რუსულ ენაზე თარგმნილ ერთ-ერთ გვიანდელ დოკუმენტში წილკნელი ეპისკოპოსი იოანე აღნიშნავდა: «Вседобрый царь Бакар, сын царя Миряна, построив в Цилкане великолепный храм с куполом из тѣсаного камня, поставил здесь епископа и...велел быть пастырем об еих Арагви над жителями Кавказских гор...» (Донесение Цилканского архиепископа Иоанна католикосу Антонию на высочайшее имя Павла I, 1800 г., АКАК, I, с. 531). პლატონ იოსელიანის განმარტებით კი «...Душет входил в состав епархии шилканской. Святитель его титуловался епископом мухранским, об еих Арагв и базалетским, и имел в своем ведении двух хорепископов, одного в Сиони кавказ-

36 იქვე, გვ. 353.

ანალოგიურ ნომინაციასთან გვაქვს საქმე არაგვის საერისთავოს გაუქმების (1743) შემდეგაც, როდესაც „არაგვი“ უკვე არაგვის საუფლისწულოდ გარდაქმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინის „მოვალეობას“ ასრულებს და კვლავ „ორ არაგვს“ (პირაქეთა და პირიქითა არაგვის ხეობებს) მოიცავს.

ასეთნაირი კვალიფიკაციის სასარგებლოდ კი, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებენ ის დოკუმენტები, სადაც საკვლევი სახელწოდება უკვე ქართველ მეფეთა ოფიციალურ წოდებულობაშიც პოულობს ასახვას. მაგალითად, თუკი ადრინდელ საბუთებში ერეკლე II იხსენიება როგორც „ყოვლისა ზემოჰსა საქართველოსა, კახეთისა და სხუათა მეფე ირაკლი მეორე“, ³⁷ არაგვის საერისთავოს ანუღირების შემდეგ შედგენილ სიგელ-გუჯრებში იგივე ხელისუფალს ეწოდება „მეფე კახეთისა და არაგვის მეპატრონე ბატონი ერეკლე“ ³⁸ ან „მეფე კახთა... პყრობელი არაგვთა“ და ყოველთა მთიულთა... პატრონი ერეკლე“ ³⁹. მაგრამ მოგვიანებით, როდესაც არაგვის საუფლისწულოს მტკიცედ ეუფლებიან ერეკლეს შვილები, „პატარა კახი“ წყაროებში იხსენიება როგორც „საქართველოსა და კახეთის მეფე ირაკლი“ ⁴⁰ ან უბრალოდ „მეფე კახთა“ („მეფე კახეთისა“ ⁴¹), ხოლო ისტორიული ტრადიცია „სრულიად არაგვის საერისთავოს პატრონის“, „სრულიად არაგვის საუფლისწულოდ მპყრობელის“, „არაგვის მპყრობელის“ ან „სრულიად არაგვთა მპყრობელის“ ტიტულში უკვე ბატონიშვილებს (ლეონს და ვახტანგს) წარმოაჩენს ⁴².

ском, для ближайшего надзора за церквями до врат дарьяльских или кавказских, где окончивалось грузинское племенное население, а другого в Бодорне» (П. Иоселиани, Описание города Душета, с. 17). მართალია, პ. იოსელიანს ამ შემთხვევაში ძირითადად სწორად აქვს გადმოცემული ვახუშტის ცნობა, მაგრამ ავტორი სკოლიოში შეცდომით აიგივებს „ორ არაგვს“ ნიფისკალოს მთიდან მომდინარე მთავარ არაგვთან (ვახუშტისეულ შავ არაგვთან) და ფშავის არაგვთან (ვახუშტისეულ თეთრ არაგვთან) (იქვე, გვ. 18).

³⁷ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 403.

³⁸ იქვე, გვ. 418.

³⁹ იქვე, გვ. 415; შენიშვნა: 1746 წლით დათარიღებული სიგელის რუსულ თარგმანში გვაქვს «...Цань Кахетин и самогосударь, Державец обенх Арагв и всех Мтиунетинцев» (АКАК, т. I, с. 41); ზღარ.: ქართულ ვარიანტს: „ჩუცნ... მეფემან კახთამან და თუთ ჳელმწიფემან პყრობელმან არაგვთა და ყოველთა მთიულთამან პატრონმან ერეკლემ“.

⁴⁰ ქსძ, ტ. II, გვ. 433.

⁴¹ ქსძ, II, გვ. 408, 410.

⁴² ქსძ, ტ. V, ი. დოლიძის რედ., თბ., 1974, გვ. 129; 374; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 271; ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 34, 79 და სხვ.

სახელწოდება „არაგვის“ მნიშვნელობასა და გავრცელების, არეალზე არანაკლებ სრულფასოვან წარმოდგენას გვიქმნის XVIII ს. II ნახევარსა და XIX ს. შედგენილი სხვა მრავალრიცხოვანი საბუთებიც, რომელთაგან ამკერად მხოლოდ ზოგიერთის დამოწმება ჩანს მიზანშეწონილი ნაშრომის განსაზღვრული მოცულობის გამო.

მაგალითად, 1770 წლის ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერაში ერთმანეთის გვერდით იხსენიება არაგვი („არაგვზე არს მცირე ქალაქი ანანური... არაგვის ოსი: ზახას, თრუსოს, ჳვრივს, ზადას და ღუღეს... არაგვის ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, მთას და ბარს, კომლი 2000“⁴³), ქსანი („ქსნის ოსი კომლი 2000; ქსნის საერისთაოს ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, კომლი 1600“⁴⁴), ხევისურეთი („არს ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი... კომლი 1200“⁴⁵), ფშავი („არს ფშავი, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, კომლი 1000“⁴⁶) თუ შეთი („არს თუშეთი, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, კომლი 1400“⁴⁷) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში „არაგვი“ არაგვის საუფლისწულოს შეეფარდება (იხევე როგორც „ქსანი“ — ქსნის საერისთავოს) და ეს ფიგურირებს მის პარალელურად ხმარებულ ისეთ სახელებთან აშკარა დაპირისპირებაში, როგორიცაა „ხევსურეთი“, „ფშავი“, „თუშეთი“ და ა. შ.

ანალოგიური სურათი იხატება 1794-99 წლების ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით, რომელშიც სხვადასხვა მხარეებთან ერთად აღრიცხულია „არაგვის“ (// არაგვის საუფლისწულოს) და „ქსნის“ (//ყოფილი ქსნის საერისთავოს) სოფლები⁴⁸, აგრეთვე დაჯამებულია კახეთის მთის ხეობებად გააზრებული ხევსურეთის, ფშავის და თუშეთის სოფლების მეკომურთა რაოდენობა⁴⁹.

ზუსტად ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე მეფე ერეკლე II-ის მიერ გაცემულ „წიგნში... ყულარადას გიორგისადმი მორიგისთვის თავის ამრიდებელთა დარბევის შესახებ“ (1766), სადაც შე-

შენიშნა: საყურადღებოა, რომ არაგვის საუფლისწულოს წარმოქმნის შემდეგაც არაიშვითად საუფლისწულო წყაროებში საერისთავოდ არის სახელდებული, ხოლო არაგვის უფლისწული ძველი ტრადიციის ძალით კვლავ არაგვის ერისთავადაა წოდებული, რამაც შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და არ უნდა დაგვაქვეოს არაგვის საერისთავოს რეალურად გაუქმების უდავო ფაქტი.

43 ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წელს, ქსმ, II, გვ. 420.

44 იქვე.

45 იქვე, გვ. 421.

46 იქვე.

47 იქვე.

48 ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 33-37, 81.

49 იქვე, გვ. 72.

ნიშნულია: „და თუ დაგაკლდეს ვინმე არ აგვსა, ქსნისა, სამილახვროსი თუ ჩვენის დროშისა, თქვენ კაცს გაუგზავნიდეთ, რამდენიც კაცი გაკლდებათ, იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ...“⁵⁰.

იგივე ითქმის 1774 წ. სხვა განჩინების შესახებ, რომელშიც წერია: „...ვინ იცის, რომ ჩვენ ქართლსა და კახეთში, თუ ყაზახსა და ბორჩალოში, ან არაგვზედ მიშველება და მღევრობა მოგვიკლდა... თუ ზემო ქართლში ვიპყოფებოდეთ და ან არაგვზედ, ან ფაშბაქში, ან ყაზახში, და კახეთის მორიგე თავის ვადაზედ ქალაქს ჩამოვიდეს...“⁵¹.

კიდევ უფრო ნიშანდობლივია 1791 წ. „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფოასათვს საქართველოასა“ სადაც ვკითხულობთ: „აბა, ვთქვათ, როგორ უნდა ამელო ან საუფროსო, ან საუფლისწულო, თუ ამ ქვეყანაში, ქალაქში, ქისიყში, თუშეთში, ქსანსა, არაგვსა და ლიახვში, პირაქეთ და პირიქით ოსებში, ხევსურეთში, ყაზახში, ბორჩალოში. შამშადილოში... ტფილისი, გორი, ქისიყი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, არაგვი, ქსანი, ლიახვი, ქართლისა და კახეთის თათარი, ბორჩალო-ყაზახი, ბაიდარ-შამშადილი, შამქორი, და, რაც ოსები გვყავს...“⁵².

ცხადია, სიტყვა არაგვის აუცილებელ გაიგივებას არაგვის საუფლისწულოსთან გვავალებს არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის მოსახლეობის 1774 წლის აღწერა და არაგვის საუფლისწულოს 1781 წლის აღწერა, რომელთაც ჩვენ ზემოთ უკვე საგანგებოდ შევეხეთ არაგვის ხეობის მოცულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა აგრეთვე იოანე ბაგრატიონის ნაშრომებში („ქალმასობა“, „სჯულდება“) დაცული ცნობები, რომელთა თანახმად, არაგვის საუფლისწულოს (ყოფილი. არაგვის საერისთავოს) აღმნიშვნელ სახელწოდებად გვევლინება არა მარტო ტრადიციული „არაგვი“ (ჯვრის მონასტერში სალოცავად მიდიოდნენ „...მთლად ქართლი... სასომხეთო და მთები, არაგვი და ქსანი... უჯარმას ერწო-თიანეთითურთ, ფშაველით, ახმეტით...“⁵³ ან „... არაგვის საერისთო ებაროსისევე ვახტანგს და იყოს არაგვის ნაიბი... რადგან არაგვზედ სჯულიერნი მემკვიდრე არაგვის არის...“⁵⁴), არამედ „საარაგვოც“

50 ქსძ, II, გვ. 416.

51 მორიგის ლაშქრობის განჩინი (1774), ქსძ, II, გვ. 437, 445—446.

52 ქსძ, II, გვ. 517.

53 ი. ბატონიშვილი, კალმასობა, „ქართული პროზა“, წ. VI, თბ., 1984წ. გვ. 71.

54 ი. ბაგრატიონი, სჯულდება, ივ. სურგულაძის რედ., თბ., 1957წ.

გვ. 34.

(...ქართლსა შინა იყოს ოთხი სარდალი — ამილახვარი... გარნა ამილახვარი იყოს მათ ყოველთა ზედან უპირველესი... მეოთხე, მუხრანის ბატონი, სამუხრანოსი, ს ა ა რ ა გ ო ს ი და ქსნის სარდლად იწოდებოდეს“⁵⁵). ამ უკანასკნელს, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილ და ჩვენს მიერ ზემოგანხილულ სახელწოდება „საარაგვოსთან“, რომელიც ფშავ-ხევსურეთში მდარაგვის მთლიან აუზთან შეფარდებული ვრცელი გეოგრაფიული რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინის როლში წარმოგვიდგება. სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვით საგურამოელ ინფორმატორთა მიერ დასახელებული სახელწოდება „ს ა ა რ ა გ ვ ო ს“ შესახებ, რომლითაც მთხრობლები აღნიშნავდნენ „ბულაჩაურის ზეითობაზე, არაგვისპირებზე მდებარე მიწა-წყალს“⁵⁶. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში „საარაგვოში“ უკვე არაგვის საუფლისწულოს (ან არაგვის საერისთავოს) ტერიტორიაა ამოსაცნობი. სხვათა შორის, არც თუ შორეულ წარსულში, „არაგვის“ პარალელურად იდენტური შინაარსის მქონე ტერმინის დონეზე „საარაგვოს“ გამოყენების ტრადიციის რეალურად არსებობას ადასტურებს 1817 წლის კიდევ ერთი საგულისხმო საბუთიც, სადაც განმარტებულია: „საქართველოში რა რომ ბაჟი განწესებულა საქართველოს მეფეთაგან, არც ერთის მეფისაგან ძველადგანვე ქსნის ერისთავის ყმას და ს ა ა რ ა გ ვ ო კ ა ც ს ბაჟი არ გამოგვრთმევია დღემდის, არც საზღვარს გარედამ შემოტანილისა, და არც საზღვარს შიგნითის ჩვენგან მოტანილის ნივთის ბაჟი... ჩვენგან არარაი არს სათქმელი შემოსავალი, რომელთაც არც სულ არ გვდებია ბაჟი დღეს გვეთხოვება ღარიბთა მთის ხალხთა“⁵⁷.

მოყვანილ საბუთში „საარაგვოს“ მიღმა რომ უსათუოდ „არაგვის საერისთავო“ (ან უფრო სწორად არაგვის საუფლისწულო) არის დასახელები, ამას დამაჯერებლად ცხადყოფს ერთი მხრივ თავად დოკუმენტის ტექსტზე გულდასმით დაკვირვება (სადაც „ქსნის ერისთავის ყმებთან“ შეგნებულად არიან დაწყვილებული „საარაგვოს კაცნი“, ვითარცა ორი უმნიშვნელოვანესი საერისთავოს მოსახლენი), ხოლო მეორე მხრივ, 1801 წ. შედგენილი იმ რუსული საბუთის დამატებით გაცნობა, რომელშიც წარზოდგენილია: «Список освоенж-

55 იქვე, გვ. 5.

56 ვახტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საგურამოს ეთნოგრაფიული მასალები, 1987 წ., კვ. 1, გვ. 10, 25.

57 ქსნის ერისთავის ყმების ახალგორელების მოხსენება გენ.-ლეიტ. ერმოლოვისადმი (1817 წ.), გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969, გვ. 94.

დენიხ იძრეველ ოქოშინი: არაგვისკი ჯიტილი, კსანსკი... ტუში, შიავი, ჯევესური დ ოსეტიცი პრინადლეჟიე გრუზიი, ა იზ ინოსტრანცევი პო დრევიმ ობიჟამე კაბარდინცი, ლეზგინცი დ ოსეტიცი»⁵⁸.

მართალია, XVIII-XIX სს. დანარჩენ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინ „საარაგვოს“ ფიქსაცია ვეღარ ხერხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ძველებური შინაარსობრივი დატვირთვით მათში სისტემატურად გვხვდება ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი „არაგვი“⁵⁹.

საკვლევი სახელწოდების რეალურ მნიშვნელობაზე და გავრცელების არეალზე შემუშავებულ წარმოდგენას ასევე არ ცვლის რუსულ ენაზე დაბეჭდილი დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიისა“ და XIX ს. მრავალრიცხოვანი რუსული დოკუმენტების გაცნობა, რომლებშიც ყოველ ნაბიჯზე ვპოულობთ ცნობებს „არაგვის პროვინციად“ («Арагвская провинция») „არაგვის მხარედ“ («Арагвская область»), „არაგვის ოლქად“ («Арагвский округ»), „არაგვის საუფლისწულოდ“ («Удел Арагвский»), „არაგვის მაჟულად“ («არაგვის სამემკედრეო მაჟულად»; «Имение Арагви»; «Вотчина Арагви»), „არაგვის მაზრად“ («Арагвский уезд») ან უბრალოდ „არაგვად“ წოდებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ⁶⁰.

ამასთან, როგორც XVIII-XIX სს. წერილობით წყაროებზე დაკვირვება გვარწმუნებს, სახელწოდება „არაგვის“ მაგალითზე საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება კონკრეტული ტერმინის ტრადიციული შინაარსის თანდათანობითი შეცვლის ტენდენციაც. ჩვენ აქ მხედველო-

⁵⁸ Расписание о доходах в Грузии, поступить нынешнего года в казну -долженствующих (1801 г.), АҶАК, т. I, с. 481.

⁵⁹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 47, 63, 73; თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1972, გვ. 27, 52; იოანე ქართველიშვილის შემუშავები, ა. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1952, გვ. 84; იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, ნაკვ. 28, თბ., 1950, გვ. 7, 67; ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 82, 94; ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914, გვ. 25, 35; ქსი, II, გვ. 91, 127, 248, 335; მსკი, წ. I (26), შ. მე-სსიას რედ., თბ., 1948, გვ. 90 და სხვ.

⁶⁰ Д. Багратиони, История Грузии, Тб., 1971, с. 100, 111, 124, 172; АҶАК, т. I, с. 233, 240, 274, 278, 301, 526; АҶАК, т. II, с. 186, 305, 307, 330; АҶАК, т. IV, с. 113, 135, 457, 801, 995; АҶАК, т. V, с. 44, 420, 427, 462; АҶАК, т. VII, 1878, с. 348; История Юго-Осетии (в документах и материалах), т. II, состав. И. Н. Цховребов, Сталинир, 1960, с. 19, 20, 56, 129 и т. д.

ბაში გვაქვს ის გარემოება, რომ ცალკეულ ქართულ თუ რუსულ დოკუმენტებში საკვლევი სახელი უკვე მტკიცედ ლოკალიზებული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის თუ დამოუკიდებლად არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის („თემის“, „ქვეყნის“) და არა განსაზღვრული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი სახელწოდების როლში წარმოგვიდგება. ამას თვალნათლივ მოწმობს ზოგიერთ საბუთში „არაგვის ქვეყნის“ („ქუეყანა არაგვი“⁶¹), „სრულიად არაგვის თემის“⁶² ან „არაგვის მხარის“ („Земля Арагви“⁶³) დასახელება ისეთი ცნობილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა ფშავი, ხევსურეთი, თიანეთი, ქართლი, კახეთი, თუშეთი და ა. შ.

ვფიქრობთ, ხაზგასმული ფაქტი გვაძლევს უფლებას დაბეჭითებით ვამტკიცოთ, რომ არც თუ შორეულ წარსულში არაგვის საერისთავოს (მოგვიანებით არაგვის საუფლისწულოს) აღმნიშვნელ სიტყვა „არაგვს“ ზუსტად იმ რიგის წინაარსობრივი ტრანსფორმაცია მოელოდა, როგორც თავის დროზე განიცადა ერთხანს ქსნის ხეობისა და ქსნის საერისთავოს, ხოლო გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდებიდან (ალბათ სადღაც XVIII ს-ის I ნახევრიდან) უკვე განსაზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის აღსანიშნავად ხმარებულმა ტერმინმა „ქსანმა“⁶⁴. თუმცა, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ასე-

61 განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თჳსთადმი სამეფოსათჳს საქართველოსა, ქსძ, გვ. 517; ვახტანგ ბატონიშვილის წერილი გენ.-ლ კნორინგისადმი (1801), AKAK, T., I. c. 265—266 და სხვ.

62 ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი მთიულეთის მოხელეებისა და მთიულეთის ხალხისადმი (1812 წ.), AKAK, T. V, c. 356-357.

63 AKAK, T. II, c. 306.

64 საყურადღებოა, რომ ვახუშტის „აღწერაში“ უკვე ერთმანეთთან შეიპირისპირებაში ფიგურირებენ არა ჩვენთვის კარგად ცნობილი ზოგადი შინაარსის სახელები „ქსანი“ და „არაგვი“ (ან „ქსნის-ხევი“ და „არაგვის-ხევი“), არამედ „ქსნის-ხევი“ (ან „ქსანი“) და მთიულეთი: „...ამ მთიულეთსა და ქსანის-კევეს განჰყოფს ცხრაზმასა და კანდოს ლომისის მთა... უკუტრეტს სამკრით ქსანსა, ჩილილთ მთიულეთს“ (ვახუშტი, აღწერა, გვ. 355). ეს გარემოება, ძალაუფლებურად გვეჩვენა იმ ლოგიკური დასკვნისაკენ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახელწოდებას „ქსანი“ უკვე ერთი ცალკე აღებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის აღმნიშვნელი ტერმინის ლირებულება გააჩნია. ამდენად, ჭერ კიდევ XVIII ს. I ნახევარში „ქსანი“ ამკარად კუთხური გაგებით ხმარებულ სახელად ჩანს გაფორმებული. მართალია, ხსენებულ პერიოდში და უფრო გვიანდელ ხანაშიც ექვს არ იწვევს იგივე სახელის ტრადიციული გამოყენება ქსნის საერისთავოს ტერიტორიის (აგრეთვე ქსნის ხეობის) აღმნიშვნელი ტერმინის სახით, მაგრამ დროთა განმავლობაში ახლებური შინაარსობრივი დატვირთვით გამოჩევილი ტერმინი „ქსანი“ სულ უფრო პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს და ის ოფიციალური

ვე დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინმა საბოლოო ანგარიშით მაინც დაიზღვია თავი ესოდენ რადიკალური ხასიათის ცვლილებებისაგან და სახელწოდებები „არაგვი“ და „არაგველი“ „ქსნისა“ და „ქსნელისაგან“ განსხვავებით ნამდვილად არ გაფორმებულა შესაბამისად დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყნისა და ქართველი ხალხის შემადგენელი ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელ ლოკალურ (კუთხურ) სახელწოდებად. მათ ბოლომდე მტკიცედ შემოინახეს თავი შემკრებლობითი მნიშვნელობის ცნებებად, რომელთა ქვეშ ძირძველი ტრადიციის ძალით ნიადაგ „ორი არაგვის“ ხეობები იგულისხმება „მუნებური“ მოსახლეობითურთ. მართალია, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ზოგიერთი მთიელი კვლავ მიმართავს არაგვის ხეობის აღმნიშვნელ სახელად ტერმინ „არაგვის“ გამოყენების პრაქტიკას, მაგრამ ასეთნაირი ნომინაციაც ხომ თავისთავად საკვლევია სახელის ზოგადი, ფართო შინაარსის მაჩვენებელია, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში „არაგვი“ კვლავ გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს — არაგვის ხეობას შეეფარდება და არა ერთ ლოკალურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეს.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შემკრებლობითი შინაარსის სახელწოდება „არაგვი“ თავდაპირველად სამ სხვადასხვა ალაგას გამოიყენებოდა არაგვად წოდებულ მდინარეთა სამი უმთავრესი ხეობის (//„სამი არაგვის“), ვითარცა სამი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, აღმნიშვნელ ტერმინად. არაგვის საერისთავოს შექმნის შემდეგ კი „არაგვი“ განსაზღვრული პოლიტიკურ-აღმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ცნებად გაფორმდა, რომლის ქვეშ, ისტორიული ტრადიციის თანახმად, იგულისხმებოდა ჯერ არაგვის საერისთავოს, ხოლო მოგვიანებით არაგვის საუფლისწულოს ფარგლებში გაერთიანებული „ორი არაგვის“ (ან უბრალოდ „არაგვთა“), ანუ პირაქეთი და პირიქითი არაგვის ხეობები, რომელნიც ერთ მთლიანობაში არაიშვიათად გაიაზრებოდა როგორც „სრულიად არაგვი“ (რუსულ ვარიანტში «Целая Арагва», ან «вся Арагва»⁶⁵) ან „სრულიად არა-

ნომინაციის სფეროდან თუ არა, ხალხური სახელდების დონეზე მაინც თანდათანობით ხმარებიდან დევნის ფართო შინაარსის მქონე სახელწოდება „ქსანს“. მოვლენათა ამნაირმა მსვლელობამ კი საბოლოო ანგარიშით მიკვირვანა ცნებების „ქსნის“ და „ქსნელის“ შემუშავებამდე, რომლებშიც ზუსტად ისეთივე შინაარსი ამოიცილობა, როგორც ტერმინებში: „მთიულეთი“ და „მთიული“, „გუდამაყარი“ და „გუდამაყრელი“, „ხევი“ და „მოხევე“ და ა. შ.

⁶⁵ AKAK, т. II, с. 140.

გვის თემა“. ამასთან, ზოგჯერ სახელწოდება არაგვის ენაცვლებოდა მისი სინონიმური მნიშვნელობის ტერმინი „საარაგვო“, რომელშიც ზუსტად ასეთივე შინაარსია ჩაქსოვილი, როგორც ცნებებში „სალი-ახვო“ (//„ლიახვი“⁶⁶), „საამილახვრო“ და სხვა. წერილობითი წყაროებიდან ცნობილ სახელწოდება „საარაგვოს“, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ფშავ-ხევსურეთში ფიქსირებულ ხალხურ ტერმინ „საარაგვოსთან“, რომელიც პირაქეთი არაგვის მთლიანი აუზის ფართობთან შეფარდებული ტერიტორიის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებას წარმოადგენს; საერთოდ, ისტორიული ტრადიცია ფშავს და ხევსურეთს „არაგვად“ სახელდებულ მხარეებად არც წარმოაჩენს.

რასაკვირველია, რამდენადმე განსხვავებული ვითარების კონსტატაცია მოგვიხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ისტორიულ მოვლენათა სხვაგვარი განვითარების წყალობით არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცეოდა ფშავი და ხევსურეთი. მაშინ ხომ ოფიციალურ დონეზე ხმარებული სახელწოდება „არაგვის“ გავრცელების არეალი კანონზომიერ გაფართოებას განიცდიდა კახეთის მთიანეთის სფეროში შემავალი ამ ორი კუთხის ხარჯზე, რის კვალობაზე ისტორიული ტრადიციით კარგად ცნობილი „ორი არაგვის“ ნაცვლად ალბათ არ დაგვიანდებოდა ტერმინის „სამი არაგვის“ (ან „ხუთი არაგვის“⁶⁷) შემუშავება, თუმცა არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ესოდენ ფართო მასშტაბებში წარმოსახული არაგვის საერისთავოს აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება „არაგვისა“ და ამ უკანასკნელთან შეფარდებაში გამოყენებული „სამი არაგვის“ (ან თუნდაც „ხუთი არაგვის“) პარალელურად, ხმარებაში შემოსულიყო აგრეთვე სახელწოდებები „ქართლის არაგვი“ და „კახეთის არაგვი“, რასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ერთი ხალხური ლექსის („ზურაბის მოკვლა“) შემდეგი ადგილი:

„საფურცლით მოდის ტირილი სულძალი ერისთვისაო:
ვინ მოგვლა, შეილო ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო,

66 გიორგი ბატონიშვილის წყალობის სიგელი თეაური ფაენენისადმი წიფორის მთის ბოძებზე შესახებ, «История Осетии в документах и материалах», сост. Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I. Цхинвали, 1962, с. 132.

67 არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში ფშავ-ხევსურეთის შესვლის შემთხვევაში, ხსენებულ პოლიტიკურ-აღმონისტრაციულ ერთეულში საკუთრივ „სამი არაგვის“ გარდა, ცხადია, მოექცეოდა წარსულში ასევე არაგვად წოდებული მდინარეების ასისა და არღუნის ხეობები (// პირიქითი ხევსურეთი), რომელთაც ერთ მთლიანობაში შეეძლოთ კიდევ დაემსახურებინათ სახელდება „ხუთ არაგვად“. სხვათა შორის ანალოგიური პრინციპით ჩანს გაფორმებული ცნება „შვიდი მთიულეთი“.

ვინაიდან, მოყვანილ ლექსში ზურაბ არაგვის ერისთავი გამოყვანილია „ქართლის არაგვის“ თავად, ვფიქრობთ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ წარსულში ხალხური ნომინაციის სფეროში ნამდვილად ჰქონდა ადგილი არაგვის საერისთავოს ტერიტორიის აღსანიშნავად სახელწოდება „ქართლის არაგვის“ გამოყენების პრაქტიკას, რაც თავის მხრივ შეაძლოა განაპირობა მთლიანი „საარაგვის“ (ე. ი. პირაქეთი არაგვის ერთიან აუზთან შეფარდებული მიწა-წყლის) მკაფიოდ გამიჯვნის მოთხოვნილებამ ორ უმთავრეს ნაწილად ქართლისა და კახეთისადმი მათი ტერიტორიული კუთვნილებისდა შესაბამისად.

მართალია, ხალხური სიტყვიერებისათვის სრულიად უცხოა „ქართლის არაგვთან“ შეპირისპირებაში გაფორმებულად საგულევებელი ტერმინი „კახეთის არაგვი“ და ამ მხრივ ეთნოგრაფიული მასალაც არაფრისმთქმელია, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გამოორიცხავს წარსულში ჩსენებული სახელწოდების შემუშავების შესაძლებლობასაც, რასთან დაკავშირებით უსათუოდ დამაფიქრებელია ერთ-ერთ დოკუმენტში („სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილკნელ ქრისტეფორესადმი“, 1746 წ.) ერეკლე II-ის მოხსენიება „კახეთის არაგვის“ მპყრობელ-მქონებლად“ („...ნებითა ღმრთისაითა ჩუენ...ქემან ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ მეფემან და თვით ჯელმწიფემან პატრონმან ერეკლემ... ესე სამწყსოს წყალობის სიგელი გიბოძეთ...“⁶⁹).

თუ მხედველობაში მივიღებთ დამოწმებული „სიგელის“ შედგენის დროისათვის (1746 წ.) (და ბევრად უფრო ადრეც) ოფიციალურ დონეზე ხმარებულ სიტყვა „არაგვი“ ჩაქსოვილ კონკრეტულ შინაარსს (აგრეთვე მისი გავრცელების არეალს) და ამავე დროს აუცილებლად ვირწმუნებთ იმ ვარიანტს, რომ ერეკლე II-ს ხსენებულ დოკუმენტში, იშვიათი გამონაკლისის სახით, სურდა საგანგებოდ გაესვა ხაზი კახეთის მთიანეთის სფეროში მოქცეული ფშავისა და ხევსურეთის საიმედოდ ფლობის ფაქტისათვის, ვფიქრობთ, ხელაღებით არაა უგულვებელსაყოფელი კახეთის მეფის მიერ ფშავის არაგვისა და მისი შემდინარე ხევსურეთის არაგვის ხეობის სახელდებისას სწო-

68 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1964, გვ. 104; შტრ.: იგივე ლექსის სხვა ვარიანტი („ზურაბ ერისთავზე“, ვახტ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 233).

69 ქსძ, II, გვ. 396.

რედ ხალხური ნომენკლატურის სფეროდან ცნება „კახეთის არაგვის“ პირდაპირი „სესხების“ შესაძლებლობა. თუმცა, ასევე არანაკლებ ანგარიშგასაწივად გვეჩვენება ის ვერსიაც, რომ ერეკლეს ჭეროვანი თვალსაჩინოებისათვის ფშავ-ხევსურეთის აღსანიშნავად თვითონვე შეერჩია შეძლებისამებრ ოპტიმალური სახელწოდება „კახეთის არაგვის“ და არა პირდაპირ „არაგვის“ სახით, რაც ისევ და ისევ სიტყვა „არაგვის“ ტრადიციული გაგებიდან გადახვევის ნიადაგზე წარმოქმნილი მორიგი გაუგებრობისაგან თავის წინდაწინ დაზღვევის აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი:

მაგრამ, რამდენადაც განხილული სიგელის თანადროულ წერილობით წყაროებში ერეკლე II არაერთგზის ფიგურირებს „კახეთისა და არაგვის მეპატრონე (ან არაგვთა მპყრობელ) მეფედ“, ხოლო ზოგიერთ საბუთში მისი წოდებულება ერთობ ნაკლები სახითაა წარმოდგენილი (დაკარგულია სიტყვები, გამოტოვებულია სასვენი ნიშნები და ა. შ.⁷⁰), ვფიქრობთ, მაინც ყველაზე უფრო მეტი ნდობის ღირსია ის ვარაუდი, რომ აღნიშნული დოკუმენტის შესავალში შესაძლოა მოხსენიებული იყოს არა „კახეთის არაგვი“, არამედ უბრალოდ „კახეთი“ და „არაგვი“, ვითარცა ერეკლეს მიერ მტკიცედ ხელდებული ორი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული. სხვათა შორის, ამგვარი კვალიფიკაციის სასარგებლოდ უწინარეს ყოვლისა უნდა მეტყველებდეს თავად „სამწყსოს განახლების სიგელი“, რომლის თანახმად არაგვის საერისთავოს ფარგლებსა და წილკნელის სამწყსოში შემავალი „მთის ადგილების“ (მთიულეთი, ჭვევი, გულამაყარი, ჯანდო, ჭართალი) „რჭულზედ მიდრეკილ“ მოსახლეობაში ქრისტიანობის ზერყეული პოზიციების აღდგენაზე გარჯა „არაგვის“ (და არა ე. წ. „კახეთის არაგვის“) სახლთ-ხუცესისა და მოხელეების პირდაპირი მოვალეობას შეადგენს („...და ჩვენც კელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო: მთიულეთი, ჭვევი, გულამაყარი, ჯანდო, ჭართალი. ამათ ერისთავები სადმე აღებდნენ. დიად დიდი უწესო და უმართებულო იყო და სჯულის ურიგობა. ჩვენ ახლა თქვენის მონასტრის წილკნისა ღმრთისმშობლისა დიდისა ეკლესიისა მჯდომარეს წილკნელს შეგვიწირავს, რაც რომე მთის ალაგებიდამ სახუცო ედვას და გამოვიდოდეს, თქვენს მამათ-მთავარს მიება-

70 მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში ერეკლე II იხსენიება ასე: „ყოვლისა ზემოისა საქართველოსა კახეთსა და სხუათა მეფე ირაკლი მეორე“ (დსი, I, გვ. 403). როგორც ვხედავთ, აქ „საქართველოსა“ შემდეგ აშკარად გამორჩენიათ მძიმე, რომლის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ერეკლეს წოდებულობის ცალმხრივი წაკითხვა და წარსულში აღმ. საქართველოს განსაზღვრულ ტერიტორიის „საქართველოს კახეთად“ (!) სახელდების შესაძლებლობის ნაჩარევად დაშვება.

რებოდეს, და მამათ-მთავარი თქვენ მოგართმევდეს. არ მოგეშალოს ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მეფეთა მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო და ყოველნო მოსაქშენო ჩვენნო არაგვის სახლთ-ხუცესო და მოკვლენო, თქვენც ასე დაუმტყიცეთ და ნუ მოუშლით...“⁷¹). ასეთნაირი მიდგომის კვალობაზე, ცხადია, ეპქვეშ დგება ცნება „ქართლის არაგვის“ შინაარსზე ერთი შეხედვით შემუშავებული წარმოდგენაც, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ძალაუნებურად წინა პლანზე იწევს სავსებით ობიექტურად წამოჭრილი შემდეგი კითხვა — იქნებ „ქართლის არაგვის“ ნაცვლად ჩვენ აქ სამე გვაქვს იმ ორი პროვინციის („ქართლი“; „არაგვი“) აღმნიშვნელი სიტყვების უბრალო დაწყვილების ფაქტთან⁷², რომელთა მფლობელად შეცდომით იქნა გააზრებული ზურაბ არაგვის ერისთავი?

ასეა თუ ისე, ერთი რამ კი ნათელია — თუკი რამდენადმე სარწმუნოა წარსულში „ქართლის არაგვის“ როგორც ხალხში გავრცელებული სახელწოდების არსებობა, ალბათ ასევე ლოგიკური უნდა იყოს მის საპირისპიროდ „კახეთის არაგვის“, როგორც სახელწოდების არსებობის დაშვებაც. მაგრამ ვინაიდან, ვითარების ასეთნაირი შეფასება მომავალში ჭერ კიდევ დამატებითი ფაქტობრივი მონაცემებით შევსება-შემოწმებას ელის, ამჯერად მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავი შევიკავოთ აღნიშნული სახელწოდებების ხმარებაში შემოტანისაგან, მით უმეტეს, რომ მათი გამოყენების გარეშეც არ უკირს ჩვენთვის საინტერესო საკითხში მართებულად ორიენტაცია — აკი ზემოთ უკვე მიღებულიც იქნა საბოლოო დასკვნა, როგორც ისტორიული ტრადიციით ცნობილ ტერმინ „არაგვი“ ჩაქსოვილი კონკრეტული შინაარსის, ისე საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის აღმნიშვნელი ამ სახელის გავრცელების ზუსტი არეალის შესახებ, რომლის გადასინჯვის მოთხოვნილებას, სხვათა შორის, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების წარმოჩენაც ვერ აღძრავს.

პირიქით, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების შეჯერება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ისტორიულად მიღებული ნომინაციის ტრადიციის განსაკუთრებულ სიმტყიცეს და ცხადყოფს მის აშკარა გავლენას ხალხური სახელდების ტრადიციაზე, რასთან

71 სამწყსოს განახლების სიგელი ერეკლე II-ისა წილწენლ ქრისტეფორესადმი, ქსძ, II, გვ. 397.

72 ხომ შესაძლებელია, ხალხური ლექსის ჩამწერსაც და გამომცემლსაც ყურადღების გარეშე დაეტოვებინათ სიტყვა „ქართლზე“ უსათუოდ დასართავი მძიმე, რომლის აღდგენის შემთხვევაში „ქართლის არაგვის“ ნაცვლად საუაღდებულო გახდება შემდგენიარი წაკითხვა: „...ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო...“ (ანუ ვინ წავართვა ქართლისა და არაგვის საერისთავოს თაობა).

დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ტერმინ „არაგვის“ საკმაოდ მკაფიოდ ასახვა ხალხურ ნომენკლატურაში სწორედ არაგვის საუფლისწულოს (ყოფილი საერისთავოს) აღმნიშვნელი სახელწოდების შინაარსით⁷³. ნათქვამის საილუსტრაციოდ ვარგისი უხვი ფაქტობრივი მასალის ვრცლად გამომზეურების ნაცვლად კი ამჭერად სავსებით საკმარისი ჩანს სანიმუშოდ თუნდაც ერთი ხალხური ლექსის („არაგველთ შეთვლა ერეკლესადმი“) მოყვანა, რომლის მაგალითზე განსაკუთრებით ნიშანდობლივ იკვეთება არაგვად მარტოოდენ არაგვის საერისთავოს (ან საუფლისწულოს) და არა ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილი მთელი „საარაგვოს“ (// პირაქეთი არაგვის მთლიან აუზთან შეფარდებული ტერიტორიის) სახელდების ტენდენცია:

...მოახსენე: არაგველთა აქეთ, მეფევ, შენთან ვედრება...
თუ ში, ფშავი და ხეესური სულ შენ თავს შემოგველება...
მაშინვე ჩვენენ მოგმართე, მის ხალხი გაგიმარდება...
თუ ში, ფშავი და არაგვი შენ სულ თავს შემოგველება...
სანამ ცოცხალი იქნები არაგვი გემსახურება...⁷⁴

ზოლო რამდენადაც XIV-XIX სს. მრავალრიცხოვანი წერილობითი ცნობების და ნაწილობრივ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით განსაზღვრული მიწა-წყლის აღმნიშვნელ ტერმინ „არაგვს“, როგორც წესი, არაგვის საერისთავოს (მოგვიანებით არაგვის საუფლისწულოს) აღმნიშვნელი სახელის ღირებულება გააჩნდა, ნიადგა არაფერია გასაკვირვი იმაში, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილი „არაგვის“ (// „ორი არაგვის“, „სრულიად არაგვის თემის“) მოსახლეებმა საბოლოო ანგარიშით „არაგველებად“ სახელდება დაიმსახურეს.

მართლაც, ჯერ კიდევ „ძეგლი ერისთავთაში“ (XIV ს.) ვხვდებით სათანადო ცნობებს: „არაგვის მთიელებს“ („არაგვს მთიულნი“) ზოგადი სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული ხადელების, ცხავატელების, მოხევეების და მათ „მიმდგომთა“ შესახებ⁷⁵, რომელთა უყოყმანო ლოკალიზაცია სწორედ პირაქეთი და პირიქითი არაგვების ხეობებში არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

73 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 105; ქართულ მთელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუდამაყარი, ელ. ვირსალაძის გამოცემა, გვ. 153; „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. II, 1975, გვ. 130; „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. V, თბ., 1975, გვ. 89; „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. XI, თბ., 1984, გვ. 64; ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყარის ეთნოგრაფიული მასალები, 1984, რე. 1, გვ. 36; 1985, გვ. 2, 4 და ა. შ.

74 ვახტ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 268—269.

75 ძეგლი ერისთავთა. ქსძ, II, გვ. 107-108, 111, 117.

ასევე, XVIII—XIX სს. ქართულ წერილობით წყაროებში მრავალგზის ხერხდება ტერმინ „არაგველის“ დამოწმება, რომლის ქვეშ კვლავ „ორი არაგვის“ მოსახლეობა იგულისხმება. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა თუნდაც ვახტანგ ბატონიშვილის „ისტორიებრი აღწერაში“ დატული შემდეგი ცნობა: „... შემდგომად განყოფისა სამეფოსათაჲ რაოდენ შემძლებელ იყვნიან მეფენი ლაშქართა შოვნისა მზგავსადვე ამისსა ოთხ გუნდათ ჰყვანდესთ მხედრობა, გარნა არღარა შემძლებელ იყვენენ ჯამაგირით მხედრობათა ყოვლისა, არამედ ადგილთა ანუ პროვინციათა რომელთაგანმე იყვენენ მცველად მეფისა, ესე იგი მეფესა ქართლისასა ჰყვანდა არაგველნი, კახეთისასა ხისხელნი და შემდგომად უფროს თუშნი, იმერეთისასა რაჭველნი“⁷⁶.

რამდენადაც ამ შემთხვევაში ვახტანგ ბატონიშვილი ფაქტიურად ხელახლა გადმოგვცემს (მხოლოდ ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით) ვახუშტის „აღწერის“ წინასიტყვაობის იმ მონაკვეთს, სადაც საგანგებოდაა შეფასებული საქართველოს სხვადასხვა მხარის მკვიდრთა (მათ შორის მოხვევთა და მთიულთა) დამსახურება „სალაშქრო საქმის“ სფეროში „შემდგომად განყოფილებისა სამეფოსათა“ („...ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა... სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ხეობათაგან იყვენენ მცველნი მეფისანი და უმეტეს მოკვევემთიულნი... ხოლო იმერთა — რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა — ქისიყი...“⁷⁷), ნიდაგ ძნელი არ უნდა იყოს ხსენებულ ავტორთა ნააზრევის შეჭერების საფუძველზე ვახტანგ ბატონიშვილისეულ „არაგველთა“ მიღმა სწორედ ვახუშტის მიერ დასახელებულ „მოკვევე-მთიულთა“ დანახვა.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ვახუშტის „აღწერაში“ არსად გვხვდება ტერმინი „არაგველი“, ჩვენი აზრით, დიდი სწავლულისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო იმხანად ალბათ უკვე ხმარებაში დანერგილი ეს შემკრებლობითი სახელიც, რასთან დაკავშირებით უსათუოდ საინტერესოა შემდეგი ცნობა: „... არს მთანი შემკობილნი ყუაილითა და ბალახითა. კაცნი ჰგონე, ვითარცა არაგვისანი, არამედ ისინი უმჯობესნი“⁷⁸. როგორც ჩანს, აქ ნაგულისხმევი „კაცნი არაგვისანი“ უსათუოდ „არაგველებს“ უნდა შევეუფარდოთ.

ძნელი სათქმელია, ზუსტად რა ქრონოლოგიური პერიოდიდან დადგა განსაკუთრებით მყარ ნიადაგზე არაგვის საერისთავოს (შემდეგ კი არაგვის საუფლისწულოს) მოსახლეობის აღმნიშვნელი შემკრებ-

⁷⁶ ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, გვ. 3.

⁷⁷ იქვე, გვ. 31.

⁷⁸ იქვე, გვ. 363.

ლობითი ტერმინის უფლებაში გაფორმებული სიტყვა „არაგველის“ ოფიციალურ დონეზე გამოყენების ტრადიცია. ყოველ შემთხვევაში, XVIII ს. საბუთებსა და ნაწერებში ის უკვე სიატემატურად ფიგურირებს ასეთ როლში⁷⁹, ხოლო ზოგიერთ დოკუმენტში „არაგველის“ პარალელურად სახეზე გვაქვს მისი სინონიმური შინაარსის ტერმინებიც (მაგ. „არაგვის კაცნი“ // „არაგვის პირის კაცნი“).

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე XIX ს. ქართულ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაშიც, რასაც თვალსაჩინოდ ცხადყოფს არა მარტო ზემოთ დამოწმებული „ისტორიები აღწერის“ ცნობა, არამედ იმავე ვახტანგ ბატონიშვილის მიერ გენ. კნორინგისადმი 1801 წ. გაგზავნილი ერთი წერილის გაცნობა. მასში ნათქვამია: „... ასე მესმა, რომ ვითამე თავადს ბეჟანს სარიდანიჩის სიღამონოვს მდივანბეგსა თქუშნთვის არზა მოეწეროს, რომ არაგვი, რომელიც მე ღირსად ნეტარებით სახსოვარისა მამისა ჩემისაგან ბოძებული მაქვს, — თქვენც კარგად იცით, ეს ხსენებული არაგვი თავისად აღმოეჩინოს და ეთხოვოს და ის აზრი ახლა რომ ერისთავი ელიზბარი წამოვიდა, იმისთვის გამოეტანებინოს... მოწყალევე ხელმწიფევე, ამისი ვითარება ესრეთ გუეწყით: ეს ხსენებული არაგვი ყოფილ არს ნიადაგ ბაგრატოვანთა მეფეთა სახლისა...“⁸⁰ ხოლო მას შემდეგ, რაც ბეჟანის წინაპრები ახერხებენ „არაგვის ქვეყნის“ ხელში ჩაგდებას და აქ გაერისთავებას, „თუთ მამამან ხსენებულისა ამის ბეჟანისმან სარიდან თუმცაღა არ იყო ერისთავობით მჭდომარე, გარნა ჰყო ქლყანასა ამას (იგულისხმება „არაგვი“, ვ. ი.) შინა მრავალი უსამართლოება და ავაზაკებრნი საქმენი... და ვინაიდგან ვერღარა უძღეს ერთა ამის ქლყანისათა ესე იგი არაგველთა, ესოდენთა დაუთმობელთ ბოროტშემთხვეულებათა თათთა თვისთა ზედა, წარვიდენ შეკრებულნი სამლუდელონი საეროთურთ და მიერთუნენ განსვენებულსა მეფესა პაპასა ჩემსა თეიმურაზ მეორესა...“⁸¹.

როგორც ვხედავთ, მოყვანილ წერილში (ისევე როგორც „ისტორიები აღწერიდან“ მოტანილ ცნობაში) ხსენებულ „არაგველებში“ მარტივად ხერხდება არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობის ამოცნობა.

⁷⁹ იე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ც ხო ვ რ ე ბ ა - ა ნ დ რ ძ ი, გვ. 20; „განჩინება გლახა და ქაიხოსრო ფანეელიშვილების მამულის საქმეზე“ (1776 წ.), ქსძ, V; გვ. 14; „ლეონ ბატონიშვილის ხარჯის ნუსხა“ (1778 წ.), „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წ. I, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, თბ., 1938, გვ. 62; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, გვ. 34.

⁸⁰ AKAK, T. 1, c. 465—266.

⁸¹ AKAK, T. 1, c. 266.

სიტყვა „არაგველის“ ზუსტი მისამართის დადგენა ასევე არ ჭირს გრ. ორბელიანის თხზულებაში დატული შემდეგი ცნობის წაკითხვისას: კაიშურში დგას ცხრა კომლი კაცი არაგველი⁸².

იგივე ტერმინის გავრცელების არეალზე მართებული წარმოდგენის შემუშავებისათვის ფრიად საინტერესოდ გვეჩვენება 1812 წლის აქანყების მსვლელობის ამსახველი წერილობითი მასალა: „...მაშინ არაგვის პირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსეთისა: შთაესმარნენ ფშაველნი, და მოჰსწყვიტნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა...“⁸³, მუხრანბატონმა კი „...მიიტყუა ფიცით სამოცდაათნი კაცნი არაგვის პირისანი... და სრულიად მოაშობინა რუსთა...“⁸⁴.

მოცემულ ცნობაზე ყურადღებით დაკვირვების შემდეგ, ვფიქრობთ, ძნელი არაა იმის შენიშვნა, რომ აქ ხსენებული „არაგვის პირის კაცნი“ უდავოდ „არაგველებთან“ იმსახურებენ გაიგივებას, მაშინ როდესაც სახელწოდება „არაგვისპირელი“ არ გრცელდება, მაგ. ფშაველებზე (და ნიადაგ ზევსურებზეც), ანუ იმ მთიელებზე, ვისაც ხალხური ტრადიცია „არაგველად“ საკუთარი თავის სახელდების უფლებას ანიჭებს.

ასეთივე დიფერენციაციის კიდევ უფრო მკაფიო სურათი იხატება XIX ს. წერილობითი წყაროების მიხედვით, რომელნიც ძირითადად რუსულ ენაზეა დაწერილი და სადაც სიტყვა „არაგვი“ ძველებური გაგებით კვლავ „ორი არაგვის“ მოსახლეობას ფარავს.

მაგალითად, დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: «В то самое время в Грузии в провинции Арагви поднялся бунт теми обывателями против российского начальства. Управлявший тогда в Грузии генерал-лейтенант князь Волконский, не найдши другого средства к украшению арагвцов послал генерал-майора Талызина с отрядом с ним. Генерал Талызин, прибывши к арагвинцам, не мог несколько успеть в порученном ему деле»⁸⁵.

სახელწოდებებს „არაგველები“ („Арагвцы“), „არაგვის მცხოვრებნი“ («Арагвские жители»), „არაგვის ხალხი“ («Арагвский народ») შესაბამისად „არაგვის ოლქის“ («Арагвский округ»),

82 გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955, გვ. 159.

83 მასალები საქართველოს ისტორიისათვის (ქვემოთ მსი), შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ. ტფ., 1905, გვ. 102.

84 იქვე.

85 Давид Багратиони, История Грузии, с. 173.

„არაგვის მხარის“ («Арагвская область»), „არაგვის პროვინციის“ («Арагвская провинция») ან „არაგვის საუფლისწულოს“ («Удел Арагвский») მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინების რანგში ყოველ ნაბიჯზე ვაფიქსირებთ XIX ს. მრავალრიცხოვან რუსულ და რუსულ ენაზე თარგმნილ ქართულ დოკუმენტებში⁸⁶. ამასთან, ისინი მრავალჯერ იხსენიებიან ისეთ სახელწოდებებთან აშკარა შეპირისპირებაში, როგორებიცაა „ქსნელი“ («Ксанцы»), „ქსნის მცხოვრებნი“ («Ксанские жители» // „ქსნის ხალხი“, «Ксанский народ»). „ლიახველები“ («Лиахвцы»), „ფშავლები“ («Пшавцы»), „ხევსურები“ («Хевсурцы»), „კახელები“ («Кახетишцы»), „ქართლები“ («Картлишцы») და ა. შ., რასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო ფაქტობრივი მასალის წარმოჩენა მცირედენი კომენტარის თანხლებით:

მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში ბაეისგან განთავისუფლებული კუთხეების მცხოვრებთა ჩამოთვლისას ერთმანეთის გვერდით იხსენებიან არაგვის მცხოვრებნი, ქსნის მცხოვრებნი..., თუშები, ფშავლები და ხევსურები («Список освобожденных издревле от пошлины: Арагвские жители, ксанские... Туши, Пшавы, Хевсурцы...»⁸⁷) რაც დამაჯერებლად მოწმობს, რომ „არაგვის მცხოვრებლებად“ ან „არაგველებად“ ტრადიციულად არაგვის საერისთავოს მოსახლენი ითვლებოდნენ და ამ სახელწოდების გავრცელების არეალში არ შედიოდა სხვა მთის კუთხეები, კერძოდ ფშავი და ხევსურეთი.

ამ მხრივ კიდევ უფრო საგულისხმოა ფარნაოზ და ივლონ ბატონიშვილთა მიერ შედგენილი წერილის ის ადგილი, სადაც ხსენებული პირები დაინტერესებულნი არიან იმის გარკვევით, თუ «от кого случилось возмущение Арагвцев — Хевсурцы и Пшавцы помогают им или нет»⁸⁸. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც შემკრებლობითი შინაარსის სახელწოდება „არაგველი“ მარტოდენ ყოფილი არაგვის საერისთავოს ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრებ „მთის კაცთა“ აღმნიშვნელ ტერმინად გვევლინება, რომელიც არ ფარავს ფშავის არაგვის ხეობისა და მის შემდინარე ხევსურეთის არაგვის ხეობის მოსახლეობას.

ანალოგიურ ვითარებას ვადასტურებთ ნ. ჭილაშვილის „Записка“-შიც, სადაც „არაგველები“ («Арагвцы») „არაგვის ოლქის“ მოსახლეობის მისამართით გამოყენებულ ზოგად სახელ-

⁸⁶ АКАК, т. I, с. 383; «АКАК», т. II, с. 142, 308, 310, 312, 325, 331, 333, 334; «АКАК», т. IV, с. 115, 120, 121, 313; АКАК, т. V, с. 70, 72, 75, 76, 420, 421, 429.

⁸⁷ АКАК, т. I, с. 481.

⁸⁸ АКАК, т. II, с. 316.

წოდებდა არის გამოყვანილი⁸⁹ და იქვე საგანგებოდაა განმარტებული, რომ «одни только Арагвцы и другие горские народы были недоуныны для неприятелей».⁹⁰

ასევე, ქსნის ხეობის მცხოვრებთა მიმართვაში გენ. რტიშჩევისადმი განმარტებულია, რომ არაგველთა ამბოხების დროს ქსნის ხეობის მცხოვრებნი („Ксанцы“) რუსების მხარეზე იბრძოდნენ „არაგველების („Арагвцы“) წინააღმდეგ⁹¹, საიდანაც კვლავ ნათლად ჩანს საკვლევი სახელის მორიგი ლოკალიზაცია ჩვენს მიერ არაერთგზის მითითებულ ტერიტორიაზე განსახლებულ მცხოვრებლებზე.

მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვეჩვენება მეფე სოლომონის წერილი ქართველი მთიელებისადმი, რომლის რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: «Любезные и именитые братья все вообще Арагвцы, Тушинцы, Хевсуры и Пшавцы... — все до единого горские люди...»⁹² ვფიქრობთ, აქ იმდენად ცხადად არის მინიშნებული იმაზე, თუ მაინც რომელი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის მკვიდრნი იწოდებოდნენ არაგველებად, რომ დამოწმებული ცნობის კომენტარების საჭიროება აღარც ჩანს.

იგივე ითქმის „არაგველთა“ და „ფშაველთა“ მიერ გაბრიელ ყაზბეგისადმი გაგზავნილ წერილზე, რომლის რუსულ ვარიანტში გარკვევითაა ნათქვამი: „Его Благородие Казимбегова сына Арагвцы и Пшавцы совокупю приветствуем с братскою любовью! Затем все мы, Арагвцы и Пшавцы соединены клятвою...»⁹³.

ამრიგად, განხილული მონაცემების შუქზე ჩვენ სრულიად დაბეჭითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისტორიული ტრადიციის თანახმად „არაგველებად“ იწოდებოდნენ მხოლოდ ყოფილი არაგვის საერისთავოს (შემდგომში არაგვის საუფლისწულოს) მცხოვრებნი, ძირითადად კი „მუნებური“ ქართველი „მთის კაცნი“ (მთიულები, გულამაყრელები, ხანდოელები, ქართლელები, მოხვევები), აგრეთვე „ორი

⁸⁹ Записка Н. С. Чилиева о горских народах по Военно-Грузинской дороге (1827), АКАК, VII, с. 348.

⁹⁰ იქვე, გვ. 351.

შენიშვნა: რასაკვირველია, ავტორი აშკარად ცდება, როცა არაგველების და სხვა მთის რეგიონების მკვიდრთა აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „ხალხი“. საერთოდ, ეს უზუსტობა წითელ ხაზად გასდევს XIX საუკუნის ლიტერატურას, რაც არაერთი სერიოზული გაუგებრობის მიზეზად გვევლინება.

⁹¹ АКАК, VII, с. 412.

⁹² АКАК, т. V, с. 470.

⁹³ АКАК, т. V, с. 361.

არაგვის“ ფარგლებში მოსახლე ოსები, მაშინ როდესაც ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილი „საარაგვოს“ (// პირაქეთი არაგვის მთელი აუზის ფართობთან შეფარდებული ტერიტორიის) ფარგლებში განსახლებული ფშავ-ხევსურები ამგვარ სახელდებას არ ექვემდებარებოდნენ.

საყურადღებოა, რომ ისტორიულად ცნობილმა ამგვარმა სახელებამ ხალხური ნომინაციის ტრადიციაზეც მოახდინა გავლენა, რასაც მოწმობს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მიხედვით აღდგენილ ხალხურ ტერმინოლოგიაში წყვეტილობითი დანიშნულების სიტყვა „არაგველის“ გაცილებით უფრო ხშირი ფიქსაცია სწორედ „ორი არაგვის“ მცხოვრებთა აღმნიშვნელი სახელწოდების შინაარსით. ამასთან, ზოგიერთი ლექსი თუ თქმულება პირდაპირ მინიშნებას შეიცავს „არაგველის“ და „ფშავ-ხევსურის“ სავალდებულო ურთიერთგამიჯენის აუცილებლობის შესახებ, ხოლო ზოგიერთი ერთმანეთთან შეპირისპირებაში წარმოაჩენს, ერთი მხრივ, სახელწოდებებს— „ხევსური“ ან „ფშაველი“, მეორე მხრივ კი, ტერმინს „საერისთოვლები“, რომლის მიღმა უთუოდ „არაგველი“ იწოდება⁹⁴.

ცხადია, მიღებული დასკვნის შემდეგ გაცილებით უფრო მარტივდება საკვლევ საკითხში მართებული ორიენტაცია, მით უმეტეს, რომ საკუთრივ კრწანისის ომის მიმდინარეობისა და მისი დასრულების შემდგომ მომხდარი მოვლენების შესახებ არსებული წერილობითი წყაროების გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს „არაგველებთან“ უსათუოდ არაგვის საუფლისწულოს მოსახლეების უყოყმანო გაიგივების აუცილებლობაში.

ამ თვალსაზრისით პირველხარისხოვანი ღირებულება გააჩნია თემურაზ ბაგრატიონის თხზულებაში დაცულ ზოგიერთ ცნობას. რომელთა ვრცლად დამოწმება მხოლოდ აღძრული საკითხის შეძლებისამებრ სრულფასოვნად გაშუქების საჭიროებითაა ნაკარნახევი. ხსენებული ავტორის თანახმად, კრწანისის ბრძოლის წინ „... ჰყვეს მეფესა სოლომონს თანა მხედარნი იმერთანი კაცნი ვითარ ორიათასიოდენ და მეფე ირაკლის თანა იყვნეს მაშინ ორი ათას შუდასამდე მხედრობა თვისი: ცხენოსანნი და ქვეითნი. ამათ შორის იყვნეს ქიზიყელნიცა და არაგველნი მცირედნი, მაგრამ კაცნი გულოვანნი ფრიად. ხოლო ძეთაგან თვსთა არაიენ ჰყვა თვს-

⁹⁴ ვახტ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 268-269; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ქს. სიხარულიძის გამოც., თბ. 1964, გვ. 18; ქართველ მთელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის გამოც. გვ. 159; ქართული ხალხური პოეზია, XI, თბ. 1984, გვ. 26; ვახტ. ითონიშვილი, მთელენის ეთნოგრაფიული მასალები, 1982 წ. რვ. V, გვ. 37 და ა. შ.

თანა მხოლოდ ერთი ოდენ ვახტანგ და ორნი ძის ძენი თვსნი: დავით და ძმა მისი მეფის ძე იოანე. ხოლო მაშინ გულოვნად იყვნეს ესე მეფის ძენი და ბრძოლა უყვეს ალა-მაჰმად-ხანს სხვასა და სხვასა ჟამსა და სძლევდეს მტერთა. მაშინ იმერთაჲცა მხედრობანი ბრძოდეს მამაცად და ეგრეთვე ჳიზიყელნი და არაგველნი ფრიად მხნედ“⁹⁵.

ამ წინასწარი ინფორმაციის შემდეგ ისტორიკოსი უშუალოდ ბრძოლის აღწერაზე გადადის და გვაუწყებს, რომ არაგველთა ლაშქარი ვახტანგ ბატონიშვილის სარდლობით კრწანისის ომის მეორე დღეს (11 სექტემბერს) ჩაება ბრძოლაში, როდესაც „... მიაშველნა მეფემან კუალად ძე თვის ვახტანგ მეწინავეთა მხედრობათა და სხვათაგანცა გუნდთა აღმორჩევით მებრძოლნი, ხოლო მხედრობათა მათგან აღერჩივნეს კაცნი მამაცნი ჳიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი. შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მალათა მათ კლდერთა გორათა და მათთა ზედა და ბრძოდეს მათ ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინდა და მისდრიკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად. კუალად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი... და შეუერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურეთა, არაგველთა და ჳიზიყელთასა და ჳყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწივნეს ვიღრე დროშებდამდე ალა-მაჰმად-ხანისა და მისტაქენს დროშანი რაოდენნიმე მხედრობათა ალა-მაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწყუტნეს წინაშე მისსა. იხილა რა ალა-მაჰმად-ხანმან სიმხნე ესევეითარი ქართველთა მხედრობისა. განუყვრდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმითგან ჩემით ვიღრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა წინა და არა სადა მიხილავს მე წინააღმდეგნი, ვითარ ესე კაცნი ჩემდა მომართ ჳყოფდნენ ბრძოლასა“. მაშინ მოუწოდა სხვათა შესვენებულთა მხედრობათა ქვევითთა მაზანდარანელთა და სხვათა. რომელნიცა ჳყვეს უკანით მხედრობისა მისისა დაფარვით მდგომარენი და დასვენებულნი იგი მხედრობანი, შემოაბა ურიცხვნი დამაშვრალთა მათ მებრძოლთა განკარგულებითა წესიერითა. ხოლო ვინაიდგან მხედრობანი ქართველთანი ფრიად დამაშვრალ იყვნენ, ამისათვის, თუმცალა დაუძღურდებოდეს, მაგრამ არა ეგრეთცა მისცნეს თავნი თვსნი უსუსურებასა და არცა ივლტოდენ იგინი ურიცხვთა მათგან და ძლიერთა და ბრძოლასა შინა გამოცდილთაგან წინააღმდეგთა, არამედ ვიღრე უკანასკნელ ძალ ედვათ მათ, ბრძოდეს სიმხნითა უაღმატებულესითა ძლიერად, რაოდენ და ვიღრემდის ბუნება კაცისა თავს იღებდა და ძალ ედვა ბრძოლად და რა ჟამს არღარა ძალ იღებოდეს უმეტეს მისსა შრომაჲ, მაშინ განსწირნეს თავნი

95 თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 33.

თვისნი და შეიწირნეს. ეს ხვერპლად საყვარელი სა მამულისა თვისისა და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხივნეს სისხლნი თვისნი“⁹⁶.

საყურადღებოა აგრეთვე ბაგრატ ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ კრწანისის ომის შემდეგ ალა-მაჰმად ხანმა „... სხუთა გარემოთა ვერაზ ავნო, თუმცაღა არაგუსა ზედა გაგზავნა რაოდენიმე მხედრობანი შესაპყრობელად მეფისა, გარნა იძლიენენ ბულაჩაურში არა გუ ღლთა, ფშაველთა და შამშადანელთაგან და უკუნ იქცენენ ვერარაის მყოფელნი“⁹⁷.

კიდევ ერთი საგულისხმო წერილობითი ძეგლის მიხედვით კი თბილისის აღების შემდეგ ირანელთა მარბეველი ლაშქარი არაგვის ხეობაში შეიჭრა, სადაც „... მისრულსა უინვალს, იდგა მუნ ალი სულთანი შამშადინისა. ამან შეიკრიბა შამშადინელნი სამასი კაცი ცხენოსანი, ხოლო არაგვისა პირისა კაცნიცა, და აგრეთვე ფშავ-ხევსურნიცა შეკრბნენ მუნ ალი სულთანთან ორას კაცამდე, ეწყენენ მუნ ქალბალი ხანსა, აოტნეს სპარსნი და უკუნაქციენ ქალბალიხან...“⁹⁸.

როგორც მოყვანილი ცნობების, უწინარეს ყოვლისა კი თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულების მოზრდილი მონაკვეთის საგულდაგულო ანალიზი ცხადყოფს, განხილულ წყაროებში ხსენებულ „არაგველებში“ ან „არაგვისპირის კაცებში“ კვლავ არაგვის საუფლისწულოს მკვიდრნი ამოიცნობიან, რის კვალობაზე თავისთავად გასაგები ხდება კრწანისის ველზე დაღუპული სამასი არაგველის ვინაობაც — სამას არაგველად ნიადაგ არაგვის ხეობისა და თერგის ხეობის მოსახლენი უნდა ვიგულოთ.

მართალია, თეიმურაზ ბაგრატიონი დაზუსტებით არაფერს ამბობს კრწანისის ომში თავდადებით ნაბრძოლი არაგველების საერთო რაოდენობაზე და ის უფრო არაგველთა, ფშავ-ხევსურთა და ქიზიყელთა გამირობის ღირსეულად წარმოჩენითა დაკავებული, მაგრამ სამაგიეროდ ამ ხარვეზს ავსებს ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც მკაფიოდ განარჩევს რა ერთმანეთისაგან „არაგვის ჯარს“ (სარდალი ვახტანგ, იგივე ალმასხან ბატონიშვილი), „ფშავ-ხევსურეთის, თუშეთისა და კახეთის ჯარს“ და სხვა სამხედრო შენაერთებს⁹⁹, სრულიად გარკვევით მიუთითებს: იმ ამ-

96 თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 35—36.

97 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 65.

98 მსი, გვ. 44—45.

99 ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში, ჟურნ. „მოამბე“, 1895, № 7, გვ. 131, 133.

ბებში ვინც მეფე ირაკლისთან იყვნენ პირუტლი გუამები, იმ თავიდან უკანასკნელამდისინ, იმათი სახელი არ უნდა დაიკარგოს, იმათი სახელი უნდა დაიწეროს აქა.

პირუტლი. თვთ მეფის ირაკლის ძე ვახტანგ (მომატებული სახელი აღმასხან). ამას სამასი ცხენიანი აზნაურ შვილები ჰყუანდა თავიანთი მოსამსახურეებით, არაგუტლები, რომლებიც სულ ომში დაიხოცნენ და თავი იქვე დაადეს. ამ ბატონიშვილს, არამც თუ სამასი მეომარი, შეეძლო სამი ათასი მოეყვანა იმ ხეობის ოსებით, კარგი ვაჟკაცი, მაგრამ იქაც ეშმაკები შეიპარნენ და იმათ ჩაშალეს...¹⁰⁰.

როგორც ვხედავთ, ავტორი არა მარტო არაგველთა რაოდენობას აზუსტებს, არამედ იგი საბოლოოდ სრულყოფს ჩვენ წარმოდგენას იმ კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონზეც, საიდანაც მიიღო კიდევ შეესება არაგველთა ლაშქარმა — არაგვის ჭარში ოსების მონაწილეობის გამოუყენებელი შესაძლებლობის კრიტიკული კონსტატაციის ფაქტი ხომ ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვახტანგ ბატონიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი რაზმის რაოდენობის მკვეთრი გაზრდის გზებზე მსჯელობისას ავტორი გულისხმობდა არაგვისა და თერგის ხეობებს (ისტორიულად ცნობილ „ორ არაგვს“), სადაც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან „სალაშქრო საქმით“ იმთავითვე დაბეგრილი ოსებიც ცხოვრობდნენ. რასაკვირველია, სამას არაგველთა ჭარის დაკომპლექტება კახეთის მთიანეთის მოსახლეთა (კერძოდ ფშავ-ხევსურთა) ხარჯზე რომ მომხდარიყო, როგორც ეს საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს, მაშინ ალექსანდრე ჩამბაკურ-ორბელიანი ელემენტარული ლოგიკის ძალით, ვერ გამოთქვამდა წუხილს კრწანისის ომში ოსი მოლაშქრეების დაკლების თაობაზე. რადგან ფშავ-ხევსურეთში ოსების ცხოვრება ისტორიულად არ დასტურდება.

ასევე, სამას არაგველთან მაინცდამაინც არაგვის საერისთავოს მცხოვრებთა გაიგივების სასარგებლოდ დამაჯერებლად მეტყველებს ის დეტალიც, რომ ვახტანგ ბატონიშვილის დაქვემდებარებაში მყოფ მეომრებად ფიგურირებენ ცხენოსანი აზნაურები და რიგითი მოლაშქრეები, ანუ ის შეუპოვარი მებრძოლები, ვისაც ისტორიული ტრადიცია ყველაზე საიმედო „მეფის მცველებად“ წარმოაჩენს (ვახუშტი: „...სახსონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ნეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი და უმეტეს მოკვეც-მთიულნი...). ცხადია, ამ შემთხვევაში ავტორს სწორედ არაგვის საუფლისწულოს მკვიდრნი ჰყავდა მხედ-

¹⁰⁰ ალექსანდრე ჩამბაკურ-ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

ველობაში, ვინაიდან ხსენებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულისა და ფშავ-ხევსურეთის საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების შეპირისპირება და, რაც მთავარია, ფშავ-ხევსურეთის მეტისმეტად სუსტად დიფერენცირებული მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე დაკვირვება, რომლისათვის სრულად უცხოა აზნაურთა ფენის არსებობა, თავისთავად განაორიციხავს აღნიშნული კლთხეებიდან „აზნაურიშვილებისა და მათი მოსამსახურეების“ ჯარში გაწვევის შესაძლებლობას.

საყურადღებოა, რომ ჯამბაჯურ-ორბელიანის ნაშრომში გატარებულ აზრს სამასი არაგველის ვინაობისა და რაოდენობის შესახებ კიდევ უფრო განამტკიცებს გრიგოლ ორბელიანის შემდეგი ცნობაც: „სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დღუშეთიდან ალა-მამქად-ხანის შემოსვლის დროს, შეჰფიცეს მეფეს და ერთიე აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდან, ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ“¹⁰¹.

მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ ითქვას, რომ უნუთალოდ კრწანისის ბრძოლის დროს ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით იყვნენ უკვე არა მარტო მისი საგანმგებლო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებნი — არაგველნი, არამედ ფშავ-ხევსურები, ქიზიყელები და თბილისელი მოქალაქეებიც, რომელთა რაოდენობა სამწუხაროდ იმდენადვე გაურკვეველია, რამდენადაც ცნობილია მათი გმირული თავდადება. ყოველ შემთხვევაში, არსებული მონაცემების მიხედვით არაგველთა, ფშავ-ხევსურთა, ქიზიყელთა და თბილისის მოქალაქეთა პატარა-პატარა რაზმებისაგან შემდგარი მთლიანი ჯარი, რომელსაც ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი წაუძღვა წინ, ალბათ 1000 მეომარს მაინც ითვლიდა, რასაც გვაფიქრებინებს თუნდაც ბრძოლის უშუალო მონაწილის, ალა-მამქად-ხანის სამსახურში გამწესებული ოფიცრის იაკობ ბებუთოვის შემდეგი მონათხრობი: „...ჩვენ გამოვიარეთ და ვნახეთ, რომ მესამე სანგარზე თვითონ ერეკლე იყო მპრბანებელი და ახლო იყო ჩვენზედ, მხოლოდ ერთი პატარა ხევი და ბაღები განგვყოფდნენ ჩვენ მათგან, და ძალიან ძლიერი იყო ჯარით და ზარბაზნებით და იმ ხევიდამ მცირე ნაწილი ჯარი გავიდა მეორეს მხარეს, სადაც ცოტა რამ ვაკე ადგილი იყო, და უცებ ბაღების თავიდან და ხევიდამ, ორად განჰყოფილი ათასეული ცხენოსანი, და იმოდენიე ქვეითი ჯარი გამოვიდა, და შემდგომად. როგორც შევიტყვით, ერეკლეს უფროსი შვილი (ე. ი. ვახტანგ ბატონიშვილი, ვ. ი.) ყოფილიყო და უნდოდა,

101 გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 97.

რომ ჩვენის ჭარის ჭაქვი გაეწყვიტა და ყოვლის ძლიერებით ჩვენ და გვეცა... ამ ვიწრო ადგილს ჩვენი დიად მრავალი დაიხოცა...“¹⁰².

ვინაიდან, კრწანისის ველზე ფშავ-ხევსურთა რაზმისა და არაგველთა ჭარის ერთმანეთის მხარდამხარ ფიცხელი ბრძოლა ექვს არ იწვევს და ამასთანავე არაა გამორიცხული თბილისში მოსვლამდე არაგველთა ჭარისა და ფშავ-ხევსურთა „გუნდის“ ეინვალთან (ან დუშეთთან) წინდაწინ გაერთიანების შესაძლებლობა, ვფიქრობთ, არაფერია გასაკვირვი იმაში, რომ აღნიშნული მოვლენა ფართოდ აისახა არა მარტო მთიულურ, გუდამაყრულ, მოხევეურ, არამედ ფშავ-ხევსურულ სეპირსიტყვიერებაშიც¹⁰³, ხოლო ვაჟა-ფშაველამ თავის ერთ-ერთ ლექსში („მოხუცის ნაამბობი“) კრწანისის ომის მონაწილეებად წარმოაჩინა როგორც არაგველები (სახელდობრ, მოხევეები და გუდამაყრელები), ისე ფშავ-ხევსურები¹⁰⁴. ამასთან, სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება ის გარემოებაც, რომ დიდმა პოეტმა მთიელთა გაერთიანებული ლაშქარი „არაგვის“ მხარიდან გაკრფილ მეომართაგან დაკომპლექტებულ სამხედრო შენაერთად გაიაზრა¹⁰⁵, რაც ხალხური ნომინაციის ტრადიციისადმი მისი ერთგულებით აიხსნება.

მაგრამ თუკი ვაჟა პრინციპში არც შეხებია კონკრეტულად სამასი არაგველის გმირობის თემას და მან ფაქტიურად მარტოოდენ ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილი „საარაგვოს“ მცხოვრებთაგან შემდგარი „მთიელთა ჭარის“ დამსახურების აღნიშვნა არჩია, ი. გოგებაშვილმა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციის კვალობაზე მთიელთა ამ გაერთიანებული ლაშქრის რაოდენობის დაზუსტებაც სცადა, როცა ერთ-ერთ წერილში მკითხველს უამბო „სამასი თავდადებული გლეხის“ და არა სახელდობრ, სამასი არაგველის გმირობის შესახებ.

ი. გოგებაშვილის მიერ შემოთავაზებული ვერსიის თანახმად ერეკლე II-ის მოწოდებაზე თბილისისაკენ დაიძრნენ ფშავ-ხევსურები, რომელნიც დუშეთთან შეუერთდნენ არაგვისპირელ მთიელებს და შემდეგ ამ გაერთიანებულ სამასკაციან ჭარს, რომელსაც სარდლობ-

102 თბილისის აღება აღ-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ. (მოთხრობა თვალთმნა-ხეელისა), ეურნ. „ივერია“, 1865 წ. № 2, გვ. 102.

103 ძველებური ამბავი ნუფე ერეკლეს დროს, როსაც ქვესურნი დაიბარნა საომრად, ბეს. ვ ა ბ უ რ ი, ქვესურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული“, I-II, თბ., 1925, გვ. 161-164; ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, გვ. 71; „ქართული ხალხური პოეზია“, XI, გვ. 57 და სხვ.

104 ვ ა ჯ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1964, გვ. 9-15.

105 ი ქ ვ ე, გვ. 9, 12.

და ვახტანგ ბატონიშვილი, თავი უსახელებია კრწანისის ომში¹⁰⁶. ამდენად, ავტორის ნააზრევებიდან ძალაუვნებურად ისე გამოდის, რომ კრწანისის ველზე თავდადებით უომია არა მაინცდამაინც სამას არაგველს და მათთან ერთად ფშავ-ხევსურებს, როგორც ეს ზემოთგანხილული მონაცემებიდან გამოჩნდა, არაქედ ზოგადად „სამას მთიელს“, რომლებშიც იგულისხმებოდნენ საკუთრივ არაგველებიც და ფშავ-ხევსურებიც.

რასაკვირველია, ჩვენ სულაც არ ვხდით სადავოს თბილისისკენ წამოსულ არაგვის ჯართან ფშავ-ხევსურთა რაზმის შეერთების ხაზგასმულ ფაქტს და ნიდაგ ბოლომდე ვიზიარებთ პატივცემული სწავლულის ცნობას არაგვისპირელ მთიელთა და ფშავ-ხევსურთა ერთად ბრძოლაზეც, მაგრამ, სამაგიეროდ, არარეალურად გვეჩვენება მხოლოდ სამასი კაცისაგან შემდგარი სამხედრო კონტინგენტის წარმოდგენა მთელი არაგვის საუფლისწულოსა და ფშავ-ხევსურეთის სამხედროვალდებულ მოსახლეთა თანაბარი მობილიზაციის პრაქტიკულ რეზულტატად და, საბოლოო ანგარიშით საკუთრივ არაგველთა ჯარის რაოდენობრივი მაჩვენებლის გააზრება არაგველთა და ფშავ-ხევსურთაგან შემდგარი უფრო მოზრდილი შენაერთის რიცხობრივ მაჩვენებლად. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ავტორის პოზიციას მთლიანად განსაზღვრავს მისი საფუძვლიანი დაეკება მარტოოდენ არაგვის საუფლისწულოდან სამასი მეომრის გამოყვანის შესაძლებლობაში ან კიდევ საკვლევი საკითხის გარშემო არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების არამართებული ანალიზი.

ვითარების ასეთნაირ შეფასებასთან დაკავშირებით კი უპრიანია განიმარტოს, რომ კრწანისის ომის წინ მთელი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში და მათ შორის არაგვის საუფლისწულოსა და ფშავ-ხევ-

¹⁰⁶ ი. გოგებაშვილი, სამასი თავდადებული გლეხი, „საგანძერი“, გვ. 404—408.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ ავტორი ვახტანგ ბატონიშვილს მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის მმართველად აცხადებს (ი. გოგებაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 404), რაც არაა მართებული. სინამდვილეში სხენებული პირი წარმოდგენდა არაგვის საუფლისწულოს (ან უბრალოდ „არაგვის“) მეპატრონეს, რომლის საგამგებლოში მთიულეთის გარდა სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეებიც შედიოდა (გულდამაყარი, ხანდო, ჭართალი, ხევი, თრუსო, ზახა, ბაზალეთი...), სამაგიეროდ აღნიშნულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში არ შედიოდა ფშავი და ხევსურეთი, რომლებიც ისტორიულად თიანეთის მოურავის დაქვემდებარებაში მყოფ კუთხეებად გვევლინებოდა.

კორექტირებას საჭიროებს აგრეთვე იმავე წერილის ის ადგილი, სადაც არაგველი მთიელები „არაგვისპირელ მთიელებად“ არიან სახელდებულნი (იქვე, გვ. 405). ცხადია, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ცნებების „მთიულისა“ და „მთიელის“ მცდარი იდენტიფიკაციის ფაქტთან.

სურეთში სამხედრო მობილიზაცია ერთნაირი ორგანიზებულობით და სასურველი ინტენსივობით არ ჩატარებულა, რის გამოც ცალკეული რეგიონებისა და მიხედვით შეკრებილი ჯარების რაოდენობრივი თანაფარდობა უაღრესად არაპროპორციული აღმოჩნდა. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ როდესაც კრწანისის ომის დასრულების შემდეგ არაგვის ხეობაში შეხიზნული და ირანელთა მარბიელი ლაშქრისაგან დევნილი ალი-სულთან შამშადილელი თავისი ქვეშევრდომებითურთ ეჩვენალს უახლოვდებოდა, აქ მას ბედად შეშოეყარნენ „... სავასადმდე ხევსურნი ქვევითნი კაცნი ხევსურეთით მომავალ... ტფილისად, რათამცა მივიდეს იგინი ბრძოლასა ზედა აღა-მამამად-ხანისასა მეფესა ირაკლის თანა და ვითა იხილეს მათ ალი სულთანი ადგილსა მას, ჰკითხეს მას ვითარება საქმისა და ილწყყეს ყოველივე...“¹⁰⁷ ეს ცნობა ხომ თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ იგივე ხევსურეთის სოლიდური სამხედრო პოტენციალი კრწანისის ომის წინ მხოლოდ ნაწილობრივ, ალბათ მინიმალური ეფექტიანობით იქნა გამოყენებული¹⁰⁸, რასთან დაკავშირებით ეგების მთლად სუბიექტური მოსაზრების შთაბეჭდილებას აღარც სტოვებდეს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის შემდეგი განაცხადი: მეფე ერეკლეს „... ყოვლის მხრიდან დიდი იმედოვნობის ამბები მოუვიდა ჯარებისა, მაგრამ არსაიდგან არ გაუჩნდა... ქიზიყიდან შეყრილი ჯარი... სიღნაღის ბოლოდგან დაშალეს. ფ შ ა ე ხ ე ვ ს უ რ ე თ ი ს ა , თ უ შ ე თ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ჯ ა რ ი ა რ ც კ ი მ ო კ რ ი ფ ე ს...“¹⁰⁹.

თუ მანდველობაში მივიღებთ ფშაე-ხევსურთა და თუშთა ჯარის შეყრასთან დაკავშირებულ ასეთ სერიოზულ ორგანიზაციულ სიძნელებებს და ამავე დროს გავითვალისწინებთ ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის, ვითარცა „არაგვის მპყრობელის“ გადამწყვეტ როლს მთიელთა ლაშქრის სასწრაფოდ შეკრების ფრიად ხანმოკლე კამპანიაში, ვფიქრობთ, საკამათოდ არ უნდა გავხადოთ ის ფაქტი, რომ არაგვის გამგებელი, თავის ხელქვეით არაგველ აზნაურთა დახმარების წყალობით შედარებით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდა სწორედ არაგვის ჯარის დროულად შეკრების საქმეში¹¹⁰, რის კვალობაზე არა-

107 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 42.

108 როგორც ჩანს, ერეკლესთან დროულად გამოცხადება მხოლოდ სასწრაფოდ შეკრებილმა ცხენოსანმა მეომრებმა მოახერხეს, მაშინ როდესაც ქვეითად მებრძოლ ხევსურებს დედაქალაქში მისვლა დაუგვიანდათ. ალბათ იგივე ითქმის ფშაველ მოლაშქრეებზეც.

109 ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჯ ა მ ბ ა კ უ რ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი . დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

110 საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსების წინააღმდეგ მიმართული ამბოხებისათვის მზადდებოდა დაკავებული ვახტანგ ბატონიშვილი სწორედ არაგველების ძალებზე და ერთგულებაზე ამყა-

გვგონია დაუჭერებლად გამოიყურებოდეს მარტოოდენ არაგვის საუფლისწულოდან იმდენი მოლაშქრის გამოყვანა, რამდენის გამოსვლაც ი. გოგებაშვილმა მხოლოდ „ორი არაგვისა“ და ფშავ-ხევსურეთის მეომართა გაერთიანების შემთხვევაში ჩათვალა შესაძლებლად. ამდენად, ის მოსაზრება, თითქოს სამასკაციან სამხედრო შენაერთს წარმოადგენდა ქართლისა და კახეთის „მთის კაცთა“ გაერთიანებული ლაშქარი და არა მაინცდამაინც არაგველთა ჯარი, კორექტირებას საჭიროებს.

მაგრამ, თუ განხილულ თეზისს უცვლელად დავტოვებთ და ამავე დროს არ უგუჯვებელვყოფთ მთიელთა გაერთიანებულ ლაშქარში არაგველთა რიცხოვრივი უპირატესობის ალბათ უდავო ფაქტს, მაშინ ძალაუნებურად უკვე იმ ვარაუდის დაწინაურება მოგვიწევს, რომ არაგველთა, ფშაველთა და ხევსურთაგან შემდგარი ამ სამხედრო შენაერთის ძირითადი ბირთვის აღმნიშვნელი სახელწოდება— „არაგველნი“ შესაძლოა მექანიკურად იქნა გააზრებული მთიელთა სამასკაციანი ჯარის ზოგად სახელწოდებად და ამ სახით დღემდე შემონახული, რასაც ნიადაგ ვერ შეუშლიდა ხელს ფშავ-ხევსურთა მიერ საკუთარი თავის არაგველებადვე სახელდების ფაქტორი.

ასეა თუ ისე ერთი რამ კი სრულიად ნათელია — სწორედ მთიელთა გაერთიანებულ ლაშქარში შემავალ არაგველთა და ფშავ-ხევსურთა რაოდენობრივ შეფარდებაში არსებულმა სხვაობამ და, რაც მთავარია, ამ სამხედრო შენაერთის ბრძოლამ არაგვის ვანმგებლის ხელმძღვანელობით შეასრულა კიდევ გადამწყვეტი როლი ვახტანგ ბატონიშვილისადმი დაქვემდებარებულ მებრძოლთაგან მაინცდამაინც არაგველთა გმირობის განსაკუთრებულ გახმაურებაში და ზოგიერთი ავტორის მიერ სამასი არაგველის დამსახურების საგანგებოდ ხაზგასმასში.

სხვათა შორის, მთიელთა სამასკაციან ან ბევრად უფრო მრავალრიცხოვან ლაშქარში არაგველთა და ფშავ-ხევსურთა აბსოლუტურ რაოდენობრივ თანაფარდობას რომც ჰქონოდა ადგილი, ჩვენი აზრით, პირველთა თავდადება მაინც უფრო ფართო რეზონანსის მქო-

რებდა მთავარ იმედებს, რასაც ვგებულობთ 1802 წლით დათარიღებული ერთ-ერთი რუსული დოკუმენტადან: «...следя сему плану, первое обращение его (იგულისხმება ვახტანგ ბატონიშვილი, ვ. ი.) было в Мтиулетн где живут лучшие воен-ного дела его подданные, к собранию вонска были деланы по деревням заклики» (АКАК, т. I, с. 383). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ XIX ს-ის დასაწყისში შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში ვახტანგ ბატონიშვილი კვლავ არაგვის ჯარის სასწრაფო შეკრების ცდაშია, ალბათ უხერხულოა იმის წარმოდგენა, რომ სულ ექვსიდან წინ იგივე ხელისუფალი არ ისარგებლებდა პირველ რიგში და ნიადაგ ყველაზე ოპერატულად არაგველთა ჯარში გაწვევის კუთვნილი უფლებით.

ნე მოვლენის პრივილეგიით ისარგებლებდა. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის გამბედაობა კი გვეოფნის იმდენად, რამდენადაც არაგველები წარმოადგენდნენ ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის ყველაზე საიმედო და მრავალრიცხოვან ქვეშევრდომებს, რომელთა გაჰყვებულს ცხადია არ გაუჭირდებოდა თავისი ერთგული ყმების ღვაწლის არამც თუ ჭეროვნად დაფასება, არამედ რამდენადმე გადაჭარბებულად, გაზვიადებული სახით წარმოსახვაც. ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ვახტანგ ბატონიშვილს თავის „ისტორიებრი აღწერაში“ არ ავიწყდება ტერმინ „არაგველნის“ ბრუნვაში შემოტანა იმ ქართველ მთიელთა (კერძოდ მოხევეთა და მთიულთა) აღმნიშვნელი შემკრებლობითი სახელწოდების სახით, რომელთა განსაკუთრებულ დამსახურებას „სალაშქრო საქმეში“ უფრო ადრე ვახუშტიმ გაუსვა ხაზი: „არამედ ადგილთა ანუ პროვინციათა რომელთაგანმე იყვნენ მცველად მეფისა, ესე იგი მეფესა ქართლისა ჰყვანდა არაგველნი, კახეთისასა ხისიხელნი და შემდგომად უფროს თუშნი, იმერეთისასა რაჭველნი“¹¹¹.

საყურადღებოა, რომ ლომისის წმ. გიორგის ეკლესიისადმი შეწირულ ვერცხლის თასზე გაკეთებულ წარწერაში არაგვის მპყრობელი კვლავ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს კრწანისის ომში დაღუპულ არაგველებს: „ქ: შენ წისა და: დიდებულისა მთავარ მოწამის გიორგისა ეკლესიას ლომისად წოდებულსა თასი ესე მსასობელმან მფარველობისა შენისამან ყოვლისა საქართველოესა მეფისა ირაკლი მეორისა ძემან ვახტანგ მპყრობელმან არაგვისამან ოდეს: ჩღუზ: (1797) წელსა აღამამადხანის: მეორედ მომავლობა გვეგულებოდა და ჩვენ შენს დღესასწაულზედ მოვედით და არაგველნი სრულ იქ გვახლდნენ და შენი დიდებული ბავრაცი ნადვარცის ეკლესიაში ჩამოვასვენეთ და იქ იფიცეს ერთობით არაგველთ ჩვენს ერთგულებაზედ და უნაკლულოდ ლაშქრობაზედ და თუ ვინმე შემოსახიზნავად მოსულ იყვნენ იმათ კეთილად დაცვაზე და ამისათვის შენის დიდებულის ბავრაცის პატივის საცემლად მოგართვით თასი ესე შეიწირე მსგავსად მეუფისა შენისა და იოხენ მათთვის რომელნიც არაგველნი აღამამად ხანის ომში მოისრნენ ჩათა საუკუნესა ცხოვრებასა ღირს იქმნენ...“¹¹².

როგორც ვხედავთ, მოყვანილი წარწერა კიდევ ერთ პირდაპირ და მეტად მკაფიო ჩვენებას იძლევა არაგველთა ვინაობის შესახებ,

¹¹¹ ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, გვ. 3.

¹¹² ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 34.

რაც ალბათ საბოლოოდ ჰფენს შუქს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. მართალია, მასში არაფერია ნათქვამი კონკრეტულად სამასი არაგველის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ ამ არც თუ მნიშვნელოვან ხარვეზს სრულფასოვნად ავსებს არაგვის ხეობის მთის მხარეებში შეკრებილი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემები, რომელთა მიხედვით არაგველთა ჯარის მოცულობის დადგენა სწორედ სამასი მეომრის ოდენობით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში მოპოვებული მასალების თანახმად კრწანისის ომში გმირულად დაღუპული სამასი არაგველი ძირითადად არაგვის ხეობისა და ნაწილობრივ თერგის ხეობის მცხოვრებთაგან, მეტწილად კი ისტორიული „ორი არაგვის“ მთიელთაგან (მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები, ჭართლის თემის მცხოვრებნი, მოხვეეები) დაკომპლექტებულ სრულიად დამოუკიდებელ სამხედრო შენაერთად წარმოგვიდგება. მთხრობელთა განმარტებით, „...როცა თბილისს მოადგა ხოჯა და ჩენი ნეფე რომ დაჩაგრა მაშინ ერეკლეს ძალიან თურმე დასჭირვებია ჯარი. ნეფე ძალიან თურმე ენდობოდა მთიულეთს, არაგვის ხალხს... ომი რომ ჰქონდა საქართველოს, არაგვს შეუკვეთავდნენ პირველად, ამდენი და ამდენი კაცი გვინდაო. აქედანაც შეიკრიბებოდა ხალხი და წავიდოდა. დედაკაცები თვითონ გაჰყრიდნენ ქმრებს და შვილებს: „წადით. უშველეთ საქართველოსაო...“ ჰოდა, ქალაქს რომ დეემუქრა თათარი, არაგველებს მოსვლიათ მაცნე. ვახტანგ ბატონიშვილისაგან ყოფილა გამოგზავნილი. არაგვიდან გახვეტილა ხალხი, აზვირთებულან სოფლებრივ ვისაც კი ომი შეეძლო და წასულან ქალაქისაკენ. სულ დარჩეული ბიჭები წასულან საომრად, ცხენოსნები, მთიულეთიდან, გუდამაყარიდან, ხანდოდან, ჭართალიდან. ძირითადად მთასაქათი ხალხი ყოფილან, მთასიქითლებიც ერივნენ ცოტაზე მოხვეეები. ამათგან შემდგარა სამასამდე კაცის ლაშქარი. მერე ამ ჯარს ფშავ-ხევსურებიც მიმატებინან და ერთად გადაუხდიათ დიდი ბრძოლა. ამ სამასი არაგველისაგან არც ერთს ზურგში ტყვია არ ჰქონდა თურმე. სულ ყველას მკერდში ჰქონიყო მოხვედრილი, მხოლოდ რამდენიმე კაცი გადაარჩენილა ცოცხალი, ხოჯასაც გაჰკვირვებოდა — ესეთი ომის მნახავი ჯერ არ ვყოფილვარო. რახან ესე ესახელეს თავი არაგველებმა, ერეკლეს მთიულებისათვის ოქროს ჯვარი უჩუქებია. ომის შემდეგ ლომისაში დიდი სამხთო გადაუხდიათ თურმე. სამასი საკლავიც დაუკლავთ სამასი არაგველის სახელზე“¹¹³.

113. ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყარის ეთნოგრაფიული მასალები, 1982, რე. III, გვ. 33, რე. V, გვ. 37; 1988 წ. რე. 1, გვ. 4—9.

ამასთან, ზოგიერთი ინფორმატორი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის არაგველთა ლაშქრის მოძრაობისა და მისი დროებითი შეჩერების ადგილების, აგრეთვე ხსენებულ ჯარში შემავალი ცალკეული რაზმების მეთაურთა ვინაობის შესახებაც. მაგალითად, ვანო ნიკოლოზის ძე კობაიძის (დ. 1930 წ. ს. ჩირიცი; ამჟამად ცხოვრობს დ. ფასანაურში) განმარტებით „... მთიულეთს რომ მოსულა მაცნე, აქაური ბიჭები მაშინვე გამზადებულან და სანამ ქალაქისკენ წავიდოდნენ, ჯერ სამხტო გაუკეთებიათ ლომისაში. მერე ნალვარევს, ეკლესიის ქვემოთ რომ მიწდორია, იქ შეუსვენიათ და დაუფიციათ. შემდეგ ყორულს ეძახიან ადგილს, საძოვრები იყო, ველ-ტყიანი ალაგი, ორი არაგვის შესართავთან ახლოს, იქ გაუკეთებიათ ბანაკი, დალოდებიან გუდამაყრის ჯარს. როცა გუდამაყრელებიც მოვიდნენ, მერე ქვეითკენ დაძრულან ერთად“ (დ. ფასანაური, 26.V.1988). მათე ალექსის ძე მოთიაშვილის (დ. 1912) დამატებითი ცნობით კი, „მთიულ-გუდამაყრელთა გაერთიანებულ ჯარს ს. წითლიანთკართან შემატებიან ხანდოვლები, მერე ჭართლიდანაც მოსულან ცხენოსნები და ამათ ყველას ერთად დაუფიცნიათ სასიკვდილოდ ბრძოლაზე. თურმე სამი თითით აუხლენიათ მიწა, შეუქამიათ და უთქომთ — დედა შეირთოს იმან ცოლადაო, ვინც თავი დაზოგოს და მტერი გაახაროსო. გამარჯვების წყალს ეძახიან ერთ წყაროს ჭართლის და ხანდოს საზღვარზე, მთიდან გამოდის, იქ დაუღიათ ფიცი და მერეღა გაუქვენებიათ ცხენები ქალაქისაკენ“ (ს. წითლიანთკარი, 19.6.1979 წ.).

შოთა მათეს ძე ნარიმანიძის (დ. 1932 წ.) ნაამბობის თანახმად, „სამასი არაგველის ჯარი ოთხ სადროშოდ ყოფილა დაყოფილი. მთიულეებს, გუდამაყრელებს, ხანდოელებს და ჭართლელებს თავ-თავისი მედროშეები ჰყოლიათ“, (დ. ფასანაური, 21.5.1988), ხოლო ნიკოლოზ თედოს ძე ჩოხელისაგან (დ. 1924) მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ამ გაერთიანებული ლაშქრის მთავარი მედროშის პატივი წილად რგებია გუდამაყრიდან გამოსული რაზმის წინამძღოლს ნინია აფციაურს, რომელსაც შემდეგ წყალობის სიგელიც მიუღია ერეკლესაგან (დ. ფასანაური, 22.5.1988). საყურადღებოა, რომ მთხრობლები გვისახელებენ კრწანისის ომის სხვა გმირებსაც, კერძოდ კოკოლა ნაზლაიძეს, სამ ძმა ბუქურს (მთიულეთიდან), მოთიაშვილების გვარის რომელიღაც კაცს (ხანდოდან), მამუკა ლუღუშაურს (ხევიდან), თუმცა მათი ვინაობაც და, საერთოდ, მოყვანილი ფაქტების სანდობაც მომავალში ალბათ დაზუსტებასა და შემოწმებას ელის თითოეული საგვარეულოს „კითხულ კაცებთან“ უფრო დაწვრილებითი მუშაობის წყალობით მოპოვებული დამატებითი მონაცემების შუქზე.

დაბოლოს, სამასი არაგველის ვინაობაზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შეკრე-

ბილი ფოლკლორული მასალაც, კერძოდ უშუალოდ კრწანისის ომისა და მის წინარე პერიოდის მოვლენების შესახებ შეთხზული ხალხური ლექსები („არაგველთ შეთვლა ერეკლესადმი“, „ერეკლე“, „ერეკლეს უბარებია“ და სხვ.), რომელთაგან ამჯერად სანიმუშოდ უპრიანია ერთი მთიულური ლექსის („მთიულებს შემოუთვალეს“) დამოწმება (შემოკლებული სახით):

„მთიულებს შემოუთვალეს ბრძანება ქალაქისაო:
გვიშველეთ, მთიულთ შვილებო, ძალა დაგვედაგა მტრისაო,
თბილისის ბოლოს მოვიდა ჯარები თათრებისაო.
შეგროვდა მთიულთ ბიჭები, დრო არის ჩვენი ცდისაო,
სამხთო ქნეს ლომისაშიო, ხანჯლებს უწყობენ პირსაო,
ბევრჯელ ყოფილა ოშშია, გამაქათავია გზისაო...
მოვიდნენ მთიულთ ბიჭები, წავიდა სისხლის ღვარიო,
გაანადგურეს თათრები, დღე დააყარეს მწარიო...
მეფე ერეკლემ მთიულებს უბოძა ოქროს ჯვარიო,
სამხთო ქნეს ლომისაშიო, დაკლეს სამასი ცხვარიო“¹¹⁴.

მართალია, მოყვანილ ლექსში ერეკლესთან გამოცხადებულ და სამშობლოსადმი თავგადადებულ გმირებად ფიგურირებენ მარტოოდენ მთიულები მაგრამ ეს გარემოება ნიადაგ ვერ დააყენებს ექვექვემ მთიულებთან ერთად არაგველთა ლაშქარში გულდამაყრელთა (მათთან ერთად ბაკურხეველ ხევსურთა), ხანდოელთა, ჭართლის თემში მცხოვრებ მთიელთა და მოხვევთა მონაწილეობის ფაქტს. უბრალოდ, აღნიშნული ლექსი მთიულეთში იქნა შეთხზული და მისი ავტორიც პირველ რიგში საკუთარი კუთხიდან ჯარში გაწვეულ ვაჟაკთა ღვაწლის დაფასებას გაუტაცნია, თუმცა ლექსის ეპილოგზე დაკვირვების შემდეგ მაინც ექვემდებარება ამოცნობას ლომისის ეკლესიაში სწორედ სამასი არაგველის სულის პატივსაცემად ჩატარებული ის ტრადიციული რიტუალი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა მინიშნება ეთნოგრაფიული მასალით სარგებლობისას.

მაშასადამე, ჩვენს განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების სკრუპულოზური ანალიზი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ სამას არაგველად სახელდებულ მოლაშქრეებად წარმოგვიდგებიან არაგვის საუფლისწულოდან გაკრეფილი მეომრები, ძირითადად კი ხსენებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის „მთის ადგილებში“ მცხოვრები მთიულები, გულდამაყრელები (ბაკურხეველ ხევსურებთან ერთად),

¹¹⁴ ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვიარსალიძის გამოც. გვ. 153-154; შდრ. ქართული ხალხური სიტყვიერება, II, ქს. სიხარულიძის გამოც., გვ. 24-25; ქართული ხალხური პოეზია, XI, გვ. 57.

ხანდოლები, ქართლის მცხოვრებნი, აგრეთვე მოხვედების და არაგვის ხეობის ბარის ზოლის მკვიდრთა (ალბათ არაგველ აზნაურთა და მათ ყმათა) მცირე ჯგუფი. ამათგან, უმრავლესობას შეადგენდნენ მთიულები და გულდამაყრელები, რომელნიც უთუოდ პირველები გამოეხმაურნენ ერეკლე II-ის მოწოდებას. ეს სამასკაციანი „არაგვის ჯარი“, რომლის შეკრება ვახტანგ ბატონიშვილის დამსახურებაა, თბილისში (სხვა ვერსიით ყინვალში ან დუშეთში) შეერთდა ფშავ-ხევსურეთიდან გამოწვეულ „უნჯ ყმათაგან“ დაკომპლექტებულ ლაშქართან, ხოლო საკუთრივ კრწანისის ომში ჩაბმის წინ სამასი არაგველის, ფშავ-ხევსურების, ქიზიყელებისა და თბილისელი მოქალაქეებისაგან შემდგარ მოზრდილ სამხედრო შენაერთს „არაგვის მპყრობელი“ ვახტანგი დაენიშნა სარდლად, რამდენადაც ქართლისა და კახეთის მთელთაგან შემდგარი „მთის ჯარის“ ძირითად ბირთვს არაგველები წარმოადგენდნენ და აღნიშნული ლაშქარი არაგველთა გამგებლის დაქვემდებარებაში მოექცა, ბრძოლის დასრულების შემდეგ, ყველაზე მეტად გახმაურდა სწორედ სამასი არაგველის გამირობა, თუმცა მათ მხარდამხარ მებრძოლმა ფშაველებმა და ხევსურებმაც არანაკლებ გამოიჩინეს თავი.

მაგრამ მიღებული დასკვნის შემდეგ მკითხველს შეიძლება უნებურად დაებადოს კითხვა — მაშ რაღამ გამოიწვია გადამწყვეტი დაბნეულობა სამასი არაგველის ვინაობის საკითხში და მაინც რა მიზეზით გაქიანურდა კრწანისის ველზე თითქმის მთლიანად გაწყვეტილი სამასი მთიელის სადაურობის გარკვევა?

როგორც ჩანს, ამ სერიოზული გაუგებრობის წყაროდ იქცა თბილისის დაცვასთან დაკავშირებული ამბების მექანიკური არევა ერთ ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან, რომელსაც უკვე კრწანისის ომის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ყინვალთან მომხდარი ბრძოლა არაგვის ხეობაში შემოჭრილ ირანელთა მარბიელ ლაშქარსა და ქართველ-შამშადილელთა გაერთიანებულ ჯარს შორის, რომელშიც განსაკუთრებით გამოუჩენია თავი დედაქალაქისაკენ საომრად მიმავალ სამას ქვეით ხევსურს.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით (რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით მოკლე ვარიანტში), კრწანისის ომის შემდეგ ერეკლე II-ის ერთგულმა ქვეშევრდომმა ალი სულთან შამშადილელმა თავის მეომრებთან ერთად არაგვის ხეობას შეაფარა თავი. ყინვალთან მას მისწვია სპარსელთა ლაშქარი ქალბალახანის მეთაურობით, რამაც საგრძნობლად დაამძიმა ალი სულთანის მდგომარეობა, მაგრამ „... მას უამსა შეემთხვა ბედნიერება ესე ალი სულთანსა, რომელ სამასადმდე ხევსურნი ქვევითნი კაცნი ხევსურეთით მომავალ იყვნეს ტფილისად, რითამცა მივიდეს

იგინი ბრძოლასა ზედა აღამაჰმად-ხანისასა მეფესა ირაკლის თანა და ვითა იხილეს მათ ალი სულთანი ადგილსა მას, ჰკითხეს მას ვითარება საქმისა და იუწყეს ყოველივე. და იხილეს ესეცა, რომელ მხედრობანი სპარსთანი მიეახლნეს მას ადგილსა, მაშინ ერთობლივ რქვეს ალი სულთნისა: „წამოვედ ჩვენთანა, ვითარცა მხედართმძღვანი მეფისა ჩვენისა და ერთგული და ჩვენ ქვეშე კელისა შენისა ვებრძოდეთ მტერთა და წარვიქციინეთ იგინი. ხოლო შენ სდევდი მათ მხედრობით მაგით ცხენოსანით შენითურთ და დაშთეთ შენ ყოველივე ელი შენი უვნებლად“. სთნნდა სიტყვა ესე სულთნისა და წარუძღვა მ ხ ნ ე თ ა მ ა თ ხ ე ვ ს უ რ თ ა და ჰყვეს ბრძოლა ფიცხელი სპარსთა მიმართ. სპარსნი უკუე იყვნეს უმეტეს ოთხათასთა, ხოლო ესენი არა უმეტეს ხუთასთა. სძლეს, უკუნ-აქცივნეს და იოტნეს სპარსნი და რომელნიმე მათგანნი მოსრნეს და რომელნიმე შეიპყრნეს და მიუძღვანეს მეფესა, რომელმანცა ანიჰნა მათ ღირსნი ჯილდონი...“¹¹⁵.

სხვა წყაროში იგივე მოვლენის შესახებ ვკითხულობთ: „...განჰყო მხედრობა თვისი ორად ქალბალი ხანმან, ნახევარი წარგზავნა გორს, ხოლო ნახევარი აღიყვანა თვით, განვიდა არაგუსა და წარემართა საგურამოს გზით. მისრულსა ჟინვალს, იდგა მუნ ალი სულთანი შამშადინისა. ამან შეიკრიბა შამშადინელნი სამასი კაცი ცხენოსანი, ხოლო არაგვისა პირისა კაცნიცა, და აგრეთვე ფ შ ა ვ ხ ე ვ ს უ რ ნ ი ც ა შეკრბნენ მუნ ალი სულთანთან ო რ ა ს კ ა ც ა დ მ დ ე, ეწყვნენ მუნ ქალბალი ხანსა, აოტნეს სპარსნი, და უკუნაქციეს ქალბალიხან“¹¹⁶.

ბაგრატ ბატონიშვილის გადმოცემით, აღა-მაჰმად-ხანმა „...არაგუსა ზედა გაგზავნა რაოდენიმე მხედრობანი შესაპყრობელად მეფისა, გარნა იძლიენენ ბულაჩაურში არაგუ მ ლ თ ა, ფ შ ა ვ ე ლ თ ა და შამშადანელთაგან და უკუნ იქცენენ ვერარის მყოფელნი“¹¹⁷.

ცხადია, დამოწმებული ვერსიებიდან ყველაზე სარწმუნოა თეიმურაზ ბატონიშვილის მონათხრობი, თუმცა საკითხის შეძლებისამებრ ობიექტურად გაშუქების აუცილებლობა გვავალებს სხვა ავტორთა ცნობების გათვალისწინებასაც, რაც საბოლოო ანგარიშით გვეწევა იმ აზრისაკენ, რომ ჟინვალთან გამართულ ბრძოლაში ხევსურებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ფშავლებმაც (ოღონდ გაცილებით უფრო მცირე რაოდენობით). ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა — აღნიშნული შეტაკების ბედი გადაწყვიტა სამასი მთი-

115 თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 42.

116 მსი, გვ. 44-45.

117 ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 65.

ელის ფიცხელმა ომმა, რისთვისაც მეფემ მათ „ანიჰნა... ღირსნი ჯილდონი“.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჟინვალთან და თბილისთან ომგადახდილ მთიელთა ორი სხვადასხვა რაზმის რიცხობრივი მაჩვენებლის, მართლაც, ფატალური დამთხვევის ფაქტს და ოფიციალური ხელისუფლების მიერ თავის ერთგულ ყმათა იშვიათი თავდადების ღირსეულად დაფასებას. (რაც ნიადაგ არ დააგვიანებდა განმეურებას ეთნოგრაფიული ტრადიციით ცნობილი მთელი საარაგვოს მასშტაბით). ვფიქრობთ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ აღნიშნული მოვლენების გარშემო შემუშავებულმა ხალხურმა წარმოდგენებმა დროთა განმავლობაში აშკარა ცვლილება განიცადა სამასი ხევსურისა (ან სამასი ხევსურის და ფშავლის) და სამასი არაგველის შესახებ არსებული გადმოცემების ერთმანეთთან მცდარი გაიგივების მიმართულებით, მით უმეტეს, რომ შემკრებლობითი შინაარსის ტერმინ არაგველის გავრცელების არეალში ეთნოგრაფიული ტრადიციის ძალით ფშავ-ხევსურეთიც ექცევა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ფშავ-ხევსურთა ცნობიერებაში ასახული ცოდნა ჟინვალთან გამართულ ბრძოლაში მონაწილე სამასი ხევსურის (ან სამასი ხევსურისა და ფშავლის) გმირობის შესახებ (რომელთაც ხალხური ნომინაციის შესაბამისად შესაძლოა ასევე სამას არაგველად სახელდება დაიმსახურეს), როგორც ჩანს, უნებლიედ იქნა იდენტიფიცირებული ისტორიული ტრადიციით ცნობილი სამასი არაგველის გმირობის ამბავთან, რამაც, საბოლოო ანგარიშით, გააძნელა კიდევ სამასი არაგველის ვინაობის დაზუსტება და ქვეშარიტების დადგენით დაინტერესებულ მხარეთა შორის გაჩაღებული უსაფუძვლო და დაუსრულებელი დავის მთავარ მიზეზად იქცა.

ამიტომ, ყოველივე წინთქმულის გათვალისწინების ფონზე, იმედია, მომავალში მაინც აღარ ექნება გასაქანი ისტორიული სინამდვილის ცალმხრივი ინტერპრეტაციის მეტად არასახარბიელო პრაქტიკას და ჭეშონად დაფასდება ჟინვალთან ომგადახდილი სამასი ხევსურის (ან სამასი ხევსურისა და ფშავლის) ღვაწლიც, რაც აქამდე ერთგვარად „იჩრდილებოდა“ სწორედ სამასი არაგველის გმირობის საყოველთაოდ აღიარებული თემის პოპულარობის განუხრელი ზრდის კელობაზე.

უპარაყალყანთა ვინაოზის საკითხისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე ლოკალიზებულ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის არაგვის საერის-თავო იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მისი ოფიციალური ნომინაციის სფეროში გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდიდან სახეზე გვაქვს ქართული და უცხო წარმომავლობის რამდენიმე სახელწოდების თანადროულად გამოყენების ფაქტი. მკითხველთათვის უკვე კარგად ცნობილი „არაგვისა“ და „არაგველების“ გარდა, XV-XIX სს. წერილობით წყაროებში სისტემატურად ვხვდებით მათი სინონიმური შინაარსობრივი დატვირთვით ხმარებულ სახელუბააც: „სონი“ („Сонн“), „სონის მიწა“ („Сонская земля“), „სონის ერისთავი“ („Аристов сонской“), „ყარაყალყანი“ (ან „ყარაყალხანი“; Каракалхан“, „каракалхан“, ბერძ. „καρακαλχαν“), „ყალყანები“ („калканцы“), „ყარაყალყანები“ („ყარაკალყანები“ ან „ყარაყალხანები“; „каракалканцы“, „каракалханцы“), „ყარაყალყანის ერისთავი“ („Эристав каракалкаиский“) და სხვ. მართალია, თითოეული მათგანი კარგა ხნის წინ იქცა მკვლევართა საგანგებო დაინტერესების საგნად, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის მხოლოდ „სონის მიწის“, „სონის ერისთავის“ ეტიმოლოგია და მათი გავრცელების არეალია დაზუსტებული¹, მაშინ როდესაც „ყარაყალყანის“ ქვეშ ნაგულისხმევი მიწაწყლის მიწებისა და „ყარაყალყანებად“ („ყარაკალყანებად“ ან უბრალოდ „ყალყანებად“ // „კალყანებად“) სახელდებულ მთიელთა ვინაობის გარკვევის არაერთი ცდის მიუხედავად ამ საკითხში ჭეოროვანი სიცხადის შეტანა აქამდე მაინც ვერ მოხერხდა. ეს გარემოება გვავალებს შენიშნული ხარვეზის შევსებას ჩვენს განკარგულებაში არსებული მონაცემების ხელახალი გაანალიზების საფუძველზე.

XIX-XX სს. სწავლულთა შორის გაბატონებული აზრის თანახმად, XV-XIX სს. ირანულ, თურქულ, სომხურ და რუსულ საისტო-

¹ ვახტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები) გვ. 40-49.

რიო საბუთებში, აგრეთვე ქართველ მეფეთა მიერ რუსულ ენაზე შედგენილ სიგელებში მოხსენიებული „ყარაყალყანი“ // „ყარაყალხანი“ // „ყარაყალკანი“ თურქული კომპოზიცია და სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს „შავ ფარს“, „შავფარიანს“ (ან „შავფაროსანს“) (ყარაყალყანი < თურქ. Kara „შავი“ + „Kalkan“ „ფარი“)².

საკვლევი სახელწოდების წარმომავლობის ამგვარ ახსნასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, მაგალითად, ხევსურთა შეიარაღებისათვის დამახასიათებელი ლითონ-გადაკრული ტყავის ფარები შავი შეფერილობით გამოირჩეოდა, რაც გამოწვეული იყო ფარის გამოსაყრავი ტყავის დამუშავებით — ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, გაქვარტლულ ფარის ტყავს ქონით ჩაგლესდნენ, ანდა საფარე ტყავს და კერის თალიდან ჩამოწმენდილ ქვარტლს ერთად აღუღებდნენ წყალში. ტყავი დილიდან მეორე დილამდე მოთავსებული იყო ქვარტილიან წყალში, რის შემდეგ ტყავს გააშრობდნენ და ფარს გამოაყრავდნენ. მეორე გამზადებული ფარი კერაზე უნდა შეებოლათ, სანამ ის მთლიანად არ გაშავდებოდა³. სწორედ ხევსურული ფარისათვის სპეციფიური ეს თავისებურება ჩანს ასახული გასული საუკუნის ერთ-ერთი დამკვირვებლის შემდეგ აღწერილობაში: „... კარებში შემოყუდებულ იყო მალა-მალაღი, წითლად და ყვითლად აწყვავებული ხევსური. ხომ კარგად იცით უფარ-უხმლოდ არ იქნებოდა. ცალს მხარზედ ეკიდა შექვარტლული გაშავებული ფარი; მეორეზედ თითბრით შესალტული ხმალი“⁴. სხვათა შორის, უფრო ადრინდელი ხანის ლიტერატურაშიც ქართველი მოლაშქრეები, ძირითადად კი არაგვის საერისთავოსა და

² П. Иоселани, Описание города Душета, с. 45; Венденбаум Е., Путеводитель по Кавказу, с. 82, Гап К. Ф., Опыт объяснения кавказских географических названий... с. 10, 97, 118; Владикавказ, Военно-Грузинская дорога, Тифлис-краткий путеводитель, составители Н. Д. Казанцев и Л. В. Ракович, Владикавказ, 1913, с. 64; Генко А. Н., Из культурного прошлого ингушей, „ЭКВПАМАНССР“, т. V, Л., 1930, გვ. 702—703; მოკამდ თავურის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, მსჯი, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 380; ს. ჭიქია, XVIII ს. ორი თურქული დოკუმენტი, თსუშ, ტ. 99, თბ., 1962, გვ. 160—163; Волкова Н. Г., Этнонимы и племенные названия Сев.-Кавказа, с. 157; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 181; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშენებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის გამოცემა, გვ. 72.

³ კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები, ფარო. სსმმ, ტ. XVIII-ბ, თბ., 1954, გვ. 252; მისივე, საქართველოს ეთნოგრაფია. (ილუსტრ. ალბომი), საქურელი, თბ., 1964, გვ. 3-4; გ. გასიტაშვილი, ხევსურული აზ-ჟარი, მსე, ტ. IX, თბ., 1957, გვ. 102.

⁴ „დროება“, 1881 წ. 28 აპრილი, № 86, გვ. 1:

მის მომიჯნავე მხარეებში მცხოვრები მთიელები, წავი ფარების
მატარებელ მეომრებად ფიგურირებენ:

...მედგრად მორთულთა მთიულთა ფარის ეკიდა შავია...
...კაცი გაგზავნეს სასწრაფოდ, სიტყვა დაედრა ჯაღელთა,
მოწვევითა და მთიულთა, იმა ომისა მწადელთა,
ფშავის ქვეს, დიდად მებრძოლთა, მტერთ ჯღმითა დამა [...],
ყუელანი ივმო აბჯრითა იმა ხან დაყულადელთა,
ყუელგნით მოვიდა ლაშქარი მთიული, გინდა ბარისა,
შეჭურვილ იყუნეს რკინითა, სიშავე მოსჩანს ფარისა,
ტანსაც შავითა მოსილნი, საომრად კლდისა მყარისა,
მოქეულ იყუნეს საცემრად მნახეთა შესაზარისა⁵.

საყურადღებოა, რომ ცალკეული რუსი და ევროპელი ავტორები ჩრდილო კავკასიელ ხალხთა (მაგ. ოსთა) შეიარაღებაშიც ასევე გამოყოფდნენ კომბინირებულ (რკინის სალტეებით შეკრულ-შეჭედელ) მრგვალ შავ ფარებს⁶, რომლებიც აშკარა ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებენ ქართულ მთიელთა აბჯრის იგივე ელემენტთან.

ამდენად, დამოწმებული მონაცემებისა და კავკასიის სინამდვილეში სწორედ თურქული სიტყვის *kağa* („შავი“) მონაწილეობით მრავალი ტოპონიმისა და ეთნონიმის (ყარაჩაი, ყარაბალი, ყარაბულახი, ყარაფაფახი, ყარაყაია, ყარადაღი, ყარაყოისუ, ყარასუ და ა. შ.) ფორმირების უდავო ტენდენციის გათვალისწინების ფონზე სახელწოდება ყარაყალყანის (ან კარაკალკანის) წარმომავლობის შესახებ აქამდე გამოთქმული ვარაუდი საკმაოდ დამაჯერებლად უნდა გამოიყურებოდეს.

მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებობს იმავე სახელწოდების რამდენადმე განსხვავებული ეტიმოლოგიზაციის შესაძლებლობაც, რაც მთლიანად უკავშირდება ამჟერად უკვე იმ ფაქტის დაწინაურებას, რომ „kağa“ თურქულად ნიშნავს არა მარტო „შავს“, არამედ „მიწას“, „ხმელეთს“, აგრეთვე „მკაცრს“, „ბოროტს“, „მრისხანეს“⁷. ამნაირად გაგებელი სიტყვა „ყარასა“ და „ყალყანის“ („ფარი“) დაწყვილების შემთხვევაში კი „ყარაყალყანი“ უკვე შემდეგნაირ გაშიფვრას და ექვემდებარება: ყარაყალყანი < I ყარა („მიწა“, „მხარე“) + ყალყანი („ფარი“) = „ფაროსანთა მიწა“ (// „ფაროსანთა მხარე“ // „ფაროსანთა

⁵ ფეშანგი, შანვაზიანი, გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედ., ტფ. 1935, გვ. 10, 116.

⁶ „Обозрение российских владений за Кавказом“, ч. II. СПб. с. 204; K i a r o t h J., Reise..., I, 1812, გვ. 305.

⁷ Турецко-русский словарь, сост. Д. А. Магазаник, М., 1945, с. 315; Мурзаев Э. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

ქვეყანა“) ან II ყარა („მკაცრი“, „ბოროტი“, „მრისხანე“, „მძვინვარე“) + ყალყანი („ფარი“) = „მრისხანე ფაროსნები“ (// „მძვინვარე ფაროსნები“).

ძნელი სათქმელია, წარმოდგენილი ვარიანტებიდან რომელი უფრო მეტად შეესაბამება სინამდვილეს. ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ეგების მომავალში მივიღოთ, როდესაც დამატებითი მასალით სარგებლობა განხილული საკითხის ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს. მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლადაც ერთი რამ სრულიად ნათელია — ქართველ მთიელთა საკმაოდ არაორდინალური ჩაემულობის, მათი შეიარაღების თავისებური ხასიათისა და, რაც მთავარია „საქურველთ მოყუარე... იარაღთა... გამწყო“⁸ „მთის კაცთა“ მაღალი ბრძოლისუნარიანობის შესახებ ძველთაგანვე ფართოდ გავრცელებული აზრის განსაკუთრებული პოპულარობის ძალით საქართველოზე მომდგარ მტერთაგან „შეუფალ“ ნებისმიერ მთის კუთხეს (მთელ რეგიონს) და „მუნებურ“ მოსახლეობასაც ალბათ სავსებით კანონზომიერად შეეძლოთ დაემსახურებინათ სახელდება როგორც „შავფაროსნებად“, ისე „ფაროსანთა მხარედ“ (ან „მრისხანე ფაროსნებად“). თუმცა სულ სხვა საკითხია ის, თუ რომელი „მთის ალაგებისთვის“ იქნებოდა ყველაზე სამართლიანი და შესაფერისი დამოწმებული სახელწოდების შერჩევა და სულ სხვაა ის, თუ აღმ. საქართველოს მთიანეთის კონკრეტულად რომელ უბანზე განიცადა შან საბოლოო ლოკალიზაცია.

როგორც წერილობითი წყაროების ვაცნობა ცხადყოფს, სათანადო ცნობებს „ყარაყალყანად“ ან „ყარაყალყანლიყად“ წოდებული მხარის შესახებ შეიცავეს ჯერ კიდევ XV ს. სპარსელ ისტორიკოსთა (ნეზამ ად-დინი, შარაფ-ად-დინი, ჰაფეზე აბრუ, აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, მირზონდი, ნათანზი) ის თხზულებები, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) თემურ-ლენგის ბარბაროსული ლაშქრობებია აღწერილი⁹. ამასთან, ქართულ წერილობით წყაროებთან მათი შეჯერების საფუძველზე სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ირანელ ავტორთა მიერ ხსენებული „ყარაყალყანის“ (ან „ყარაყალხანის“) ქვეშ უდავოდ იმალება არაგვის ზეობა¹⁰, ანუ ის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, რომელშიც

⁸ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 356.

⁹ დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148, 181; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ. 1974, გვ. 34.

¹⁰ დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 181; კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

თემურმა ორი შედარებით წარუმატებელი ლაშქრობა მოაწყო 1394 და 1400 წლებში¹¹.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჯერ არაგვის ხეობის მთიანეთის დასარბევად, ხოლო შემდეგ უკვე პირიქითი არაგვის ხეობის ხელში ჩასაგდებად გამიზნული 1394 წლის სამხედრო ოპერაციის საგულდაგულოდ მომზადების რეალურ მიზეზებს („შემდგომად წარმოემართა თემურ შესვლად მთიულეთს, რამეთუ გამოჰყავს გიორგი მეფესა მუნნიდან შემწენი და კუალად ჰგონებდა მეფესაცა მენ“¹²) და ამ ლაშქრობის მიმდინარეობასა და მის საბოლოო რეზულტატებს („... შეუჟდა არაგუს. შემუსრნა სიმაგრენი და მოაოკრნა, არამედ ავნებდნენ დიდ-დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერა-რა ტყუეჰყვეს და უკმოიქცენენ“¹³), ალბათ, ადვილი წარმოსადგენია იოლ და სრულფასოვან გამარჯვებებს ჩვეულებრივი დიდი დამპყრობლის უკმაყოფილება წინააღმდეგ შემუშავებული იმ სამხედრო-სტრატეგიული გეგმის ფაქტიური ჩაშლით, რაც ითვალისწინებდა საქართველოს მეფის შეპყრობას, მისი ლაშქრის განადგურებას, მთაში შეხიზნული მოსახლეობის დატყვევებას და არაგვის კომუნიკაციებზე მტკიცე კონტროლის დამყარებას დარიალის კლდეკარის დაუფლების გზით. ამასთან, არსებულ მონაცემებზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მასზე სოლიდური შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა როქით სპის მხარდამხარ მებრძოლ ქართველ და მათ მოკავშირე არაქართველ მთიელთა (ოსთა, ძურძუქთა და სხვ.) გაერთიანებული ლაშქრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, რომელსაც მთის რთული რელიეფის პირობებში ერთობ სწრაფი მანევრირებისა და უპირატესად ქვეითად ბრძოლის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა (აქ უპრიანია გავიხსენოთ, მაგ., არაგველ მთიელთა წარმატებული ომი XIII ს. მონღოლთა ლაშქრის წინააღმდეგ, როდესაც არაგვის ხეობის სათავეებში ამოსულ მტერს „... დიდს ავნებდნენ მთიულნი ფერკმალობითა“¹⁴). როგორც ჩანს, ლოკალური მასშტაბის ხელჩართული შეტაკებების დროს არაგვის ხეობის დამცველებმა, განსაკუთრებით კი „საკუთარ კედლებში“ მებრძოლმა არაგველმა მთიელებმა (ხადელებმა, ცხავატელებმა, გუდამაყრელებმა, ხანდოელებმა, ჭართლელებმა, მოხევეებმა) მომხვედურთ, მართლაც, იშვიათი თავგანწირვის არაერთი მაგალითი უჩვენებს. შემთხვევითი არ არის ის

11 კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 91-92, 143-146; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 686-699.

12 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 271.

13 იქვე.

14 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 246; შტრ.: უ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, ქც, II, გვ. 305-306.

გარემოება, რომ ქართველთა ქებაზე მეტისმეტად სიტყვაძვირი მაჰ-
მადიანი ავტორები არაგვის ხეობაში მოწყობილი მეორე ლაშქრო-
ბის (1400 წ.) აღწერისას იძულებული არიან, უკვე დაუფარავად გა-
უსვან ხაზი „ყარაყალყანის“ ხალხის უალრესად დიდი გულადობის,
აქაურ მეომართა სიმკვირცხლისა და სიმამაცის ფაქტს და ამავე
დროს გულახდილად ილაპარაკონ მიუვალი ციხეებითა და მაღალი-
მთებით მტკიცედ შეჯავშნული ამ მხარის დაპყრობასთან დაკავშირე-
ბულ სერიოზულ სიძნელეებზე¹⁵.

ამიტომ, წინათქმულიდან გამომდინარე, ალბათ, არ შეეცდებით,
თუკი სწორედ არაგვის ხეობაში გადახდილი მძიმე ბრძოლების უშუ-
ალო მონაწილეებს ან ესოდენ ცხარე ბატალიების შემსწრე მემ-
ტიანეებს მივაწერთ სიტყვა „ყარაყალყანის“ ხმარებაში შემოტანას
იმ მიწა-წყლის ან მის დასაცავად თავგადადებულ იმ მამაც მეომართა
აღსანიშნავად შერჩეულ ზოგად სახელწოდებად, რომელთაც განსა-
კუთრებით მწარედ დაამახსოვრეს თავი ვერაგ მტერს. ამასთან, ლო-
გიკურად გვეჩვენება ის ვარაუდიც, რომ არაგვის ხეობის მისამართთ
„ყარაყალყანის“ გამოყენების ტრადიციას ჯერ კიდევ 1394 წლის
ლაშქრობის დროს (ან მისი დასრულებიდან მცირე ხნის მერე) ჩაჰყ-
როდა საფუძველი, რის შემდეგაც ამ ტიპიურ აღწერილობითი ხასია-
თის სახელწოდებას (შდრ.: ანალოგიური პრინციპით ფორმირე-
ბული სახელები: „ყარა-ყოინლუ“ — „შავბატკნიანები“, „აყ-ყოინ-
ლუ“ — „თეთრბატკნიანები“, „ყიზილ-ბაში“ — „წითელთავიანები“ და
ა. შ.), ცხადია, აღარც ოფიციალურ წყაროებში უნდა დაჰვეიანებო-
და ასახვა — თემურლენგის საგანგებო დავალებით ხელახლა და-
წერილ „ზაფარ-ნამეში“ (რომელიც 1404 წ. იქნა გამზადებული შარაფ
ად დინის მიერ) აკი უკვე ხერხდება „ყარაყალყანის“ ფიქსაცია.

მაგრამ, ჩვენი აზრით, არაა გამოსარიცხი იმის შესაძლებლობაც,
რომ XV ს. სპარსელ მემატიანეთა მიერ ხსენებული „ყარაყალყანის“
ქვეშ იმალებოდეს არა მარტო არაგვის ხეობა, არამედ „ორისავე არა-
გვის“ ხეობები ერთ მთლიანობაში, ანუ არაგვის საერისთავოს ტე-
რიტორია, რასთან დაკავშირებითაც მეტად დამაფიქრებელია „ძეგლი
ერისთავთაში“ დაცული ფრიად საგულისხმო ცნობა დარიალმდე
თემურის ლაშქრის მიღწევის შესახებ: „მოვიდა თემურ... და შემუს-
რა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი
და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი,
მთანი და ტყენი, კლდენი და კეენი, და გითარცა ზღუამან დაფარა
ყოველი ესე ქვეყანაჲ, და მი ი ე წ ი ა ლ ა შ ქ ა რ ი მ ა თ ი ქ უ თ ა ი ს ს,

¹⁵ კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92, 145; საქართველოს ისტორიის
ნარკვევები, III, გვ. 699.

ლ ე კ ე თ ს და დ ა რ ი ა ლ ს ა და მოწუეს და მოაოჯრეს ყოველი საქართველო...¹⁶.

თუ მოყვანილ ცნობას შევაჯერებთ ქართველ და სპარსელ ისტორიკოსთა მონათხრობთან არაგვის ხეობისა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ თემურის მიერ ორგანიზებული ლაშქრობების მიმდინარეობისა და მათი მიზეზებისა და მიზნების შესახებ, ვფიქრობთ, მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ აღნიშნული სამხედრო კამპანიების დროს ადგილი არ ჰქონოდა იმ სახელგანთქმული კლდეკარის ხელში ჩაგდების ცდებს, რაზეც მანამდე დღენიადაგ ეპირა თვალი თემურის დაუძინებელ მტერს — თოხთამიშს¹⁷, ხოლო ქართველ მეფეებს სწორედ დარიალის ფლობა უადვილებდა ჩრდილოეთიდან დამხმარე ძალების დროულად და მრავლად გადმოყვანის ამოცანის გადაწყვეტას. ამიტომ, სავარაუდებელია, რომ „ძეგლი ერისთავთა“—ში ასახვა ჰპოვა არაგვის ხეობაში მოწყობილი ლაშქრობებისა და ჩრდ. კავკასიის დარბევის უამს თემურ-ლენგის დიდრონი არმიის (ან მხოლოდ მარბიელი ჯარის ნაწილების) დარიალამდე მისვლის ფაქტმა, რის კვალობაზე ხსენებული პუნქტის დაუფლებისათვის გაშლილი გააფთრებული ბრძოლების ასპარეზად ნიადაგ პირიქითი არაგვის ხეობის ტერიტორიაც უნდა ვიგულოთ¹⁸.

ვითარების ასეთნაირი შეფასება კი, ცხადია, გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ ყარაყალყანად სახელდება ზუსტად ისეთივე კანონზომიერებით შეეძლო დაემსახურებინა პირიქითი არაგვის (გვიანდელი თერგის) ხეობას, როგორც იგივე სახელწოდებამ პირაქითი არაგვის ხეობაში განიცადა დავიწროვება.

16 ძეგლი ერისთავთა, ქსმ, II, გვ. 114.

17 საყურადღებოა, რომ თოხთამიშის არმია 1386 წ. დარიალისა და დარუბანდის გავლით შეესია ირანის აზერბაიჯანს (თოემა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, კ. კუციას გამოცემა, თბ., 1987, გვ. 21), ხოლო მოგვიანებით, როგორც ივ. ჭავჭავაძის ფიქრობდა, სწორედ დარიალის კლდეკარიდან ოქროს ურდოს ჯარის განმეორებითი შემოჭრის მზარდმა საშიშროებამ უქარნახა საქართველოში მოსულ თემურლენგს არაგვისა და თერგის ხეობების დალაშქრვა აქ გამავალი უმნიშვნელოვანესი გზის ხელში ჩაგდების განზრახვით (ივ. ჭავჭავაძის ფიქრობდა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 195).

18 საკვებით შესაძლებელია, რომ ნონ აღ-დინ ნათანის მიერ ხსენებული „ყარაყალყანის ციხე“, რომელიც სახელდებით გამოყოფილი ობიექტის სახით თემურის მიერ საქართველოში დაპყრობილ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სიმაგრის გვერდით ფიგურირებს (იხ. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34), პირველ რიგში სწორედ დარიალის ციხესთან იმსახურებდეს გაიგივებას და არა ზევით ლოკალიზებულ არმის ციხესთან, როგორც ეს კ. ტაბატაძემ ჩათვალა მიზანშეწონილად (კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34).

მაშასადამე, არსებული მონაცემების მიხედვით, „ყარაყალყანი“ XIV ს. ბოლოს ან XV ს. დასაწყისში წარმოქმნილ თურქულ კომპოზიტად გვევლინება, რომლის გავრცელების არეალი იმთავითვე მტკიცედ იქნა შემოფარგლული ისტორიულად ცნობილი „ორი არაგვს“ ანუ არაგვის საერისთავოს ტერიტორიით.

საყურადღებოა, რომ XV ს. მომდევნო ქრონოლოგიურ პერიოდშიც საკვლევი სახელით სწორედ „ორი არაგვის“ ან არაგვის საერისთავოს აღნიშვნის ხაზგასმული ტრადიცია არ მოშლილა. პირიქით, ის კიდევ უფრო განმტკიცებული ჩანს „... შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა...“¹⁹ როდესაც „... არღარა იყვნენ როჭით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი კეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკვეყ-მითულნი...“²⁰, ხოლო ყარაყალყანად წოდებული არაგვის საერისთავო სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებდა საქართველოს საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაში.

თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგალითად, სეფიანთა ირანის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ისქანდერ მუნშის (1560-1634) თხზულებებში („აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“; „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება“) დატული ცნობები „ყარაყალხანის მხარის“²¹ („ყარაყალხანის ქვეყნის“²²), „არაგვის ამირას“ (ერისთავის) ზურაბის ადგილსამყოფელი „ყარაყალხანის“²³, „ყარაყალხანის გზის“²⁴ და „ყარაყალხანის ციხის“²⁵ შესახებ, რომლებშიც საკმაოდ იოლად ხერხდება შესაბამისად „არაგვის საერისთავოს“, „არაგვის გზის“ და ხევში ლოკალიზებული „არშის ციხის“ ამოცნობა.

არაგვის საერისთავოსა და არაგვის ერისთავის მისამართით ჩვენთვის საინტერესო სახელწოდების გამოყენების ტრადიციის ერთგულია XVII ს. სხვა სპარსელი ისტორიკოსიც — მუჰამედ თაჰერი, რომლის თხზულებაში კვითხულობთ: თეიმურაზი შეთანხმებულა

19 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 31.

20 იქვე.

21 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ; ვლ. ფუთურაძის გამოცემა, თბ., 1969, გვ. 130.

22 იქვე, გვ. 130 („ანდუყაფარის ჭალაბობა ყარაყალხანის ციხეში იყო, ხოლო ეს ყარაყალხანი საქართველოს დამოკიდებული ძნელად სავალი ქვეყანაა...“).

23 ისქანდერ მუნშის, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის გამოცემა..., გვ. 50—51.

24 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურაძის გამოც., გვ. 130, 137.

25 იქვე, გვ. 130.

ზაალ ერისთავთან — ყარაყალხანთან... ზაალმა, ერისთავმა ყარაყალხანის ოლქისა, რომელიც არც ერთი მბრძანებლის მიერ არ ყოფილა დაპყრობილი არასოდეს, და რომლის მაღალი ციხეების დამორჩილება ვერც ქვეყნის დამპყრობლის ხმაღს... ვერ მოუხერხებია... უბრძოლველად ურჩობის კისერი მორჩილების ქამანდის ყულფში გაპყო²⁶.

ანალოგიური სურათი იხატება სომეხი ავტორების არაქელ დავრიყეცისა (XVII ს.) და ესაი პასან ჯალალიანცის (XVIII ს.) ნაშრომებშიც, სადაც დასახელებულნი არიან, ერთი მხრივ, შაჰის კარზე მორჩილების ნიშნად გამგზავრებული „ღარაყალხანის პატრონი, დიდი ერისთავი... ზაალი“²⁷, ხოლო, მეორე მხრივ, ვახტანგ VI-ის დალატში გარეული „ყარაყალხანის ერისთავი გიორგი“²⁸, აგრეთვე თურქი ისტორიკოსის გურჯიზადეს (XVIII ს.) „თბილისის დაპყრობის წიგნი“, რომელშიც საკმაოდ ხშირადაა ლაპარაკი „ყარაკალქანისა და ქსნის ერისთავებზე“ (ან „ყარაკალქანისა და ქსნის ხანებზე“) ²⁹, „ყარაკალქანისა და ქსნის მთებზე“³⁰.

იგივე ითქმის XVI—XVII სს. რუსულ დოკუმენტებში (ძირითადად მოსკოვის ხელმწიფეთა მიერ საქართველოში გამოგზავნილ რუს ელჩთა მუხლობრივ სიებში) და რუსთა ხელმწიფისადმი თეიმურაზ I-ის მიერ გაგზავნილ სიგელებში დამოწმებულ იმ ცნობებზეც, რომლებიც „ყარაყალყანებს“ («каракалканцы») ან „ყალყანებს“ («калканцы»), «калканские люди», [«горные люди калканцы»] რუსი ელჩებისადმი ერთობ მტრულად განწყობილ (და ძირითადად დარია-

26 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურის გამოცემა, გვ. 380, 382.

27 არაქელ დავრიყეცის ცნობები საქართველოს შესახებ, კ. კუციას გამოცემა, თბ., 1974, გვ. 55.

28 ესაი პასან ჯალალიანცი, აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, კ. კუციას გამოცემა, თბ., 1971, გვ. 37.

29 გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, ც. აბულაძის გამოცემა, თბ., 1975, გვ. 31, 33, 38, 54.

შენიშვნა: „ყარაკალქანის ერისთავი და ქსნის ერისთავი“ ფიგურირებენ ოსმალთა სულთან მაჰმუდის მიერ ქართველი ერისთავების, გამოჩენილი თავადებისა და აზნაურებისადმი 1732 გამოგზავნილ წერილში (იხ. ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 153).

30 იქვე, გვ. 31, 35, 36.

შენიშვნა: საყურადღებოა რომ ც. აბულაძის განმარტებით, „თურქი ისტორიკოსი Fahrettin kirzioglu ყარაკალქანს აიგივებს დარიალის ხეობასთან Karakalkan//Daryal-gecidi“ (გვ. 65), რითაც ის ყარაყალყანის ქვეშ არაგვის საერისთავოს ტერიტორიის დასახვის მომხრედ გვაცნობს თავს.

ლის რაიონში აქტიურად მოქმედ) მთიელებად ახასიათებენ, ხოლო ყარაყა-
ლყანს („*каракалкань*“, «каракалканы») ან უბრალოდ ყალ-
ყანს («калканы») მის ჯარგლებში მდებარე „ყალყანის სოფლებითურთ“
(«калканские кабаки») საქართველოს განუყოფელ ნაწილად, „ყა-
რაყალყანის ერისთავისადმი“ («эристав каракалканский») და-
ქვემდებარებულ მხარედ წარმოაჩენენ³¹. ამასთან, ზოგიერთ ისტორიულ
საბუთში (მაგ. თეიმურაზ I-ის წერილში მიხეილ რომანოვისადმი, 1635 წ.)
„ყარაყალყანები“ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსებისა და ინგუშების
უშუალო მეზობლებად არიან მოხსენებულნი («А здесь близ каракал-
канов и меж черкасских музз пребывают народы кисти и осии
и иные многие народы...»³²). რაც თავისთავად არაგვის საერისთავოს
მოსახლეობასთან მათი უყოყმანო გვიგეების მიზანშეწონილობაში გვარწ-
მუნებს.

„ყარაყალყანის“ (ან „ყარაყალყანის“) ქვეშ ნაგულისხმევი რეგი-
ონის მოცულობასა და „ყარაყალყანთა“ (ან „ყარაყალყანთა“) ვინა-
ობაზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რუსულ ენაზე
გადმოსარგმნილი XIX ს. ირანული დოკუმენტები, კერძოდ ფათალი
შაჰისა და აბას მირზას მიერ ფარნაოზ ბატონიშვილისა და ცარიზმის
კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიელთათვის
გაგზავნილი გამამხნეველებელი ფირმანები, რომელთა თანმიმდევრულად
დამოწმება სათანადო კომენტარების თანხლებით კვლავ საკვლევი სა-

³¹ М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с
российскими государями от 1639 г. по 1770 г., СПб, 1861, с. 24, 25, 28, 44,
45; Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, МИИМГАМИДБ,
вып. I, 1578-1613 гг., М., 1889, с. 222, 474; მისივე, Поездка старца Арсе-
ния Суханова в Грузию, 1637-1640, ХЧ, СПб, 1884, с. 483-485; მისივე,
Акты времени Лжедмитрия I-го, ЧОИДРПМУ, кн. I, М., 1918, с. 289;
Полневктов М. А., Посольство князя Мышецкого и дьяка Клюгарева в
Кახетию в 1640-43 гг., Тифл., 1928, с. 40; მისივე, Материалы по истории
грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, Тифл. 1937, с. 116, 118, 140,
349-350, 358. Кабардино-русские отношения в XVI-XVIII вв., „Документы и
материалы“. I, М., 1957, с. 120; Русско-дагестанские отношения XVII—первой
четверти XVIII в., Махачкала, 1958, с. 33.

³² Полневктов М. А., Материалы..., с. 118.

საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დოკუმენტზე დაფუძნებით საქართველო—რუსეთის
დიპლომატიური ურთიერთობის მიმოხილვით დაკავებული ფ. პლოენი განმარტავს:
„...Теймураз просил царя, чтобы он прислал к нему сильное войско... Сверх
того, он имеет в подданстве, близ Каракалканцев, между черкесскими
музсами, народы называемые Кистинцами и Осетинцами, также и
многие другие...“ (М. Броссе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. XXVIII).

კითხის შეძლებისამებრ სრულფასოვანი გამუქების აუცილებლობითაა ნაკარნახევი:

«Фирман Фетх-Али шаха царевичу Парнаозу (1804 г.). Получено нами известие, что старшины и почётные жители Каракалхана совершенно отложились от проклятых Русских и вступили в ряды служителей нашего двора. А потому повелеваем вам по получении сего высочайшего фирмана отправиться в каракалхан и все тамошнее население обнадёжить в монаршей нашей милости и благоволении; собрать их ополчение и отправиться оттуда в Тифлис»³³.

როგორც მოტანილი წერილიდან ვგებულობთ, ქართლის მთიანეთში 1804 წ. დაწყებული აჯანყების მასშტაბების გაფართოებაში დაინტერესებული ირანის ადმინისტრაცია დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთისაგან გამდგარ „ყარაყალხანის“ მხარეზე, რომელიც უდავოდ შეეფარდება ყოფილ არაგვის საერისთავოს ტერიტორიას.

«Фирман Фетх-Али шаха всем старшинам общества Каракалхана, Осетин и Черкесов от 1804 года.

...Во внимание к тому, что вы в настоящем году оказали блистательные заслуги нашей державе, и сражаясь с гяурами Русским и, разорили им пути прохода—мы повелели освободить 10 человек из вашего племени, попавшихся в этом году в плен нашим войскам... и отправить их на родину. Да послужит эта милость доказательством нашей к вам благосклонности... Старайтесь пуще прежнего сломать мосты и портить их дороги...»³⁴

კონკრეტულ შემთხვევაშიც, „ყარაყალხანი“ ზოგადი შინაარსის ისტორიულ-გეოგრაფიული ცნება გამოდის, რომელიც არაგვისა და თერგის ხეობებს, ანუ 1804 წლის აჯანყების უმთავრეს კერებს ფარავს. ამასთან ეს სახელწოდება, სპარსული ტექსტის ავტორთა სამართლიანი დაკვირვების წყალობით არ ვრცელდება ჩრდილო კავკასიულ ხალხებზე, კერძოდ ოსებსა და ჩერქეზებზე³⁵, თუმცა ფირმანის შემდგენლებმა მაინც ვერ დაიზღვიეს თავი სერიოზული შეცდომისაგან, როდესაც თავის მიმართვაში „ყარაყალხანის თემის“ მოსახლენი, ოსები და ჩერქეზები ფაქტიურად ერთ ტომად გამოაცხადეს.

³³ АКАК, т. II, гл. 818.

³⁴ იქვე.

³⁵ როგორც ჩანს, „ჩერქეზები“ აქ ზოგადი მნიშვნელობით ხმარებული ეთნონიმი, რომლის ქვეშ სავალდებულოა ყაბარდოელები დაენიხნათ.

სხვათა შორის, ანალოგიური ხასიათის უზუსტობისაგან არ აღმოჩნდა დაზღვეული ფათალი-შაპის მიერ 1804 წელს გაგზავნილი კიდევ ერთი წერილი «...к тагаурцам прося о присылке трех человек из племени Кара-калхан»³⁶, სადაც „ყარაყალხანი“, სრულიად მოულოდნელად, უკვე ტომობრივ სახელად იქნა წარმოდგენილი. აქვე „ყარაყალხანებისა“ და „თაგაურელების“ ერთად მოხსენიების ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს შემკრებლობითი მნიშვნელობის მქონე ცნება „ყარაყალყანის“ გავრცელების ტრადიციული არეალის ხელოვნური გაფართოების (— 1804 წლის აჯანყების მიერ მოცულ ტერიტორიასთან ყარაყალყანად სახელდებული მხარის მიჯნების მექანიკური შეფარდების) მანამდე უცნობ ტენდენციასზე; რომლის ძალით მოგვიანებით ა. ბერკემ „ყარაყალყანები“ (ან „კარაკალყანები“) შეცდომით ოსურ ტომდაც კი გაიაზრა³⁷.

1810 წელს ფათალი შაპის ძეს აბას-მირზას კვლავ გაუგზავნია მიმართვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისათვის, რომელთა სიაში სპარსული საბუთის რუსული ვარიანტის მიხედვით თანმიმდევრულად არიან აღრიცხულნი: ქართლები (карталинцы), ყარაყალხანები (каракалханцы), გუდამაყრელები (гудамакарцы); ფშავ-ხევსურები (пшаво-хевсурцы), თაგაურელები (тагаурцы), ქურთაულელები (куртаулцы), კსნელები (ксанцы), ლიახველები (лиахвцы), მღრანდვლები (маграндолетцы)³⁸.

ცხადია, მოყვანილ დოკუმენტებშიც „ყარაყალხანები“ (ან „კარაკალხანები“) „არაგველების“ ნაცვლად ნახშიარი სახელწოდების როლს ასრულებს, თუმცა ამ შემთხვევაში გასარკვევი ხდება ამჭერად უკვე „ყარაყალყანებისაგან“ არაგვის საერისთავოს ფარგლებში მცხოვრები გუდამაყრელების გამოცალკეების მიზეზები: ჩვენი აზრით, აღ-

³⁶ АКАК, т. II, გვ. 820.

³⁷ АКАК, т. IV, გვ. 740.

³⁸ იქვე.

შენიშვნა: აუცილებელია ითქვას, რომ სწორედ აბას მირზას მიერ 1810 წ. გაგზავნილ წერილში დატულ მონაცემებზე დაფუძნებით ერთ-ერთ ნაშრომში გამომართა: «В официальных документах 20-х годов прошлого столетия каракалханцев называют среди гудамакарцев, пшавов, хевсур и тагаурцев Хевии» Волкова Н. Г. დასახლებული ნაშრომი, გვ. 158), ავტორი, მართალია, სავსებით სწორად შენიშნავს, რომ „ყარაყალყანები“ 1810 წლის ფირმანში გუდამაყრელების, ფშავლების, ხევსურებისა და თაგაურელების გვერდით იხსენიებიან, მაგრამ სამაგიეროდ გაკვირვებას იწვევს მისი ცნობა „ხევის თაგაურელების“ შესახებ. როგორც ჩანს, აქ მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. ვოლკოვას ოსეთის ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რაიონში — თაგაურის ხეობაში მცხოვრებ ოსთა განსახლების ტერიტორიად საქართველოს მონაპირე კუთხის — ხევის მიწა-წყალი ეგულეობდეს.

ნიშნულ დიფერენციაციაში დაახლოებით ისეთივე ხასიათის მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, როგორც 1804 წლის ფირმანში იქნა დადასტურებული „თაგაურელებსა“ და „ყარაყალხანებს“ შორის არსებული სხვაობის ფაქტიური წაშლის მაგალითზე.

დაბოლოს, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით XVIII ს. გერმანელი სწავლულების ი. რაინეგისა (1744-1793) და ი. კლაპროთის (1783-1835) ნაშრომებს, რომლებიც პირდაპირ ჩვენებებს შეიცავენ „ყარაყალხანთა“ (ან „კარაკალხანთა“) ვინაობისა და ამ სახელწოდების მატარებელი მხარის მიჯნების, აგრეთვე იგივე სახელით აღნიშნული ზოგიერთი ოროგრაფიული ერთეულის თუ პიდრობიექტის შესახებ.

მაგალითად, ერეკლე II-ის კარზე გამწესებული რუსეთის რეზიდენტი იაკობ რაინეგი განმარტავს: „... ახალგორის ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობენ სხვადასხვა ტომები, რომელთა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენს კ ა რ ა კ ა ლ კ ა ნ ი; ისინი განსახლებულნი არიან საცხოვრებლად ვარგის ყველა მთის ალაგში... ამ ხ ა ლ ხ ე ბ ი ს მთებში ბევრი ფშისა და ნაკადლისაგან იღებს სათავეს მდინარე ფ შ ა უ, რომელიც... მდინარე არაგვს უერთდება...“³⁹ აქვე ავტორი ახსენებს „კარაკალხანის შავად დაბურულ მთებს“⁴⁰, ხოლო მის თხზულებაზე დართულ რუკაზე Karakalkan უკვე არაგვის ხეობის მთიანეთის ტერიტორიის აღმნიშვნელ სახელწოდებად არის დატანილი⁴¹.

მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო სახელის გავრცელების არეალში ფშავ-ხევსურეთიც არის შეყვანილი და ამდენად „ყარაყალხანის“ (ან „კარაკალხანის“) მოცულობა მდ. არაგვის ერთიანი აუზის (და არა არაგვის საერისთავოს მიჯნების) შესაბამისადაა განსაზღვრული, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ი. რაინეგის მტკიცებათათვის დამახასიათებელ სერიოზულ ხარვეზებს (მაგ. ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფების მისამართით ტერმინ „ხალხის“ გამოყენება; თავად სიტყვა Karakalkan-ის მეტისმეტად გულუბრყვილო ეტიმოლოგიზაცია⁴²; Karakalkan-ის გამოსახვა რუკაზე არა „ორი არაგვის“, არამედ მხოლოდ პირაქეთი არაგვის ხეობის მთი-

³⁹ Генко А. Н., Из культурного прошлого ингушей... გვ. 702—703.

⁴⁰ იქვე, გვ. 703.

⁴¹ იქვე.

⁴² ი. რაინეგის სიტყვა „ყარაყალხანის“ (ან „კარაკალხანის“) მეორე კომპონენტი თურქული Kalkmak („ადგომა“) ზმნის პარტიციპიუმად (kalkan) აქვს გავებული და ამდენად მკვლევარი Karakalkan-ს შემდეგნაირად შიფრავს: „შავადმდგომნი“, რის შემდეგაც ავტორს არ ეუხერხებულა იმის მტკიცება, თითქოს „Они (ივლისხმებიან კარაკალხანები) называются черно-встающими потому, что они иногда не моют себе лица“ (Генко А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 702-703).

ანეთის აღმნიშვნელ სახელწოდებად... და ა. შ.) და, პარალელურად, ავტორის ცნობებს ყარაყალყანის მდებარეობის შესახებ შევაჯერებთ მის მიერვე შედგენილი რუკის მონაცემებთან, განხილული მასალა ყარაყალყანად (ან კარაკალკანად) სახელდებული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ტრადიციულ ლოკალიზაციაში სათანადო კორექტივების შეტანის უფლებას არ მოგვეცემს.

სხვათა შორის, იგივე ითქმის ი. კლაპროთის ნაშრომის იმ მონაკვეთზე, სადაც „ყარაყალყანები“ მდ. რიონისა და მდ. არაგვის სათავეებს შორის მდებარე (და ოსებით დასახლებული) კავკასიონის მთების აღმნიშვნელ სახელწოდებად, ხოლო „ყარაყალყანსუ“ მდ. დიდი ლიახვის მისამართით გამოყენებულ ჰიდრონიმად ფიგურირებს⁴³.

რასაკვირველია, არაგვის საერისთავოს საზღვრებს გარეთ მომდინარე ლიახვზე და იმავე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის დასავლეთით გადაჭიმულ მთებზე საკვლევეი სახელის გავრცელების ფაქტები მეტად დამაფიქრებელია, მაგრამ მათი დაწინაურება მაინც არ ჩანს საქმარისი იმისათვის, რომ ლიახვის ხეობაც და რიონისა და არაგვის სათავეებს შორის მოქცეული კავკასიონის ქედის ორივე ფერდობი წარსულში ყარაყალყანად წოდებული მხარის შემადგენელ ნაწილებად გავიაზროთ.

ასეთი ნაჩქარევი დასკვნის ნაცვლად უპრიანია საგანგებოდ განიმარტოს, რომ კლაპროთის დაკვირვებამდე ბევრად უფრო ადრე წერილობით წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები „ყარაკალკანის მთების“ შესახებ⁴⁴, რომლებიც უყოყმანოდ იმსახურებენ გაიგივებას სწორედ არაგვის საერისთავოს მთის ზონასთან. ამდენად, ნებისმიერი სახელწოდების თავდაპირველი შინაარსის თანდათანობითი გაფართოების თუ დავიწროვების საყოველთაოდ ცნობილი ტენდენციის ძალით, ტერმინ ყარაყალყანის (ან კარაკალკანის) გამოყენება არა მარტო არაგვის საერისთავოს, არამედ ამ უკანასკნელის ფარგლებში მდებ-

⁴³ Klapproth J., დასახ. ნაშრომი, გვ. 350;

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის II ნახევრის რუსი ანონიმი მდ. ლიახვის სხვეე კარაკალკან-სუს (Кара-калкан-су), ხოლო ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებს კარაკალკანებს უწოდებს და თანაც განმარტავს, რომ „...поелику никогда не имеют лица называются каракалкан (чёрными наступниками)“ (იხ. მ. დუმბაძე, რუსი ანონიმი მე-18 ს. II ნახევრის საქართველოს შესახებ, მსკი, თბ., 1963, გვ. 163-164). მაგრამ აქვე კარაკალკანთა მეზობლებად ხვესტურების (Горцур) მოხსენიების ფაქტი (იქვე, გვ. 154) იმის მანიშნებელია, რომ ანონიმის მიერ დასახლებული კარაკალკანის ქვეშ არაგვის საერისთავოს ტერიტორიაც იგულისხმება, რაც ავტორის შეცდომით მარტოდონ ოსებით დასახლებულ რაიონად წარმოუდგენია.

⁴⁴ გუ რ ა ჯ ი ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 35, 36.

ბარე ოროგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელ სახელწოდებად სრულიად უდავოა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მდ. დიდი ლიახვი სათავეს იღებს ამჟამად მთიულეთის ქედად, თავის დროზე კი შესაძლოა ყარაყალყანად წოდებული წყალგამყოფი მთაგრებილიდან, ხოლო მთიულეთის ქედზე დასავლეთის მხრიდან მიბმული დვალეთის ქედის გადაღმა მდებარე ზახა წარსულში არაგვის საერისთავოში შემავალ და ამდენად ასევე ყარაყალყანად წოდებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რაიონს წარმოადგენდა⁴⁵, ალბათ ძნელი არ უნდა იყოს ერთი მხრივ ყარაყალყანის მთებიდან მომდინარე დიდი ლიახვის ყარაყალყანის წყლად სახელდების, მეორე მხრივ კი დვალეთის ქედზე საკვლევი სახელის გავრცელების მიზეზების მიკვლევა. უბრალოდ, აქ სახეზე გვაქვს ერთი კონკრეტული სახელწოდების საესეებით კანონზომიერი დიფუზიის ფაქტი, რომელსაც, ცხადია, ვერ მივაწერთ მართოდენ არაგვის საერისთავოს ტერიტორიასთან ყარაყალყანის იდენტიფიკაციის საწინააღმდეგო საბუთის ღირებულებას.

ამრიგად, XV-XIX სს-ის წერილობით წყაროებზე დაკვირვება თვალნათლივ ცხადყოფს, რომ „ყარაყალყანი“ (// „კარაკალკანი“, // „კალკანი“) არაგვის საერისთავოს აღმნიშვნელ, ხოლო „ყარაყალყანები“ (// „კარაკალკანები“, // „კალკანები“) ხსენებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის (// არაგველების) მისამართით გამოყენებულ შემკრებლობითი შინაარსის სახელწოდებას წარმოადგენს.

მიღებული დასკვნის შემდეგ კი, ცხადია, მხოლოდ ზემოთგანხილული მონაცემების გაუთვალისწინებლობით თუ მცდარი ანალიზით შეიძლება აიხსნას საკვლევი საკითხის არამართებული ინტერპრეტაცია XIX-XX სს-ის სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც ყარაყალყანებთან გაიგივებულნი იქნენ, შესაბამისად, ფშავლები, ჭევსურები და გუდამაყრელები (მ. ბროსე, ზ. იოსელიანი)⁴⁶, ფშავლები და ხევსურები (ე. ვეიდენბაუმი)⁴⁷, ფშავლები, ხევსურები და თუშები (კ. განი)⁴⁸, მხო-

⁴⁵ 1770 წლის ქართლ-ჯახეთის აღწერაში „არაგვის ოსის“ (// არაგვის საერისთავოს ოსური მოსახლეობის) განსახლების ერთ-ერთ რაიონად დასახელებულია ზ ა ხ ა (იხ. ქსძ, II, გვ. 420); გიულდენშტედტის თანახმად კი „ზახას მხარე ზემოთ თერგის შენაკად არღონზე და რიონის შენაკად ჭეჭოზე, მაღალ მთებში“ მდებარეობს (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 61), რაც მხოლოდ ნაწილობრივია სარწმუნო.

⁴⁶ Генко А. Н. დასახ. ნაშრომი გვ. 703; ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; П. Иоселиани, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

⁴⁷ Вейденбаум Е., დასახ. ნაშრომი, გვ. 82;
შენიშვნა: ე. ვეიდენბაუმის თელსაზრის ობიექტებზე აგრეთვე ნ. კაზანცევი და დ. რაკოვიჩი (იხ. Владикавказ, Военно-Грузинская дорога... გვ. 64).

⁴⁸ Ган К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 10, 145.

ლოდ არაგვის ხეობის მცხოვრებნი (მ. პოლიექტივი)⁴⁹, ან მარტოოდენ ხევსურები (ი. არაგვიანიძე)⁵⁰.

არასაკვირველია, წერილობით წყაროებში დაცული ცნობებისადმი კიდევ უფრო ზერელე დამოკიდებულების შედეგი ჩანს იმ შეხედულებების შემუშავება, რომელთა ავტორებმა თავიანთი დებულებების მეტისმეტად სუსტი არგუმენტაციის „წყალობით“ მიზანშეწონილად ჩათვალეს ყარაყალყანთა იდენტიფიკაცია არაქართველ მთიელებთან, კერძოდ ოსებთან და ერთ-ერთ ვეინახურ ტომთან — ყარაზულახებთან (ა. ბერაქე)⁵¹, აგრეთვე ინგუშებთან და თრუსოს ხეობაში მცხოვრებ ოსებთან (ა. გენკო)⁵².

მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილ უზუსტობათა ძირითადი ნაწილის კრიტიკული შეფასების საფუძველზე 1962 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში დამაჩერებლად იქნა დასაბუთებული ტერმინების „ყარაყალყანისა“ და „ყარაყალყანების“ მიღმა უსათუოდ არაგვის საერისთავოსა და არაგველთა დანახვის საჭიროება⁵³, აღნიშნული ნაშრომის გამოსვლის შემდეგაც მთელ რიგ სწაველულთა ნააზრევში კვლავ იჩინა თავი საკვლევი საკითხის ცალმხრივი გაშუქების ტენდენციამ.

მაგალითად, ზოგიერთი ქართველი მკვლევარის შენიშვნით, სპარსულ და თურქულ თხზულებებში: ხსენებული „ყარაყალყანი“ (// „ყარაყალხანი“) არაგვის ხეობის აღმნიშვნელი სახელია, „ყარაყალყანების“ („ყარაყალხანების“) ქვეშ იგულისხმებიან არაგვის ხეობის მცხოვრებნი: თუ შ-ფ შავ-ხ ევსურები და მოხევეები. ამასთან, ვითარების ასეთნაირი შეფასებისას დამოწმებული კვალიფიკაციების ავტორები მთლიანად ეფუძნებიან ს. ჯიქიას, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ მიაწერენ „ყარაყალყანისა“ და „ყარაყალყანების“ შესაბამისად არაგვის ხეობასა და ჩამოთვლილ ქართველ მთიელებთან იდენტიფიკაციას⁵⁴.

როგორც ვხედავთ, ამჭერად სერიოზული უზუსტობის წყაროდ ქცეულა ერთი მხრივ არაგვის ხეობისა და არაგვის საერისთავოს ერთ-

⁴⁹ Полиевктов М. А., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 433. (იხ. საძიებელი).

⁵⁰ Арджеванидзе И. А., Военно-Грузинская дорога, გვ. 159.

⁵¹ АКАК, т. II, გვ. 820.

⁵² Генко А. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 702-703.

⁵³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 160—163; შენიშვნა: უფრო ადრე „ყარაყალყანი“ არაგვის საერისთავოსთან გააიგივა ვ. ფუთურაძემ (იხ. მოკამედთაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურაძის გამოცემა... გვ. 380).

⁵⁴ კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 34; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 181-182; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამუდინებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის გამოცემა, გვ. 72.

შანეთში არევის, არაგვის ხეობის მიწნებზე არამართებული წარმოდგენისა და საერთოდ ქართველ მთიელთა ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების (თუშები, ფშაველები, ხევსურები) სამოსახლო მხარეების მცდარი ლოკალიზაციის ფაქტორი, ხოლო მეორე მხრივ ს. ჯიქიას მტკიცებათა არასწორი გაგება, რამაც საბოლოო ანგარიშით განაპირობა „ყარაყალხანთა“ გაიგივება არა არაგვის საერისთავოს, არამედ ლამის მთელი კახეთის მთიანეთისა და არაგვის საერისთავოს მოსახლეობასთან, რომლის დისლოცირების რაიონად თავის მხრივ, არაგვის ხეობა იქნა გააზრებული (!). ვფიქრობთ, აქ იმდენად აშკარა წინააღმდეგობებთან ვეაქვს საქმე, რომ მკითხველს ჩვენი კომენტარების გარეშეც არ გაუჭირდება მათი ფიქსაცია და უგულვებელყოფა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კიდევ უფრო თვალში საცემი წინააღმდეგობებით აღმოჩნდა აღსავსე ერთ-ერთი მოსკოველი ეთნოგრაფის მიერ 1973 წელს გამოცემული მონოგრაფიის მთელი ხუთგვერდიანი მონაკვეთი, სადაც ჩვენთვის კარგად ცნობილი სახელწოდებები — „ყალყანები“ და „ყარაყალყანები“ მათი უდავოდ ადეკვატური შინაარსობრივი დატვირთულობის მიუხედავად აშკარად ხელოვნურად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან და ისინი შესაბამისად ინგუშებისა და ოსების (აგრეთვე ქართველ მთიელთა: ფშაველთა, ხევსურთა და სხვ.) აღმნიშვნელ ორ სხვადასხვა ეთნონიმად გამოცხადდა⁵⁵, ხოლო საკუთრივ ყარაყალყანად წოდებული მხარე შეცდომით ი. კლაპროთის მიერ დასახელებული რაიონისა (მდ. არაგვისა და მდ. რიონის სათავეებს შორის მოქცეული მთიანეთი) და მდ. არაგვის აუზის მომცველ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონად იქნა გააზრებული⁵⁶. ამასთან, თუკი რუსულ წყაროებში ხსენებულ ყალყანებში (калканцы) მაინცდამაინც ინგუშების ამოცნობის ცდას საფუძვლად დაედო ტერმინების ყალყანისა (калкан) და гIалгIას (ქართ. ლალღა; ინგუშთა თვითსახელწოდება) თითქოსდა უტყუარი ფონეტიკური მსგავსებისა და წარსულში ს. გველეთის რაიონში (ხევი) გვიან დასახლებული ვაინახების ცხოვრების ფაქტებზე მკვლევარის დაკვირვება⁵⁷, ყარაყალყანებთან (каракалканцы) უწინარეს ყოვლისა ოსების გაიგივებისათვის ავტორმა ჰაქმარისად ჩათვალა ყურადღების აქცენტირება ცალკეულ სწავლულთა ნაშრომებში დაცულ ცნობებზე ოსების მიერ შავი ფერის ტყავის ფარების ტარებისა

⁵⁵ Вайкова Н. С., დასახ. ნაშრომი, გვ. 154-156.

⁵⁶ იქვე, გვ. 158.

⁵⁷ იქვე, გვ. 154-157.

(კლპროთი; შდრ. ენგელგარტი) და ყარაყალყანებად ოსებით დასახლებული მთების სახელდების შესახებ (კლპროთი)⁵⁸.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მტკიცებები ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო აშკარად განიცდის ა. გენკოს ნააზრევის გავლენას, რომელმაც თავის დროზე გაამახვილა რა ყურადღება ტერმინების *калкан*-ისა და *ГІагІа*-ს მეტად საჯოკმანო გარეგნული მსგავსების ფაქტზე და ცალკეულ მოგზაურთა ცნობებზე ოსების მიერ სპეციფიკური (შავი შეფერილობის) ფარების ტარების შესახებ, ერთობ ნაჩქარევად ირწმუნა ყარაყალყანებთან (ან ყალყანებთან) ინგუშებისა და ოსების გაიგივების მიზანშეწონილობა, თუმცა ესოდენ სახელდახელოდ გამოთქმული თეზისის აყვანა ჯეროვნად დასაბუთებული შეხედულების სიმალლეზე მან მაინც ვერ მოახერხა⁵⁹.

ცხადია, ხსენებული ავტორის პოზიციის სისუსტეს კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს იმ დეტალების გაუთვალისწინებლობა, რომ, ჯერ ერთი, შავი შეფერილობით გამორჩეული ფარები მართოდ ოსების საომარი აღჭურვილობისათვის დამახასიათებელ ელემენტს არ წარმოადგენდა, რის გამოც „შავფაროსნებად“ წოდებულ მთიელებად მაინცდამაინც ოსების გააზრება უბრალოდ არალოგიკური იქნებოდა; მეორეც, სახელწოდება *калкан*-ის და *ГІагІа*-ს უდავოდ ხელოვნურ მიმსგავსებას ერთმანეთთან არ შეიძლება მივყავდეთ ყალყანებთან უსათუოდ ინგუშების გაიგივებამდე⁶⁰. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ყარაყალყანად (ან ყალყანად) წოდებული მოსახლეობის ტომობრივი კუთვნილების დადგენის ცდამ ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიადაგისაგან მოწყვეტით ვერ გაუძლო

⁵⁸ Волкова Н. Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 157-158. მართალია, ნ. ვოლკოვას განმარტებით, ყარაყალყანების ქვეშ შესაძლოა იმალებოდნენ არა მართო ოსები, არამედ ქართველი მთიელებიც („...Учитывая восточные границы области каракалкан... вероятнее всего предположить, что это название могло скрывать не только осетин, но также пшавов, хевсур и др...“, გვ. 158), მაგრამ ვინაიდან მეკლევარი *каракалкан*-ს XVI-XVII სს-ის რუსულ წერტილებით წყაროებში ხსენებული „*соин*“-ს შესატყვის ტერმინად თვლის (გვ. 158), ხოლო თავად „*соин*“-ს ოსების აღმნიშვნელ ეთნონიმად მიიჩნევს (გვ. 106), ავტორის დებულებების შეჯერებიდან ძალუბნებურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ „*каракалканцы*“ საბოლოო ანგარიშით მაინც ოსების აღმნიშვნელ ეთნონიმს წარმოადგენს, რაც, ცხადია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

⁵⁹ Генко А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 702-703.

⁶⁰ საერთოდ, სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსების (ან ჰირდაპირი დამხვევის) ფაქტის იდეალიზაცია ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან გარეგნულად ერთმანეთის მსგავსი ტერმინების რეალურ ეტიმოლოგიაზე ნაუცბადეველ თუნდაც წინასწარი ვარაუდის გამოთქმა და მით უმეტეს რაიმეს დაბეჯითებით თქმა არაიშვიათად სერიოზულ გაუგებრობას უწყობს ხელს. ასეთნაირ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კი ნიშანდობლივად გვესახება ის გარემოება, რომ მაგ. ჩრდ.

ობიექტურ მეცნიერულ კრიტიკას და ის დამაჯერებლად იქნა გაბათილებული ერთ-ერთ ნაშრომში⁶¹, თუმცა ყოველივე ეს, როგორც მხედველობიდან გამორჩათ საკვლევი თემის უფრო ვრცლად გაშუქებითა და ეთნონიმ ლალას (ГІАЛГІА) ეტიმოლოგიის გარკვევით მოგვიანებით დაინტერესებულ მკვლევარებს (ნ. ვოლკოვა, ა. სულეიმანოვი)⁶², რაც მორიგ უზუსტობათა მიზეზად იქცა.

მაშასადამე, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ XIV—XIX სს. წერილობითი წყაროებიდან ცნობილი „ყარაყალყანი“ (ან „ყარაკალკანი“) დაახლოებით XIV ს. მიწურულს ან XV ს. დასაწყისში გაჩენილი თურქული კომპოზიცია და ის სიტყვა-სიტყვით უნდა ნიშნავდეს „შეფაროსანს“, „ფაროსანთა მხარეს“ („ფაროსანთა მიწას“) ან „მრისხანე ფაროსნებს“. ამ სახელწოდებით ტრადიციულად აღინიშნებოდა არაგვის საერისთავოს („ორი არაგვის“) ტერიტორია „მუნებური“ მცხოვრებლებითურთ (ე. ი. არაგველებითურთ) და არა მარტოოდენ არაგვის ხეობის ან კიდევ თითქმის მთელი ქართლ-კახეთის მთიანეთის მოსახლეობა, როგორც ამას აქამდე ფიქრობდა ზოგიერთი ავტორი. ცხადია, კიდევ უფრო დაუსვებელია ყარაყალყანის (შემოკლ. ყალყანის) გააზრება მარტოოდენ ოსების და ინგუშების აღმნიშვნელ ეთნონიმად, რასაც ასევე ჰქონდა ადგილი სპეციალურ ლიტერატურაში.

კავკასიის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხერხდება ჰიდრონიმ ყალყანის ან კალკანის (Kalkan, калкан) და ერთ-ერთი სოფლის აღმნიშვნელ სახელწოდება ყალხანის (калхан) არსებობის დადასტურება. ეს გეოგრაფიულ-სახელები წარსულში გამოიყენებოდა მდ. ყუბანისა და აზერბაიჯანის ერთ-ერთი დასახლებული მუნიციპალიტეტის მისამართით (იხ. სნ. „Ономастика Кавказа“, გვ. 109; АКАК, т. IV, გვ. 581). ცხადია, ორივე მათგანი მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს საკვლევი სახელის მეორე ნაწილს — ყალყან // კალკან-თან. ჩვენი ვარაუდით მდ. ყუბანის აშნაირ ნომინაციაში გადამწყვეტი როლი შეეძლო შეესრულებინა თურქულ სიტყვას Kalkanbaligi („სუია“). ვინაიდან აზოვისა და შავ ზღეებში მობინადრე სეია, სწორედ დიდ მდინარეებს ეტანება და ამდენად არაა გამორიცხული, რომ აღნიშნული თევზით მდიდარ ყუბანს აღწერილობითი სახელწოდება შეერქმეოდა. არა გვერნობა, ძნელი წარმოსადგენი იყოს ის დაბნეულობა, რაც უსათუოდ წარმოიქმნებოდა ხსენებულ ჰიდრონიმსა და ყარაყალყანს (ან ყალყანს) შორის უშუალო კავშირის დაშვების შემთხვევაში. არადა, ამაზე ნაკლები უხერხულობა წესით არც ყალყანის და ლალას იდენტიფიკაციის ცდას უნდა ახლდეს.

61 ს. ჭიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 161-162.

62 როგორც ჩანს, სწორედ ა. გენკოს დებულებისადმი სრული ნდობის გამოცხადებამ განაპირობა სიტყვა ლალას წარმომავლობის შემდგენილი ახსნა: „ГІалгІай—щитоносцы (тур)“ (იხ. Сулейманов А. С., Толонимия Чечено-Ингушетия, II, გვ. 38), რის შესაბამისად „...ГІалгІай некъ-щитоносцев дорога... ГІалгІа бей-Ингушский щитоносцев луг“ და ა. შ. (იქვე, გვ. 8, 34, 57, 64, 67...) — ეთნონიმ ლალას ასეთნაირი გაშიფრვა აშკარად ხელუწერია, რასაც მოწმობს იმავე სიტყვის სრულიად განსხვავებული ხალხური ეტიმოლოგიაც (ამასთან დაკავშირებით იხ. Генко А. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 703—704).

მ თ ი უ ლ თ კ ა რ ი

არაგვის ხეობის მთის ზოლში მდებარე მრავალრიცხოვან პუნქტებს შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს XVIII ს. წერილობით წყაროებში რამდენჯერმე ხსენებული, თუმცა შემდგომში დავიწყებას მიცემული, ერთობ „გაურკვეველი ბედის“ მქონე სოფ. მთიულთკარი (იგივე სახელწოდების მატარებელი სიმაგრითურთ), რომლის რეალურად არსებობაზე, სამწუხაროდ, თვით არაგველ მთიელებსაც კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. სამეცნიერო ლიტერატურაშიც აქამდე ვერ მოხერხდა მისი ზუსტი ლოკალიზაცია, მიუხედავად აღნიშნული საკითხის გადაქცევისა არაერთი მკვლევარის სპეციალური დაინტერესების საგნად¹. ამიტომ აუცილებელია მთიულთკარის პოვნა და ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზე მისი მართებულად გამოსახვა ჩვენს განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ვრცლად გამომზეურება-გაანალიზების შუქზე.

პირველ ცნობას მთიულთკარის შესახებ გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის დაკვირვებით, „...ანანურს ზევით ერთვის არაგუს დასავლიდამ ქართლის-ჯევი. მის ჩდილოდ არს მ თ ი უ ლ თ - კ ა რ ი,

¹ Ган К. Ф., Опыт объяснения кавказских географических названий, გვ. 109; ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 5; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 5; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 62; ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971, გვ. 207; მისივე, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“... ისტორიის... სერია, თბ., 1972, № 2, გვ. 41—42; მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, გვ. 54; მისივე, არაგვის ხეობა, ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 533; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25; გ. ხორნაული, მთები და სახელები, გვ. 8; ვახტ. ითონიშვილი, ხანდოს ხევი და მთიულეთი (ლოკალიზაციის საკითხი), თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა საიუბილეო კონფერენციის თეზისები, თბ., 1981, გვ. 16; მისივე, რეცენზია გ. ხორნაულის წიგნზე „მთები და სახელები“, „მაცნე“, ისტორიის... სერია თბ., 1984 № 3, გვ. 157; მისივე, ხანდოს ხევი (ლოკალიზაცია, ეთნონიმია, განსახლება), „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, II, 1985, გვ. 137—138; მისივე, არაგვის ხეობა, გვ. 30, 70—73, 80—81.

სიმაგრე მტკიცე; მას ზეით ნასასახლევი მეფეთა და ხანდოს-კვევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთის არაგუს დასაველეთიამ².

დიდი სწავლულის მიერვე შედგენილ რუკაზე („ქარტა ქართლისა ანუ რუკა...“) სახელწოდება მთიულთქარის მატარებელი პუნქტი ლოკალიზებულია ქართლის ხევსა და ხანდოს ხევს შორის, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. ამასთან, მთიულთქარი აქ დატანილია როგორც მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა, ერთ-ერთი სიმაგრე, მაშინ როდესაც იმავე რუკაზე ნაჩვენებია პავლიაური, ციხისძირი და არაერთი სხვა პუნქტი (მაგ. ქისტური, ფევიჩური, ჩოხელი, არახეთი, და ა. შ.) რუკაზე სავსებით მართებულად სოფლის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით ფიგურირებენ.

თითქმის იდენტური სურათი წარმოგვიდგება ვახუშტის სხვა რუკებში მიხედვითაც („რუკა ქართლისა მტკვრის ჩდილოეთისა...“), სადაც მთიულთქარი აზნაურის სასახლის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით დატანილია ასევე ქართლის ხევსა და ხანდოს ხევს შორის, ხოლო პავლიაური, ციხისძირი და მთელი რიგი სხვა პუნქტები კვლავ სოფლის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით არიან გამოსახულნი.

მართალია, ვახუშტის რუკებისა და მით უფრო მის „აღწერაში“ დაცული ცნობის მიხედვით, მთიულთქარი ქართლის ხევსა და ხანდოს ხევს შორის მდებარე სიმაგრედ წარმოგვიდგება, მაგრამ სამაგიეროდ ვახუშტისავე ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც ავტორი გვთავაზობს მის მიერ აღწერილ რაიონებში აღრიცხულ სოფელთა სიას, მთიულთქარი იხსენიება უკვე ბაზალეთის მხარეში შეცდომით შეყვანილი ქართლის თემის დასახლებულ პუნქტთა გვერდით (ციხისძირი, ქართალი, პავლიაური, მთიულთ-ქარი³), რაც თავისთავად ცხადყოფს მთიულთ-ქარად სახელდებული „ალაგის“ მართოდენ საფორტიფიკაციო ნაგებობად მიჩნევის ცდის უსაფუძვლობას.

საკვლევი საკითხისადმი ასეთივე ფრთხილი დამოკიდებულები-საკენ განგვაწყობს იოანე ბატონიშვილის აღწერის მონაცემების გაცნობა, რომელთა თანახმად არაგვის საერისთავოს სოფლებს შორის დასახლებულია მთიულთქარი პავლიაურთან, ქართალთან, ციხისძირთან და ხანდოს თემის სოფლებთან ერთად⁴. ამასთან, დამოწ-

2 ვახუშტი, აღწერა, გვ. 354.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 200.

4 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 35.

შენიშვნა: იოანე ბატონიშვილი ისევე როგორც ვახუშტი, შეცდომით ასახელებს ქართალს სოფლების გვერდით, იმის გარკვევით მითითების გარეშე, აღნიშნული სახელწოდების მატარებელი ადგილი იყო ერთი კონკრეტული სოფელი, თუ მთელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე — ქართალი, რაზეც ჩვენ თავის

მებული ცნობა მით უფრო საყურადღებოა, რომ არაგვის საუფლისწულოს მთის ზოლის მოსახლეობის 1774 წლის აღწერაში აღირიცხება ჩვენთვის საინტერესო რეგიონში მდებარე სოფლები (სარეკთუბანი, ზენუბანი, კოლოტა, მუგუდა, პავლეური, ციხისძირი), მაგრამ მთიულთკარის სახელწოდების მატარებელი სოფელი სიაში რატომღაც არ არის შეტანილი⁵.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე 1781 წლის არაგვის საუფლისწულოს აღწერაშიც, რომელშიც საკვლევი ხეობის მთის ზოლის სოფლების ისედაც მეტად ნაკლები სია ასევე დუმს მთიულთკარის შესახებ. მართალია, აღწერაში იხსენიება სოფ. მთიულთკარი, მაგრამ ეს უკანასკნელი შეტანილია არაგვის ხეობის ბარის ზოლის სოფელთა სიაში, ლოკალიზდება რა ბაზალეთის მხარეში⁶. მსგავს ვითარებას ადასტურებს 1800 წელს წილკნელი არქიეპისკოპოსის მიერ შედგენილი ერთი საბუთიც, სადაც არაგვის ხეობის ბარის ზოლის დასახლებულ პუნქტთა შორის მოხსენიებულია სოფ. მთიულთკარი ფორმით—Мтнულიант-кари⁷.

მთიულთკარის რაობისა და მდებარეობის დადგენისათვის არანაკლებ საინტერესოა ი. კლაპროტის ნაშრომში დაცული ცნობები, რომელთა თანახმად „გასასვლელი (გადასასვლელი) ქსანიდან არაგვისაკენ სახელდება მთიულეთის კარად (Mthiulethis-kari), რომელიც ოდესღაც დაცული იყო ძლიერი ციხით და რომლის ნანგრევებიც კი აღარ შემორჩა“⁸; ან „ქართლის ხევის ჩრდილოეთით არის მთიულეთის კარი, ვიწრო გასასვლელი, რომელიც წინათ დაცული იყო მტკიცე ციხით“⁹.

როგორც ვხედავთ, ი. კლაპროტი არამც თუ არ იცნობს სოფ. მთიულთკარს, არამედ წარსულში ამავე სახელწოდების მატარებელი სიმაგრის რეალურად არსებობის ფაქტზე პირდაპირი მითითების ნაცვლად ლაპარაკობს მხოლოდ მთიულთკარის (ავტორი ამ პუნქტს შეცდომით მთიულეთის კარს უწოდებს), ვითარცა ერთ შემთხვევაში ქსან-არაგვის ურთიერთდამაკავშირებელი გზა-გადასასვლელის, ხოლო

დროზე უკვე შეენიშნეთ ერთ-ერთ ნაშრომში (იხ. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, გვ. 154). ამ ხარვეზზე სხვა დროს კიდევ გვექნება ლაპარაკი.

⁵ მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში; გვ. 479—486.

⁶ ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 133.

⁷ Донесение Цилканского архиепископа Иоанна Католикосу Антонию на высочайшее имя г. и. Павла I, 1800 г., АКАК, т. I. с. 534.

⁸ I. Klapproth, Reise in Kaukasus und nach Georgien, II, 1814, გვ. 271.

⁹ იქვე, გვ. 354—355.

შეორე შემთხვევაში ქართლის ხევის ჩრდილოეთით მდებარე და არა-
გვის ხეობის ჩამკეტი ვიწრო გასასვლელის შესახებ, რაც მარტივად
აიხსნება ერთი კონკრეტული საფორტიფიკაციო ნაგებობის მისამარ-
თით თავის ღროზე გამოყენებული სახელწოდების (ე. ი. მთიულთკა-
რის) შექანიკური გავრცელებით აღნიშნული სიმაგრის კონტროლქვეშ
მოქცეულ ტერიტორიაზე.

ძნელი სათქმელია, რა მიზეზით ვერ მოახერხა გერმანელმა სწავ-
ლულმა XIX ს. დასაწყისში ს. მთიულთკარის ან იმავე სახელწოდე-
ბის „სიმაგრე მტკიცე“-ს თუნდაც უმნიშვნელო ნაშთების დაფიქსი-
რება, მაშინ როდესაც XVIII ს. მიწურულს ჩვენთვის საინტერესო
სოფლის რეალურად არსებობა თითქმის არავითარ ექვს არც იწვევს¹⁰.
ყოველ შემთხვევაში, დაუჭერებელია, რომ ი. კლაპროტის საქართვე-
ლოში მოგზაურობის პერიოდში (1808 წ.), როდესაც სახელწოდება
მთიულთკარი ჯერ კიდევ შემონახული იყო ხალხის მემსიერებაში (წი-
ნაღმდევ შემთხვევაში მის შესახებ ცნობა ნიდაგ ვერც აისახებო-
და კლაპროტის ნაშრომში), მთიულთკარად სახელდებული სიმაგრეც
და მით უფრო მთელი სოფელი უკვალოდ გამქრალი ყოფილიყო.
ამასთან, თავი რომ დავანებოთ ნებისმიერი უცხოელი დამკვირვებე-
ლის არასაკმარისი კომპეტენტურობის მიზეზით საქართველოს ისტორი-
ულ-ეთნოგრაფიული სინამდვილის არასრულფასოვნად შესწავლის
ერთობ არასახარბიელო ტენდენციას, ხომ არ არის გამორიცხული
იმის შესაძლებლობაც, რომ XIX ს. დასაწყისში ს. მთიულთკარიც და
თავის ღროზე ამავე სახელწოდების მატარებელი სიმაგრეც კიდევ
არსებულებიყო, ოღონდ ამჯერად უკვე შეცვლილი სახელწოდების სო-
ფლის და საფორტიფიკაციო ნაგებობის სახით¹¹, რაც საერთოდ ერ-
თობ დამახასიათებელი მოვლენაა საკვლევი რეგიონისათვის¹².

10 იოანე ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

11 მოკემულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კი უთუოდ დამაფიქრებელია
ის გარემოება, რომ თუკი არაგვის საერისთავოს მთის ზონის მოსახლეობის 1774
წლის აღწერა საერთოდ არ შეიცავს პირდაპირ ჩვენებას სოფ. მთიულთკარის შე-
სახებ, უფრო გვიანდელი ხანის (1794—99 წწ.) სტატისტიკური მასალა ადასტურებს
XVIII ს. მიწურულისათვის მოსახლეობისაგან ჯერ კიდევ დაუცვლი ს. მთიულთ-
კარის არსებობას ჩვენთვის საინტერესო რაიონში. ამიტომ, დამოწმებული ფაქტის
ფონზე ვფიქრობთ მიზანშეწონილია მიემართოთ 1774 წლის აღწერის თანახმად
საკვლევ ზონაში (ტერიტორია ქართლის ხევისა და ხანდოს ხევის შორის) აღრი-
ცხული სოფლებიდან (მუგულა, კოლოტა, სარკეთუბანი, ზენუბანი) ერთ-ერთში
მთიულთკარის ამოცნობის (ან მათთან უშუალო სიახლოვეში იმავე პუნქტის ლო-
კალიზაციის) ცდას, რასაც ქვემოთ ექნება ადგილი.

12 ჩვენ მართლაც, არაერთი ისეთი შემთხვევის დასახელება შევიპოვია, როდე-
საც არაგვის ხეობის მთის სოფლების უძველეს სახელწოდებას თანდათან ხმარებ-
დან დევნის მათთვის მოგვიანებით შერქმეული სახელწოდებები, რასაც ბოლოს-

მაშასადამე, მთიულთკარის შესახებ საკმარაო რაოდენობით მოგვეპოვება წერილობითი მონაცემები, რომელთაგან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მაინც ცხადია, ვახუშტის ნაშრომში დაცულ ცნობებს ენიჭება. სწორედ ამ უკანასკნელთა არამართებულმა გაგებამ განაპირობა სპეციალურ ლიტერატურაში იმ შეხედულების გაბატონება, თითქოს მთიულთკარი „აღწერის“ ავტორის თანახმად უნდა წარმოადგენდეს მთიულეთის უკიდრეს სამხრეთ მიჯნას³.

როგორც ამ თვალსაზრისზე დაკვირვება ცხადყოფს, მკვლევარნი შეცდომაში შეუყვანია, ერთი მხრივ, ცნება „მთიანეთთან“ ტერმინ „მთიულეთის“ არეკას, მეორე მხრივ კი, სიტყვა კარის მნიშვნელობის არასწორ აღქმას („კარს“ მაინცდამაინც „კარების“, „შესასვლელის“ შინაარსი მიაწერეს), რამაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვია მთიულთ-კარად სახელდებული პუნქტის გააზრება მთიულეთში (— არაგვის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში) შემყვან კარებად. ვინაიდან ასეთი ცალმხრივი მიდგომა ჩვენ უკვე გავაკრიტიკეთ ერთ-ერთ ნაშრომში⁴, ამჯერად შენიშნულ ხარვეზებზე ხელმეორედ მსჯელობის საჭიროებაც აღარ ჩანს. სამაგიეროდ, ზედმეტი არ იქნება იმ დეტალის ხაზგასმა, რომ ქართული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სიტყვა „კარი“, როგორც წესი, გამოიყენება ზოგადად „შესასვლელის“, „გასასვლელის“, გამაგრებული „ალაგის“, საფორტიფიკაციო ნაგებობის (ციხესიმაგრის, კოშკის, გზის ჩამკეტი კედლის და ა. შ.) და დასახლების ერთეულის (გამაგრებული ქალაქი, უბანი, სოფელი) აღმნიშვნელ ტერმინად, რის კვალობაზე ვახუშტისეული მთიულთკარი თავისუფლად შეიძლება იქნეს გააზრებული არა მთიულეთში შემყვან კარებად, მთიულეთის სამხრეთ საზღვრად, არამედ მთიელებით დასახლებულ სოფლად, მით უმეტეს, რომ ვახუშტიც და იოანე ბატონიშვილიც ხსენებულ პუნქტს სოფლად წარმოაჩენენ. მეტად ნიშანდობლივია აგრეთვე არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობის 1781 წლის აღწერასა და 1800 წლის წილკნელი ეპისკოპოსის მიერ შედ-

დაბოლოს პირელის თითქმის სრულ დაკარგვამდე მიყვარათ. არაიშვიათად, მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალის დროულ ჩაწერას უნდა ვუმაღლოდეთ ზოგიერთი სოფლის უპირველესი, ძირძველი სახელწოდების გადარჩენას.

13 Ган К. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 109; ს. შაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5; ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, გვ. 207; მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, გვ. 53-54; მისივე, არაგვის ხეობა, ქსე, I, გვ. 533; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25; გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

გენილ ერთ საბუთში დაცული ცნობები ასევე მთიულთკარად სახელდებული სოფლის შესახებ, რომელიც, მართალია, ხსენებული ხეობის ბარის ზოლში ლოკალიზდება, მაგრამ მისი ნომინაციის მაგალითზეც ხომ ძალაუვნებურად ვრწმუნდებით მოსახლეთა სადაურობის მაჩვენებელ სიტყვასთან „მთიულთ“ კავშირში ტერმინ „კარის“ ეტიმოლოგიის ცალმხრივად გაგების უსაფუძვლობაში¹⁵.

ვითარების ასეთნაირი შეფასებისას, ცხადია, რამდენადმე დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ვახუშტის „აღწერაში“ მთიულთკარი ფიგურირებს „სიმაგრე მტკიცედ“, ხოლო რუკებზე ის გამოსახულია რიგითი ძეგლის ან აზნაურის სასახლის (და არა სოფლის) აღმნიშვნელი პირობითი ნიშნებით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ვახუშტის კაპიტალური ნაშრომისა და მასზე დართული ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების იმ სპეციფიკას, რაც გამოიხატება დიდი სწავლულის მიერ ყურადღების განსაკუთრებულ აქცენტირებაში არა იმდენად სოფლების, რამდენადაც მისთვის ყველაზე უფრო საინტერესო ობიექტების (ციხეების, კოშკების, სასახლეების, საკულტო ძეგლების და სხვ.) საგულდაგულოდ აღნუსხვა-დახასიათებაზე და ყველაზე „პოპულარული“ ტოპონიმების ფიქსაციაზე, „აღწერის“ ტექსტისა და რუკების სრული დუმილი მთიულთკარად სახელდებული დასახლებული პუნქტის შესახებ მისი რეალურად არსებობის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება, მით უმეტეს, რომ რუკებზე თანდართულ სოფელთა სიაში მთიულთკარის შეტანა „აღწერის“ ავტორს უკვე არ დავიწყებია.

მაშასადამე, არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ს. მთიულთკარის არსებობა ისევე არ იწვევს ეჭვს, როგორც არ ჩანს სადავო წარსულში ამავე სახელწოდების მატარებელი „სიმაგრე მტკიცეს“ მდებარეობა აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე, ან ამ უკანასკნელთან ს.ახლოვეში.

მიღებული დასკვნის შემდეგ, რასაკვირველია, თავისთავად ვდგებით მთიულთკარის ლოკალიზაციის ამოცანის წინაშე, რომლის გადაწყვეტისათვის უფრო მიზანშეწონილია ჯერ ამ სახელწოდებით აღნიშნული „მტკიცე სიმაგრის“ მოძებნა, ხოლო ამ ღირსშესანიშნავი ორიენტირის მიკვლევის შემდეგ უკვე საძიებელი სოფლის ამოცნობაზე გარჯა შესასწავლ რაიონში არსებულ არაერთ ნასოფლარს შორის.

14 ვახტ. ითო ნიშვილი, არაგვის ხეობა, გვ. 70—81.

15 საერთოდ, ის საკითხი, თუ როგორი კანონზომიერებით შეიძლო განეცადა სიტყვა „კარის“ დასახლების ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად გადორება, საგანგებო გაშუქებას მოითხოვს, რაც მომავლისათვის გვაქვს დაგეგმილი.

სპეციალურ ლიტერატურაში მთიულთქარის სიმაგრე იდენტიფიცირებულია ხამუშას ციხესთან¹⁶, რომელიც სახანდოს ტერიტორიაზე მდებარეობს¹⁷.

როგორც ჩანს, ამგვარი ლოკალიზაციისათვის ამოსავალი გახდა ის ფაქტი, რომ ხამუშას ციხე „აღწერაში“ მოხსენიებული მთიულთქარის მსგავსად მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ჭართლის ხევისა და ზანდოს ხევის შორის მოქცეულ მთის ქედზე მდგარ სიმაგრეს წარმოადგენს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო პუნქტთან მისი გაიგივების ცდუნება შესაძლოა ძირითადად მაინც ვახუშტის რუკებზე დაკვირვებას უკავშირდებოდეს, სადაც მთიულთქარი აზნაურის სასახლის (ან ერთ-ერთი სიმაგრის) აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით სწორედ ზანდოს ხევის პირად (ასევე მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე), ხამუშას ციხის ადგილას აღმართულ ობიექტად ფიგურირებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმავე რუკებისათვის დამახასიათებელ სერიოზულ ხარვეზებს, რასაც მოწმობს, მაგალითად, მთიულთქარის სამხრეთ მეზობლად მათზე ს. პავლიაურის გამოსახვა, ხოლო ჭართლის ხევის დატანა ს. პავლიაურის (და არა საკუთრივ მთიულთქარის) სამხრეთით მდებარე ხევად, ვფიქრობთ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს ვახუშტისეული გეოგრაფიული ატლასის მონაცემებისადმი კრიტიკულად განწყობის საჭიროებაში, ვინაიდან საწინააღმდეგო შემთხვევაში არამც თუ მთიულთქარის მართებული ლოკალიზაციის, არამედ მისი რაობის დაზუსტების შესაძლებლობაც მინიმალურია.

საერთოდ, მარტოოდენ წერილობითი წყაროების ცნობებისა და ვახუშტის რუკების თუნდაც საგულდაგულო ანალიზი მთიულთქარის ზუსტი ლოკალიზაციის საშუალებას არ იძლევა. სამაგიეროდ, მათზე დაყრდნობით საკმაოდ იოლად ხერხდება იმ რაიონის წინდაწინ შემოფარგვლა, სადაც საძებნი პუნქტის მიკვლევა მთლიანად დამოკიდებული ხდება ამჭერად უკვე ადგილზე გამოკითხვით (თუ უშუალო დაკვირვების გზით) მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და ისტორიული მონაცემების შეჯერების პრაქტიკაზე. ამასთან, მთიულთქარის საძებნი რაიონის (ტერიტორია ჭართლის ხევისა და ზანდოს ხევის შორის) მიჯნების დადგენის შემდეგ მიზანშეწონილი ჩანს საგანგებო მეცადინეობა ვახუშტისეული „ნასასახლევი მეფე-

16 ჟ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „ქეკ“, III, გვ. 207; მისივე. საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია გვ. 41—42; მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „სიგ“ V, გვ. 54; მისივე, არაგვის ხეობა, ქსე, ტ. 1, გვ. 533; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

17 სახანდოდ სახელდებულია ზანდოს სათემო მიწა-წყალი ზანდოს ხევისა და ხამუშას კლას შორის (იხ. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, გვ. 15!).

„თა-ს ამოცნობაზე ქართლის ხევისა და ხანდოს ხევის შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლთა შორის, რადგან ისევე როგორც მთიულთქარის სიმაგრის პოვნა იძლევა გასაღებს ამავე სახელწოდებით ცნობილი სოფლის მდებარეობის დადგენისათვის, ასევე „ნასასახლევი მეფეთა“ გვესახება იმ ძირითად ორიენტირად, რომლის მიგნება მნიშვნელოვნად ამარტივებს თვით მთიულთქარად სახელდებულ სიმაგრის მოძებნის საქმეს.

საყურადღებოა, რომ თავის დროზე ერთ-ერთ გამოკვლევაში „ნასასახლევი მეფეთა“ ლოკალიზებულ იქნა მთიულთქარის ალაგას¹⁸, მაშინ როდესაც ვახუშტი მათ ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაცილებულ და არა ერთსა და იმავე ადგილას მდებარე ობიექტებად გვაცნობს.

უფრო მოგვიანებით სხვა ავტორმა „ნასასახლევი მეფეთა“-ს ძებნა რატომღაც არჩია არა ქართლის ხევის ზევით, რისკენაც ლოკალურად უნდა განგვაწყობდეს ვახუშტის „აღწერის“ ცნობაზე დაკვირვება. არამედ ქართლის ხევის სამხრეთით, როდესაც განაცხადა, რომ „დგნალისა და ხამუშას ქედებს შორის მოქცეულ უბეში — დიდვაკეზეა „დიდვაკის ნასახლარები“, რომლებიც უნდა იყოს ვახუშტის „ნასასახლევი მეფეთა“, მეცნიერ ბატონიშვილს რომ ქართლის ზევით ეგულება“¹⁹.

ამავე დროს ვახუშტისეული „ნასასახლევი მეფეთა“-ს ლოკალიზაცია დასაშვებად იქნა მიჩნეული ქართლის ხევის ზევითაც, რასაც მოწმობს ხსენებული მკვლევრისავე მტკიცება იმის თაობაზე, რომ მის მიერ 1970 წელს დღევანდელი ხამუშას ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მეორე კმ-ზე მიკვლეული და ხალხში თითქოს „თამარის სასახლის“ სახელწოდებით ცნობილი დიდი კომპლექსი „... უნდა იყოს ვახუშტის ნასასახლევი მეფეთა, ქართლის ზევით რომაა მოხსენიებული“²⁰.

რამდენადაც ჩვენთვის საინტერესო პუნქტი ერთდროულად ლოკალიზებულ იქნა ქართლის ხევის სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც, ამით ძალაუვნებურად აღიარებულ იქნა ვახუშტის მიერ „ნასასახლევი მეფეთა“-ს სამხრეთით ნაჩვენები მთიულთქარის ძებნის მიზანშეწო-

18 ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, გვ. 62.

19 ქ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., გვ. 41—42; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 45.

შენიშვნა: ქ. გვასალიას მიერ შედგენილ რუკებზეც, რომლებიც მის ნაშრომებს ერთვის, „ნასასახლევი მეფეთა“ ქართლის სამხრეთით არის დატანილი.

20 ქ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 46.

ნილობა როგორც ქართლის ხევის ქვემოთ (ე. ი. საკულევი რაიონი-საგან მეტად დიდ მანძილზე დაცილებით, თითქმის ანანურის ზონაში), ისე დასახლებული ხევის ზევით. ეს კი საბოლოო ანგარიშით სერიოზული დაბნეულობის საფუძველს შექმნიდა. მაგრამ ესოდენ საორქოფო ალტერნატივის წინაშე დადგომის მიუხედავად, რაც განაპირობა „ნასასახლევი მეფეთა“-ს ორ სხვადასხვა ადგილას ლოკალიზაციამ, საკუთრივ მთიულთკარის მდებარეობის დადგენისას, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, არჩევანი მაინც ქართლის ხევის ჩრდილოეთ უბანზე შეჩერდა ხამუშას ციხესთან მთიულთკარის იდენტიფიკაციით. თუმცა ვითარების ამნაირმა შეფასებამ კიდევ უფრო გააღრმავა წინააღმდეგობა ისტორიულ სინამდვილესთან, ვინაიდან მთიულთკარი მოულოდნელად გააზრებულ იქნა „ნასასახლევი მეფეთა“-ს ჩრდილოეთით (მის ზევით) და არა სამხრეთით მდებარე პუნქტად, როგორც ამაზე გარკვევით მიუთითებდა თავის „აღწერაში“ ვახუშტი.



სურ. 1.

ამდენად, „ნასასახლევი მეფეთა“-ს ლოკალიზაციისა და მთიულთკართან მისი ადგილმდებარეობითი მიმართების საკითხი გაცილებით უფრო დამაჯერებელ ინტერპრეტაციას საჭიროებს, რაც წარმოუდგენელია დამატებითი მონაცემების გამოძიებებისა და უკვე განხილული მასალის ხელახალი გადასინჯვის გარეშე. ამ მიზნით 1984—1986 წწ. ქართლის ხევსა და ხანდოს ხევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე წარმოებულ ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში ჩვენი ყურადღება ხსენებულ რაიონში მდებარე არაერთმა საინტერესო ძეგლმა მიიპყრო; მაგრამ მათგან თავისი მნიშვნელობით უნდა

გამოიყოს ხუთი ობიექტი, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი მდ. არაგვის აუოლებზე, მის ორივე ნაპირზე:

1. მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ს. მუგულის ქედზე კოხურთ-კარად სახელდებულ ალაგზე შემორჩენილია დიდი ციხესიმაგრის ნანგრევები, რომლებიც ხალხში კოხურთ-კარის ნაციხვარის (ან უბრალოდ ნაციხვარის) სახელწოდებით არის ცნობილი (სურ. 1).

2. მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ს. ბუჩანთკარის თავდამყურე მაღალი შთის წვერზე, რომელსაც მთავართ გორს ეძახიან, დიდი კომპლექსის ნაშთები გვხვდება. ადგილობრივ ინფორ-



სურ. 2ა.

მატორთაგან მიღებული განმარტებების თანახმად, მას მთავართ წმ. გიორგის უწოდებენ²¹ (სურ. 2ა, 2ბ, 2გ).

3. მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ს. მუგულის ბოლოს, დღევანდელ სამხედრო გზაზე გადმომდგარი კლდის კედლე შემონახულია სანახევროდ დანგრეული სათვალთვალო კოშკი. გზის გაფართოების

²¹ ქ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 70; ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის, ვუდამაყრის, ხანდოსა და კართლის ეთნოგრაფიული მასალები, 1986, რე. I, გვ. 15.

მიზნით მოწყობილ აფეთქებამდე. რამაც კლდის მოზრდილი მონაკვეთი შეიწირა, კლდე პირდაპირ არაგვზე ეშვებოდა და ის „ქობივით იყო წამოკიდებული“ მდინარის პირად გამავალ ძველ გზაზე; ამიტომ მას აქაურ მოსახლეობაში ქობთკლდის ან მერიქობის სახელწოდება დაუმკვიდრდა (სურ. 3).

4. მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ს. ბუჩანთკარისგან ასე 1 კმ დაცილებით, მთავართ გორის ძირში მდებარეობს მერესციხედ



სურ. 2ბ.

(ან ბუჩანთკარის ციხედ) წოდებული დიდი ციხესიმაგრე — არაგვის ხეობის ერთ-ერთი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი (სურ. 4).

5. მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე ს. ხამუშას კუთვნილ მთაზე, დგას ხამუშას ციხე, რომელზეც შეცდომით იქნა გავრცელებული ს. მუგუდის ქედზე არსებული კოზურთკარის ციხესიმაგრის სახელწოდება²² (სურ. 5).

²² ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კეკ“, III, გვ. 208.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დასახელებულ ძეგლთაგან მხოლოდ ერთზე იქნა აქცენტირებული ყურადღება ხამუშას ციხესთან მთიულთკარის იდენტიფიკაციის ცდით, ხოლო „ნასასახლევი მეფეთა“-სთან სულ სხვა ძეგლები (დიდვაკის ნასახლარები და ე. წ. „თამარის სასახლე“) იქნა შეფარდებული.

თავი რომ დაეანებოთ ვახუშტისეული „აღწერის“ ცნობებთან ამგვარი ლოკალიზაციის შეუსაბამობას, ჯერ ერთი, უთუოდ თვალმისაცემია მერეს ციხის (ან ბუჩაანთკარის ციხის) მნიშვნელობის სრული გაუთვალისწინებლობა საკვლევი საკითხის გამშქებისას. მაშინ



სურ. 2ა.

როდესაც აღნიშნული სიმაგრე, გარდა იმისა, რომ მთავართ წმ. გიორგის კომპლექსის მსგავსად ასევე ჰართლის ხევის ჩრდილოეთით მდებარეობს, ის მეფეთა ნასასახლევის მონახვით დაინტერესებულ მკვლევარზე არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ნასასახლევი მეფეთასთან აქამდე გაიგივებული ორი სხვა ობიექტი; მეორეც. გაუგებარია, რა მიზეზით არ დაიმსახურა ყურადღება ერთობ საინტერესო უსახელო ციხემ ქობთკლდეზე და განსაკუთრებით კი კოზურთკარის დიდმა ციხესიმაგრემ, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი ზუსტად ისეთივე ადგილმდებარეობითს ურთიერთმიმართებაშია ბუჩაანთკა-

რის ციხესთან ან იმავე მეფეთა ნასასახლევის საძებნ ზონაში მდებარე მთავართ წმ. გიორგის კომპლექსთან, როგორზეც მიუთითებდა ვახუშტი მთიულთკარისა და „ნასასახლევი მეფეთა“-ს აღწერისას.

ერთი სიტყვით. საკვლევ საკითხში მართებული ორიენტაციისათვის აუცილებელია ვახუშტის ცნობებით ხელმძღვანელობის კვალობაზე ჩვენთვის საინტერესო რაიონში დაფიქსირებული ყველა ძეგლის მნიშვნელობის თანაბარი ობიექტურობით შეფასება და, რაც მთავარია, იმის ახსნა, თუ მაინც რა მოტივით იქნა გამოარჩეული ზოგიერთ მათგანში „ნასასახლევი მეფეთა“-ს ან მთიულთკარის ამოცნობის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით კი უწინარეს ყოვლისა მერეს ციხის (ან ბუჩაანთკარის ციხის) იგნორირების ფაქტი უნდა იქცეს მსჯელობის საგნად.

მერეს ციხე რომ არაგვის ხეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, ამაზე ზემოთ უკვე გავეჩით ითქვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხსენებული ძეგლი კიდევ უფრო თვალნისაყემი გახდა მასზე ბოლო წლებში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შემდეგ, როდესაც 5-სართულიანმა კოშკმაც და საკმაოდ მოზრდილმა გალავანმაც თითქმის პირვანდელი, მეტად მომხიბლავი იერსახე დაიბრუნა და საქართველოს სამხედრო გზით მოსარგებლე მგზავრთა საყოველთაო ყურადღების ცენტრშიც მოექცა. მაგრამ, საფიქრებელია. რომ რესტავრაციამდე იგივე ძეგლი დამთვალეირებულთა უმრავლესობაზე არც თუ ისე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რის გამოც მერეს ციხის, ვითარცა არაგვის გზის (და მთელი ხეობის) მაკონტროლებელი საფორტიფიკაციო კომპლექსის რეალურ მნიშვნელობაზე ყველა არ შექქმნია სრულფასოვანი წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ობიექტის დახასიათებისას არ გამოითქმებოდა ის აზრი, რომ „ეს კოშკი (იგულისხმება მერეს ციხე, ვ. ი.) პატარა გალავნით ხეობაში დარაჯისა და მზვერავის როლს უფრო ასრულებდა, ვიდრე გადამკეცისა“²³.

როგორც ჩანს, მოტანილი კვალიფიკაციით დაკმაყოფილებისას სრულებით არ გაეწია ანგარიში ეთნოგრაფიულ მასალასაც, რომელიც სწორედ საპირისპირო თვალსაზრისს დაუპყრდა მხარს და უსათუოდ დააზღვევდა დამოწმებული შეხედულების ავტორს მერეს ციხესიმაგრის რიგით საფორტიფიკაციო ნაგებობად (ჩვეულებრივ კოშკად) მიჩნევისაგან.

23 ვ. ზაქარაია, დუშეთის რაიონი, ისტორიულ-არქეოლოგიური გზამკვლევი, თბ., 1981, გვ. 24.

ქართლის მოსახლეობაში გავრცელებული აზრის თანახმად, მერეს ციხე (ან ბუჩანთქარის ციხე) ქართლის „სათემო“ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რომლის მეპატრონე „ბატონები“ აქედან ჰკარნახობდნენ თავიანთ პირობებს „მუნებურ“ მთიელებს²⁴. თავის დროზე ასეთივე ინტორმაციით უნდა ესარგებლა ს. მაკალათიასაც, რომელიც წერდა: „მთიულებს ამასთანავე შებრძოლება უხდებოდათ თითო-ორიოლა აქ შემოპარულ ფეოდალებთან. რომლებიც მთიულეთში ბატონყმური წესების გადმოხერგვას ცდილობდნენ. მაგრამ მთიულებ-



სურ. 3.

მა ილინიც ჩქარა მოსპეს. სამხედრო გზაზე დღესაც უჩვენებენ ერთ ციხეს, მერის ციხედ წოდებულს, რომელიც ფასანაურიდან ტფილისის მიმართულებით 8 კილომეტრითაა დაშორებული. ამ ციხის მე-ბატონეს ვაშლობისა და ქართლის ხეობა ხელში ჩაუგდია და გლეხებს თურმე საყმო გადასახადებით ძლიერ აწუხებდა. ბატონი ციხეში გამაგრებულა და მთიულებს მისი მოკვლა ვერ მოუხერხებიათ. მაშინ მოუსყიდიათ ერთი ხევსური და მისი დახმარებით ბატონი და მი-

²⁴ ვახტ. ითონიშვილი, ხანდოს ხევის ეთნოგრაფიული მასალები, 1979 წ., რკ. III, გვ. 10; შტრ. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის გამოცემა, თბ., 1958, გვ. 300.

სი ოჯახი ამოღობოციათ“²⁵. იქვე სქოლიოში განმარტებულია: „ციხის სახელის მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მისი პატრონი არტანუჯიდან ყოფილიყო შემოხიზნული, სადაც არსებობდა მერის მონასტერი, ვახუშტის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული“²⁶.



სურ. 4.

ციხის სახელწოდების წარმომავლობის ახსნისა და ჭართლის თემის მკვიდრთა ერთთავად წთიულეზად სახელდების საკითხში ს. მაკალათიას ვერ დავეთანხმებით, ეინაიდან არტანუჯში მდებარე მონას-

²⁵ ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 30—31.

²⁶ იქვე, გვ. 31.

ტრის სახელწოდების გარდა ტოპონიმ მერეს (ან მერის) არსებობა დასტურდება საქართველოს სხვა რაიონებშიც (მაგ. ვახუშტის „აღწერისავე“ თანახმად მეჭუდის ხეობაში ცნობილია მერის ხევი და მერის მთა, პატარა ლიახვის ხეობაში კი მერის ხევი²⁷), ხოლო კართლის თემის ძირითად და ძირძველ მკვიდრთ წარმოდგენდნენ ძველი ქართული წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილი ქართალელნი და არა მხოლოდ მოგვიანებით აქ გადმოსახლებული მთიულები. მაგრამ სამაგიეროდ პატივცემული მეცნიერის მიერ დაფიქსირებული ცნობა ბუჩაანთკარის ციხეში ფეოდალთა „ქდომის“ შესახებ საეკლესიო შეფერვა სინამდვილეს. ამასთან, ადგილზე გამოკითხვით მოპოვებულმა მასალამ ჩვენ მოგვცა ამ საკითხის უფრო დაკონკრეტების შესაძლებლობაც, თუ მაინც რომელი ფეოდალის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა მერეს (ან მერის) ციხე.

როგორც მთხრობელთაგან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ხსენებული ციხე არაგვის ერისთავთა განმგებლობის ერთ-ერთ ძირითად ფორპოსტს წარმოადგენდა. გადმოცემით, აქ ჭერ კიდეც XVII ს-ში დგებოდნენ არაგვის ერისთავები, ხოლო მას შემდეგ, რაც 1743 წელს არაგვის საერისთავო გაუქმდა, აქ თურმე უღებოვრია ჭიმშერ ჩოლოყაშვილს — იმხანად არაგვის საუფლისწულოს დროებით მმართველად გამწესებულ მოხელეს, რომელიც წერილობით წყაროებში, ძველი ტრადიციის ძალით, კვლავ ერისთავის ტიტულით ფგვრიდებდა. ჭიმშერს ბუჩაანთკარის ნაფუძარ მამულებში საკუთარი ვენახი ჰქონია გაშენებული. მისსავე საზრუნავს შეადგენდა მერეს ციხესიმაგრის გვერდით მდგარი და თავის დროზე არაგვის ერისთავთა მიერ აშენებული საშუალო ზომის გუმბათიანი ეკლესიის პატრონობაც, რომლისაგან დღეს მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. უთუოდ ანგარიშგასაწევია ერთ-ერთი ქართალელი მთხრობლის მიერ აღნიშნული ძეგლის „ერისთავიანთ ეკლესიად“ სახელდების ფაქტი²⁸, რომელიც მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით უნდა მეტყველებდეს მერეს ციხესიმაგრისა და დასახლებული საკულტო ნაგებობის ერთ მთლიან კომპლექსად დახასიათების სასარგებლოდ.

მაშასადამე, არსებულ მონაცემებზე დაფუძნებით განხილული ობიექტი უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ სათავადო ციხესიმაგრეთა რიგს, რასაც დაბეჭიბებით ნამდვილად ვერ ვიტყვით საკვლევ რაიონში აღრიცხული სხვა ძეგლების შესახებ. დადგენილი სხვაობის

27 ვახუშტი, აღწერა., გვ. 361, 368, 369, 682; შდრ., ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე, ქც, 1, გვ. 178, 270, 367.

28 ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის, გუდამაყარის, ხანდოსა და კართლის ეთნოგრაფიული მასალები (ქვემოთ ყველგან შემ. მგზავმ) 1986, რე. 1, გვ. 15.

ფონზე კი, ვფიქრობთ, მით უმეტეს ამომწურავ პასუხს ელის ჩვენს მიერ უკვე წინდაწინ დაგეგმილი კითხვა — მაინც რას უნდა შეეშალა ხელი მერეს ციხესთან ნასასახლევი მეფეთას თუნდაც საეარაუდო



სურ. 5.

ოდენტიფიკაციის კლიმატის? იქნებ ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ გამოყენებულ იქნა ის ფაქტები, რომ ეთნოგრაფიული მასალა ისაერთოდ არ შეიცავს სათანადო ჩვენებას წარსულში მერეს ციხე-

სიმაგრის მეფეთა სასახლედ ფუნქციონირებაზე, ხოლო ვახუშტი მას ყოფილი სასახლის ნაშთად და არა მოქმედ ძეგლად წარმოაჩენს.

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით აუცილებელია განიმარტოს, რომ, ჯერ ერთი, ვახუშტის „აღწერაში“ ზოგიერთი ძეგლი ნაჩქარევადაა გამოცხადებული „აწ უქმად“, მაშინ როდესაც მათი ფუნქციონირება განსაზღვრული დანიშნულების მქონე მოქმედი ობიექტის დონეზე XIX ს-ის ბოლომდეც კი არ იწვევს ეჭვს. მეორეც, იმავე თხზულებაში მეფეთა ნასასახლევის სახელწოდებით ფიგურირებენ ისეთი პუნქტებიც, სადაც ძველად, სავარაუდოა, რაიმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების გატარების, ან საიმედო თავშესაფრის მოქმედების მიზნით მთიანეთში ამოსული მეფეების მხოლოდ დროებითი გაჩერება და არა მეფეთა სასახლეებად მათი ფუნქციონირება. ამ თვალსაზრისით მეტად საგულსხმოა ვახუშტის ნაშრომის გარკვეულ მონაკვეთში (კერძოდ არაგვისა და თერგის ხეობების აღწერაში) მთიულთქარის ზევით მდებარე მეფეთა ნასასახლევის გარდა, კიდევ სამი „ნასასახლევი მეფეთა“-ს მოხსენიება, რომელთა სახელწოდების შინაარსის შესაბამისად მათივე რეალური მნიშვნელობის დაზუსტების ცდა უკრთობ ნაჩქარევად გამოიყურება.

თქმულის საილუსტრაციოდ უპრიანია მოვიყვანოთ თუნდაც ვახუშტისეულ „ხევის აღწერაში“ დატული ცნობა იმის თაობაზე, რომ დარიალის ციხის ქვევით არის „ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად. მუნ დადგინა“²⁹. ვახუშტის რუკებზე იგივე პუნქტი დატანილია მეფის სასახლის აღმნიშნელი პირობითი ნიშნით.

მართალია, ვახუშტის „აღწერისა“ და რუკის მონაცემები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს და ამდენად დარიალის ციხის ქვემოთ საგულეებელი „ნასასახლევი მეფეთას“ დანიშნულება ერთი შეხედვით თითქოს სრულიად გარკვეულიცაა, მაგრამ დაბეჭითებით მაინც ძნელი სათქმელია, რას წარმოადგენდა თავის დროზე ხსენებული სახელწოდების მატარებელი ობიექტი — არაგვის გზის პირად მდებარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს თუ ქართველ მეფეთა სასახლეს. ამ საკითხში ჯეროვანი სიცხადის შეტანაში ხელი გვეშლება იმდენად. რამდენადაც ბოლომდე დაუდგენელია — ჩვენთვის საინტერესო ობიექტის სახელწოდება ვახუშტის მიერ ადგილზე ჩატარებული ტოპონიმიკური ძიებით იქნა დაფიქსირებული და მხოლოდ მერე შეტანილი „აღწერაში“, თუ ისტორიკოსმა დარიალის ციხის ქვემოთ მიკვლევულ უსახელო ძეგლს თვითონვე გამოუძებნა ყველაზე შესაფერისი სახელწოდება — „ნასასახლევი მეფეთა“. ყოველ შემთხვევაში, თუ ორივე ვარიანტს თანაბარ ანგარიშს გავუწევთ და სიტყვა — „ნასა-

სახლვეი მეფეთა“-ს კონკრეტული შინაარსის გახსნით დაინტერესებულები გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ვახუშტის ნაშრომში ზოგჯერ მაინცდამაინც მეფეთა აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგად არის გამოყვანილი მთიელ სოფლიონთა ხელით ნაგები ლოკალური დანიშნულების რიგითი ძეგლებიც, აღნიშნული სახელწოდების წარმომავლობის სავარაუდო საფუძველი მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით მაინც შემდეგნაირად იკვეთება:

როგორც ჩანს, წარსულში ჩრდილოეთ კავკასიაზე სალაშქროდ გამზადებულ ქართველ მეფეთა მიერ თავიანთ „დასადგომ“ ალაგად დარიალის ციხის ქვემოთ ლოკალიზებული რომელიღაც საფორტიფიკაციო ნაგებობის არჩევა (ან დაბანაკების ალაგზე ციხე-სიმაგრის აგება მომავალი სამხედრო ოპერაციების წარმოების წინ აქ დროებითი შეჩერების მიზნით) და ამ მოვლენის იმთავითვე გადაქცევა ჯერ „მუნებური“ მოსახლეობის (ე. ი. საკუთრივ მოხვევების) დაკვირვების, ხოლო XVIII ს-ში ვახუშტი ბაგრატიონის საგანგებო დაინტერესების საგნად, საბოლოო ანგარიშით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხსენებულ ობიექტს მოგვიანებით (პირვანდელი როლის დაკარგვის შემდეგ) ხალხისგან თუ არა, „აღწერის“ ავტორისაგან მაინც დაემსახურებინა აღნიშვნა განსაზღვრული შინაარსობრივი დატვირთვით (უწინარეს ყოვლისა მეფეთა ნასასახლევის და არა მეფეთა ნამოსახლარის მნიშვნელობით)* ხმარებული სახელწოდებით — „ნასასახლვეი მეფეთა“, მიუხედავად მისი დღენიადაგ ფუნქციონირებისა არაგვის გზის პირად მდებარე ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ციხე-სიმაგრედ და არა მეფეთა სასახლედ.

სხვათა შორის ასეთნაირ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ერთ-ერთ გამოკვლევაში გამოვლენილი ის ფაქტი, რომ „ადგილი დარიალს ქვემოთ, რომელიც ვახუშტის ცნობით, ოსეთში მოლაშქრე ქართველ მეფეთა ნასასახლევს წარმოადგენდა, იყო ის ტერიტორია, რომელსაც მოხვევები უწოდებენ ბახტარს“³⁰. ხალხური გადმოცემებით კი „ბახტარი ძველად ერქვა დარიალის ხეობის ქვედა წელს. მოხვევები ბახტრის ტერიტორიას აქცევენ. დარია-

* საყურადღებოა, რომ ვახუშტის ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში (ყერძოდ 1813 წლით დათარიღებულ ნუსხაში) დარიალის ციხის ქვემოთ მდებარე პუნქტის სახელწოდებად „ნასასახლვეი მეფეთა“-ს ნაცვლად წერია — „ნასახლვეი მეფეთა“, რაც შინაარსობრივად შესაძლოა უფრო სწორი იყოს. არაა გამორიცხული, რომ მოხვეე ინფორმატორებს სწორედ „მეფეთა ნასახლევად“ (ე. ი. მეფეთა ნამოსახლარის მნიშვნელობით) გაეცნოთ ისტორიკოსისათვის აღნიშნული პუნქტი, თუკი, რასაკვირველია, იმედროულად დაუშვებთ მათ მიერ ხსენებული ძეგლისათვის რაიმე კონკრეტული სახელწოდების შერჩევის შესაძლებლობას.

³⁰ ვ. ა. ლ. ი. თ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ხევის ტოპონიმია, გვ. 146.

ლის ხიდიდან სავარის წყლამდე. როგორც მთხრობლები განმარტავენ, დაახლოებით ათი კილომეტრის მანძილზე გაქიმული ეს ტერიტორია წარმოადგენდა ნეიტრალურ ზონას საქართველო-ოსეთის საზღვარზე. აქ მოსახლეობას არ უცხოვრია. მდგარა მხოლოდ საქართველოს ჯარი, ძირითადად მოხვევებით დაკომპლექტებული. საზღვარი თურმე გადიოდა სავარის წყალთან, ხოლო თანამედროვე ლარსის ციხის (კოშკის) აქეთ ფრიალებდა ქართველთა სამეფო ღროშა, ბაირალი. მოხვევების წარმოდგენით, ადგილს, სადაც საქართველოს ბაირალი // ბაირახი იყო აღმართული, ძველად ერქვა ბაირალტარი ანუ ბაირახტარი. მთხრობლები ირწმუნებიან, რომ ბაირახტარის შექვეცილი ღორმა ბოლო დროისათვის შემონახული სახელწოდება ბახტარი. იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ ბახტარი ქართველ მესაზღვრეთა სადარაჯოს წარმოადგენდა და მას წმინდა სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა, მოხვევებს მიაჩნიათ ბახტრის წმინდა გვიარგის ფუნქცია. იგი ითვლებოდა ლაშქრის მფარველ ღვთაებად. ასეთი ფუნქციის მქონე ღვთაებისათვის ხალხს იქ მიუჩენია ადგილი, რომელიც საყურადღებო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა და სადაც მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ტარდებოდა³¹. ამიტომ, სავსებით სარწმუნოდ გვეჩვენება ის აზრი, რომ მართლაც სწორედ ბახტარი უნდა ჰქონოდა მხედველობაში ვახუშტის ნასასახლე მეფეთას ხსენებისას. ანალოგიური თვალსაზრისისაკენ განგვაწყობს ვახუშტის „აღწერაში“ ციკარას აღმოსავლეთით ნაჩვენები სხვა ისტორიული ძეგლის ასევე მეფეთა ნასასახლეად წარმოჩენის ფაქტის ანალიზიც.

ვახუშტის განმარტებით: ციკარას აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქუეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგუს ვარჯელის ზეით და ქუეით ჩდილოდამ³².

დამოწმებული ცნობისა და „აღწერის“ ავტორისაკენ რუკის მონაცემებზე დაფუძნებით, რომელზედაც ერთმანეთის მეზობლად მდებარე გამორჩეულ ნაგებობად და სოფლად არიან გამოსახულნი შესაბამისად „ნასახლე“ და „ნასახლის სოფლად“ სახელდებული პუნქტები, ჯ. გვასალიამ სავსებით მართებულად ჩიხაბინა „ნასასახლევი მეფეთა“-ს ლოკალიზაცია „ნასახლის სოფელთან“ სწორად გა-

31 ვალ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, გვ. 146.

32 ვახუშტი, აღწერა., გვ. 355.

შენიშვნა: მართალია, ციკარეს აღმოსავლეთით მდებარე ჩვენთვის საინტერესო პუნქტი ტექსტში შეედომით ფიგურირებს „ნასახლევი მეფეთა“-ს სახელწოდებით, მაგრამ ეს ხარვეზი გამოსწორებულია გამომკვებელთა მიერ წიგნისათვის დათულ ლექსიკონში, სადაც იგივე სიტყვა შეტანილია — „ნასასახლევი მეფეთა“-ს ფორმით.

იგივებული მთიულთა სოფ. სეფეს მახლობლად³³. სამაგიეროდ, მკვლევარმა რატომღაც აღარ დაინახა მისი ამოცნობის საჭიროება ხადის ხეობასა და ს. სეფეს „მიმდებარე“ ტერიტორიაზე არსებულ ისეთ ღირსშესანიშნავ ძეგლთა შორის, როგორებადაც გვესახება მაგალითად სვიანანთ კოშკი, ქალაქეთის კოშკები (აქვე მდგარ სამლოცველოსთან ერთად), სოფ. ზემო ბედონის დანგრეული კოშკი (ამავე სოფლის ყველაწმინდის დარბაზულ ეკლესიასა და მის გვერდით მიკვლულ გაურკვეველი დანიშნულების მქონე შენობის ნაშთებთან ერთად)³⁴ და განსაკუთრებით ს. სეფეს კუთვნილ ადგილზე მდგარი „მოსახლიანთ ციხედ“ (ან „მოსახლიანთ ბატონის ციხედ“) წოდებული საფორტიფიკაციო ნაგებობა.

მართალია, დასახელებულ ძეგლთაგან ერთ-ერთი უდავოდ იმსახურებს „ნასახლევი მეფეთა“-სთან იდენტიფიკაციას, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხსენებული ობიექტი სწავლულის მიერ შედგენილ რუკაზე საკმარისი თვალსაჩინოებით არის დატანილი არა მეფის სასახლის, არამედ უმცირესი მთავრის სასახლის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნით, ხოლო წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა მხოლოდ „მოსახლიანთ ციხეს“ და ხადის თემის ფარგლებში მოსაძიებელ რომელიღაც „სასახლეს“ წარმოაჩენს შესაბამისად არაგვის ერისთავთა ხელქვეით აზნაურ ყარანგოზიშვილთა (აგრეთვე ჭიმშერ ჩოლოყაშვილის) ან საკუთრივ არაგვის ერისთავთა „სადგომ“ პუნქტებად³⁵, ნიჟაგ დამაჭერებლობა

³³ ჯ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“, (იხ. ავტორის მიერ შედგენილი ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა); მისივე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V (იხ. ნაშრომში ჩართული რუკა).

³⁴ შენიშვნა: ს. სეფე ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომზე დართულ სოფელთა სიაში იხსენიება როგორც „სასახლის სოფელი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ., 1941, გვ. 200), ხოლო არაგვის საუფლისწულოს მთის ზოლის სოფელთა 1774 წლის აღწერაში შეტანილია „სეფე“-ს სახელწოდებით (მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა..., გვ. 443). იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ იგივე სოფელი კვლავ ფიგურირებს „სასახლის სოფლის“ სახელწოდებით (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა..., გვ. 35).

³⁵ ჩამოთვლილ ძეგლთა აღწერილობასთან დაკავშირებით იხ.: ი. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 38—40; პ. ზაქარაია, არაგვისა და თურგის ხეობა, გვ. 35—36; ჯ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, გვ. 37—38; ჯ. გვასალია, მ. გიორგიძე, მ. სურამელიაშვილი, ლ. კურღულია, ხადის ხეობა, თბ., 1983, გვ. 16—25.

³⁶ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ს. სეფეს ციხეში, რომელიც შონჩო-ეოჯონის ხევის პირად „მოსახლიანთ“-ად სახელდებულ „ალაგზეა“ აღმართუ-

ეკარგება „ნასასახლევი მეფეთა“-ს მინცდამაინც მეფეთა სასახლის მისამართით გამოყენებულ სახელწოდებად გააზრების ცდას.

ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული ძეგლისათვის, ისევე როგორც დარიალის ციხის ქვემოთ მიკვლეული ობიექტისათვის, სახელწოდება „ნასასახლევი მეფეთა“-ს შერჩევა ვახუშტის გადაწყვეტინა მთიულეთში ფართოდ გავრცელებული გადმოცემის მოსმენამ წარსულში მოსახლიანთ ციხის (ან სხვა რომელიმე სიმაგრის) მფლობელ ხელისუფლებთან თუ არაგველ მებატონეებთან ცალკეულ ქართველ მეფეთა დროდარო სტუმრობის (ან ამავე „ალაგას“ მთაში შემოხიზნულ ხელმწიფეთა გამაგრების) შესახებ. აღნიშნულ სიტუაციას თა-

ლი, ჯერ კიდევ ნუგზარ არაგვის ერისთავის დროიდან მდგარან „ბატონები“. გადმოცემით აქ ერთხანს ჯიშურ ჩოლოყაშვილსაც უცხოვრია თავისი ოჯახით, ხოლო სხვა ცნობით, სეფეს ციხე საერისთავო აზნაურებს — ყარანგოზიშვილებს „სკეპრიათ“, რომელნიც არაერთხელ ცდილან მთიულეთისათვის მამულების გამოძალკვას. ამდენად, საესებოთ კანონზომიერია ხსენებული ძეგლს სახელწოდებად „მოსახლიანთ ბატონის ციხის“ ან უბრალოდ „ბატონის ციხის“ გაფორმება (იხ. ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის... ეთნოგრაფიული მასალები, 1981, რე. I, გვ. 77, 80, რე. II, გვ. 4; 1982 წ., რე. I, გვ. 30; რე. II, გვ. 28, 36. რე. III, გვ. 15). ასევე არაა შემთხვევითი ს. სეფესავე ტერიტორიაზე დაფქსირებული ტომონის — ბატონის წყალის (სოფლის ერთ-ერთი წყაროს სახელწოდების) გაჩენა. (იხ. გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 112; ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის... ეთნოგრაფიული მასალები, 1981, რე. II, გვ. 4). სხვათა შორის, ზუსტად ასეთივე ტომონი გვხვდება ს. სეიანანშიც რ. გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 112), ხოლო რაც შეეხება ხადის ხევის მდებარე ს. შარშიანის ფარგლებში დადასტურებულ ტომონიმებს — „საბატონო“ (მამულის სახელია) და „საბატონო სახლს“ (სოფლის ერთ-ერთი ადგილის სახელწოდება) (იხ. გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 122), მათი წარმომავლობა უკავშირდება ისევ და ისევ მოსახლიანთ ბატონის მიერ შარშიანთ მამულებში ხეხილს ბალის გაშენებისა და მისი ექსპლუატაციის ფაქტს (იხ. ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის... ეთნოგრაფიული მასალები, 1982 წ., რე. I, გვ. 30).

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ერთ-ერთ თდოკუმენტში დაცული ცნობა ხადის თემში მდებარე არაგვის ერისთავთა სასახლეზე ოსების თავდასხმის გეგმასახებ (იხ. არაგვის ერისთავი ვაჟიის მიერ მთიულ ქანუა ნახლაიძისადმი შეყმული წყალობის წიგნი, თ. ეო რდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 116), რომლის ზუსტი ლოკალიზაციის ცდისაგან ამჟერად შეგნებულად ვიკავებთ თავს თხრობის ზედმეტი ვაკიანურების შიშით. დაჯერდებით მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ საბუთში ხსენებული სასახლე უფრო დიდველზეა საქებნი, ვინაიდან მთიულებსა და „დიდ საოსეთოს“ ლაშქარს შორის ბრძოლა სწორედ იქ გაიმართა და მასადაჟე ოსებიც დიდველზე საგულეებელ სასახლეს „მოხდომიან“. (გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით იხ. ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 31; ქართველ მთელთა ზემოხიტიყვიერება, ელ. ვირსალაძის გამოკვება, გვ. 301—305; ლ. კაიშაული, მთიულური ტექსტები, თბ., 1978, გვ. 63, 114—120; ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის... ეთნოგრაფიული მასალები, 1981, რე. I, გვ. 9—11, რე. II, გვ. 18—20, 1982 წ., რე. I, გვ. 12, რე. II, გვ. 9—14).

ვის დროზე, საკუთრივ „სასახლის სოფელთან“ გაიგივებული ს. სეფეს სახელწოდების წარმოებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა, თუმცა არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ „აღწერის“ ავტორს მთიულეთში მის მოგზაურობამდე დიდი ხნით ადრე უკვე სეფედ სახელდებული სოფლისათვის ნაჩქარევად ეწოდებინა „სასახლის სოფელი“, ხოლო იმავე მოსახლიანთ ციხისათვის მაინცდამაინც „მეფეთა ნასასახლევი“ მთიულური ტოპონიმების — „მოსახლიანთ ციხის“ და „სეფეს“ არასწორი ფორმით ფიქსაციის ან კიდევ ხსენებული სოფლისა და ციხის ნახვით შექმნილი რამდენადმე გაზვიადებული წარმოდგენის გამოსახატავად ერთობ არაოპტიმალური სახელწოდების შერჩევს მიზეზით. შემთხვევითი ხომ არ არის დასახელებულ სახელწოდებათა მართლაც თვალშისაცემი მსგავსება, როდესაც ვახუშტისეული „სასახლის სოფელი“ ადვილად ამოიცნობა „სეფეში“, ხოლო „ნასასახლევი მეფეთა“ ნაწილობრივ სიახლოვეს მაინც ამჟღავნებს ტოპონიმ „მოსახლიანთ“-ასთან.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ვახუშტის მიერ ნაღვარევის „დიდი შენებულობის“ მეფეთა ნასასახლევი წარმოსახვის საფუძველზე³⁶. ეს პუნქტიც მთიულეთში დროებით ამოსულ მეფეთა სადგური უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე მათი სასახლე.

აქ თუ ისე, ერთი რამ სრულიად ნათელია — გაუმართლებელია დაკმაყოფილება ვახუშტის მიერ „ნასასახლევი მეფეთა“-დ წარმოდგენილი „შენებულობების“ მაინცდამაინც იმ მნიშვნელობის მქონე ძეგლებად გააზრებით, რაზეც ერთი შეხედვით, თითქოს დამაჯერებლადაც მიგვანიშნებს მათი რაობის გამოსახატავად საგანგებოდ შერჩეული სახელწოდებანი. ისევე როგორც ვახუშტის ნაშრომში დარიალის ციხის ქვემოთ მდებარე, ციკარას აღმოსავლეთით ლოკალიზებული ან ნაღვარევის არსებული ძეგლები მეფეთა ნასასახლევივად იხსენიებიან, მაგრამ სინამდვილეში ჩინი მეფეთა ნამოსახლარებად დაბასიათებას უფრო იმსახურებენ, ეთნოგრაფიული მასალის სრული დუმილი დასაქლებული ობიექტების მეფეთა სასახლეებად ფუნქციონირების შესახებ, ნიადაგ არ უნდა გვაეჭვებდეს „აღწერაში“ მეფეთა ნასასახლევივად სახელდებულ ნაგებობებთან მათი იდენტიფიკაციის მიზანშეწონილობაში.

ყოველივე წინთქმულის გათვალისწინების შემთხვევაში, ვფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს მთიულთქარის ზევით ნაჩვენებ „ნასასახლევი მეფეთა“-სთან შერევის ციხის გაიგივებისათვის, მიუხედავად ამ უკანასკნელის ტრადიციული ფუნქციონირებისა მხო-

³⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 355.

ლოდ არაგვის ერისთავთა სიმაგრედ, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი.

მაგრამ, რამდენადაც ეთნოგრაფიული მასალა არ ეწინააღმდეგება მთიულთკარის ზემოთ ლოკალიზებული „მეფეთა ნასასახლევის“ მთავართ გორაზე მდებარე ძეგლში ამოცნობის ცდასაც, საკვლევე საკითხის შეძლებისამებრ სრულფასოვნად გაშუქების საჭიროება გვაკლებს მთავართ წმ. გიორგის კომპლექსის მნიშვნელობის ობიექტურად შეფასებაზე გარჯას.

მთავართ წმ. გიორგი, მართლაც, მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის თითქმის სრულყოფილი აღწერილობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი სახელწოდების რამდენადმე შემოკლებული სახით ფიქსაციის ფაქტს, ჯ. გვასალიას დამსახურებაა. მკვლევარის დაკვირვებით, მთავართ გორაზე მდგარი „... გალავანი „მთავართა“ მდებარეობს ჭართალის ხევის მარცხენა ნაპირზე, არაგვისპირა მაღალ ქედზე. კომპლექსი ქვიშაქვის დიდი კვადრებით არის ნაგები. კედლიდან 13 მ-ზე გალავნის შიგნით სასახლეა. სასახლის ერთი კედლის სიგრძეა 9 მ. გალავნის დიამეტრი აღწევს 50 მ-ს. გალავნის N კედელში 5 საისრეა. გალავნის ცენტრში დგას ნახევარწრიული აფსიდის მქონე დარბაზული ეკლესია (4,5 მ×3,5 მ), კარი აქვს S მხარეს. გალავნის S კედელს შიგნიდან მიშენებული აქვს დიდი სათავსო. გალავნის S კარს თავზე 2 მ სიგრძის ბალავრის ქვა ადევს, რომელზეც ჭვარი და ცალკეული ასომთავრული ასოებია გამოკვეთილი. გალავანი წმ. გიორგის სახელობის ხატია. „მთავართა“ კომპლექსი ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. ასეთი სახელწოდება ჭართალის ხევის მარცხენა ნაპირზე გაბატონებული კომპლექსისათვის ნიშანდობლივია“³⁷.

მოცემული აღწერილობა აუცილებელია შეივსოს ჩვენ მიერ ადგილზე წარმოებული გამოკითხვით დადგენილი იმ მეტად საგულისხმო ცნობით, რომ ხსენებული კომპლექსი „უწინ მერეს ციხის მეპატონეს ეკლავნოდა თურმე. აქ უცხოვრიათ წმინდა ხალხს, ბერებს. ამათ ჰქონიათ თავისი საქონელი. ცხვარი, რომელსაც მთავართ გორაზე სწველიდნენ და აქედან ცხვრის რძე მიღებით ჩადიოდა ბუჩაანთ ციხეში, ბატონებთან“³⁸.

როგორც ვხედავთ, მერეს ციხე-სიმაგრისა და მთავართ წმ. გიორგის მეპატრონედ მთხრობლები ერთსა და იმავე ხელისუფალს თვლიან მერეს ციხეში მდგარი არაგვის ერისთავის სახით, რაც შემთხვე-

37 ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები..., გვ. 45—46.

38 ვახტ. ითონიშვილი, მგზკმ, 1986 წ., რე. I, გვ. 15.

ვითი არ უნდა იყოს თუნდაც ტოპონიმ „მთავართას“ ეტიმოლოგიით ძალაუზნებური დაინტერესების ფონზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთიელებს არაგვის ერისთავებისათვის ისევე შეეძლოთ ეწოდებინათ „მთავარი“, როგორც ეძახდნენ „ბატონს“, ხსენებულ ხელისუფალთა მფლობელობაში მყოფი მთელი კომპლექსისათვის ან ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შემავალი ერთი რომელიმე ძეგლისათვის (მაგ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისათვის) მის მებატრონეთა ვინაობის მანიშნებელი სახელწოდების — „მთავართა“-ს დამკვიდრება სრულიად კანონზომიერი ჩანს³⁹.

მაგრამ სახელწოდება — „მთავართა“-ს წარმომავლობის ახსნისგან დამოუკიდებლად და იმ საკითხების გაურკვეველადაც თუ ზუსტად რა როლს ასრულებდა წარსულში მთავართ გორზე შემორჩენილი ძეგლი ან ვახუშტი ბაგრატიონზე რამდენად შეეძლო დაეტოვებინა მას მეფეთა ნასასახლევის (და არა მეფეთა ნამოსახლარის) მთაბეჭდილება, აღნიშნულ კომპლექსთან მთიულთკარის ზევით საძებნი მეფეთა ნასასახლევის გაიგივების ცდას ფაქტიურად ვერავითარი კონტრარგუმენტი ვერ უპირისპირდება.

მაშასადამე, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ვახუშტის მიერ მთიულთკარის ზევით ნაჩვენები „ნასასახლევი მეფეთა“ პირველ რიგში მერეს ციხე-სიმაგრეში უნდა იქნეს ამოცნობილი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის სამხრეთით (მასთან მეზობლობაში) მდებარე ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლთან მთიულთკარის „სიმაგრე მტკიცე“-ს დამაჯერებელი გაიგივების შესაძლებლობას. ვინაიდან ასეთივე ორიენტაციისაქენ განვეწყობით მეფეთა ნასასახლევის მთავართ წმ. გიორგის კომპლექსთან იდენტიფიკაციის შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, მით უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმ შეხედულებათა კორექტირებისათვის, რომელთა ავტორმა მთიულთკარად

³⁹ მართალია, ქართული მთხრობლები ჩვენთვის საინტერესო კომპლექსს მთავართ წმ. გიორგის უწოდებენ, მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით მთელი კომპლექსის გააზრება მართლოდენ საკულტო დანიშნულების მქონე ძეგლად ნიადაგ დაუშვებელია. ასეთი ცალმხრივი მიდგომის ნაცვლად მიზანშეწონილია ვივარაუდოთ წარსულში ტოპონიმების „მთავართას“ („მთავართ სასახლის“) და „მთავართ წმ. გიორგის“ თანაარსებობა შესაბამისად ერისთავთა მიერ ნაშენი ციხე-გალავნისა და მის შიგნით მდგარი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აღმნიშვნელი სახელწოდებების სახით, რომელთაგან მხოლოდ მეორე შემოინახა ხალხის ხსოვნაში. ამის მიზეზი ჩანს ის გარემოება, რომ განხილულ კომპლექსში გაერთიანებულ ძეგლთაგან წინანდელი ფუნქციის დაკნინება მხოლოდ მთავართ წმ. გიორგის ეკლესიას არ განუცდია. სხვათა შორის, იგივე ახსნა მოეძებნებოდა მთელი კომპლექსის მთავართ წმ. გიორგიდ სახელდების ფაქტს იმ შემთხვევაშიც, თუარ სახელწოდება მთავართას მატარებელ ძეგლად მართლოდენ წმ. გიორგის ეკლესიას გაეიარებლით.

სახელდებული პუნქტის ძებნა რატომღაც არჩია მეფეთა ნასასახლევის ზევით და არა მის ქვევით, სადაც ნასასახლევი მეფეთას (— ან მერეს ციხე-სიმაგრის, ან კიდევ მთავართ გორაზე არსებული კომპლექსის) სამხრეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე ლოკალიზებული ორი მეტად საინტერესო ძეგლის (— მერიქობის კლდეზე აღმართული კოშკისა და, განსაკუთრებით, კოზურთ-კარის ციხე-სიმაგრის) მნიშვნელობის ჯეროვნად შეფასების კვლობაზე ერთ-ერთ მათგანში ხერხდება კიდევ მთიულთკარის სიმაგრის ამოცნობა.

მერიქობის კლდეზე მდგარ უსახელო სათვალთვალ კოშკს ჩვენ 1985 წელს მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება. მანამდე აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობის მიმართ არც ერთ მკვლევარს არ გასჩენია საგანგებო ინტერესი. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ფასანაურის ქვემოთ მე-8 კმ-ზე, სამხედრო გზის გაფართოების მიზნით აფეთქებულ კლდეზე მდებარე კოშკის ნანგრევი იმდენად ორგანულად ერწყმის ჩამოქცეული კლდის დამახინჯებულ ფონს, რომ ერთი თვალის შევლებით ჭირს მისი გამორჩევა ბუნებრივი გარემოდან.

როგორც ს. მუგუდის უხუცეს მკვიდრთა უმრავლესობის ნათქვამიდან ირკვევა, მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული ეს უსახელო კოშკი „წინათ ძალიან ძრიალი, მაგარი ყოფილიყო“, რომელიც მუგუდა-ბუჩანის რაიონში საგრძნობლად დაეწროვებულ არაგვის ხეობაზე გამავალ კომუნიკაციას აკონტროლებდა⁴⁰. ზოგიერთი მთხრობლის უსაფუძვლო მტკიცებით კი აღნიშნული კოშკი არაგვის გზის გადაკეტ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელ სისტემაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებდა და თავისი მნიშვნელობისადაც და ზომებითაც მხოლოდ ციხისძირის ციხეს, სონდის ციხეს და მერეს ციხეს ჩამოუვარდებოდა⁴¹.

მართალია, მთხრობელთა ნაამბობი მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ მიღებული ინფორმაციისადმი სრული ნდობით განწყობისა და ხსენებული სათვალთვალ კოშკის მნიშვნელობის აშკარა გაზვიადების შემთხვევაშიც (რაც თავისთავად გაუმართლებელია) მაინც დაუჭერებელია, რომ მას ვახუშტიზე დაეტოვებინა „სიმაგრე მტკიცე“—ს შთაბეჭდილება, ვინაიდან ამ ნიშნის მიხედვით არაგვის მარჯვენა ნაპირზე („ნასასახლევი მეფეთა“—ს ქვევით) გაცილებით უფრო საინტერესო საფორტიფიკაციო ნაგებობის არსებობა დასტურდება კოზურთკარის ციხესიმაგრის სახით.

40 ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები 1985 წ., რვ. 11, გვ. 3, 4; მისივე, მგზკმ., 1986 წ. რვ. 1, გვ. 4, 16.

41 ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები 1985 წ., რვ. 11, გვ. 3, 4; მისივე, მგზკმ., 1986 წ. რვ. 1, გვ. 4, 16.

ხსენებული ძეგლი ლოკალიზდება კართლის ხევის ზევით, ს. ჭალისსოფლისაგან დაახლოებით 500 მეტრის დაცილებით, მუგუდისა და კართლის ხეების გამყოფი იმ მთის ქედის ციცაბო ფერდზე, რომლის წვერზე გაშენებულია ს. მუგუდა. სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მომგებიან, „მიუღებ ალაგზე“ აშენებული და დღემდე



სურ. 6.

თითქმის მთლიანად დანგრეული ეს ციხესიმაგრე ოთხ იარუსადაა შეფენილი მეტად „დექ კალთაზე“ და საკმაოდ დიდი სიმაღლიდან გადაწყურებს არაგვის ხეობის გვარიანად დავიწროვებულ მონაკვეთს, უმზერს რა სონდისა და მერეს ციხეებს. კლდეში ნაკვეთი უზარმაზა-

რი ქვის კვადრებით ნაგები კოშკისა და მოზრდილი გალავნის ნაშთებზე (სურ. 6, 7, 8) დაკვირვება საკმარისი თვალსაჩინოებით ცხადყოფს, რომ თავის დროზე კოზურთ-კარი ერთობ ღიდ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამდენად, სრულიად სარწმუნოა უკლებლივ ყველა ქართლელი მთხრობლის კატეგორიული განაცხადი იმის თაობაზე, რომ „ძველად კოზურთ-კარის ციხე-სიმაგრე თავისი ზომებით ოდნავ თუ ჩამოუვარდებოდა მერეს ციხეს. კოზურთ-კარის კოშკი ოთხ სართულიანი მაინც იქნებოდა, ხოლო მისი გალავანი მერეს ციხის რესტავირებულ გალავანს უტოლდებოდა. ქართლის ხევის ზეითობაზე ასეთი მაგარი ციხე მარტო ბუჩანთას მდგარა“⁴².

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ ღირსშესანიშნავ ძეგლს შეეძლო დაემსახურებინა ვახუშტისაგან „სიმაგრე მტკიცე“-დ დახასიათება, რომლის ზემოთ „აღწერის“ ავტორს უკვე „ნასასახლევი მეფეთა“ ეგულებოდა მერეს ციხის (ან მთავართ გორზე არსებული კომპლექსის) სახით.

საყურადღებოა, რომ მთიულთკარის სიმაგრესთან კოზურთ-კარის ციხის გაიგივებას სავესებით უქერს მხარს ი. კლაპროტის ნაშრომში დაცული ცნობებიც, რომელთა თანახმად მთიულთკარად სახელდებულ ალაგად წარმოგვიდგება ერთ შემთხვევაში ქსან-არაგვის ურთიერთდამაკავშირებელი გზა-გადასასვლელი, ხოლო მეორე შემთხვევაში არაგვის ხეობაში ქართლის ხევის ჩრდილოეთით მდებარე ვიწრო გასასვლელი. მართალია, ავტორი ჩვენთვის საინტერესო პუნქტის სახელწოდებას შეცდომით ავრცელებს არა „ძლიერ ციხეზე“, არამედ ამ უქანასკნელით ძველად დაცულ გადასასვლელზე (ან გასასვლელზე) და მას, საერთოდ, სიტყვა მთიულთკარის მნიშვნელობაც ცალმხრივად აქვს გაგებული (— მთიულთკარის იგი მთიულეთის კარში ურევს), მაგრამ მიუხედავად ამისა, გერმანელი სწავლულის განმარტება მაინც ცხადად მიგვანიშნებს მთიულთკარის ძებნის საჭიროებაზე ქართლის ხევის ზევით, ან არაგვის ხეობის ვიწრო გასასვლელის ან ქსან-არაგვის ურთიერთდამაკავშირებელი გადასასვლელის რაიონში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კოზურთ-კარის ციხეს ქართლის ხევის ზევით, ს. მუგუღასთან თვალსაჩინოდ დავიწროებული ხეობის ჩამკეტი ერთ-ერთი სიმაგრის როლი ეკისრებოდა, ხოლო ამავე დროს მას, საჭიროების შემთხვევაში, ქართლის ხევეზე გავლით ქსნის ხეობისკენ მიმართული კომუნიკაციის (ს. ჭალისოფელი — კოშკი (აკლდამებია) — ნიკოლაანთკარი (სახსნავეები) —

⁴² ვახტ. ითონიშვილი, მთიულეთის და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, 1985, რვ. II, გვ. 3, 4; მისივე, მგზქემ, 1986, რვ. I, გვ. 4, 16.

ჩირდილი (მთა)—სისხლის ტბა (ტბა)—საფერშეთის ყელი (გადასასვლელი)—ს. ციხისოფელი—სოფელი ქსნის მხარეზე)⁴³ დაკონტროლების ფუნქციაც შეეძლო შეეთავსებინა, კლაპროტრა ობზულებაში მთიულთკარად წოდებული ალაგების დამცველად გამოყენილი „ძლი-



სურ. 7.

⁴³ ვახტ. იოანიშვილი, მგზევე, 1986, ტ. 1, გვ. 10.

ერი ცხე“ უფრო ადვილად ამოსაცნობი ხდება სწორედ კოზურთ-
ქარის სიმაგრეში.

სწავთა წორის, მოცემულ კვალიფიკაციას ერთგვარად აესებს
ქართულ მთხრობელთაგან მიღებული ინფორმაცია იმის თაობაზე,
რომ ძველად ანანურის ზეითობაზე არაგვის ხეობაზე შემოსეულ
მტერს გზას უკრავდნენ ციხისძირთან, სიპის-ქართან (დგნალ-მენე-
სოს რაიონში მდებარე ადგილი), სონდის ციხესთან, კოზურთ-ქარის
ციხესთან. მერქობის კლდეზე აღმართულ კოშკთან და მერქს ცი-
ხესთან⁴⁴. ამასთან, მათი მტკიცებით, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას
მტერი ხვდებოდა სიპის-ქართან, სონდის ციხესთან და განსაკუთ-
რებით მუგულა-ბუჩაანთქარის რაიონში⁴⁵, რომელიც, ჩვენი აზრით,
ყველაზე მეტადაც კი შეიძლება იმსახურებდეს ისეთ ვიწრო გასასვ-
ლელად დახასიათებას, როგორც მხედველობაში ქჷონდა ი. კლაპ-
როტს ქართლის ჩრდილოეთით მდებარე „ვიწრო გასასვლელის“ და-
სახელებსას.

ზართლია. ზოგიერთი მთხრობელი არაგვის გზის გადაწყვეტ ერთ-
ერთ ცხედ ხამუშას ციხესაც თვლის⁴⁶ და ამ ცნობამ თავის დროზე
მეტ-ნაკლები სიზუსტით სამეცნიერო ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა⁴⁷.
მაგრამ ეს ფაქტი არსებითად არაფერს ამბობს მთიულთქარის სიმაგ-
რესთან ხამუშას ციხის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ, ვინაიდან ხა-
მუშას ციხე არამც თუ კოზურთ-ქარის სიმაგრის, არამედ საკუთრივ
„ნასასახლევი მეფეთა“-ს ზევით ლოკალიზდება, მაინც როდესაც
ვახუშტი სრულიად გარკვევით წარმოაჩენს საწინააღმდეგო ვითარე-
ბას.

ერთი სიტყვით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შე-
ჯერება გვაძლევს უფლებას, რომ ვახუშტისეული „მთიულთქარი —
სიმაგრე მტკიცე“ უყოყმანოდ გვაიაგივოთ კოზურთ-ქარის ციხესთან,
ხოლო მთიულთქარის გაიგვება ხამუშას ციხესთან, რასაც აქამდე
ქჷონდა ადგილი სპეციალურ გამოკვლევებში, არამართებულად მივიჩ-
ნოთ.

მაგრამ მთიულთქარის ამგვარ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით
შეიძლება დაგვებადოს ერთი დამატებითი კითხვა — იქნებ ხამუშას
ციხეა სწორედ ვახუშტისეული „ნასასახლევი მეფეთა“? თუმცა საკი-
თხის ასეთნაირად დაყენების მიზანშეუწონლობაში უმაღლეს გვარწმუ-
ნებს საკვლევ რაიონში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, რომ-

44 ი ქ ვ ე, გვ. 18.

45 ი ქ ვ ე, გვ. 16.

46 ვ ა ხ ტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხანდოს ეთნოგრაფიული მასალები, 1986, რვ. 1,
გვ. 27; მ ი ს ი ვ ე, მ გ ჰ კ ე მ, 1986, რვ. I, გვ. 4.

47 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, გვ. 32—33.

ლის თანახმად ხამუშას ციხე მერეს ციხე-სიმაგრესთან (ან მთავართ გორზე არსებულ კომპლექსთან) შედარებით გაცილებით უფრო ლოკალური ფუნქციის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობად წარმოგვიდგება, სადაც არც ერთი „ბატონის“ დგომა არ დასტურდება⁴⁸.

მაშასადამე, ყოველივე წინათქმულის შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახუშტის „აღწერაში“ ხსენებული „მთიულთკარი — სიმაგრე მტკიცე“ მდებარეობდა ს. მუგუდის ქედზე და მისი ნაშთები დღემდე შემორჩენილია აქ ლოკალიზებულ: კოზურთ-კარის ციხესიმაგრის ნანგრევების სახით.

მიღებული დასკვნის შემდეგ კი ცხადია ზუსტ ლოკალიზაციას საკიროებს ამჯერად უკვე მთიულთკარად სახელდებული სოფელი, რომლის საძებნი ზონა მოიცავს მუგუდა-ბუჩაანთკარის მტკიცედ შემოფარგულ რაიონს, სადაც კოზურთ-კარის ციხის სიახლოვეში მდებარე რამდენიმე სოფელს თუ ნასოფლარს აქვს ჩვენთვის საინტერესო დასახლებულ პუნქტთან გაიგივების „პრეტენზია“. მაინც რომელი სოფლები და ნასოფლარები გვაქვს მხედველობაში?

1774 წლის არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის სოფლების აღწერა აღნიშნულ რაიონში არსებულ სოფლებად წარმოაჩენს მუგუდას, კოლოტას, სარეკთუბანს და ზენუბანს, რომელთაგან დროთა განმავლობაში სრული გაუკაცურება მარტოოდენ ს. კოლოტამ განიცადა. ამ უკანასკნელისაგან დღემდე მხოლოდ ნასოფლარიღა შემორჩა მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე მოგვიანებით (XVIII ს. მიწურულს ან XIX ს-ში)⁴⁹ წარმოქმნილი და ჩვენს დროშიც განაშენიანებული ს. ბუჩაანთკარის ტერიტორიაზე, სადაც სოფლის კუთვნილი სააფლაროსა და მშრალი ხევის აღმნიშვნელ სახელწოდებად მთხრობლები

⁴⁸ სამაგიეროდ ხალხის მესხიერებაში შემონახულია გადმოცემა ლეკიანობის უამს ამ ციხეში ხანდოელთა შეხიზუნისა და არაგვის ხეობაში მოთარეშე, ან არაგვის გზაზე მიმდინარე ლეკების რაზმებზე მთიელთა თავდასხმების შესახებ (იხ. ს. შაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—33; ვახტ. ითონიშვილი, ხანდოს ეთნოგრაფიული მასალები, 1980, რვ. 1, გვ. 27).

⁴⁹ როგორც ადგილზე გამოკითხვით ირკვევა, ბუჩაანთკარი მუგუდელი გიგაურების არაგვგალმა გადასახლების შედეგად გაჩენილი სოფელია, რომლის მოსახლეებს ძველთაგანვე შეადგენდნენ ბუჩაშვილები, კობორაშვილები, ციხელაშვილები და ხარებაშვილები (ყველანი ძირად გიგაურები) (ვახტ. ითონიშვილი, ქართლის... ეთნოგრაფიული მასალები, 1983, რვ. 1, გვ. 21—23). ხსენებული სოფლის დაარსებისა და ჩამოთვლილ გეართა წარმომავლობის შესახებ დაწვრილებით გვექნება საუბარი ერთ-ერთ წერილში, რომელიც სპეციალურად მიეძღვნება ქართლის თემის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნონიმიის საკითხების გაშუქებას.

გვისახელებენ შესაბამისად ტოპონიმებს — „კოლოტები“ და „კოლოტაჲს კევი“⁵⁰.

რამდენადაც ხსენებულ სოფელთაგან მთიულთკარის სიმაგრესთან ყველაზე ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებს მუგუდა და კოლოტა წარმოადგენდა, ხოლო ს. ბუჩაანთკარი XVIII ს. I ნახევარში (ს. მთიულთკარის შესახებ პირველი წერილობითი ცნობის გამოჩენის პერიოდში) ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვახუშტის მიერ შედგენილ სოფელთა სიაში შეტანილი მთიულთკარის ამოცნობა პირველ რიგში სწორედ ს. მუგუდასა და ს. კოლოტაში უნდა ვცადოთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი XVIII ს. სტატისტიკურ დათარში მთიულთკარის სახელწოდებით არც ფიგურირებენ⁵¹.

ამასთან, ს. მთიულთკარის ძებნისას უსათუოდ მხედველობაშია მისაღები აღნიშნული სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიაც, რომლის გარკვევასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია 1781 წლის არაგვის საუფლისწულოს ბარის ზონის სოფლების აღწერით ცნობილ ს. მთიულთკარის სახელწოდების წარმომავლობაზე დაკვირვება. აღწერის მინაცემების მიხედვით, ამ სოფლის ძირითადი მკვიდრნი მთიულეები (4 კომლი) იყვნენ, ხოლო დანარჩენ მცხოვრებლებს შეადგენდნენ გუდამაყრიდან, ხანოდან და კართლიდან გადმოსახლებული „მთის კაცნი“ (სულ 3 ოჯახი)⁵². აქ სრულიად აშკარაა „მთიულური“ ელემენტის პრიორიტეტი, რასაც ჩვენი აზრით, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა მისი სახელწოდების წარმოებაში.

ვინაიდან დაახლოებით იგივე ახსნა შეიძლება გამოეძებნოს კართლის თემის ფარგლებში გაჩენილი და უთუოდ ასეთივე ნაკრეფი მოსახლეობით გამორჩეულ სოფლად საგულეებელი მთიულთკარის სახელწოდების წარმომავლობასაც. კანონზომიერია ჩვენი საგანგებო

50 გ. ხორნაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 87; ვახტ. ითონიშვილი, კართლის ეთნოგრაფიული მასალები, 1983, რე. I, გვ. 21—23.

51 ამ შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ჩვენი მიერ ზემოთ უკვე გაკეთებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ სოფლებში ხელაღებით გამორჩეულ მიზანშეუწონლობაზე, რომ აღმწერებს ან მექანიკურად გამორჩენილათ ს. მთიულთკარი კართლის სოფელთა შორის, ან იგივე სოფელი სტატისტიკურ დათარში შეეყვანათ, ოღონდ იშხანად უკვე შეცვლილი სახელწოდების მქონე დასახლებული პუნქტის სახით.

52 ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 133.

შენიშვნა: კართლის თემის ტერიტორიაზე მდებარე ს. მთიულთკარს რომ არაფერი აქვს საერთო არაგვის ხეობის ბარის ზოლში ლოკალიზებულ ს. მთიულთკართთან და აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ორი სხვადასხვა სოფლის სახელწოდებათა ერთმანეთთან დამთხვევის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტთან, ამის შესახებ იხ. ვახტ. ითონიშვილი, არაგვის ხეობა, გვ. 80.

დაინტერესება 1774 წლის აღწერაში ხსენებული ს. მუგუდისა და ს. კოლოტის მოსახლეობის შემადგენლობის დადგენით.

როგორც 1774 წლის არაგვის საუფლისწულოს მთის ზონის მოსახლეობის აღწერის გაცნობა გვარწმუნებს, XVIII ს. II ნახევრისათვის სულ 10 მეკომურისაგან შემდგარი ს. მუგუდა ძირითადად მონოგენურ დასახლებას წარმოადგენდა, სადაც სახეზე გვაქვს გიგაურების 9 და მთიული სვიანაიძის 1 ოჯახის თანაცხოვრების ფაქტი⁵³.

მართალია, ქართალში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალაც დამაჩერებლად ცხადყოფს ხსენებული სოფლის მონოგენურობას და ს. მუგუდის ერთადერთ ძირძველ მცხოვრებლებად ხევისურეთიდან ქართალში გადმოსახლებულ გიგაურებს წარმოაჩენს⁵⁴, მაგრამ სამაგიეროდ ადგილზე ჩატარებული ტომონიმიკური ძიებით და XVIII ს. სტატისტიკური მონაცემებითაც ს. მუგუდაში მაინც ხერხდება გიგაურებთან ერთად თითო-ოროლა მთიულური ოჯახის ცხოვრების კვალის მიგნება⁵⁵. ეს გარემოება კი ძალაუნებურად განგვაწყობს იმ სახელდახელო ვარაუდისაკენ, რომ თავის დროზე ს. მუგუდა შესაძლოა ნაკრფეი მოსახლეობის შემცველ სოფელს წარმოადგენდა, თუმცა მარტოდენ აღნიშნული ფაქტი არ ჩანს საკმარისი იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად შეეძლო დაემსახურებინა მას მთიულთკარად (ე. ი. მთიულების სოფლად) სახელდება.

ამ თვალსაზრისით შედარებით უფრო მეტ ინტერესს იწვევს ს. კოლოტა, რომლის მოსახლეობს 1774 წლის აღწერის თანახმად შეადგენდნენ გიგაურები (8 კომლი) და მათთან ერთად მთიულები (4 კომლი) და ხანდოელები (2 კომლი)⁵⁶.

როგორც დამოწმებული სოფლის მოსახლეობის კუთხურ კუთვნილებაზე დაკვირვება გვაჩერებს, ს. კოლოტა უკვე პოლიგენურ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა, სადაც XVIII ს. II ნახევრისათვის საკმაო რაოდენობით მოეყარათ თავი მთიულეთიდან გადმოსახლებულ „მთის კაცთა“ ოჯახებს. გამოვლენილი ვითარების გათვალისწინების ფონზე კი, ვფიქრობ, მთლად უნიადაგოდ აღარ გამო-

53 მასალანი..., გვ. 481.

54 ვ ა ხ ტ. ი თ ო ნ ი შ ე ი ლ ი, მგზქემ, 1986 წ., რვ. I, გვ. 8, 16, 19.

55 მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ 1774 წლის აღწერის გარდა, სადაც პირდაპირ ჩვენებას ვხვდებით ს. მუგუდაში მთიული სვიანაიძის სახლეულობის ცხოვრების შესახებ, იმავე სოფელში მთიულთა (ყეროდ კედელაშვილების გვარის ხალხის) მოსახლეობის მანიშნებელია მის ფარგლებში დაფიქსირებული ტომონიმები — „კედელანი“ (ფერდობის სახელწოდება) და „კედელთა გზა“ (ზილიკის სახელწოდება) (იხ. გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103).

56 მასალანი..., გვ. 481—482.

იყურება კითხვა — იქნებ სწორედ ასეთი შერეული მოსახლეობით გამოჩენულ სოფელს ეწოდა თავის დროზე მთიულთქარი?

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილად ვერ დავიზღვევდით თავს სწორედ ს. კოლოტასთან ს. მთიულთქარის სავარაუდო გაიგივების ცთუნებისაგან, ბოლო დროს (1986 წ.) მოპოვებული მასალის საფუძველზე საძიებლო სოფლის გაკვლევით უფრო დამაჯერებელი ლოკალიზაციის შესაძლებლობა რომ არ მოგვემოძოდა.

1986 წელს არაგვის ხეობაში სავსე მუშაობის დროს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კოზურთ-ქარის ციხე-სიმაგრისაგან ასე 200 მეტრით დაცილებულმა და ასევე კოზურთ-ქარის სახელწოდებით ხალხში ცნობილ ფერდობზე მდებარე ნასოფლარმა. აქ, ფიქვნარ ალაგზე მივაკვლიეთ ქვითკირით და მშრალი წყობით ნაშენ საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებს, რომელთა ერთი ნაწილი დღეისათვის უკვე მიწაშია ჩამარხული. როგორც ქართლის ზოგიერთი სოფლის უხუცეს მკვიდრთა გამოკითხვით ირკვევა, ძველად კოზურთ-ქარის ადგილზე გაშენებული სოფლის ერთსართულიანი შენობები შატლის მსგავსად გაბმით. გათავთავების გარეშე ყოფილა ნაგები. მათში კარგა ხნის მანძილზე ხევსურეთიდან მოსულ გიგაურებს უცხოვრიათ, რომელნიც აქ ცარიელ ადგილზე დასახლებულან, მაგრამ დროთა განმავლობაში აქაური მოსახლენი ქვეითკენ, ბარისკენ დაძრულან და სოფლის სრული გაუქუქურების შემდეგ მისი კუთვნილი სამეურნეო სავარგულები სოფელ მუგულდას და სოფ. ქალისსოფელს გაუნაწილებიათ. 1949 წლამდე ხსენებული სოფლები სახნავად იყენებდნენ კოზურთ-ქარის მამულებს. მაგრამ შემდეგ აქ დაურგავთ ფიქვი, რომლისგან ტანაყრილმა მოზრდილმა ტყემ ყოფილი ნაფუძრების დიდი ნაწილი დაფარა⁵⁷.

ამრიგად, მთიულქარის სიმაგრესთან სიახლოვეს (მისგან სულ რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით) არც თუ ისე შორეულ წარსულში ქართლის თემის ერთ-ერთი სოფელი ყოფილა გაშენებული. მართალია, ეთნოგრაფიული მასალა ამ პუნქტის მოსახლეებდაც მხოლოდ გიგაურებს გვაცნობს, მაგრამ თუ მხედველობაში ჰვიდლებთ იმ საგულისხმო დეტალს, რომ „მუნებურ“ ინფორმატორთავე კატეგორიული მტკიცებით არც მუგულდაში და არც არაგვის ვალმა მხარეში არასდროს არავის არ უცხოვრია გარდა გიგაურებისა, მაშინ როდესაც ზემოთგანხილული მონაცემებით რამდენადმე განსხვავებული სურათი იხატება, ვფიქრობთ, მთლად უნიადაგოდ არ უნდა გამოიყურებოდეს კოზურთ-ქარის ადგილზე ოდესღაც ნაკრეფი მოსახლეობით

57 ვახტ. ითონიშვილი, მგზქემ, 1956, წ., რვ. I, გვ. 8—19.


გამორჩეული სოფლის არსებობის ვარიანტის დაშვება⁵⁸. ამისთან, თუ აქვე სათანადო ანგარიშს გავუწევთ საქართველოს წარსულში ცნებების „მთიელისა“ და „მთიულის“ იდენტური შინაარსობრივი დატვირთვით ხმარების ტრადიციას, ვფიქრობთ ამ უკანასკნელის მოქმედების ფონზე ბოლომდე გამოსარიცხი არ უნდა იყოს სახელწოდება მთიულთკარის სწორედ მთიულთკარის (და არა მთიულთა კარის) ეტიმოლოგიით გაფორმების ვარიანტიც, რის კვალობაზე, ცხადია, აღარაა სავალდებულო კოზურთკარის ალაგზე მაინცდამაინც მთიულთა ცხოვრების კვალის ძებნა. თუმცა იმის გარჩევის გარეშეც, თუ რამდენად შექმნილი დაემსახურებინა აღნიშნულ სოფელს მთიულთკარად სახელდება იქ მთიულების მრავლად ცხოვრების ან კიდევ ამავე ალაგზე სხვადასხვა მხრიდან მოსულ, „ნაკრევ“ მთიელთა მოსახლეობის მიზეზით, მარტოოდენ მთიულთკარის სიმამრესთან მისი თვალშისაცემი სიახლოვის ფაქტიც ხომ თავისთავად უკვე ბევრს უნდა ლაპარაკობდეს უწინარეს ყოვლისა კოზურთკარის ნასოფლარში ს. მთიულთკარის აპოკნობის სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში ვითარების ასეთნაირი შეფასება. უდავოდ უფრო ახლოს დგას სინამდვილესთან, ვიდრე მთიულთკარის ლოკალიზაცია ხანდოს ხევისა და მთიულეთს შორის მდებარე ტერიტორიაზე (დაახლოებით დღევანდელი ს. ბიბლიანის ადგილზე) ან ს. ხაშუსთან, რასაც აქამდე ადგილი ჰქონდა ვახუშტის ცნობებზე დაყრდნობით შედგენილ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებზე⁵⁹.

მაშასადამე, ყოველივე წინათქმულის შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახუშტის „აღწერაში“ ხსენებული მთი-

⁵⁸ უფრო მეტიც, არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლების (მუგულა, კალისსოფელი, ჩიტაურები, ზენუბანი) მკვიდრთა არაგვის გაღმა „გასვლისა“ და ამის შედეგად აქ ზოგიერთი ახალი დასახლების (კოლოტა, ბუჩანთკარი) გაჩენის აშკარა ტენდენციის გათვალისწინებით, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მაგ. 1774 წლის აღწერით ს. კოლოტაში აღრიცხული მთიულები ამ სოფელში სწორედ მუგულა-კალისსოფელ-ჩიტაურებიდან იყვნენ „გამოკრეფილნი“, რისი გათვალისწინებითაც აღარაა გამორიცხული კოზურთკარის ადგილას მათი თავდაპირველი ცხოვრების შესაძლებლობაც.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით არაგვის მარცხენა ნაპირზე წარმოქმნილი ჩვენთვის საინტერესო დასახლებებიდან მხოლოდ ს. ბუჩანთკარი იმსახურებს გააზრებას ს. მუგულიდან არაგვის გაღმა მიგრირებულ გიგაურთა მიერ დაარსებულ სოფლად. ხოლო რაც შეეხება ს. კოლოტას, ეს უკანასკნელი გაჩენილია როგორც მუგულაში, ისე სხვა სოფლებში (კალისსოფელი, ჩიტაურები) მცხოვრებ გიგაურთა გაღმა გადასახლების შედეგად.

⁵⁹ იხ. ივ. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა; ჯ. გ. ვ. ა. ს. ა. ლ. ა., საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის... (იხ. ნაშრომში ჩართული რუკა); მ. ი. ი. ვ. ე., არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები (იხ. ნაშრომში ჩართული რუკა).



სურათი 2.

ულტკარის სიმაგრე მდებარეობდა ქართლის ხევის ზევით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ს. მუგუდის დასწვრივ, კოჭურთკარად სახელდებულ ციცაბო ფერდობზე, სადაც აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები ამოსაცნობია აქ დღემდე შემონახული კოჭურთკარის ნაციხვარში. რაც შეეხება ს. მთიულტკარს, ის ლოკალიზდებოდა ხსენებული ციხე-სიმაგრის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან დაახლოებით 200 მეტრით დაცილებულ და ხალხში ასევე კოჭურთკარად სახელდებულ ალაგზე, სადაც უოფილი დასახლებული პუნქტისაგან მხოლოდ ნასოფლარიღაა შემორჩენილი. ს. მთიულტკარი მთიულეთის სამხრეთი მიჯნისაგან დაცილებული იყო დაახლოებით 8 კმ-ით (და არა 5 კმ-ით, როგორც ჩვენ ადრე ვფიქრობდით)⁶⁰. ხოლო ხანდოსგან ასე 5 კმ-ით. (იხ. სქემა 2).

მიღებული დასკვნის შემდეგ, რასაკვირველია, რამდენადმე უფრო სრულყოფილად გამოიყურება ქართლის თემის სოფელთა სია და გარკვეულწილად იზრდება იგივე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის ზოგიერთი საკითხის მეტო სიღრმით გაშუქების შესაძლებლობა.

⁶⁰ ვ ა ხ ტ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობა, ვვ. 80.

სამართალი არაგველთათვის

(„ძეგლის დადების“ შედგენის მიზეზი, მიზანი, მნიშვნელობა და მოქმედების ტერიტორია)

1. საკითხის დასმისათვის

„ძეგლის დადება“, როგორც არაგვის ხეობის მთიელთა სოციალური წყობისა და ყოფა-ცხოვრებისათვის შესაფერისი სამართლის წიგნი¹, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსაზღვრული მონაკვეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. ის უპირატესად საინტერესო ცნობებს შეიცავს აღნიშნულ ხეობაში ლოკალიზებული მთის კუთხეების (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ქართალი) მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის, ადგილობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საადგილმამულო და სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათის, ეკონომიკური მდგომარეობის, საოჯახო ყოფის, საქორწინო ურთიერთობისა და, საერთოდ, „მთის კაცთათვის“ სპეციფიკური ადათჩვეულებების შესახებ. ამდენად, გიორგი ბრწყინვალის კანონმდებლობა უყოყმანოდ შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთ უდავოდ იშვიათი კატეგორიის წერილობითი ძეგლების რიგს, რომელთა ანალიზის საფუძველზე განსაკუთრებული რელიეფურობითა და მასშტაბურობით ხერხდება ხსენებული „მთის ალაგების“ ისტორიული წარსულის ამსახველი სურათის რესტავრაცია.

„ძეგლის დადების“ ესოდენ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი მონაცემებით სარგებლობას თან ახლავს არსებითი სიძნელეები. ეს ძირითადად განპირობებულია იმ სერიოზული უზუსტობებით, რომელთაგანაც ტრადიციულად არაა თავისუფალი სამართლის წიგნის შედგენის მიზეზებისა და მიზნის, აგრეთვე მისი რეალური დანიშნულებისა თუ მოქმედების ტერიტორიის განსაზღვრით დაინტერესებულ მკვლევართა ნაშრომები. მართალია, ცალკეული სწავლულები საბოლოოდ გადაწყვეტილად თვლიდნენ დასახელებული საკითხების

¹ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 23.

ყველა ასპექტის შეძლებისამებრ სრულფასოვნად დაზუსტების ამოცანას, მაგრამ სინამდვილეში ამ უკანასკნელის გადაჭრაზე მეცადინეობის მთელმა წინანდელმა პრაქტიკამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო სასურველი შედეგი. აღნიშნული ვითარება მოითხოვს დღემდე გაურკვეველი საკითხების ხელახლა განხილვას, რომლის ცდაც მოცემულია ჩვენი ნაშრომის წინამდებარე განყოფილებაში.

2. „ქაგლის დადების“ შედეგის მიზანმიმართული და მიზანი, საპართლის წიგნის მნიშვნელობა

„ქაგლის დადების“ შედეგის მიზეზების, მიზნისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა შეიძლება დავიწყოთ იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის ხაზგასმით, რომ მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოს ძლიერება მოიშალა, რასაც ბუნებრივ შედეგად მოჰყვა სამეფო ხელისუფლებისა და კანონიერების შერყევა მთელი ქვეყნის მასშტაბით. „უამთა შლილობის“ პირობებში მკვეთრად გაიზარდა სეპარატისტული ტენდენციები როგორც სახელმწიფოს რიგითი მოსახლეობის შიგნით, ისე მმართველ წრეებში. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა ქართლის მთიანეთის ზოგიერთ რეგიონში, რომლის მკვიდრთა შორის „მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ“². მაგრამ ასეთ უმძიმეს ვითარებაში გამეფებულმა გიორგი V (1314—1346) არაერთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, და სამხედრო ღონისძიების განხორციელებით ჯერ „იმერნი და ამერნი გააერთა და დაიპყრა ნებისმიერ ყოველი საქართველო“³, ხოლო შემდეგ უკვე მონაპოვრის შენარჩუნებასა და შინააშლილობის კერების სრულ ლიკვიდაციაზე დაიწყო ზრუნვა, რამაც თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა თუნდაც საკანონმდებლო საქმიანობის ფართოდ გავლანში. ეს უკანასკნელი კი ბრწყინვალედ იქნა დაგვირგვინებული „ქაგლის დადების“ შექმნით 1335 წელს⁴.

„ქაგლის დადების“ შექმნას წინ უძღოდა გიორგი პრწყინვალის ექსპედიცია ქართლის მთიანეთის რამდენიმე კუთხეში, რომელთაგან ზოგიერთში (ხადა, ცხაოტი, გუდამაყარი, ხანდო, ქართალი) „... დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათჳს ადვილ ჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგ-

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 258,

³ უამთა აღმწერელი, ქც, II, გვ. 325.

⁴ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

დება, და მრავალფეროვანი ულუსობა, და ყოლ სამართალი აღარ იყო-
ლა... განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ“⁵.

სამართლის წიგნის შესავალში მოცემული ამ განმარტების სა-
ფუძველზე ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში თავის დროზე გა-
მოითქვა აზრი, თითქოს სჯულმდებლობის შესადგენად მოწვეულ
დარბაზის კრებაზე მონაწილე პირთა შეხედულებით მთიანეთის ცალ-
კეულ კუთხეებში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მთავარ მიზეზებს
წარმოადგენდა, ერთის მხრივ, „განაჩენ-დაუდებლობა“, ანუ კანონთა
დაუდგენლობა, ხოლო, მეორე მხრივ, „სისხლის მსუბუქობა“, ანუ
სასჯელის სიმსუბუქე, რომელიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა
დანაშაულობისათვის მთიულეთის ადათობრივი სამართლის მიხედ-
ვით⁶. ამასთან, იმავე ნაშრომში მითითებულია, რომ „ძეგლის და-
დების“ შედგენა მთიულეთში შექმნილი მდგომარეობით იყო გამო-
წვეული⁷ და იქვე ხაზგასმულია სამართლის წიგნის პარტიკულარუ-
ლი ხასიათი, ანუ მისი გაფორმება მხოლოდ არაგვის ხეობის მთის
ზოლის მცხოვრებთათვის განკუთვნილ განჩინებად⁸.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური თვალსაზრისი უფრო ადრე
შეიმუშავა ნ. ბერძენიშვილმა, თუმცა პარტიკულური მეცნიერი არა
იმდენად სპეციალური კვლევის, რამდენადაც წინასწარი მონახაზის
დონეზე ეხებოდა აღნიშნულ საკითხს, როდესაც წერდა: „გიორგიმ
რატომ ბარს არ გაუჩინა სამართალი? იმიტომ, რომ ბარს ასეთი ჰქონდა
და მას სრულიად აკმაყოფილებდა. უეჭველია ბარის სამართალი მთა-
ში არ ვარგოდა და ამიტომაც ნეფე გაუჩინს მას ძეგლს. მაგრამ
რატომ მართო ერთ ნაწილს მთისას და არა მთელ მთას? რატომ თუ-
შებს, ფხოვებს, ხევსურთ, სვანებს ასეთი სამართალი არ გაუჩინა
გიორგიმ? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ „ადრევეთ ყოფნა“ არ იყო, რო-
გორც არ იყო ძველად არაგვ-ქსნის ხეობებში... რა იყო მიზეზი, რომ
სწორედ აქ იწყო ან უკეთ აქედან იწყო მთის აღრევა? რაში ისახებო-
და აღრევა, რას ნიშნავს სისხლი მსუბუქი იყო?... სისხლის სიმსუბუქე
ნიშნავს, რომ სისხლი (ე. ი. დამნაშავეს დასჯა) არსებობდა, დამნაშა-
ვეს აზღვევინებდნენ: როგორღა, თუ კანონები არ ჰქონდათ, ბარის
სამართლით სჯიდნენ? არაა საფიქრებელი: ბარის სისხლი მთისათვის
მსუბუქი არას გზით არ გამოჩნდებოდა. მაშ რომელ სამართალზეა
საუბარი? უეჭველია ძველს ხალხურ სამართალზე. საგვარეულო

5 ძეგლის დადება, ქსი, I, თბ., 1963, გვ. 401—402.

6 ი. დ. ლ. ი. ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—18.

7 იქვე, გვ. 15.

8 იქვე, გვ. 23—28.

ნორმების პირობებში, ან უკეთ სავარაუდლო ნორმების რღვევის
ქაშს რომ შემუშავდა, აი, ეს სისხლი დღეს უკვე მსუბუქი ჩანდა“⁹.

როგორც დამოწმებული მოსაზრებებიდან ვგებულობთ, „ძეგლის
დადების“ შედგენის უმთავრეს მიზეზად მიჩნეულია არაგვის ხეობის
მთიანეთში შექმნილი მეტად არასახარბიელო მდგომარეობა, რომლის
გამომწვევე მიზეზად თავის მხრივ დასახელებულია განაჩენ-დაუდებ-
ლობა და სისხლის მსუბუქობა, იდენტიფიცირებული შესაბამისად
ადგილობრივ მთიელთათვის სახელმწიფო კანონთა დაუდგენლობას-
თან და მთაში ხელუყოფლად შენარჩუნებული ადათობრივი სამართ-
ლის ნორმების ნაკლებად ეფექტიან ფუნქციონირებასთან.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს იმ თვალსაზრისს, რომ „ძეგლის
დადების“ შედგენა განპირობებული იყო სწორედ არაგვის ხეობის
მთიანეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. სამაგიეროდ, სათანადო
კორექტირების გარეშე ვერ დავტოვებთ ზემოთ მოტანილ შეხედუ-
ლებებს საკუთრივ აღნიშნული მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზე-
ზების შესახებ, რომელთა მექანიკური გამოიარებლის როლით დაკ-
მაყოფილებისა და, ამავე დროს, ხსენებულავტორთა მიერ „ძეგლის
დადების“ პარტიკულარულ რჯულმდებლობად წარმოსახვის ცდების
მხედველობაში მიღების შემთხვევაში ძალაუნებურად ღიად რჩება პა-
სუხები შემდეგ კითხვებზე:

1. თუკი არაგვის ხეობის მთიანეთში არსებული არეულობის ძი-
რითადი მიზეზი იყო ამ რაიონში სახელმწიფო კანონთა შეუსვლელო-
ბა და აქ მოქმედი ადათობრივი კანონებით გათვალისწინებული სას-
ჯელის სიმსუბუქე, რის დამტკიცებასაც ცდილობდნენ ზემოთგანხი-
ლული კვალიფიკაციების ავტორები, მაშინ ხომ გაუგებარია ის, თუ
რატომ არ დაიზღვია თავი ოფიციალურმა ხელისუფლებამ ანალოგი-
ური გაქანების არეულობისაგან მთის სხვა რაიონებში, სადაც იმავე
განაჩენდაუდებლობისა და სისხლის მსუბუქობის მიზეზით ასევე მო-
სალოდნელი იყო მდგომარეობის გამწვავება? — ნუთუ შეიძლება და-
ვუშვათ, რომ სამეფო ხელისუფლება ნებაყოფლობით შეურიგდა სა-
განგაშო ვითარების შექმნის პერსპექტივას მთის დანარჩენ ალაგებში?

2. როდესაც „ძეგლის დადების“ შედგენის მიზეზად მიჩნეულ
იქნა არეულობა არაგვის ხეობაში, ხოლო ამ უკანასკნელის მიზეზად
სისხლის მსუბუქობა და განაჩენდაუდებლობა (გაიგივებული შესაბა-
მისად ადათობრივი სანართლის სისუსტესა და სახელმწიფო კანონე-

⁹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ.,
1974, გვ. 190.

შენიშვნა: იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებულია „ძეგლის დადების“
მოქმედების ტერიტორიის შემოფარგვლა მხოლოდ მთიულეთით, ჩვენ ქვემოთ გვე-
ქნება საუბარი, როდესაც ძეგლის მოქმედების საზღვრებს შევხებით.

ბის დაუმჯვიდრებლობასთან), ნიადაგ ახსნას საჭიროებდა ის გარემოებაც, თუ მაინც რა კონკრეტული მიზეზით არ ჰქონდა ადგილი არეულობას იმავე ფზოვში, თუშეთში ან სხვა მთის მხარეებში, სადაც, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, ასევე მხოლოდ ადათობრივი სამართლის ფუნქციონირება და სახელმწიფო სამართლის ნორმების შეუსვლელობა იგულისხმება? საინტერესოა, რატომ არ ჩანდა ამ კუთხეებში სისხლი მსუბუქად? ამასთან, თუკი აღიარებულია, რომ თავის დროზე საკუთრივ არაგვის ხეობაში განაჩენდაუდებლობის მიუხედავად მაინც არ იყო დესტაბილიზირებული მდგომარეობა, მაშინ როგორღა გავიგოთ იმავე რეგიონში დაწყებული არეულობის მიზეზად განაჩენდაუდებლობის მიჩნევა?

3. დაბოლოს, რამდენადაც საკვლევი საკითხით დაინტერესებულ ავტორთა მსჯელობიდან ძალაუნებურად მაინც ისე გამოდის, რომ არეულობამდე სხვადასხვა მთის კუთხეებში მოქმედი ხალხური სამართალი ასე თუ ისე მძიმე იყო, ხოლო „ყამთა შემოსრულობისა“ და არეულობის შემდეგ ის უკვე მსუბუქი გამოჩნდა, რატომ არ არის დასაშვები იმავე არეულობისავე მიზეზით მთაში მოქმედი სახელმწიფო სამართლის, ანუ მძიმე სისხლის, გამსუბუქების შესაძლებლობა?

დამსულ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა, რასაც უთუოდ მაპროფილებელი მნიშვნელობა ენიჭება „ძეგლის დადების“ შედგენის მიზეზისა და მიზნის დადგენისათვის, მთლიანად არის დამოკიდებული იმის გარკვევაზე, თუ მაინც რა კონკრეტული შინაარსია ჩაქსოვილი ძეგლის შესავალი ნაწილის გამოთქმებში — „სისხლის მსუბუქობა“ და „განაჩენ-დაუდებლობა“ ან საერთოდ, რა ვითარებას ჰქონდა ადგილი არაგვის ხეობის მთის ზოლში სამართლის წიგნის შედგენამდე.

აღნიშნული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი: მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია გიორგი ბრწყინვალემდელი პერიოდის საქართველოში საერთო სახელმწიფო სამართლის მოქმედება¹⁰, მაგრამ ამ უკანასკნელის მთიანეთში ფუნქციონირების შესაძ-

¹⁰ ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, გვ. 307; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928, გვ. 94—95; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 190; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, თბ., 1952, გვ. 68—69; ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 27; ზ. რატიანი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, როგორც საქართველოს სოციალური ისტორიის წყარო, ჟინვალის ექსპედიცია, მეორე სა-

ლებლობა სპეციალურ გამოკვლევებში, იშვიათი გამოჩაყლისის გარდა¹¹, რატომღაც კატეგორიულადაა უარყოფილი¹². ამასთან, ერთობ თვალშისაცემია არა იმდენად ის სიმარტივე, როგორითაც მკვლევართა უმრავლესობა უგულვებელყოფს მთის თემებში სახელმწიფო სამართლის მოქმედების შესაძლებლობას, რამდენადაც წერილობით წყაროებში დაცული იმ მონაცემების იგნორირების ფაქტი, რომელნიც სწორედ ხსენებულ სწავლულთა საპირისპირო პოზიციაზე მდგომ ავტორთა მოსაზრებებს უჭერენ მხარს. განსაკუთრებით კი დამაფიქრებელია საკუთრივ „ძეგლის დადების“ ტექსტში დაცული ცნობების გაუთვალისწინებლობა, რომელთაც, ცხადია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ ჩვენთვის საინტერესო კუთხით სახელმწიფო სამართლის ნორმების მოქმედების მასშტაბების განსაზღვრაში. თქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია სამართლის წიგნის თუნდაც პირველი ორი მუხლის განხილვა.

„ძეგლის დადების“ პირველსავე მუხლში, სადაც ერისთავის მკვლელის სასჯელია დადგენილი, კანონმდებელ მეფეს ხაზგასმით აქვს განმარტებული: „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა ვისგან იკადრების“¹³.

სჯულმდებლის ესოდენ კატეგორიული განაცხადი უთუოდ იმის მანიშნებელი ჩანს, რომ არაგვის ხეობის „მთის კაცნი“ ერისთავის მოკვლის შემთხვევაში „ძეგლის დადების“ შედგენამდეც სახელმწიფო სამართლის წინაშე აგებდნენ პასუხს: სწორედ სახელმწიფო და არა ადათობრივი კანონების მოქმედების ძალით იყო მიჩნეული „უმსგავსო და უსაზომო შეცოდებად“ ხსენებული მოხელის მკვლელობა.

მეცნიერო სესიის მასალები“, თბ., 1980, გვ. 6; მისივე, უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ „მაცნე“, ისტორიის.. სერია, 1984, № 4, გვ. 158—161.

11 ზ. რატიანი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, როგორც საქართველოს სოციალური ისტორიის წყარო.., გვ. 6; ეახტ. ითონიშვილი, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ მიხედვით, „მაცნე“, ისტორიის.. სერია, 1980, № 2, გვ. 63; ზ. რატიანი, უძველეს ქართულ სამართალთა შესახებ.., გვ. 158—161.

12 ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 307—309, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—95; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190; ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 26; ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 67—69;

И. А. Арджеванидзе, Военно-Грузинская дорога, с. 178; ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43; ბ. ლომინაძე, მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლებას ღონისძიებანი, იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ III, თბ., 1979, გვ. 635.

13 ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 403.

ნათქვამის დამადასტურებელია „ძეგლის დადების“ მეორე მუხ-
ლიც, რომელშიც სრულიად გარკვევითაა მითითებული: „... და რა-
ზომიც სოფელი იყოს, ერთი, ორი და რაზომიცა გინდეს იყოს, განმ-
გებელისა რთოდეს, ვითა ძველით გან გაჩენილი არის,
თვთო ცხენი ბეგრად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად
სასეფოდ და საუკუნოდ“¹⁴.

როგორც დამოწმებული ფორმულირებიდან ვგებულობთ, განმ-
გებლის მკვლელობის შემთხვევაში არაგვის ხეობის მთიელების დას-
ჯა „ძველითგან გაჩენილი“ სახელმწიფო კანონის შესაბამისად ხორ-
ციელდებოდა, რაც გვაძლევს უფლებას აღნიშნული ცნობა მათში სა-
ხელმწიფო კანონების ფუნქციონირების დამამტკიცებელ პირდაპირ
საბუთად ჩავთვალოთ. მართალია ანალოგიურ შეფასებას არ იმსახუ-
რებს „ძეგლის დადების“ სხვა მუხლებში ფიქსირებული მონაცემე-
ბი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ანალიზიც საკმარისი თვალსაჩი-
ნობით ცხადყოფს, რომ საკვლევ რეგიონში ოფიციალური ხელი-
სუფლების მიერ XIV ს-ში გამწესებული დანარჩენი მოხელეებიც
(მაგ. ერისთავი, ხევისბერი, ციხისთავი) „მუნებურ“ მოსახლეობას-
თან ურთიერთობაში აუცილებლად იხელმძღვანელებდნენ სწორედ
სახელმწიფო სამართლის ნორმებით. საწინააღმდეგო ვითარების და-
შვების შესაძლებლობას არ იძლევა სამართლის წიგნის ის მონაკვე-
თებიც კი, სადაც ლაპარაკია უშუალოდ მთის თემების რიგითი მოსახ-
ლეობის ფენიდან სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებულ მოხელე-
ებზე (ხევისბერი, ციხისთავი). მაგალითად, ხევისბერი კანონმდებლო-
ბის თანახმად, წარმოგვიდგება არაგვის ხეობის მთის კუთხეების სა-
ზოგადოების ისეთ წევრად, ვისაც დარბაზის (სახელმწიფო საბჭოს)
ბრძანებით (და არა სათემო კრების გადაწყვეტილებით) „ლაშქართ
თავადობა ჰბოძებია“¹⁵.

ამის შესაბამისად, ხსენებულ თანამდებობაზე დანიშნული „მთის
კაცნი“ თანამემამულეებთან, ვითარცა სახასო ყმების სტატუსში გა-
ფორმებულ რიგით მეთემეებთან ურთიერთდამოკიდებულებაში ჩვე-
ულებრივ სახელმწიფო მოხელეთა უფლებებით აღკვეთილ პირებად
უნდა ვიგულისხმოთ. რასაკვირველია, ხეების სამხედრო უფროსები
ადგილობრივ ხალხურ სამართალსაც საფუძვლიანად იცნობდნენ და,
აღბათ, „ქუეყანას“ (თემს, ხალხს) იმითაც „უჯობდნენ“, რომ ლოკა-
ლური ხასიათის საქმეების განსჯისას ადათობრივი სამართლის ნორ-
მების გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ, მაგრამ საერთო-სახელო მნი-
შვნელობის საქმეთა მოწესრიგების დროს ხევისბერები ძირითადად

14 ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 404.

15 ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 406.

მაინც სახელმწიფო კანონებით სარგებლობდნენ, რომელთა დამცველებისა და დამწერგავეების პოზიციიდან ჰკარნახობდნენ კიდეც ისინი ფაქიანთ პირობებს სოფლიონებს (რიგით მეთემეებს).

დაახლოებით იგივე ითქმის ციხისთავთა შესახებ, რომელთაც ასევე დარბაზის ბრძანებით ეკავათ საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლით განთქმული ხადის თემის ციხე-სიმაგრეების უფროსთა სახელო. ამასთან, სამართლის წიგნის მე-13 მუხლში მოცემული ის განმარტება, რომ „ციხისთავნი ხადას ორნი იყვნენ“-¹⁶, აშკარად მიგვანიშნებს ხსენებულ თანამდებობაზე „გადელ კაცთა“ დანიშვნის ტრადიციის სიძველეზე.

საკვლევ რეგიონში სახელმწიფო კანონების მოქმედების დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება აგრეთვე „ძეგლის დადების“ ის მუხლები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება არაგვის ხეობის მთიანეთში არსებული საადგილმამულო ურთიერთობის ხასიათისა და მთიელთა ვალდებულებათა რიგის წარმოსახვა. როგორც სამართლის წიგნიდან ირკვევა, ხსენებულ რეგიონში მიწა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა; აქაური მთიელები კი სახასო ყმების კუთვნილი სტატუსის შესაბამისად მათ უღებდნენ სარგებლობისა და არა საკუთრების უფლებით, თუმცა კანონმდებლობის მე-16 მუხლში მოცემული განმარტება ნასყიდზე და მისი მფლობელობის წესზე უკვე მიწის ფონდის გარკვეული ნაწილის სრული კერძო საკუთრების ობიექტად გადაქცევაზე მეტყველებს. რამდენადაც არაგვის ხეობის მთიანეთში მიწის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებასა და ადგილობრივ მცხოვრებთა ვალდებულებების განსაზღვრას გიორგი ბრწყინვალის დამსახურებად ვერ ჩავთვლით, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება გაცილებით უფრო ადრინდელ ხანაში ექვს არ იწვევს, თავისთავად ცხადია, რომ „ძეგლის დადების“ შედგენამდეც არაგვის ხეობის მთის თემებზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება სწორედ საკვლევ რაიონებში სახელმწიფო კანონების მოქმედებით უნდა აიხსნას. მაგრამ იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ სამეფო კარის მიერ ძველთაგანვე ხელდებულ მთის რეგიონებში (კონკრეტულ შემთხვევაში არაგვის ხეობის მთიანეთში) „საჯაროს, საბეგროს და სალაშქროს“ უკლებლივ, წესისა და რიგის მიხედვით აღსრულებას სახელმწიფო კანონების მოქმედება უზრუნველყოფდა, სრულებითაც არ ნიშნავს მთის თემებში შემონახული ხალხური სამართლის როლის დაკნინებას ან უარყოფას, რაც უკვე მეორე უკიდურესობაში გადავარდნის ტოლფასია. ჩვენ, პირიქით, ამნაირი ცალმხრივი მიდგომის წინააღმდეგ გამოვდივართ, როდესაც ყოველივე ზემოთქმულთ ვცდილობთ სწორედ არაგვის ხეობის მთი-

¹⁶ ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 407.

ანეთში სახელმწიფო და ადათობრივი სამართლის თანაარსებობის დასაბუთებას.

მაშასადამე, „ძეგლის დადების“ მონაცემებზე დაფუძნებით უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ძეგლის შედგენამდე დიდი ხნით ადრე არაგვის ხეობის მთის კუთხეებში მოქმედებდა სახელმწიფო სამართალი. „მუნებური“ მთიელები მეტ-ნაკლებად იცნობდნენ დაწერილ კანონებს. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ცნობდნენ ისინი ამ კანონებს (ანუ როგორ ურიგდებოდნენ აღნიშნული სამართლის ნორმებს) და საერთოდ რამდენად მყარი ნიადაგი გააჩნდა სახელმწიფო სამართალს მთაში ადგილობრივი ადათობრივი სამართლის ჭერ კიდევ საკმაოდ აქტიური ფუნქციონირების პირობებში.

ასევე დიფერენცირებულ შეფასებას საჭიროებს იმავე არაგვის ხეობის მთიელთა დამოკიდებულება სახელმწიფო კანონებისადმი ქვეყნის ერთიანობის მოშლამდე და ძნელბედობის პერიოდში, როდესაც ზადელ-ცხავეატელები, გუდამაყრელები, ხანდოელები და ქართლელები სახელმწიფოს მკაცრი კონტროლიდან გამოვიდნენ. უთუოდ ანგარიშგასაწევეია ის დეტალი, რომ არაგვის ხეობაში მოქმედი სახელმწიფო სამართალი აქაური მოსახლეობისათვის მართლაც მძიმე ჩანდა, ბარის სამართალი მთისთვის ნამდვილად არ ვარგოდა. მაგრამ შიუხედავად ამისა, ქართული სახელმწიფოს ერთიანობის ხანაში, როცა არა მარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა, არაგვის მთიელები იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ მათ სამოსახლო ქვეყნებში შეტანილი სახელმწიფო სამართლის ნორმებს, ბარის სისხლის სიმძიმეს, თუმცა მისი გამსუბუქების იმედს თუ არა, სურვილს მაინც არ კარგავდნენ. ხოლო როდესაც ქვეყანა აღმოსავლეთის ურდოების შემოსევების მიზეზით დაუძლურდა, აიწეწა და დაიქსაქსა, არაგვის მთიელებმა ისარგებლეს მათთვის შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ასე თუ ისე დამახასიათებელი „ბორგნეულობის“ შემაკავებელი სახელმწიფო ხელისუფლების საგრძნობი დასუსტებით თავიანთ საცხოვრებელ რეგიონში და სერიოზულად აიშალნენ, რასაც კანონზომიერ შედეგად მოჰყვა აქ მანამდე მოქმედი სახელმწიფო სამართლის ნორმების შელახვა.

საფიქრებელია, რომ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა ძალაუფლების აშკარა დაკნინებასთან ერთად მდგომარეობის შემდგომ დესტაბილიზაციაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული სამოხელეო აპარატის (ხვეისბერი, ციხისთავი, იშვიათი გამონაკლისის სახით, შესაძლოა მსახური-გამგებელიც) შიგნით ანარქიის დასადგურებაშიც. სახელმწიფოს მიერ თავის დროზე სამხედრო-ადმინისტრაციულ ერ-

ბეულებად გარდაქმნილ ძველ ტერიტორიულ თემთა (ხევთა) სამხედრო უფროსებად (ლაშქართ თავადებად) დანიშნული ხევისბერები ობიექტურად ველარ ართმევედნენ თავს. მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ვინაიდან „საჯაროს, სალაშქროსა და საბეგროს“ შესრულებაზე „გულაყრილ“ არაგველ მთიელთა მორჩილებაში მოყვანა არამც თუ ასეთ რიგით მოხელეთ, არამედ თვით ერისთავის და გამგებლის ძალებს აღმატებოდა. ამიტომ, იმ ლაშქართ თავადებმა, რომლებიც სამეფო კარისადმი ერთგულებით ადრეც არ გამოირჩეოდნენ, როგორც ჩანს, უფრო მეტი ანგარიში გაუწიეს. თანამემამულეთა „ბორგნეულობის“ მასშტაბების არნახული გაფართოების ფაქტორს, ვიდრე ოფიციალური ხელისუფლების აშკარად დაუძღვრებული ორგანოების „ბრძანებებს“ და შექმნილ ვითარებაში ერისთავისა და განმგებლისადმი დაქვემდებარებიდან გამოსვლა, სტიქიურად „აღრეული“ „ქვეყნის“ (ხალხის) მხარეზე დადგომა არჩიეს. ეს კი თავისთავად ნიშნავდა სამხედრო დემოკრატიის დროინდელი ცხოვრების ნორმებისა და წინაკლასობრივი საზოგადოებრივი ყოფიხათვის დამახასიათებელი არქაული ადათწესებისადმი მათ ძალაუვნებურ „გაერთგულებას“. სამაგიეროდ სხვა ხევისბერებმა, მართალია, გარეგნულად შეინარჩუნეს სახელმწიფო მოხელეთა იერსახე და ფორმალურად ისინი კვლავ სამეფო კარის საიმედო ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ „ბოროტად“ გამოიყენეს დარბაზის მიერ მონიჭებული უფლებები და „მუნებური“ მსახურული არისტოკრატიის რჩეულ წარმომადგენელთა ახლად შექმნილი ამბიციის რიგით მეთემეებზე გაბატონების გაბედულ ცდაში გამოავლინეს, რაც ისედაც დაძაბული ვითარების შემდგომ გამწვავებას უწყობდა ხელს და ამდენად არ შეესაბამებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს.

მოვლენათა ამნაირმა მსვლელობამ კი, ცხადია, განაპირობა ერთი მხრივ, არაგვის ხეობის მთის მხარეებში სამხედრო დემოკრატიის პერიოდისათვის ტიპური „თავისუფლების“ ტრადიციების გამოცოცხლება-გაძლიერება, რაშიაც ნიადაგ იგულისხმება ამჯერად უკვე მხოლოდ „ქვეყნისათვის მჯობ“ (და არა მეფისადმი ერთგულ) ხევისბერთა დროშის ქვეშ დარაზმულ „მთის კაცთა“ შორის მეტ-ნაკლები მასშტაბის სამხედრო შეტაკებების განშირება. საცხოვრებელი ტერიტორიის გაფართოების თუ არა, ნადავლის (ალათის) ხელში ჩაგდების მიზნით მაინც (სხვა სიტყვით რომ ვთქვათ — თავაშეგებული მეკობრეობა და მესისხლეობის ნიადაგზე მტრობის გაღვიძება თემებს შორის), ხოლო მეორე მხრივ ბრძოლის გამწვავება საკუთრივ თემის შიგნით — წვრილ ერსა და სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებულ პრივილეგიურებულ მეთემეთა შორის ანუ სერიოზული კონფლიქტ

„ქუეყანასა“ (თემსა) და სოციალური „აღზევების“ გზაზე დამდგარ პიროვნებას შორის.

თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება „ძეგლი ერისთავთაში“, „ძეგლის დადებასა“ და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ერთ-ერთი უცნობი ავტორის საისტორიო თხზულებაში (მხედველობაში გვაქვს „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი) დაცული მრავალი საგულისხმო ცნობა, რომელთაგან ამჯერად საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც „ძეგლი ერისთავთას“ თხრობა ქსნის ერისთავის ლაშქართან დამარცხებულ არაგველთა შორის მათი „იჭ (18) თავადი ხევისბერის“ დაღუპვის შესახებ¹⁷, „ძეგლის დადების“ 43-ე მუხლის მინიშნება ამიერ (ე. ი. არაგველი) და იმიერ (ე. ი. ქსნელ) ხევისბერთა და პეროვანთა ურთიერთბრძოლის აღკვეთის აუცილებლობის თაობაზე, იმავე სამართლის ძეგლის 12-ე მუხლის შედგენა პეროვანთან წამოწყებულ საადგილმამულო: დაეაში მოძალადე ხევისბერის თვითნებობის აღმოფხვრის მიზნით, ან სჯულმდებლის საგანგებო მითითება (მე-5 მუხლში) ახალი ხევისბერის კანდიდატურის შერჩევისას მეფისა და ქუეყნისადმი (ე. ი. თემისადმი, ხალხისადმი) თანაბარი ერთგულებით გამორჩეული პირის გამოძებნის საჭიროებაზე, აგრეთვე ხევისბერების პერსონალური გაფრთხილება (მე-19 მუხლში) მათზე დაკისრებული სამხედრო ვალდებულების (სალაშქროს საქმის) პირნათლად მოხდის თაობაზე და ა. შ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ხარვეზები და კიდევ უფრო სახიფათო გაქანების მოვლენებიც ერთობ დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ პერიოდის ყოფისათვისაც, როცა ქვეყანაში დროებითი მშვიდობა და წესრიგი სუფევდა, ადვილი წარმოსადგენია ის, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობას ექნებოდა ადგილი ხსენებულ რეგიონში, განსაკუთრებით კი არაგვის ხეობის მთიანეთში, მონღოლობის ავბედით ხანაში, როდესაც მთელი ქვეყნის მასშტაბით „... იწყეს საქართველოსათა შუება-განცხრომა და შლა ეკლესიათა შეწირულებათა... არამედ განმრაველდა ბოროტი“¹⁸, რის შემდეგაც გიორგი V არაგველ მთიელებში საფუძვლიანად მოშლილი კანონიერების აღდგენის ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა.

ამასთან, „უამთა შემოსრულობის“ პერიოდში არაგველმა მთიელებმა, როგორც ჩანს, უგულვებელყვეს არა მარტო სახელმწიფო კანონები (რომელთა მიმართ ისინი, სხვა მთიელთა მსგავსად, დადებითად არასდროს არც ყოფილან განწყობილნი; თუმცა იძულებულნი

17 ძეგლი ერისთავთა, ქსმ, II, ი. დოლიძის რედ., თბ., 1965, გვ. 109.

18 ვახუშტი, აღწერა..., ქტ, IV, გვ. 230.

იყვნენ შეგუებოდნენ სამეფო ხელისუფლების მიერ შემოტანილ სი-
შართლებრივ ნორმებს), არამედ მათ პასუხისმგებლობის გრძნობა და-
კარგეს მთაში დანერგილ სახელმწიფო სამართლის გვერდით ჯერ
კიდევ არსებული ადათობრივი სამართლის, მამა-პაპათა ტრადიციე-
ბის მიმართაც, რამაც გამოიწვია არაგველ „მთის კაცთა“ ყოფაში
„მრავალფერნი ულუსობის“¹⁹ დამკვიდრება.

სწორედ ასეთმა ექსტრემალურმა ვითარებამ, როდესაც არაგვის
ხეობის მთიელთა არეულობამ კულმინაციის წერტილს მიაღწია, ჰპო-
ვა კიდევ თავისი რელიეფური შინაარსობრივი ასახვა „ძეგლის და-
დების“ შესავალში მოცემულ შემდეგ ფრაზაში: „ყოლსამართა-
ლი აღარ იყოღა“²⁰. გიორგი V-ის მეფობის წინარე ხანაში
არაგვის ხეობის მთიანეთში დაწერილი კანონების შეუსვლელობის
შემთხვევაში (რას დასაბუთებასაც ცდილობდა არაერთი მკვლევარი)
სამართლის წიგნის ავტორი, ალბათ, შემოგვთავაზებდა განსხვავებუ-
ლი შინაარსის, მაგრამ არანაკლებ ლაკონური ფორმის წინადადებას:
„...ყოლსამართალი არ იყო“-ო. თუმცა ამისგან დამოუკი-
დებლადაც, კანონმდებლობის დანარჩენი მონაცემებიც, ვფიქრობთ,
სავსებით საკმარისი იქნებოდა საკვლევ რეგიონში სახელმწიფო სა-
მართლის მოქმედების დასამტკიცებლად. ასეა თუ ისეა, ერთი რამ
კი უდავოა — ქვეყნის ძნელბედობის უამს და გიორგი ბრწყინვალის
აღშშენებლობითი საქმიანობის გაშლის ხანაში განგაშის საფუძველს
ქმნიდა უწინარეს ყოვლისა არაგვის ხეობის მთის კუთხეებში ძველ-
თაგან შეტანილი სახელმწიფო კანონების, მთის თემებში მოქმედი ბა-
რის „მძიმე“ სისხლის გამსუბუქება და არა მარტო ხალხური სამართ-
ლისა, როგორც ეს თავის დროზე სპეციალურ გამოკვლევებში იყო
აღნიშნული. სწორედ მთის მხარეებში (მათ შორის არაგვის ხეობის
„მთის ალაგებში“) „ექსპორტირებული“ ბარის მძიმე სისხლის გამ-
სუბუქებამ შეაფთოთა ქვეყნის მესვეურები და არა სახელმწიფო სა-
მართალთან ჯერაც თანაარსებული ადათობრივი სამართლის შელა-
ხვამ, რაც თავისთავად უფრო მეტად ხელს უწყობდა, ვიდრე ზიანს
აყენებდა ხსენებულ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების პო-
ზიციების განმტკიცებას²¹.

19 ძეგლის დადება, ქსდ, I..., გვ. 402.

20 ძეგლის დადება, ქსდ, I..., გვ. 402.

21 მართალია, ხალხური სამართლის ინსტიტუტების „წახლომა“ არამც თუ არ
ეწინააღმდეგებოდა, არამედ, პირიქით, სავსებით შეესაბამებოდა სახელმწიფო ინ-
ტერესებს, ვინაიდან მთიანეთის ნებისმორ „ალაგში“ სახელმწიფოს თავისი კანონ-
ების დამკვიდრება სწორედ ადგილობრივ სამართალთან უშულავათო ბრძოლაში
უხდებოდა, მაგრამ მაინც დიფერენცირებულ შეფასებას იმსახურებს ოფიციალური
ხელისუფლების დამოკიდებულება ადათობრივი სამართლისადმი, ერთი მხრივ, გი-

ვინაიდან „სრსხლის მსუბუქობაში“ იგულისხმება საერთო არე-
 ლობის უამს არაგვის მთიელთა მიერ სახელმწიფო და მასთან თანა-
 არსებული ხალხური სამართლის ნორმების თითქმის სრული შელახვა
 და არა არაგვის ხეობაში მოქმედი სახელმწიფო კანონების სირბილე
 და ლმობიერება, როგორც ამას ჩვენც ადრე ვფიქრობდით²², „განა-
 ჩენდაუდებლობა“, ელემენტარული ლოგიკის თანახმად, შეიძლება
 ნიშნავდეს მხოლოდ არაგვის მთიელთათვის სპეციალურად განკუთვ-
 ნილი სამართლის წიგნის შეუდგენლობას, რასაც თვით სჯულმდე-
 ბელი მეფე შემდეგნაირად ხსნიდა: „... ღმრთივ გვრგვნოსანთა და
 სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამაღ არ გასჩენოდა
 ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა
 უწყესოთა მიმძლავრებულთა საქმეთა: რომელთამე საქმისა რომლისა-
 თვისმე ჰპრიანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან, და რომელ-
 თამე სხვის უამისა შემოსრულობისათვის უკუე გაჩენა ვერ სწრებოდა-
 და სრულად მთიელთა საქმის მოკლებასა და გაჩენასა“²³.

როგორც დამოწმებული განმარტებიდან ვგებულობთ, არაგვის
 ხეობის მოსახლეობისათვის სპეციალური განაჩენის დადება იმავე მი-
 ზეზით ვერ მოხერხდა, რა მიზეზითაც შეუძლებელი გახდა ხსენე-
 ბული რეგიონის დაზღვევა მანამდე ამ მხარისათვის სრულიად უც-
 ნობი ფართომასშტაბიანი უწყსრიგობისაგან. ჩვენ აქ მხედველობაში
 გვაქვს საქართველოსათვის მეტად მძიმე „უამის შემოსრულობის“
 ფაქტორი, რომლის მოქმედების ძალით ქვეყნის მესვეურნი თითქმის
 მთლიანად მოკლებულნი იყვნენ არაგვის მთიანეთში არნახულად
 გართულებული მდგომარეობის გამოსასწორებლად გამიზნულ ლო-
 ზისძიებათა წამოწყების თუ არა. ბოლომდე მიყუანის შესაძლებლო-
 ბის მაინც. ამიტომ, გიორგი V-ის მსჯელობა განაჩენ-დაუდებლობის
 მიზეზებზე გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც შენიშვნა ან საყვირუ-
 რი იმ მეფეთა მიმართ, ვისაც „საქმისა რომლისათვისმე ჰპრიანებო-
 დათ“ მთიელთა გარკვეული ნაწილის „აღრევით ყოფა ერთმანეთსა
 შიგან“, არამედ როგორც „ძეგლის დადების“ წინმსწრები ვითარების
 და წინაპარ მეფეთა მოღვაწეობის სავსებით ობიექტური შეფასება.

როგი ბრწყინვალემდელ ხანაში, მეორე მხრივ კი „ძეგლის დადების“ წინმსწრებ
 პერიოდში. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს იმ საგულისხმო დე-
 ტალის გათვალისწინების საკითხი, რომ გიორგი V-ის ინიციატივით შედგენილი
 სამართლის წიგნის სახით ჩვენ სახეზე გვაქვს ცენტრალური ხელისუფლების მიერ
 სწორედ ადამიანობის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების საკუთარ ინტერესებ-
 ში გამოყენებისა და არა მათი მექანიკური უგულებელყოფის დამადასტურებელი
 ფაქტი, რასაც თავის დროზე უკუე მიეცა დეტალური შეფასება ერთ-ერთ სპე-
 ციალურ გამოკვლევაში (ი. დ. ო. ლ. ი. ძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 29—42).

²² ვახტ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

²³ ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 401.

თუმცა იმისაგან დამოუკიდებლადაც, თუ რამდენად დადებითად ან უარყოფითად იყო განწყობილი გიორგი V თავის წინამორბედ მეფეთა საქმიანობის მიმართ, „ძეგლის დადების“ ტექსტში დაცული ცნობებისა და სხვა დამხმარე მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განმეორებით, ოღონდ ამჯერად უკვე საბოლოოდ დაზუსტებული თვალსაზრისის უფლებით შეიძლება ითქვას შემდეგი:

არაგვის ხეობის მთიანეთში, ისევე როგორც დანარჩენ „მთის ალაგებში“ ძველითგან გაჩენილი იყო სახელმწიფო კანონები, რომელნიც ხსენებულ რაიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი ადათობრივი სამართლის ინსტიტუტებთან ერთად მოქმედებდნენ „მუნებურ“ მთელთა საზოგადოებაში. მაგრამ ქვეყნის ერთიანობის მოშლისა და „სხვს უამისა შემოსრულობის“ პირობებში არაგვის ხეობის მთის თემების მოსახლეობამ ისარგებლა სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტებით და აიშალა, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო კანონების დარღვევა, მანამდე მთაში მოქმედი „მძიმე სისხლის“ გამსუბუქება, საკუთრივ ხალხური სამართლის ნორმების შელახვაც და იშვიათი განუკითხაობა შინაგანი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ამასთან, არაგვის ხეობის „მთის კაცთა“ მიერ სახელმწიფო სამართალი იმავე კანონზომიერებით იქნა შელახული და იგნორირებული, როგორც კანონზომიერებითაც იმავე რეგიონში კიდევ უფრო მძიმე „უამის შემოსრულობის“ მიზეზით დროთა განმავლობაში მივიწყებულ და უარყოფილი იქნა საკუთრივ „ძეგლის დადების“ მუხლები, რამაც მოგვიანებით (XVIII საუკუნე) განაპირობა არაგვის ხეობის მთელთათვის უკვე ახალი სპეციალური სამართლის ძეგლის შედგენა „მთიურთა ადგილთა განჩინების“ სახით.

მაგრამ საქართველოს ძნელბედობის პერიოდში, ქვეყნისათვის მძიმე „უამის შემოსრულობის“ ხანაში (XIII ს. და XIV ს-ის დასაწყისში) მთელთა „აღრევით ყოფა“ მთის ყველა რეგიონისათვის ერთნაირად დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენდა, რის გამოც „სისხლის მსუბუქობის“ პრობლემების გადასაწყვეტად გამიზნულ ღონისძიებათა გატარება მხოლოდ ზოგიერთი კუთხისათვის გახდა აუცილებელი. მთის იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივ მკვიდრთა ყოფისათვის სპეციფიკური „უწესობა“, ბორჯენილების სულისკვეთება, საყოველთაო „უწესრიგობაში“, ფართომასშტაბიან „აღრევით ყოფაში“ არ იქნა გადაზრდილი, სამეფო კარს არც სისხლის მსუბუქობის პრობლემის გადაჭრაზე გარჯა უხდებოდა და ამის კვალობაზე, არც ამ კუთხეების ნაცხოვრებთა „განაჩენდაუდებლად“ (ე. ი. სპეციალური სამართლის გარეშე) ცხოვრება გაიანზრებოდა არანორ-

მალურ მოვლენად. ამიტომ, საკმაოდ მარტივი ახსნა მოეძებნება იმ ფაქტს, თუ რა მოტივით არ ცნო ოფიციალურმა ხელისუფლებამ „განაჩენის დადების“ ღირსად ფხოვი, თუშეთი, ხევი და სხვა მთის მხარეები, ან რატომ არ განხორციელდა ძეგლის დადების წინარე ხანაში საკუთრივ არაგვის ხეობის მთიელთა იურიდიული ცხოვრების მოწესრიგება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი კანონმდებლობის შედგენით.

ამრიგად, „ძეგლის დადების“ შედეგადა მხოლოდ არაგვის ხეობის მთიელთათვის მათ სამოსახლო კუთხეებში შექმნილმა ექსტრემალურმა ვითარებამ განაპირობა. „სისხლის მსუბუქობაში“ იგულისხმება ხსენებული რეგიონის „მთის ალაგებში“ „ძველითგან გაჩენილი“ სახელმწიფო და მათთან ჭერ კიდევ თანაარსებული ადათობრივი კანონების მოშლა, ხოლო „განაჩენდაუდებლობა“ ნიშნავს იმავე რაიონის მკვიდრთათვის სპეციალური კანონმდებლობის შეუდგენლობას.

ვითარების ასეთნაირი შეფასების საფუძველზე დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის მსუბუქობა და განაჩენდაუდებლობა კი არ წარმოადგენდა არაგვის ხეობის მთიელთა შინააშლილობის მიზეზს, როგორც ეს ზემოთ განხილულ სპეციალურ ლიტერატურაში იყო აღნიშნული, არამედ, პირიქით, სწორედ დასახელებულ მთიელთა არეულობამ გამოიწვია „მუნებური“ „სისხლის გამსუბუქება“ და ადგილობრივ „მთის კაცთა“ განაჩენდაუდებლად ცხოვრებაც არანორმალურ მოვლენად აქცია. აქედან გამომდინარე, დარბაზის კრებაზე გამართული სჯა-ბაასის ძირითად ლეიტმოტივად საგულეებელია იმ საკითხზე საგანგებოდ მსჯელობა, თუ რა მიზეზით „... აღარ იყოლა“ სამართალი არაგვის ხეობის მთიანეთში და არა იმის გარკვევაზე გარჯა, თუ რა მიზეზით არ იყო სამართალი და წესრიგი ხსენებულ რაიონში. მაშასადამე, დარბაზის კრებაზე ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებს შეიძლება ელაპარაკათ არა მხოლოდ იმაზე, თუ რა იყო არაგვის მთიელთა „აღრევით ყოფის“ გამომწვევი მიზეზები, არამედ იმაზე, თუ რა იყო ხსენებულ მთიელთა არეულობის შემდგომი გულრმავეების მიზეზები; არსებული მდგომარეობის გათვალისწინების შესაბამისად, დარბაზის კრებაზე წყდებოდა საგანგებოდ არაგვის ხეობის მთიელთათვის დაწერილი კანონების შემოღების და არა საერთოდ დაწერილი კანონების მთაში პირველად შეტანის პრობლემა, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული ზოგიერთი მკვლევრის მიერ.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ძეგლის დადების“ შედეგის მთავარი მიზეზი იყო არაგვის ხეობის მთიანეთში შექმნილი მეტად არასახარბიელო მდგომარეობა, გამოწვეული არა საქაურ მთიელთათვის სპეციალური სამართლის შეუდგენლობით ანუ „განაჩენ-

დაუდებლობით“ (რასაც მკვლევარნი შინაარსობრივად შეცდომით აიგივებდნენ მთაში დაწერილი კანონების შეუსვლელობასთან) და ამ რაიონში მოქმედი სახელმწიფო ჯა მასთან თანაარსებული ადათობრივი კანონების „წახლდომით“, ანუ „სისხლის მსუბუქობით“ (რაც ასევე შეცდომით რატომღაც მხოლოდ მთაში მოქმედი ადათობრივი სამართლის ფუნქციის დამცრობასთან იყო იდენტიფიცირებული), რის დამტკიცებასაც ცდილობდა არაერთი ავტორი, არამედ ქვეყნის საერთო დაქსაქსულობით, მთიელთათვის დამახასიათებელი თვითნებობის შემაკავებელი ხელისუფლების დასუსტებით. თავის მხრივ: არაგვის ხეობის მთიელთა „აღრევით ყოფამ ერთმანეთსა შინა“ შეიძინა ისედაც მძიმე მდგომარეობის შემდგომი გაუარესების მაიმპულსირებელი ფაქტორის მნიშვნელობა, რის ცვალობაზე სულ უფრო აუტანელ და არანორმალურ მოვლენად იქცეოდა არსებული ვითარების გამოსასწორებლად გამიზნული „განაჩენის დაუდებლობა“. სწორედ მდგომარეობის ასეთმა გართულებამ (და თანაც ისეთი დიდო პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე რეგიონში, როგორიც არაგვის ხეობის მთიანეთი იყო) და სრა არაგვის მთიელთა სახელმწიფო კანონების გარეშე ცხოვრებამ, ან მთაში შემორჩენილი ადათობრივი სამართლის ინსტიტუტების შელახვამ და, მით უფრო, არაგვის ხეობის მთისა და ბარის რეგიონებს შორის არსებულმა ცულტურულ-ყოფითი სხვაობის ფაქტორმა²⁴, აფიქრებინა სჯულმდებელ მეფეს საგანგებო ღონისძიებათა შემუშავება „ძეგლის დაღების“ სახით.

მართალია, არაგვის ხეობის მთიელთა „აღრევით ყოფნის“ აღკვეთა გიორგი V-ს მხოლოდ იარაღის ძალის გამოყენებით ნაწილობრივ მაინც შეეძლო, მაგრამ მეფემ საჭიროდ ჩათვალა სისხლის დაძინება „მუნებურ“ მთიელთათვის საგანგებო განაჩენის დაღებით, ანუ იმ სახის სპეციალური სამართლის ძეგლის შედგენით, რომელშიც უსათუოდ იქნებოდა გათვალისწინებული მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის სპეციფიკა (პირველ რიგში კი დანაშაულში მხილებულ „მთის კაცთა“ რეალური გადამხდელუნარიანობის ფაქტორი) და რომლის მოქმედება არაგვის მთიანეთში აღდგენილი ნორმალური ვითარების შენარჩუნების, ბორგენილების საფრთხის მინიმუმამდე შემცირების მტკიცე გარანტიას იძლეოდა. ერთი სიტყვით, „ძეგლის დაღება“ არსებული არეულობის შეძლებისამებრ მოკლე ხანაში სრული ლიკვიდაციის, შემდგომში კი მისგან საკვლევე რეგიონის საიმე-

24 რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 21.

დოდ დაზღვევის საქმეს ემსახურებოდა, რაშიც გამოიხატება კიდევ ერთი მხრივ კანონმდებლობის შედგენის მიზანი, ხოლო მეორე მხრივ სამართლის წიგნის მნიშვნელობა.

3. „ძებლის დადების“ მოქმედების ტერიტორია

„ძეგლის დადების“ მოქმედების ტერიტორიისა და სამართლის წიგნის დანიშნულების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლობის შესავალში მოცემულ შემდეგ განმარტებას: „ჯუართა ყელს აქეთ, გადა-ცხაოტს, ზანდუკის კევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დადევით“²⁵.

როგორც დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, „ძეგლის დადება“ არაგვის ხეობის მთის კუთხეების მოსახლეობისათვის იქნა შედგენილი. დასახელებული პუნქტებით, მართლაც, იშვიათი თვალსაჩინოებით არის შემოფარგლული სამართლის მოქმედების ტერიტორია — ხადა-ცხავატი (გვიანდელი მთიულეთი), გუდამაყარი, ხანდო და ქართლის ძირითადი მონაკვეთი (ს. მენესოს ზემოთ მდებარე რაიონი). ამდენად, მართოდენ „ძეგლის დადების“ შესავალ ნაწილში დაცული მონაცემებით სარგებლობაც ქმნის იმის ყველა პირობას, რომ საკვლევი საკითხის გაშუქებაში აზრთა სხვადასხვაობას არ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ასეთი შესაძლებლობის მიუხედავად, გიორგი V-ის კანონმდებლობის მოქმედების ფარგლების დადგენით დაინტერესებულ სპეციალისტთა ნაშრომებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა²⁶, სისტემატურად ვხვდებით სიმართლის ნორმების გავრცელების ტერიტორიის ხელოვნური გაფართოვების ან მექანიკური დავიწროვების ცდებს, რომელთა მიზანშეწონილობის განსაზღვრა ამჯერად შეადგენს კიდევ ჩვენს უპირველეს ამოცანას.

მაგრამ სანამ საკვლევი საგნის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებათა უშუალო შეფასებაზე გადავიდოდეთ, უპრიანია ყურადღების აქცენტირება, ერთი მხრივ, სამართლის ძეგლის შესავალში მოცემულ ცნობებზე ქართლის მთიანეთში სჯულმდებელი მეფის მიერ მოწყობილი ექსპედიციის მსვლელობის შესახებ, მეორე მხრივ კი, არაგვის ხეობის მთიანეთის უაღრესად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტზე, რომელთა გათვალისწინებასა და კვალიფი-

25 ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 401.

26 ვახტ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; მისივე, რეცენზია გ. ხორნაულის წიგნზე, „მთები და სახელები“, მაცნე“, ისტორიის... სერია, № 9, თბ., 1984, გვ. 159—160; მისივე, არაგვის ხეობა, გვ. 32.

ციურ ანალიზზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებაში ზუსტი ორიენტაცია.

როგორც „ძეგლის დადების“ შესავლიდან ირკვევა, მთიელთათვის სპეციალური სამართლის განჩინებას წინ უძღოდა გიორგი V-ის ინიციატივით ორგანიზებული ექსპედიციის მოგზაურობა ქართლის მთიანეთის ერთ ნაწილში, კერძოდ „ორისავე არაგვს“ ხეობებსა და იმხანად ცხრაზმის საერისთავოში შემავალ ქსნის ხეობაში. მეფემ საჭიროდ ცნო პირადად გასცნობოდა ხსენებულ რაიონებში არსებულ მდგომარეობას და სათანადო ღონისძიებები განეხორციელებინა.

ამაღისა და ლაშქრის თანხლებით გიორგი ბრწყინვალე ეჩნვალის გავლით ავიდა არაგვის ხეობის ზემო ნაწილში — ხადა-ცხავატში (შემდგომდროინდელ მთიულეთში), სადაც თავისთან მოიხმო „მუნებური“ მოსახლეობის რჩეული წარმომადგენლები (ხევისბერები და ჰეროვანები) და დაწვრილებით გამოიკითხა „მათნი საქმენი“. ხადა-ცხავატიდან მეფემ ხევისკენ აიღო გეზი, მივიდა დარიალამდე — საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე, იქიდან კვლავ პირაქეთა არაგვის ხეობაში მობრუნებულმა კი ჯერ ლომისის ეკლესიაში ილოცა, მერე ლომისის გზით ცხრაზმის ხევი გადავიდა, ჩამოიარა ქსნის ხეობა „მუნებური სასაქმოს“ მოკვლევით, ხოლო ამის შემდეგ მუხრანში შეისვენა და ბოლოს თბილისში შემოვიდა.

დედაქალაქში დაბრუნებულმა მეფემ თან ჩამოიყვანა სამოგზაუროდ არჩეული კუთხეების საზოგადოების პრივილეგირებული წევრები (ხევისბერ-ჰეროვანები) და მთის თემებში თავისივე ბრძანებით გამწესებული სახელმწიფო მოხელეები (ერისთავეები და ხევისთავეები), რომელთა თანდასწრებით დარბაზის საერთო კრებაზე გამართა სჯაბაასი „მთის ალაგებში“ შექმნილი მდგომარეობის სირთულისა და მთიელთა „აღრევით ყოფის“ ლიკვიდაციის გზების თაობაზე. დარბაზის კრებამ საბოლოო ანგარიშით შეძლო იმის გარკვევა, თუ მაინც მთის რომელ მხარეებში ჰქონდა ადგილი განსაკუთრებით სერიოზულ უწყსრიგობას, რის შესაბამისადაც იქნა კიდევ დადებული განაჩენი მხოლოდ არაგვის ხეობის მთის ზოლში ლოკალიზებული კუთხეებისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დარბაზის კრების სხვაგვარი გადაწყვეტილება ნაკლებადაც იყო შოსალოდნელი, თუ მხედველობაში მივიღებთ სამეფო კარის მხრიდან იმთავითვე გამოვლენილ დანტერესებას უწინარეს ყოვლისა არაგვის ხეობის მთიელთა საქმეების დეტალური მოკვლევით. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს მეფის ექსპედიციის შესვლა პირველ რიგში არაგვის ხეობაში და, რაც მთავარია, ხადა-ცხავატაში მისი საგანგებოდ „დასხდომა“ ყველა აქაური ხევისბერისა და ჰეროვანის დაწვრილებითი გამოკითხვის

მიზნით, მაშინ როდესაც ხევსა და ცხრაზმის ხეობაში მოგზაურობისას მეფე, როგორც ჩანს, დაემაყოფილებულა „მუნებური“ საქმეების რამდენადმე უფრო ნაკლებმასშტაბური და „დაზვერვითი“ სახის მოკვლევით. ეს ფაქტი, შესაძლოა, იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებდეს, რომ ქართლის მთიანეთის ცალკეულ რაიონებში სამოგზაუროდ წასვლამდე გიორგი V-ს უკვე ჰქონდა მიღებული ზოგადი ინფორმაცია ხსენებულ მხარეებში შექმნილი მდგომარეობისა და აქაურ მთიელთა „აღრევით ყოფის“ ძირითადი კერების შესახებ, როგორცადაც სამეფო კარს, ალბათ, მიაჩნდა სწორედ ხადა და ცხავატი. მოცემულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კი უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მეფე არ შესულა გუდამაყარში და არ გაჩერებულა ხანდოსა და ქართალში (ყოველ შემთხვევაში „ძეგლის დადებაში“ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი), თუმცა ამ კუთხეებს სამართალი მიიწვინა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ვითარება აიხსნება მეფის მიერ იმ გარემოების წინასწარი გათვალისწინებით, რომ, მართალია, გუდამაყარში, ხანდოსა და ქართალში ასევე მძიმე მდგომარეობა სუფევდა, მაგრამ აქაური საქმეების მოკვლევასათვის აუცილებელი დროის და სახსრების გამეტება უფრო მიზანშეწონილი იყო ხადა-ცხავატში (ვითარცა არეულობის ძირითად კერებში) არსებული უწესრიგობის მიზეზების გარკვევაზე, ვინაიდან არეულობის კერების ლიკვიდაციის გზების გამოძებნა მნიშვნელოვნად გააადვილებდა სხვა კუთხეების მკვიდრთა „აღრევით ყოფის“ პრობლემის გადაქრას.

ამრიგად, „ძეგლის დადების“ შესავალ ნაწილზე დაუუძნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მთიანეთის ცალკეულ მხარეებში მოგზაურობამდე გიორგი V-ს მხოლოდ ზოგადად უნდა სცოდნოდა ის, თუ დაახლოებით სად საჭიროებდა მოვლას და მოკვლევას მთიელთა საქმეები და რომელი რაიონები წარმოადგენდა „მთის კაცთა“ „აღრევით ყოფის“ უმთავრეს კერებს. მაგრამ მეფე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჭეოვანად დარწმუნებული იმაში — მარტოოდენ „აღრევით ყოფის“ ცენტრალურ უბნებში მოუწევდა საგანგებო ღონისძიებათა გატარება, თუ შედარებით უფრო ნაკლებად „აღრეული“ მთიელებით დასახლებული მომიჯნავე რაიონების საქმეების მოკითხვის კვალობაზე ღონისძიებათა მასშტაბების გაფართოვებაც მოუხდებოდა. მოგზაურობისა და დარბაზის კრების შემდეგ კი მეფე, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაერკვა მთიანეთის საქმეების დაახლოებით ისეთ-სავე მდგომარეობაში, როგორსაც იგი წინასწარ მოელოდა და, რაც მთავარია, დარწმუნდა მათ მოსაგვარებლად გამიზნულ ღონისძიებათა შემუშავებისას დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობაში. მან თვალნათლივ დაინახა, რომ განაჩენის დადებას იმსახურებდა არა

ქართლის მთიანეთის (და მით უმეტეს საქართველოს მთიანეთის) ყველა მხარე, არამედ მხოლოდ არაგვის ხეობის მთიანეთის რამდენიმე კუთხე, სადაც ყველაზე უფრო მძაფრი ვითარება შექმნილიყო და სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას არეულობის კერები ეგულებოდა.

რაც შეეხება ხევსა და ცხრაზმის ხევს, არაგვის ხეობის მთისკუთხეებთან ერთად ისინი წარმოადგენდნენ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ-ეკონომიკურ რაიონებს, რომელთა მკვიდრთათვის ასევე არ უნდა ყოფილიყო უცხო „აღრევით ყოფა“ „ერთმანეთსა შიგან“ თუ არა, მეზობელ მთიელებთან ურთიერთობაში მაინც. თქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ წერილობით წყაროებში მოხვედები ფიგურირებენ პირაქეთელ მთიელთა მოკავშირეებად ცხრაზმისხეველთა წინააღმდეგ მოწყობილ ერთობლივ ლაშქრობაში, რამაც შემდეგში ცხრაზმისხეველთა საპასუხო რეაქცია გამოიწვია²⁷. თანაც ეს საკმაოდ სერიოზული კონფლიქტი წარმოიშვება „...შემდგომად გორისა აღებისა“²⁸, ანუ მაშინ, როდესაც გიორგი V-ს მეტ-ნაკლებად უკვე შეეძლო მოეცალა არეულ მთიელთა საქმეთა მოვლისათვის. სწორედ ამ არეულობის მიზეზების გამორკვევის საჭიროებით იყო ნაკარნახევი გიორგი ბრწყინვალის მიერ ხევისა და ცხრაზმის ხევის მოვლა, თუმცა ადგილზე საქმეთა მოკვლევამ ხსენებულ რაიონებში არ დაადასტურა ისეთი ექსტრემალური ვითარება, როგორც პირაქეთი არაგვის ხეობაში სუფევდა. ამის შესაბამისად კი ხევისა და ცხრაზმის ხევის მკვიდრთა „განჩენდაუდებლად“ (ე. ი. სპეციალურად მათთვის გათვალისწინებული სამართლის წიგნის გარეშე) ცხოვრება არც შეფასებულა არანორმალურ მოვლენად.

თუმცა მეფის ექსპედიციის შესვლას ხევსა და ცხრაზმის ხევში განსხვავებული მოტივაციაც შეიძლება გამოეძენოს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ხევსა და ცხრაზმის ხევში მინიმალური უწყესრიგობის არსებობის შესაძლებლობის ხელაღებით გამორიცხვის შემთხვევაშიც (რაც თავისთავად გაუმართლებელია) მარტოოდენ ხადა-ცხავატისათვის დამახასიათებელი სერიოზული უწყესრიგობის გამოსწორების საქმით დაკავებულ მეფეს მაინც უნდა გასჩენოდა ხევისა და ცხრაზმის ხევის მოვლის მოთხოვნილება. რატომ? — თუნდაც იმიტომ, რომ, ელემენტარული ლოგიკის თანახმად, შორსმჭვრეტელ ხელმწიფეს არც ჰქონდა უფლება თავის მონაპირე ქვეყნებთან უშუალო სიახლოვეში ყოფნისას არ ესარგებლა მათი საქმეების მო-

27 ძეგლი ერისთავთა, ქსმ, II, გვ. 107—109.

28 ძეგლი ერისთავთა, ქსმ, II, გვ. 108.

კვლევის (— დაკონტროლების) შესაძლებლობით, რაც მაშინდელ პირობებში ერთობ იშვიათად ეძლეოდათ თვით მეფეებს. ამასთან დაკავშირებით კი უთუოდ ნიშანდობლივია მაგ. ისე წილკნელის მისვლა ხევში წმ. ნინოს მიერ ხსენებული კუთხის მკვიდრთა „გარჯულის“ შემდეგ. რამდენადაც წერილობითი წყაროების თანახმად „ხევო ნინოს მოქცეულია“²⁹, ხოლო იმავე წყაროების მიხედვით ისე წილკნელი პირაქეთი არაგვის ხეობის მთიელთა გაქრისტიანების კამპანიაში მიღწეული წარმატებებით არის ცნობილი, („...ანანურს ზევით ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული იყო“)³⁰, ასურელი მამის გადასვლა ხევში შესაძლოა უფრო მეტად „დაზვერვითი“ ხასიათის ღონისძიებათა განრიგს მიეკუთვნებოდეს. როგორც ჩანს, პირაქეთ არაგვის „მთის კაცთა“ „კეთილად გარჯულის“ პრობლემის გადაწყვეტაზე მეცადინეობის ყამს ისემ საჭიროდ ჩათვალა ესარგებლა თავისი მოღვაწეობის ძირითად რაიონთან უშუალო სიახლოვეში მყოფი მხარის — ხევის „სასჯულო საქმეების“ შემოწმების შესაძლებლობით, რამაც მოულოდნელად ხსენებულ კუთხეში არაერთი უწესობა (— „მცირე რამ ქრისტიანობა“) დაადასტურა და, ცხადია, წილკნელს დამატებითი საზრუნავი გაუჩინა.

მართალია, ჩვენ ზუსტად ასეთივე კუთხით არ მოვითხოვთ ხევსა და ქსნის ხეობაში გიორგი V-ის მოგზაურობის მიზეზების ახსნას, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ვერც იმ ვარაუდს გამოვრიცხავთ, რომ მეფეს თავდაპირველად მხოლოდ პირაქეთი არაგვის ხეობის მთის თემებში (უწინარეს ყოვლისა კი ზაღა-ცხავატში) ჰქონოდა დაგეგმილი „მუნებურ“ საქმეთა საფუძვლიანად გარკვევა, ხოლო ამ რაიონში ასვლის შემდეგ, პრობლემური ორიენტაციის შესაბამისად, მას უკვე იმ „მთის ალაგების“ საქმეთა მიმართაც გასჩენოდა ინტერესი, რომელთა მცხოვრებნი „აღრევით ყოფის“ მიზეზს არ წარმოადგენდნენ, თუმცა გარკვეულად უკვე იყვნენ ჩართულნი ამ უწესრიგობის ორბიტაში. ამასთან, აღნიშნული ინტერესების დაკმაყოფილების მოთხოვნილება განსაკუთრებით უნდა გაეძლიერებინა იმ გარემოებას, რომ არაგვის ხეობის სათავეში ასულ მეფეს სხვა დროს შეიძლებოდა აღარც კი მისცემოდა არეულობის კერის მეზობლად მდებარე მთის რაიონების მოვლის საშუალება.

ასეა თუ ისე, ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — „ძეგლის დადების“ შედგენა მხოლოდ მთის იმ კუთხეებისათვის, სადაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, ისეთივე კანონზომიერი მოვლენაა, როგორადაც ბუნებრივია გიორგი V-ის

²⁹ წილკნელის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელი, ქსძ, III, ი. დოლიძის რედ., თბ., 1970, გვ. 560.

³⁰ იქვე, გვ. 558.

დაინტერესება არა მარტო მთიელთა არეულობის კერების მოვლითა და „მუნებურ“ საქმეთა მოხილვით, არამედ ძეგლის მომავალი სამოქმედო ტერიტორიის მეზობელ მთის მხარეთა ასევე ბოლომდე მოუწესრიგებელი საქმეების მოკვლევითაც, რამაც ძირითადად განაპირობა კიდევ მეფის მოგზაურობა ქსნის ხეობასა და ხევში.

დაბოლოს, სამეფო კარის მიერ გატარებული ღონისძიებების „გეოგრაფიის“ საკითხის შეძლებისამებ სრულფასოვანი გაშუქების საპირობება გვაეალებს წინა პლანზე წამოვწიოთ ძეგლის სამოქმედო ტერიტორიის უაღრესად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტიც, მით უფრო, რომ სწორედ მისი გაუთვალისწინებლობისა და აქედან გამომდინარე, საკუთრივ სამართლის ძეგლის მნიშვნელობის მექანიკური გაზვიადების მიზეზით ცალკეულ მკვლევართ ერთგვარად „ეცოტავათ“ კანონმდებლობის მოქმედების ტერიტორიის მასშტაბები და ამ უკანასკნელთა გაფართოვების მოთხოვნილება გაუჩნდათ.

„ძეგლის დადების“ შედგენის მიზეზებზე მსჯელობისას ჩვენ წინა პარაგრაფში ზოგადად უკვე მივლითითეთ სამეფო კარის შემუშოთებანე იმ „მთის ალაგების“ მკვიდრთა განაჩენდაუდებლად (ე. ი. მათთვის სპეციალურად განკუთვნილი სამართლის გარეშე) ცხოვრებით, საღაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. მაგრამ მაწინ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ ოფიციალური ხელისუფლება ერთნაირად არ შეიძლება აელელებინა მოვლენათა არასახარბიელო მსვლელობას ქვეყნის ნებისმიერ მთის რაიონში. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ცენტრალური ხელისუფლების შედარებით უფრო მეტი შეშფოთება იმ მთის რეგიონებში გვაბატონებული უწესრიგობით, რომელნიც მანამდე დანარჩენი მხარეებისაგან გამოირჩეოდნენ შინაგანი ცხოვრების სტაბილურობით, ხოლო „მუნებური“ მოსახლეობის „აღრევით ყოფას“ ყველაზე საგრძნობი ზიანის მიყენება შეეძლო „ყოველგნით უცილებლად პყრობისათვის ტახტისა და სკიპტრისა“. ამ თვალსაზრისით კი სამაგალითო რეგიონს წარმოადგენდა სწორედ არაგვის ხეობის მთიანეთი — „საჯაროს, სალაშქროს და საბეგროს“ დაუკლებლად შესრულება-გადახდის პირობით უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული და, ამდენად, ძველთაგანვე ქვეყნის მესვეურთა საგანგებო მუშარადლების ცენტრში მოქცეული მხარე და არა საქართველოს მიყრუებული, ჩამორჩენილი ან იზოლირებული რაიონი, როგორადაც მას ზოგჯერ წარმოსახავდნენ ხოლმე სამეცნიერო ლიტერატურაში³¹.

³¹ ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 96; ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68; ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ე. ვირსალაძის გამოცემა, გვ. 22.

მართლაც, საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში შიდა ქართლის მთიანეთი მასზე გამავალი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კომუნიკაციებით. რად ღირს თუნდაც დარიალის კლდეკართ ჩარაზული არაგვის გზა, რომლის დაუფლებით ქართველ მეფეებს ძველთაგანვე მიეცათ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკურ სამყაროზე თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ჰეგემონობის დამყარების და „მუნებურ“ მოსახლეობასთან ყველა სახის კონტაქტის განვითარების (უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ მკვიდრთა სამხედრო ძალით სისტემატური სარგებლობის), აგრეთვე იმიერკავკასიის ტერიტორიაზე მომთაბარე მრავალრიცხოვან ტომთა (ან საკუთრივ ჩრდილოკავკასიელ მთიელებს) დამარბეველი შემოსევებისაგან საკუთარი სამეფოს დაცვის შესაძლებლობა. მსოფლიო ისტორიაში საქართველოს ალბათ ძნელად თუ მოეძებნება ღირსეული ანალოგი მეორე ისეთი ქვეყნის სახით, რომლის შინაგანი ცხოვრების მშვიდობიანად, ნორმალური რიტმით განვითარება, ჩრდილოეთი საზღვრის საკმაოდ ვრცელი ნონაკვეთის უსაფრთხოება და საერთოდ მთელი სახელმწიფოს ძლიერება ესოდენ დიდად ყოფილიყო დამოკიდებული ქვეყნის მეპატრონეთა მიერ ერთი უმთავრესი მაგისტრალის ყველა უბნის მტკიცედ „პყრობისა“ და ამ უკანასკნელის ეფექტიანი ექსპლუატაციის ფაქტორზე. ამასთან, ჯეროვანი სისრულით წარმოჩენას იმსახურებს იმავე არაგვის გზის მიერ შეთვისებული სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაც, პრაქტიკულად გამოხატული სამხრეთიდან მომხდლური მტრისაგან მრავალგზის დაწიოკებული ხალხის დიდძალი ჰასების სასწრაფოდ შეხიზვნის საქმის შეძლებისამებრ ოპერატიულად და რიგიანად ორგანიზაციის სფეროში, რითაც ქართლის მთიანეთის მოზრდილი რაიონი, უწინარეს ყოვლისა კი არაგვის ხეობის „მთიულეთი“ (მთიანეთი), დროდადრო ბარის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის უახლოეს და უმთავრეს თავშესაფრად იქცეოდა. მასასადამე, კავკასიონის ქედს და ქართლის მთიანეთს (ხოლო უპირატესად მაინც არაგვის, თერგისა და ქსნის ხეობის მთის ალაგებს) თავისი შეუვალი ხეობებით, ვიწრო გასასვლელებით და მრავალრიცხოვანი ციხე-კოშკებით არსებული ვითარების შესაბამისად წარმატებით შეეძლო შეესრულებინა არა მარტო ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის ბუნებრივ მცველად აღმართული გადაულახავი კედლისა და იმიერკავკასიის ქვეყნებზე საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელების ძირითადი პლაცდარმის, არამედ ბარის ზოლიდან იძულებით აყრილი მოსახლეობის, არაიშვიათად თვით მეფეთა, მთავართა და წარჩინებულთა სახელელობის საიმედო თავშესაფრის როლიც. ამიტომ, შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ საქართველოს მთის რეგიონ-

წებს შორის სწორედ „ორი არაგვისა“ და ქსნის ხეობის მთის რაიონებს ეკუთვნოდნენ პირველობა მათი მიწა-წყლის ფარგლებში (ძირითადად კი არაგვის გზისა და მისი განშტოების პირად) ლოკალიზებული მეფეთა სასახლეებისა და აღნიშნულ მხარეებში გარკვეული მიზეზით ამოსულ მეფეთა დროებითი შეჩერებისათვის (ან შეხიზნისათვის) განკუთვნილ საცხოვრებელ კომპლექსთა, აგრეთვე, საფორტიფიკაციო თუ სხვა დანიშნულების მქონე ნაგებობათა თვალშისაცეში სიმრავლის თვალსაზრისით, ეს თვალნათლივ მტკიცდება წერილობით წყაროებში დაცული ცნობებითაც (იმავე „ძეგლის დადების“ შესავალში მოცემული განმარტებაც ხომ უდავოს ხდის უინვალსა და მუხრანში მეფის სასახლეების არსებობის ფაქტს³². უპრიანია, ამას დაემატოს ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერაში“ მეფეთა სასახლეების მოხსენიება შესაბამისად მთიულკარის ზევით, ს. ნაღვარეთან, ციკარას აღმოსავლეთით და დარიალის ციხის ქვემოთ მდებარეობიერებად³³, 60-კომკოვანი ციკარას (ან ციკარესა) და ხევისა და ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეების მრავალრიცხოვნებისა და სიმტკიცის ფაქტზე სისტემატური მინიშნებები სხვადასხვა საისტორიო თხზულებებში³⁴ და ა. შ., რაც თავის მხრივ აღნიშნული რეგიონების გამოჩენილი მნიშვნელობის კიდევ ერთ დამაჯერებელ მოწმობას წარმოადგენს. დაბოლოს, წინასწარი ვარაუდის დონეზე მიზანშეწონილი ჩანს იმის შესაძლებლობის დაშვებაც, რომ სწორედ არაგვის ხეობის მთიანეთის საქმეების „მოვლით“ სამეფო კარის განსაკუთრებულმა და, რაც მთავარია, მუდმივმა დაინტერესებამ და ხსენებული რეგიონის „პოპულარობის“ მკვეთრად გაზრდამ მისი პოლიტიკური და სოციალური სტატუსის ამაღლების კვალობაზე (—სიტყვა „მთიულეთით“ ხშირმა სარგებლობამ არაგვის ხეობის მთიანეთის მისამართით) განაპირობა კიდევ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ზოგადად მთიანეთის აღმნიშვნელ ცნებად ხმარებულ ტერმინ „მთიულეთის“ თანდათანობით დავიწროვება-დამკვიდრება მაინცდამაინც არაგვის ხეობაში მდებარე ხადისა და ცხავატის თემების ერთ განსახლვრულ ტერიტორიაზე, ოღონდ ამჯერად უკვე კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის (კუთხის) აღსანიშნავად გამოყენებული სახელწოდების სახით, თუმცა ეს საკითხი გაცილებით უფრო დავწრილებით გაშუქებას საჭიროებს და მასზე სხვა დროს გვექნება ფართო მსჯელობა.

32 ძეგლის დადება, ქსძ, I..., გვ. 401.

33 ვახუშტი, აღწერა..., ქსძ, IV, გვ. 354, 355, 358.

34 ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II..., გვ. 102—106, 115; ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე — ტექსტი, ქს, II, გვ. 443—444; ვახუშტი, აღწერა..., ქს, IV, გვ. 354—360 და სხვ.

ამდენად, ყოველივე წინთქმულის გათვალისწინების საფუძველზე საჯავახოთ კანონზომიერად გვესახება არაგვის ხეობაზე გამავალი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალის პირად, ან მასთან ახლო მდებარე მთის კუთხეების (ხევი, ხადა, ცხავატი, გუდამაყარი, ხანდო, ქართალი, ცხრაზმა) ძველთაგანვე ყოფიერება სამეფო ხელისუფლების მიერ მტკიცედ ხელდებულ მხარეებად, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტემპი იმთავითვე რამდენადმე დაჩქარდა, განსხვავებით ზოგიერთი სხვა მთის რაიონებისაგან, რომელთა საზოგადოებები თავიანთი შედარებით უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი პერიფერიული მდებარეობის, ეკონომიკური ბაზის მეტი „დაჩიხულობისა“ და სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიურობის კვალობაზე „განვითარებული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში უფრო ჩამორჩენილი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ავტონომიური ფუნქციონირების“³⁵ კლასიკური ნიმუშად გვევლინება. ამ თვალსაზრისით კი უთუოდ მეტად ნიშანდობლივია ქართლის მთიანეთის ჩვენთვის საინტერესო რეგიონისა და კახეთის მთიანეთის სფეროში შემავალი კუთხეების (ფხოვის — გვიანდელი ფშავ-ხევსურეთის, თიანეთის, თუშეთის) მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ტიპოლოგიური მოდელის განმსაზღვრელი ზოგიერთი მხარის შეპირისპირებითი დახასიათება მათ შორის არსებული კონტრასტის გამოვლენის პერსპექტივით, რაც ამჟღად მოკლედ შეგვიძლია განვახორციელოთ როგორც XIV ს-ის წინმსწრები, ისე უფრო მოგვიანო პერიოდის (XV—XIX) ისტორიული ვითარების ამსახველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე.

როგორც ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეები იმთავითვე უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ სახასო ქვეყნებს წარმოადგენდნენ. ამ უკანასკნელთა გამგებლობის საქმეს ანხორციელებდნენ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები — ერისთავები, რომელთაც ეკისრებოდათ „... მეფისა მიერ განწესება ქუეყანათა მიმართ და მის მიერ შოუტრნობა. სამართალნი და ლაშქარნი მის ქუეყნისანი მის ქუეშევე იყვნენ...“³⁶ რამდენადაც ძველ საქართველოში XV ს-მდე მოქმედი კანონის ძალით „მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძალედვა, სპანი შცველად თვსად... ხოლო სხუანი სპანი იყვნენ ქუეყანათაგან და ერის-

35 გ. მელიქიშვილი, ქართველ მთელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1, 1979, გვ. 19.

36 ვახუშტი, აღწერა..., ქც, IV, გვ. 18.

თავთა ქუეწე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად³⁷, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით შემოღებული ვალდებულებებით დაბეგვრისაგან საერისთაო მხარეებში მცხოვრებ „მთის კაცთა“ დაზღვევის შესაძლებლობაც ნიადაგ თავიდანვე გამოირიცხა, თუქცა მთიელთა და ბარელთა ბეგარა-ვალდებულებათა ხასიათის შეფასებისას უსათუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბარის რეგიონისაგან განსხვავებით, შეზღუდული სამეურნეო-ეკონომიკური ბაზის მქონე მთიელებს სამეფო კარმა ძველთაგანვე რამდენადმე შეუმსუბუქა ფისკალური ტვირთი მათთვის სამხედრო ვალდებულებების სამაგიერო გაზრდა-გამკაცრებისა და სალაშქრო საქმის უპირატესი მნიშვნელობის ოფიციალური დაკანონების პირობით.

მართალია, მთის თემებზე „საჯარო, საბეგრო და სალაშქრო“ ვალდებულების დაკისრებით ძირითადად დამაკმაყოფილებლად იქნა გადაპირილი სახასო ყმების სტატუსში იქაურ მკვიდრთა გაფორმების ერთობ რთული ამოცანა, ხოლო ქვეყნის მესვეურთა საფუძვლიანმა დაინტერესებამ თავისუფლებისმოყვარე და „მებრძოლი ბუნების“³⁸ მთიელებთან ურთიერთდამოკიდებულებაში შეძლებისამებრ მოქნილი „პოლიტიკის“ შემუშავებით მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მათ „ქვეყნებში“ სახელმწიფო ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებას, მაგრამ სამაგიეროდ მან ვერასგზით ვერ უზრუნველყო აღნიშნული პროცესის თანაბარი ინტენსიურობით განვითარება უკლებლივ ყველა მთიან რეგიონში, რომელთა შორის არასდროს არც წაშლილა განსაზღვრული სხვაობა არსებულ რეჟიმთან „შემგუებლობის“ თვალსაზრისით. თქმულის საილუსტრაციოდ კი პირველ რიგში გამოდგება თუნდაც საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანების ისტორიის ამსახველი წერილობითი წყაროები, რომელთა თანახმად „ქართლის მოქცევის“ დროს, მართალია, „არა ნათელ-ილეს მთიულთა (ე. ი. მთიელთა, ვ. ი.) კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისას, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე“³⁹, ხოლო წმინდა ნინოს გულმოდგინე ქადაგების შესმენის ნაცვლად „არა ინებეს ნათლისღება“⁴⁰, მაგრამ ახალი იდეოლოგიისადმი „მთის კაცთა“ დაპირისპირების საერთო ფონზე მაინც სრულიად აშკარაა კახეთის მთიელთა უმრავლესობის განსაკუთრებით მძაფრი რეაქცია მათ სამოსახლო მხარეებში ქრისტიანობის იძულებით დანერგვის ცდაზე. ამას

37 იქვე.

38 თ. ყ ა უ ხ ზ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 128.

39 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქც. I, გვ. 114.

40 იქვე, გვ. 125.

თვალნათლევ მოწმობს აღნიშნული მოვლენით უკმაყოფილო ფხოველთა და ყვარელთა თუშეთში მასობრივი გარდახეწის ფაქტო, რისთვისაც მათ სხვა ზრჩ მთიელებთან ერთად, სრულიად სამართლიანად დაიმსახურეს სამეფო კარის საპასუხო დამსჯელი აქცია (მათზე მანამდე უკვე დაკისრებული ხარკის დაუყოვნებლივ დამძკება)⁴¹, მაშინ როდესაც ქართლის მთიელთა „კეთილად გარჯუღვის“ კამპანია შედარებით უფრო მშვიდი და ეფექტიანი ხასიათი, სუვარაღღოა, მიეღო უკვე მას შემდეგ, რაც წობენში დაბარებულ ქართალელთა, ფხოველთა, წილკანელთა და გუღამაყრელთა თვითნებობით მოთმინებადაკარგულმა „ერისთავმან მეფისმან მკირედ წარმართა ნახვლი მათ ზედა, და ძლევიტ შემუსრნა კერპნი მათნი“⁴².

ამდენად, ქართველ მთიელთა მოქცევისათვის თანმხლები სიძნელებების მაგალითზე უკვე თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდაქმნისადმი კახეთისა და ქართლის მთიელთა რამდენადმე განსხვავებული დამოკიდებულების, კერძოდ, სამეფო კარის ღონისძიებებისადმი პირველთა უფრო მეტი შეურთიგებლობის იმ ძირძველი ტენდენციის საკმაოდ მკაფიო გამოკვეთილობაზე, რომლის ძალიტ წერილობით წყაროებში უფრო ხშირად სწორედ „მთიულნი კახეთისანი“⁴³ (// კახეთის მთიელები) ფიგურირებენ არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების პირველ და ნაკლებად საიმედო ქვეშევრდომების, არამედ თვით ფართოპასტაბიანი ამბოხების წამომწყებების ან უშუალო მონაწილეების სახით.

წინთქმულთან დაკავშირებით კი უწინარეს ყოვლისა საინტერესოა XIII ს-ის ისტორიული ვითარების გახსენება, როდესაც „იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა... იწყეს რბევად და ჯოკად და ტყუეობად, ცხადად და ღამით“⁴⁴ და სამეფო კარს ფრიად ხანგრძლივი სამხედრო ოპერაციების წარმოება დასჭირდა აჯანყებულ მთიელთა მორჩილებაში მოსაყვანად⁴⁵. ამასთან, როგორც აჯანყების მსვლელობასა და მისი ჩახშობისთანავე „ქმნული ზავის“ პირობებზე დაკვირება გვაფიქრებინებს, ამბოხების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ფხოველთა (გვიანდელ ფშაველთა და ხევსურთა) უკმაყოფილება მათზე ძველთაგანვე დაკისრებული სა-

41 მოქცევაი ქართლისაჲ, „ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, I, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1964, გვ. 88; ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქც, I, გვ. 126; ვახუშტი, აღწერა..., ქც, IV, გვ. 93.

42 ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქც, I, გვ. 125.

43 ქუანშიერი, ცხოვრება... გორგასლისა, ქც, I, გვ. 205.

44 ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, ქც, II, გვ. 111.

45 იქვე, გვ. 111—112.

ხელმწიფო ბეგარა-ვალდებულებების დამძიმებით, თუმცა არაა გამოკლებული იმის შესაძლებლობაც, რომ ფხოველთა „განდგომისათვის“ ბიძგი მიეცა ცენტრალური ხელისუფლების მეურვეობისაგან სრული განთავისუფლებისა და სამხედრო დემოკრატიის დროინდელი დაკარგული უფლების აღდგენისაკენ მათი ტრადიციული სწრაფვის სტიქიურ გაძლიერებას, რაც საერთოდ, უფრო მეტად, ხაზგასმული პერიფერიული მდგომარეობით გამორჩეული მთის მხარეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის დამახასიათებელი მოვლენა ჩანს.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული აჯანყების შემდეგაც, კახეთის მთიანეთის კუთხეები (თიანეთის გამოკლებით), კვლავ გვევლინებიან „მთის კაცთა“ არაერთი სერიოზული განდგომის თუ არეულობის უმთავრეს კერებად. იმავე ფხოველთა, ხოლო მოგვიანებით ფშავ-ხევსურ-თუშთა თვითნებობისა და არსებული რეჟიმისადმი მათი „ურჩობის“ დამადასტურებელი ფაქტების ღირებულებას აძქერად იძენენ უკვე XIII—XVIII სს-ის პერიოდის ამსახველი ის წერილობითი მონაცემები, რომელნიც არანაკლები დამაჯერებლობით მიგვანიშნებენ ხსენებულ მთიელთა ხელახალი დახარკვის, შეღავათიანი ყმობის პირობით სამხედრო და ფისკალური ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე მათი დათანხმების ან იმავე ვალდებულებებით იძულებითი დაბეგვრის ძნელად გადასაწყვეტი პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობაზე⁴⁶. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანაშიც“ (XII ს. II ნახ. და XIII ს-ის დასაწყისი) კი კახეთის მთიანეთის კუთხეებში (თიანეთის გამოკლებით). საქმოდ ძლიერი იყო „განდგომის“ სულსკვეთება, ადვილი წარმოსადგენია მისი მასშტაბები ქვეყნის ერთიანობის მოშლის შემდეგ, როდესაც სახასო ყმებად დარჩენილ თუშ-ფშავ-ხევსურებთან არაერთგზის გამწვავებული ურთიერთობის მოწესრიგება ჯერ კახეთის მეფეების, ხოლო მერე ქართლ-კახეთის გამგებელ ხელმწიფეთა საზრუნავს შეადგენდა.

სამაგიეროდ რამდენადმე განსხვავებული ვითარება დასტურდება ქართლის მთიანეთში (პირველ რიგში კი ორი არაგვისა და ქსნის ხეობების „მთის ალაგებში“), რომლის მკვიდრთა დაბეგვრა სახელმწიფო გადასახადებითა და სამხედრო ვალდებულებებით იმთავითვე შედარებით უფრო ნაკლებ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ასეთნაირი კვალიფიკაციის სასარგებლოდ დამაჯერებლად მეტყვე-

⁴⁶ უკვე აქამდე აღმწერელი, ქც, II, გვ. 230; ახალი ქართლის ცხოვრება, მე-სამე ტექსტი, ქც, II, გვ. 512; ვახუშტი აღწერა., ქც, IV, გვ. 407, 554, 568, 573; პაკუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ. 1981, გვ. 222—223 და ა. შ.

ლეგენ ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები, სადაც დასახელებული მხარეების მოსახლენი მეტწილად ფიგურირებენ სახასო ყმობის რეჟიმში იძულებით „დაპტირებულ“ „მთის კაცებად“, რომელთაც ოფიციალური ხელისუფლების მტკიცე კონტროლიდან გამოსვლის ნაკლებად პერსპექტიული ცდების ნაცვლად, საქვეყნოდ გამრიგე მოხელე-ერისთავთა („საერისთოდ დაპყრობის“ პერიოდში კი არაგვისა და ქსნის ერისთავთა) ბრძანებების „ულაპარაკოდ“ შესრულება უხდებათ. ძველი ქართული საისტორიო თხზულებები, სამართლის ძეგლები და სხვადასხვა სასიათის დოკუმენტები, მართლაც, არ შეიცავენ სათანადო მითითებებს აღნიშნულ რეგიონში „საჯარო, საბეგრო და სალაშქრო“ ვალდებულებათა დანერგვის პროცესის მძიმედ მსვლელობაზე, რომ არაფერი ვთქვათ წყაროების თითქმის სრულ ღუმილზე იმავე რეგიონში მომხდარი ისეთი სერიოზული „განდგომის“ შესახებ, როგორც ისაც კახეთის მთიანეთის ისტორიულ წარსულში არაერთგზის ჰქონდა ადგილი. პირიქით, ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ქართლის მთიელებზე დაკისრებულ ბეგარა-ვალდებულებათა შესრულების საქმის ორგანიზაცია თავის დროზე ისეთ სიმაღლეზე ჩანს აყვანილი, რომ ცენტრალური ხელისუფლება მთის თემებში ეპიზოდურად შექმნილი ექსტრემალური მდგომარეობის საჩქარო გამოსწორების მიზნით უკვე აქტიურად მიმართავდა სწორედ არაგვის, თერგისა და ქსნის ხეობის მთიელთა, ვითარცა თავის ყველაზე საიმედო ქვეშევრდომთა ძალებით ფართომასშტაბიანი სარგებლობის პრაქტიკას. ამას ნათლად მოწმობს თუნდაც იმავე ფხოველ-დიდოთა დიდი აჯანყების მიმდინარეობის ფაქტი, როდესაც ამბოხებულთა წინააღმდეგ სალაშქროდ „მოუწოდა მეფემან (თამარმა, ვ. ი.) ათაბაგსა და ყოველთა შთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოკვეეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ქართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“⁴⁷.

მაგრამ დასახელებულ „მთის კაცთა“ მიერ „საჯაროს, საბეგროს და სალაშქროს“ რიგიანად შესრულებას, პირველ რიგში კი მაინც საიმხედრო ვალდებულების პირნათლად მოხდას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საგარეო მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ წარმოებული საომარი ოპერაციების წარმატებული მსვლელობა დიდად იყო დამოკიდებული სწორედ „ორი არაგვის“ და ქსნის ხეობების მთიელთა, ვითარცა მეფის ლაშქრის შემგვებ მებრძოლთა გამომყვანი უმთავრესი რეგიონის მცხოვრებთა დარაზმვაზე ხელმ-

47 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქც, II, გვ. 111.

წიფის დროშის ქვეშ. სხვათა შორის, ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დაარჩენია ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის „აღწერის“ ერთ-ერთ თავში XIV ს-ის ისტორიული ამბების გადმოცემისას არაგვის ხეობის მთიანეთი სამეფო სპის შემწეთა მომწოდებელ და ხელმწიფეთა თავშესაფარ ძირითად რაიონად არის დახასიათებული („...წარმოემართა თემურ შესლვად მთიულეთს, რამეთუ გამოჰყავს გიორგი მეფესა მუნიდამ შემწენი და კულად ჰგონებდა მეფესაცა მუნ. შეუქდა არაგუს...“⁴⁸), ხოლო იმავე თხზულების სხვა ადგილას, სადაც უკვე XV ს-ის შემდგომ ვითარებაზეა ლაპარაკი, დაახლოებით იგივე აზრია განვითარებული, ოღონდ ამჯერად უკვე მოხევე-მთიულთა დამსახურებაცაა საგანგებოდ ხაზგასმული („ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა... არლარა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი კეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკვე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოდ...“)⁴⁹. ამდენად, ისტორიკოსი არ კმაყოფილდება მთიელთა მაღალი ბრძოლისუნარიანობისა და შეუპოვარი ხასიათის შესახებ საყოველთაოდ გაბატონებული აზრის უბრალო კონსტატაციით და კონკრეტული საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე თითოეული რეგიონის მნიშვნელობის ობიექტურად შეფასებას ცდილობს.

მართალია, ვახუშტი არაფერს ამბობს ხსენებულ მთიელთა ბეგარა-ვალდებულებათა მეორე მხარეზე — სახელმწიფო გადასახადებზე, მაგრამ ამ უკანასკნელით დატვირთვის, ისევე როგორც სალაშქრო საქმის ორგანიზაციის დონეზე, სათანადო წარმოდგენას გვიქმნის სხვა არანაკლებ საინტერესო წერილობითი საბუთები, რომელთაგან ამჯერად საკმარისია დავასახელოთ თუნდაც არაგვის საუფლისწულოს მთის სოფლების 1774 წლის და იმავე საუფლისწულოს 1781 წლის, აგრეთვე ქსნის საერისთავოს მოსახლეობის 1774 და 1781 წლების აღწერები⁵⁰. ისინი ხომ სწორედ აღნიშნული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობაზე დაკისრებულ ბეგარა-ვალდებულებათა რიგის შეძლებისამებრ სრულყოფილად განსაზღვრის, უპირველესად კი მაინც ადგილობრივ მკვიდრთა შორის სამხედრო-ვალდებულ პირთა საერთო რაოდენობის დაზუსტების მიზნით იქნა ჩატარებული. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით იგივე ამოცანის

48 ვახუშტი, აღწერა, ქტ. IV, გვ. 271.

49 იქვე, გვ. 31.

50 მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1907, გ. 428—486; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წ. I, გვ. 105—139; 183—204; 205—226.

გადაქრას ემსახურებოდა უფრო ადრე (1770 წელს) ჩატარებული ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერაც⁵¹, ამ უკანასკნელის შემდეგ იფიციალურმა ხელისუფლებამ აღარ ჩათვალა საჭიროდ ანალოგიური ხასიათისავე, მაგრამ უფრო ვიწრო (რეგიონალური) მასშტაბის ღონისძიების გატარება კახეთის მთიანეთში, რაც უთუოდ ქართლის მთიანეთის განსაკუთრებული მნიშვნელობის (სახასო ყმობის მაპროფიტებელი ბეგარა-ვალდებულებებით აქაური მოსახლეობის შედარებით მეტი დატვირთულობის) აღიარების კიდევ ერთ მოწმობას წარმოადგენს.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებიდან ძალაუნებურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ძველთაგანვე ხელდებულ ქართლისა და კახეთის მთიანეთს საშეფო კარმა დაახლოებით ერთნაირი ბეგარა-ვალდებულებები (სალაშქრო საქმე და სახელმწიფო გადასახადები) დაუწესა. მაგრამ მათი წარმატებული დანერგვისათვის და, ამდენად, სახასო ყმობის რეჟიმის განმტკიცებისათვის ქართლის მთიანეთის კუთხეებში (უწინარეს ყოვლისა კი არაგვის, თერგისა და ქსნის ხეობების მთის თემებში) უფრო ფართო ასპარეზი აღმოჩნდა, ვიდრე კახეთის მთიანეთის მხარეებში (თიანეთის გამოკლებით) ამ რეგიონის რამდენადმე უფრო იზოლირებული, პერიფერიული მდებარეობისა და ქვეყნის პოლიტიკურ-კონომიკური ცხოვრების მაიმპულსირებელი „ცენტრისაგან“ მეტი დაცილების მიზეზით.

აღნიშნული ვითარების გათვალისწინების საფუძველზე, ვფიქრობთ, ასევე სრულიად კანონზომიერია ქართლისა და კახეთის მთიანეთში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების განსხვავებული დონეების დადასტურება ჩვენს განკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე. მართლაც, როგორც წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვარწმუნებს, ქართლის მთიანეთისაგან განსხვავებით, კახეთის მთიანეთში ძალზე „მტკიცეულად“ ჩაიარა სამხედრო დემოკრატიის დროინდელი ძველი სასოფლო თემების უშუალოდ სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად გარდაქმნის პროცესმა და აქ მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გადაჭრილი სამეფო კარის ინტერესების გამომხატველი პრივილეგირებული ზედაფენის (resp. ადგილობრივი მსახურეული არისტოკრატიის) შექმნის ამოცანა. მოვლენათა ასეთნაირმა მსვლელობამ კი, მთელ რიგ სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად (რთული კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, ეკონომიკური ბაზის შეზღუდულობა და ზედმეტი

51 ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1770 წელს, ქსძ, II, გვ. 420—421.

პროდუქტის წარმოების მინიმალური შესაძლებლობიდან გამომდინარე პრობლემები და ა. შ.) განაპირობა ხსენებულ რეგიონში ბარის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების მაპროფილებელი ელემენტების იძულებითი „ექსპორტირების“ ცდის ნაკლები ეფექტიანობა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შედარებით სუსტი სოციალური დიფერენციაცია და, საერთოდ, სახელმწიფო ხელისუფლების პოზიციების შემდგომი განმტკიცების გზების „დაჩიხულობა“. ხოლო რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლება, ჩვენთვის გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, ფაქტურად მოკლებული იყო შექმნილი მდგომარეობის რადიკალური გამოსწორების შესაძლებლობას, მას დღენიადაგ უწყევდა გარჯა კახეთის მთიანეთის მოსახლეობასთან ურთიერთობის შექმნის სრულყოფაზე, რამაც ქვეყნის მესვეურნი თავის დროზე დაარწმუნა ადგილობრივ „მთის კაცთა“ შედარებით შედარებითი ყმობის რეჟიმის დაკანონებისა და აქაური მთის თემების შინაგან ცხოვრებაში მეტი „ავტონომიურობის“ დაშვების მიზანშეწონილობაში. მათმა ასეთნაირმა პოზიციამ კი თავის მხრივ, კიდევ უფრო შეუწყობ ხელი დასახლებულ რეგიონში ისედაც ძლიერი თემობრიობის ტრადიციების ხანგრძლივად შემონახულობას და სამხედრო დემოკრატიის პერიოდისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წარმოების კონსერვაციას, რაც თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის და, საერთოდ, მთელი საზოგადოების ტიპოლოგიის განმსაზღვრელ ისეთ მომენტებში, როგორცაა საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები, ხალხური სამართალი, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, ურთიერთდახმარების ტრადიციები და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ სწორედ კახეთის მთიანეთის კლუბების ასეთმა სპეციფიკამ და, რაც მთავარია, ხსენებულ რეგიონში მცხოვრებ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში დაფიქსირებული არქაულობის ელემენტების იდეალიზაციამ შეიყვანა შეცდომაში არაერთი ქართველი, რუსი და უცხოელი მკვლევარი, რომელთაც აღნიშნული რაიონების მოსახლეთა საზოგადოების განვითარება პირველყოფილ-თემური წყობილების საფეხურს არ ააცილეს, თუმცა ამ ხარვეზზე სხვა დროს გვექნება დაწვრილებით საუბარი.

რაც შეეხება ქართლის მთიანეთს, აქ საზოგადოებრივი ცხოვრება შედარებით წინ იყო წასული, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა იმთავითვე უფრო აქტიურად იქნა ჩართული ფეოდალურ ურთიერთობათა ორბიტაში. „მუნიციპალიტეტის“ წვრილი ერის რჩეულ წარმომადგენელთა მიზიდვამ სამეფო კარის „ერთგულად სამსახურსა შინა“ (— მათთვის სამაგიერო წყალობის გაცემის პირობით) და აქაურ მსახურეულ პირთათვის სხვადასხვა პრეროგატივათა დაწესე-

ბამ არა მარტო გააღრმავა არაგვის, თერგისა და ქსნის ხეობის მთის, ზოლის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი, არამედ სამეფო ხელისუფლებას ძველთაგანვე მისცა ხსენებულ რაიონებში თავის საიმედო ქვეშევრდომთა მომრავლების კარგი შესაძლებლობა, რამაც თავის მხრივ, სხვა არანაქლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად (მაგ., არაგვის გზის როლი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების, მთისა და ბარის კონტაქტების ინტენსიფიკაციის საქმეში, შედარებით უფრო ხელსაყრელი კლიმატური და სამეურნეო პირობები საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ა. შ.) დიდად შეუწყო ხელი დასახლებულ მხარეებში ცენტრალური ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებას. სხვათა შორის, აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელი ჩანს არა მარტო „ძეგლის დადების“ წინმსწრები პერიოდისათვის, არამედ XIV—XVIII სს-ის ისტორიული სინამდვილისათვისაც, როდესაც „მეფის მცველთა“ გამოყვან უმთავრეს რეგიონად ფუნქციონირება კვლავინდებურად განსაზღვრავდა ქართლის მთიანეთის კუთხეების გამორჩეულ როლს მთელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო სამეფო კარს ავალებდა „მუნებურ“ საქმეთა მოკითხვის საქმისადმი ჭეროვანი პასუხისმგებლობით მოკიდებას.

უთუოდ ქართლის მთიანეთის ამგვარმა სტატუსმა და სახელმწიფოს სისტემატურმა გარჯამ აქაური საქმეების მოწესრიგებისათვის დააზღვია კიდევ ეს რაიონი მთიელთა მასობრივი „განდგომისაგან“, რაც არ შეიძლება იქნეს გააზრებული თუნდაც იმ სერიოზული უწყსრიგობის ტოლფას მოვლენად, რასაც XIII ს-დან ჰქონდა ადგილი ქართლის მთიანეთის ზოგიერთ მხარეში, ძირითადად კი არაგვის ხეობის მთის თემებში და რამაც ხსენებული ხეობის მოსახლეობისათვის საგანგებოდ გათვალისწინებულ „ძეგლის დადებამდე“ მიიყვანა ქვეყნის ხელისუფალნი.

თუ „ძეგლის დადების“ შესავალ ტექსტში მოცემულ განმარტებაზე დაფუძნებით მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხსენებული ხეობის მთიელთათვის განაჩენის დადების ამოცანა მეტნაკლები აქტუალობით სამეფო კარის დღის წესრიგში ჭერ კიდევ მაშინ იდგა, როდესაც მის გადაწყვეტაზე მეცადინეობას „ჟამის შემოსრულობის“ მიზეზით თითქმის არც ჰქონდა აზრი, ადვილი წარმოსადგენია რაოდენ აუტანელი ვახდებოდა გიორგი V-თვის აღნიშნულ რაიონში გაბატონებულ უწყსრიგობასთან („ყოლ სამართლის აღარ ყოფნასთან“) შეგუება ქვეყნის ერთიანობის აღდგენის შემდეგ, როდესაც „ჟამის შემოსრულობისა“ და წამოწყებული საქმის „ვერ მოსწრების“ პრობლემა უკვე დაძლეული იყო. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია სჯულმდებლის მხრიდან გამოვლენილი დაინტერესება

უწინარეს ყოვლისა სწორედ არაგვის ხეობის მთიელთა საქმეების შეიძლებისამებრ დროულად, ოპერატიულად და საგულდაგულოდ „მოკვლევით და განჩინით“, რამაც თავისი კანონზომიერი გამოხატულება პპოვა „ქეგლის დადების“ სახით ერთობ დიდი მნიშვნელობის ღონისძიებების გატარებაში მარტოდენ ერთი განსაზღვრული მთის რეგიონისათვის და არა თუნდაც მის მომიჯნავე მხარეებში.

მაშასადამე, უპირატესად ქართლის მთიანეთის სფეროში შემავალი არაგვის ხეობის პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ფაქტის გათვალისწინება არსებითად გვიადვილებს არა მარტო იმ ჩვენს მიერ უკვე გამოკვლეული საკითხის უფრო ღრმად გაშუქებას, თუ მაინც რა მიზეზებმა განაპირობა სპეციალური სამართლის განჩინება მხოლოდ არაგვის ხეობის მთიელთათვის, არამედ ეს ხელს უწყობს აგრეთვე აღნიშნული საკითხის იმ საგულისხმო ასპექტის დაზუსტებასაც, თუ მაინც რა მიზეზით შეიძინა განსაკუთრებული აქტუალობა მარტოდენ ერთი განსაზღვრული რეგიონისათვის (— არაგვის ხეობის მთიანეთისათვის) ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების ამოცანამ.

წინაქმელის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქეგლის დადების“ მოქმედების ფარგლების დადგენა სჯულმდებელი მეფის მიმოსვლის მარშრუტის მიხედვით, რასაც ადგილი ჰქონდა სამეცნიერო ლიტერატურაში და რაც იწვევდა ხევისა და ქსნის ხეობის (იშხანად ცხრაზმის ხევად სახელდებული რეგიონის) მთიანეთის მექანიკურ შეყვანას სამართლის ქეგლის მოქმედების ტერიტორიაში? სრულიად გაუპართლებელია.

ვითარების ასეთნაირად შეფასებასთან დაკავშირებით განმეორებით უნდა ითქვას, რომ მეფის მოგზაურობის მარშრუტის შესახებ არსებულ ცნობებზე დაფუძნებით შესაძლებელი ხდება მსჯელობა იმაზე, თუ ექსპედიციამ როგორ მოიარა ქართლის მთიანეთის რამდენიმე ხეობა მუნებურ საქმეთა მოსაკვლევად, მაშინ როდესაც პირდაპირ მინიშნებას ქეგლის მოქმედების ტერიტორიაზე ვხვდებით იმავე შესავალი ნაწილის სხვა ადგილას, სადაც უკვე დაჭამებულია აშლილი მთიელების საქმეთა მოკვლევის მიზნით ორგანიზებული მოგზაურობის შედეგები და გარკვევითაა ნაჩვენები დარბაზის კრების გადაწყვეტილებით დადგენილი განაჩენის გავრცელების ფარგლები. რამდენადაც ეს ცნობა ზემოთ უკვე იყო განხილული, მისი ხელმე-

52 ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, გვ. 307—309; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 100; ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 41; ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68; ბ. ლომინაძე, მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, გვ. 632 და სხვ.

ორედ დამოწმების და გაანალიზების საჭიროება ამჟერად არ ჩანს. სამაგიეროდ ყურადღების აქცენტირება გვმართებს სამართლის ძეგლის შესავალშივე და ძირითად ტექსტში დაფიქსირებულ სხვა მონაცემებზე, რომელთაც, მართალია, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის საინტერესო საკითხში ზუსტი ორიენტაციისათვის, მაგრამ მათ რატომღაც არ გაეწია სათანადო ანგარიში „ძეგლის დადების“ მოქმედების ტერიტორიის განსაზღვრისას.

ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა საინტერესოა თუნდაც იმ ფაქტის წარმოჩენა, რომ გიორგი V არ შევიდა გუდამაყარში, მაგრამ ხსენებული კუთხის მკვიდრთ სამართალი დაუდგინა, მაშინ როდესაც ხევი და ცხრაზმის ხევი, სადაც მან იმოგზაურა განაჩენდაუდებლად დატოვა. ეს გარემოება ხომ თავისთავად საკმარისი თვალსაჩინოებით მეტყველებს იმაზე, რომ ძეგლის მოქმედების ტერიტორიის განსაზღვრისას მეფე ხელმძღვანელობდა მოკვლულ ადგილებზე შექმნილი ვითარების დიფერენცირებულად შეფასების პრინციპით, რომლის ძალით განაჩენის დადება მიზანშეწონილი ჩანდა არა ყველა მთის ალაგში, სადაც მეფეს მოგზაურობა მოუხდა, არამედ მხოლოდ ისეთ მხარეებში, სადაც მეფეს მეტად მძიმე მდგომარეობა ეგულებოდა.

ხაზგასმას იმსახურებს ის დეტალიც, რომ ციხისთავის სიხლის საურავის განსაზღვრისას „ძეგლის დადებაში“ საგანგებოდ იქნა გამოყოფილი ციხე-კოშკებით გამაგრებული ხადის თემი. როგორც ციხისთავთა ადგილსამყოფელი. სამართლის ძეგლის მე-13 მუხლის ზერელე წაკითხვის შემთხვევაში მკითხველს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს დამოწმებული ფაქტი არაფრისმთქმელია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. სინამდვილეში აღნიშნულ მუხლში მოცემული განმარტება („ციხისთავნი ჯადას ორნი ოყენენ“) ძალაუვნებურად გვაფიქრებინებს, რომ გიორგი V დაინტერესებული იყო მხოლოდ ხადელი ციხისთავების სამოხელეო პრეროგატივის დაცვით და მათი სამსახურებრივი მოვალეობის რიგიანად აღსრულებით, რაც თავის მხრივ იმაზე მიგვანიშნებს, რომ კანონმდებლობა ვრცელდებოდა მარტოოდენ არავის ხეობის მთის მხარეებზე, სადაც განსაკუთრებით სერიოზულ უწყესრიგობას ჰქონდა ადგილი. ხადა-ცხავატის, გუდამაყარის, ხანდოსა და ქართლის გარდა ქართლის მთიანეთის სხვა რაიონებშიც რომ ჰქონოდა ადგილი ესოდენ საგანგაშო მასშტაბის არეულობას და ამის შესაბამისად მათთვისაც რომ ყოფილიყო გაჩენილი სპეციალური სამართლის ძეგლი, მაშინ მეფე არავითარ შემთხვევაში აღარ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ ხადაში გამწესებული ციხისთავების სისხლის ფასის დადგენით. სჯულმდებელი აუცილებლად შეეხებოდა სხვა კუთხეებსაც,

პირველ რიგში კი დაასახელებდა საქართველოს მონაპირე კუთხეში — ხევში მდებარე დარიალის სიმაგრეს და უსათუოდ განსაზღვრავდა მისი ციხისთავის სისხლის საურავს, ვინაიდან დარიალს თაჯისი საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი სისტემით შედარებით უფრო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ხადის სიმაგრეებს.

დაანლოებით ანალოგიური თვალთახედვით შეიძლება იქნეს შეფასებული აგრეთვე სამართლის ძეგლში ლომისის გლეხის სისხლის საურავის საგანგებოდ დადგენის, ხოლო გერგეტელ საყდრის შვილთა სისხლის ფასზე სჯულმდებლის „დუმილის“ ფაქტიც, რომ აღარაფერი ეთქვათ კიდევ არაერთ სხვა გაუგებრობაზე, რაც ძალაუნებურად თვალწისაცემი ვახდება კანონმდებლობის მოქმედების ტერიტორიაში ხევის შეყვანის შემთხვევაში.

ასეთივე დაბნეულობა მოსდევს ძეგლის მოქმედების ტერიტორიაში ქსნის ხეობის შეყვანის ნებისმიერ ცდასაც. რამდენადაც ქსნის ხეობის მთიანეთში სოციალური დიფერენციაციის პროცესს თავისი სპეციფიკა ახასიათებს, ხოლო ადგილობრივი საზოგადოებების „მუნებური“ თუ „არამუნებური“ წარმომადგენლებისა (მაგ. ერისთავის, ციხისთავის, ეკლესიის სახელზე შეწირული გლეხების) და არაგვის ხეობის მთიანეთის იმავე რიგის სოციალური კატეგორიების (ერისთავის, ციხისთავის, ლომისის გლეხის) შეპირისპირებითი დახასიათება ავლენს ხსენებულ კოლექტივებს შორის არსებულ სხვაობას, „ძეგლის დადების“ ნორმების ერთგვარი „ექსპორტი“ ქსნის ხეობის მთიანეთის საზოგადოებაზე სრულიად დაუშვებელია.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ცხრაზმის ხევის (||ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის) მკვიდრნი სანიმუშო „წესრიგით“ გამოირჩეოდნენ და „აღრევით ყოფა“ მათთვის სრულიად უცხო მოვლენა იყო. წერილობითი წყაროებიდანაც ხომ კარგად ჩანს, რომ ქსნის ხეობის „მთის კაცთ“ არაგველებთან მშვიდობიანი ურთიერთობა არ ჰქონიათ და XIII—XIV სს-ში მათ შორის ხშირი იყო სამხედრო კონფლიქტები⁵³, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს. ხაზი გაესვას ცხრაზმისხეველთა „კონტრშეტევით“ ტაქტიკას არაგველებთან შეტაკებებში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მოვლენათა ამგვარ მსვლელობაში ბრალი მთლიანად მიუძღოდათ არაგველებს. (—„ორისავე არაგვს“⁵⁴ მოსახლეებს, ძირითადად კი ხადელებს და.

⁵³ ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 106—110; შდრ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, მეორე ტექსტი, ქც, II, გვ. 445—446.

⁵⁴ „ორისავე არაგვში“ იგულისხმება პირაქეთი არაგვი (ვახუშტისეული შავი-ერაგვი) და პირიქითი არაგვი, რომელიც დღეს თერგის სახელწოდებას ატარებს.

ცხვატელებს) ქსნელების საპასუხო რეაქცია, როგორი სამართლიანიც არ უნდა ყოფილიყო ის, მხოლოდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ძლიერებას, რაც მშვენიერად ესმოდა გიორგი V-ს. ამიტომ მეფემ „ძეგლის დადების“ 43-ე მუხლში საგანგებოდ აღნიშნა: „ამიერი ჰვეისბერნი და ჰეროვანნი იმერთ ნუოდეს მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის-თავისასა საერისთვისაგან კიდე. და რომელიც მიუდგეს, თუ უნდა იმიერი ამიერსა ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს“⁵⁵.

ცხადია, მოცემული მუხლის შემუშავებას ქვეყნის მესვეურნი მხოლოდ დარბაზის კრებაზე ერთად მოწვეული არაგვის ხეობის მეპატრონისა (ასეთად სავარაუდებელია ან ქართლის ერისთავი, ან უკვე არაგვის ერისთავის ტიტულში გაფორმებული ხელისუფალი) და ქსნის ერისთავის გამოკითხვის შემდეგ ჩათვლიდნენ მიზანშეწონილად. „ძეგლის დადების“ შესავალში დედაქალაქში ჩამოყვანილ „თემისა და თემის ერისთავთა“ მრავლობით რიცხვში მოხსენიების ფაქტიც ხომ სწორედ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. ამასთან, დარბაზობაზე ქსნის ერისთავის აუცილებელი მოწვევის საკიროების საარგუმენტაციოდ გამოდგება ის საგულისხმო გარემოებაც, რომ XIII ს-ში არაგვის ხეობის ტერიტორიის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი (ლუდის ხევი, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლები — გაგასძენი, მლეთა, არაჯუეთი, აგრეთვე კანდოს ხევი) ქსნის ერისთავთა სამფლობელოდ იქცა. ამას თვალნათლივ მოწმობს „ძეგლი ერისთავთა“-ში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ მეფის სამსახურში ერთგულად გარჯის სანაცვლოდ „...მეფემან (იგულისხმება ვახტანგ VII, ვ. ი.) მიუბოძა შალვას (იგულისხმება ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი — ვ. ი.) თრუსუი, ლუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჯუეთი, კანდოჲ...“⁵⁶.

ჩამდენადაც „ძეგლის დადების“ შედგენის დროისათვის ჩვენებულ ტერიტორიაზე განსახლებულ არაგვის მთიელთა ცხოვრება „ახალი“ ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებაში ექვს არ იწვევს, ხოლო ამ ცვლილებას მხოლოდ უარყოფითი შედეგები („შეშრჯეების“ ნიადაგზე ქსნელების მიმართ არაგველთა მტრული განწყობის გაზრდა) თუ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ვფიქრობთ, სავსებით კანონზომიერია სამეფო კარის დაინტერესება „განაჩენის“ დადების მიზნით მოწვეულ კრებაზე ქსნის ერისთავის სავალდებულო დასწრებით, რაც უთუოდ აადვილებდა მომიჯნავე ხეობების მკვიდრ მთი-

55 ძეგლის დადება, ქსძ, I, გვ. 419.

56 ძეგლი ერისთავთა, ქსძ, II, გვ. 106.

ელთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის გზების გამოძენის საქმეს. მაგრამ ქსნის ერისთავის უშუალო მონაწილეობა „ძეგლის დადებაში“ და მისი ინფორმაციის გათვალისწინებით 43-ე მუხლის შედგენა მექანიკურად არ უნდა აღძრავდეს სამართლის ძეგლის მოქმედების ტერიტორიაში მთელი ქსნის ხეობის შეყვანის მოთხოვნილებას, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ანელებს ერთი მხრივ აღნიშნული მუხლის შინაარსზე ყურადღებით დაკვირვება, ზოლო მეორე მხრივ კანონმდებლობის გავრცელების საზღვრებზე მის შესავალშივე არსებული მკაფიო მითითების გათვალისწინება.

საქმე იმაშია, რომ 43-ე მუხლში „ამიერ“ და „იმიერ“ ხევისბერ-პეროვანთა ურთიერთბრძოლის აღკვეთის საპროვებაზე მსჯელობისას გიორგი ბრწყინვალე „თავ-თავის“ საერისთავოებში მოსახლე „მთის კაცებად“ გვიხასიათებს როგორც ქსნის ხეობის მთიელებს, ისე არაგვის ხეობის მთის თემების მკვიდრთ, იმ ხადელ-ცხავატელთა ჩათვლით, რომელნიც XIII ს-დან ქსნის ერისთავთა მიერ დაუფლებულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ. ამგვარი კვალიფიკაციის მიხედვით ჯეროვანი თვალსაჩინოებით გამოკვეთილი არ ჩანს ქსნის ერისთავის კანონიერი უფლებები მის ხელში გადასულ არაგველებზე, ვინაიდან აღნიშნული მუხლის წამკითხველს ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეექმნას, თითქოს ქსნის ხელისუფალთა მიერ ხელდებულ რაიონებში მკვიდრი არაგველი მთიელები კვლავ „თავის საერისთავოს“ ფარგლებიდან აწყობდნენ ლაშქრობებს ასევე „თავის საერისთავოში“ განსახლებული ქსნელების წინააღმდეგ. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უფრო ისაა სავარაუდო, რომ გიორგი V რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როდესაც მან ცხრაზმის ერისთავთა სამფლობელოდ ქცეული არაგვის ხეობის ტერიტორიის ნაწილს „საერისთავო“ (და არა ხეობა) უწოდა. არაა გამორიცხული, რომ კანონმდებელ მეფეს შეგნებულადაც შეეკავებინა თავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტის დონეზე ქსნის ერისთავის დაქვემდებარებაში გადასულ არაგველ მთიელთა ახალ სტატუსში გაფორმების იმ ფაქტის წერილობითი გამომზეურებისაგან, რომელსაც ქსნელ-არაგველთა შორის არსებული ისედაც დაძაბული ურთიერთობის შემდგომი გამღიზიანებლის როლი შეეძლო შეესრულებინა. ასეა თუ ისე, ერთი რამ კი სრულიად ნათელია — „ძეგლის დადების“ 43-ე მუხლის შედგენით, გიორგი ბრწყინვალემ ქსნელ მთიელებსა და ცხრაზმელ ერისთავთა მიერ ხელდებულ არაგვის ხეობის მთიელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგების პერსპექტივა მთლიანად დაუკავშირა ამჟერად უკვე ქსნის ერისთავის სამსახურში საგულეებელი არაგველი მოხელეების („მუნებური“ ხევისბერების, ციხისთავე-

ბის) და ადგილობრივი პრივილეგირებული პირების (პეროვანების — თემის თავკაცების) თვითნებობის შემზღუდველი სამართლის ნორმის ოფიციალურ დაკანონებას. ამ უკანასკნელის რიგიანად შესრულების საქმის დაკონტროლება კი მეფეს თავის მხრივ ცხრაზმის ერისთავისა და მისადმი დაქვემდებარებული გამგებლისთვის უნდა დაევალებინა, თუმცა არაა უგულებელსაყოფელი იმავე უფლებით არაგვის ხეობის მთიელთა ერისთავის აღჭურვის შესაძლებლობაც, რომელსაც სამეფო კარის ინტერესების შესაბამისად არანაკლები ეფექტიანობით ძალუძდა მომიჯნავე მთიელთა „სასაუროდ მიდგომის“ ინიციატორთა დასჯა დარბაზის სასარგებლოდ „მამულის წაღებითა და ციხის დაქცევით“. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ როდესაც აღნიშნულ მთიელთა შორის ურთიერთობის გამწვავებაში ბრალი ედებოდათ არაგველებს (სხვათა შორის წყაროების თანახმად ქსნელთა და არაგველთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზად ყოველთვის არაგველთა თავნებობა გვევლინება), დამნაშავეთა დასჯა „ძეგლის დაღების“ 43-ე მუხლის შესაბამისად, ალბათ, პირველ რიგში „ამიერი“ საერისთავოს გამგებელ ერისთავს დაეკისრებოდა. იქნებ სწორედ არაგვის ხეობის მთიელთა პატრონისათვის ასეთი უფლების მინიჭებამ განაპირობა კიდევ სამართლის წიგნის დასახელებულ მუხლში არაგვის ხეობის მიწა-წყალზე მოსახლე იმ ხევისბერ-პეროვანთა წარმოჩენა „თავის საერისთავოს“ (და არა „თავის ხეობის“) მკვიდრ მთიელებად, რომელნიც XIV ს-ში ცხრაზმის ერისთავის ხელში გადასულ ტერიტორიაზე სახლობდნენ? ძნელი სათქმელია, რამდენად ახლოს დავდგებით სინამდვილესთან საკითხის ამგვარად დაყენების შემთხვევაში, მაგრამ სამაგიეროდ ერთი რამ სრულიად აშკარაა — ქსნისა და არაგვის ხეობის მთიელთა ურთიერთობის მოწესრიგებისას ორივე ერისთავის შეთანხმებულ მოქმედებაზე იმედის დამყარება სამეფო კარს რეალურად შეეძლო იმდენად, რამდენადაც მათდანი დაქვემდებარებულ „მთის კაცთა“ შორის არსებული ქიშპობის ვაიმწვევ მიზეზად ნამდვილად არ ეგულებოდა „ამიერი“ და „იმიერი“ ერისთავთა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთთან, რასაც მოგვიანებით, მხოლოდ სათავადოების სისტემის ჩამოყალიბების დროიდან უნდა ჩაყროდა საფუძველი.

ამრიგად, ძეგლის დაღების 43-ე მუხლის შინაარსში ჩაწვდომა იძლევა იმ ვარაუდის გამოთქმის უფლებას, რომ ქსნის და არაგვის ხეობის მთიელთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის განმუხტვაზე ზრუნვა ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად ერთდროულად ეკისრებოდა როგორც ქსნის ხეობის, ისე არაგვის ხეობის „მთის კაცთა“ გამგებელ ერისთავს, მაგრამ ვინა-

იდან განაჩენის დასადებად არჩეული ტერიტორიის საბოლოო შემოფარგვლისას სჯულმდებელმა მეფემ მაინც არ დაასახელა ქსნის ხეობა, ძეგლის სამოქმედო ტერიტორიაში ქსნის ხეობის შეყვანაზე ნაჩქარევი მეცადინეობის ნაცვლად, ძალაუვნებურად მოგვიწვეს ჯეროვანი სიფრთხილის დაცვით შემდეგი კვალიფიკაციით დაკმაყოფილება:

„ძეგლის დადება“ შედგენილ იქნა არაგვის ხეობის მთის კუთხეების მოსახლეობისათვის, მაგრამ რადგანაც სამართლის წიგნის სამოქმედო ტერიტორიაში შემავალი ხადა-ცხავაჯის მიწა-წყლის განსაზღვრული მონაკვეთი XIII ს-დან ცხრაზმის საერისთავოში შედიოდა, მეფემ აქაურ მოსახლეთა „საქმეების“ მოწესრიგებისათვის, პირველ რიგში კი ქსნის ხეობის მთიელებთან მათი უთანხმოების აღმოფხვრისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა ქსნის ერისთავს — ამ უკანასკნელს დაევალა პრობლემური ორიენტაციის შესახებინად „ძეგლის დადების“ 43-ე მუხლში დაწესებული ნორმებით სარგებლობა. რაც ამავე დროს არაგვის ხეობის მთიელთა გამგებელი ერისთავის პრივილეგიასაც შეადგენდა.

მაგრამ სულ სხვა საკითხია ის, თუ კონკრეტულად რომელი ხეობის (არაგვისა თუ ქსნის ხეობის) მკვიდრ მთიელთათვის იყო შედგენილი სამართლის ძეგლი და სულ სხვა საკითხია ის, თუ რომელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში (ქსნის საერისთავოში თუ არაგველთა განმგებელი ქართლის ერისთავის ან უკვე არაგვის ერისთავის ტიტულში გაფორმებული ხელისუფლის სამფლობელოში) მცხოვრებ მთიელებს უხდებოდათ იმხანად (XIV ს-ში) ერთ შემთხვევაში „ძეგლის დადების“ ყველა მუხლის „ულაპარაკოდ“ შესრულება, ხოლო მეორე შემთხვევაში იმავე სამართლის ძეგლის თითო-ოროლა ნორმის დაცვა. ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში. როდესაც ვითარების ესკალაციაში მიუძღოდათ ბრალი.

უთლოდ ასეთი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე „ძეგლის დადების“ სამოქმედო ტერიტორიაში გიორგი V-ის მიერ სრულიად სამართლიანად არ იქნა შეყვანილი ქსნის ხეობა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის 43-ე მუხლის მიხედვით ქსნელებს, არაგველების მსგავსად, კუკრძალათ ოფიციალური ხელისუფლების ჩაურევლად მეზობელ მთიელებზე „სალაშქროდ და სასაუროდ მიდგომა“.

მართალია, სამართლის ძეგლის 43-ე მუხლში მოცემული განმარტების თანახმად სჯულმდებლის გაფრთხილება ზოგადად ეხება ორივე მხარეს (— როგორც არაგველებს, ისე ქსნელებს), მაგრამ დამოწმებული ცნობის ანალიზი მაინც არ უნდა აღძრავდეს იმის მტკი-

ეცების მოთხოვნილებას. თითქოს „ძეგლის დადება“ მთელი ქსნის ხეობის მოსახლეობისათვისაც იყო შედგენილი.

რამდენადაც განაჩენის დადებაზე ქსნელების თავნებობის მიზეზით ხსენებული ხეობების მთიელთა შორის სერიოზული შუღლი არ წამოვარდნილა (ყოველ შემთხვევაში წერილობითი წყაროები ძალაუვნებურად ამგვარი მოსაზრებისკენ განგვაწყობენ), სჯულმდებელ ძეგს სამართლის ძეგლის 43-ე მუხლის მტკიცედ დაცვის ვალდებულება პერსონალურად შეეძლო დაეკისრებინა მარტოოდენ პირაქეთ არაგვის ხეობის მცხოვრებთათვის. ვითარცა „აღრვეით ყოფის“ მოთავეებისათვის. ამ დროს, ცხრაზმის საერისთავოს მთიელებს, როგორც ჩანს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა განხილული მუხლის მიმართ. როდესაც ისინი ან არაგველთა წინააღმდეგ „მიდგომის“ ინიციატორები იქნებოდნენ (რაც ნაკლებად



ს.რ. ე.

იყო მოსალოდნელი იმდენად, რამდენადაც წყაროებით „მიდგომის“ ინიციატორებად ტრადიციულად არაგველები ფიგურირებენ) ან კიდევ არაგველთა თავნებობის მიზეზით წარმოქმნილ სამხედრო კონფლიქტში ოფიციალური ხელისუფლების ჩარევას საჭიროდ არ ჩათვლიდნენ და სამაგიეროს გადახდის მიზნით გაილაშქრებდნენ მომხდურ მთიელებზე. ერთი სიტყვით, 43-ე მუხლის შედგენა იმის ნათელილუსტრაციას წარმოადგენს, თუ როგორ ცდილობდა სამეფო კარი ძმათამკვლელობითი ბრძოლისაგან ქართლის მთიანეთის ცალკეული მხარეების დაზღვევას, მაგრამ მას ნამდვილად არ შეუძენია ისეთი საბუთის ღირებულება, რომელიც მოგვეცემდა სამართლის ძეგლის მოქმედების ფარგლების გაფართოების უფლებას. ყოველ შემთხვევაში,

როდესაც 43-ე მუხლზე დაფუძნებით ვცდილობთ „ძეგლის დადების“ ნორმების გავრცელების მიზნების უფრო დაწვრილებით დაზუსტებას, ჯეროვანი სიფრთხილის დაცვით მართალია დასაშვებია ჩანს იმის აღნიშვნა, რომ სამართლის წიგნის ერთადერთი მუხლი ქსნის ხეობის მთის ზოლის გარკვეულ ტერიტორიაზე (კერძოდ ლომისის ქედის გადაღმა, იმიერი მიწა-წყლის ერთ მონაკვეთზე) და არა მთელ ხეობაზე ვრცელდებოდა, მაგრამ ეს ფაქტიც ხომ თავისთავად მაინც არაა საკმარისი სამართლის წიგნის დანარჩენი 45 მუხლის ქსნის ხეობის (და მით უფრო მთელი ცხრაზმის საერისთავოს) სჯულმდებლობად გამოცხადებისათვის.

მასასადამე, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ „ძეგლის დადების“ მოქმედების ტერიტორიაში არ შედიოდა ქსნის ხეობა და ხევი. მით უფრო დაუშვებელია სამართლის ძეგლის მიჩნევა მთელი ქართლის მთიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის სჯულმდებლობად⁵⁷. კორექტირებას საჭიროებს აგრეთვე ის ნაშრომებიც, რომელთა ავტორები, მართალია, „ძეგლის დადების“ მოქმედების არედან გამორიცხავენ ქსნის ხეობის მთიანეთსა და ხევს, მაგრამ სამართლის სამოქმედო ასპარეზს რატომღაც მარტოოდენ მთიულეთით ან ერთ კუთხედ გააზრებული მთიულეთ-გუდამაყრით ფარგლავენ⁵⁸, რაც პირველ რიგში გეოგრაფიულ ცნება „მთიანეთთან“ კლასიკური მნიშვნელობით ხმარებულ ტერმინ „მთიულეთის“ გაიგივებით, ან საკლასიკო მთიულეთის (ძველი ხადა-ცხავეატის) არაპირდაპირი ლოკალიზაციით უნდა აიხსნას.

დაბოლოს, სათანადო კომენტარების გარეშე არ შეიძლება დავტოვოთ ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმული ის მო-

57 ივ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 67—68.

58 ი. ა. არძვეანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 178; ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის გამოცემა, გვ. 23; ი. ფუტყაძე, მთიელთა ჩვეულებითი სასისხლო სამართალწარმოების საკითხები, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971, გვ. 177; ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, გვ. 50; ბ. გამყრელიძე, ტოპონიმ „სოფლიონის“ საკითხისათვის ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1978, № 3, გვ. 90; Законы Вахтанга VI, „Памятники грузинского права“, I, перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. А. Пурцеладзе, 1980, с. 6; მ. ბერძენიშვილი, საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, გვ. 136; მისივე, მთის ცნების შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში, კრ. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, თბ., 1983, გვ. 84; გ. ხორნაული, მთები და სახელები, გვ. 14; ქსე ტ. 11, თბ., 1987, გვ. 266 და სხვ.

საზრებანი, თითქოს „ძეგლის დადება“ თავდაპირველად... მხოლოდ არაგვისა და ქსნის საერისთავოების მთიანი მხარეებისათვის იყო განკუთვნილი. მოგვიანებით „ძეგლის დადებით“ სჯიდნენ საქართველოს ყველა მთიან მხარეში. ამიტომ ძეგლი არ შეიძლება მივიჩნიოთ პარტიკულარულ სამართლად“⁵⁹, „სულ მალე „ძეგლის დადება“ როგორც მოქმედი სამართალი, საქართველოს ყველა მთიან მხარეში გამოიყენებოდა“⁶⁰.

მოცემული კვალიფიკაცია უწინარეს ყოვლისა იმით არის ჩვენთვის მოულოდნელი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ფაქტობრივი მასალის გამოუსყენებლად პირდაპირ დაშვებულია კანონმდებლობის თავდაპირველი დანიშნულების ტრანსფორმაციის (— გაფართოების) შესაძლებლობა, მაშინ როდესაც არსებულ მონაცემებზე დაფუძნებით ღიად რჩება პასუხი თვით იმ კითხვაზე, თუ რამდენად ჰქონდა (ან აღარ ჰქონდა) შენარჩუნებული ძალა „ძეგლის დადების“ მუხლებს ჯერ კიდევ გიორგი V-ის პირველი მემკვიდრეების ხელმწიფეობის ხანაში. ერთი სიტყვით, სამართლის ძეგლის გვიანდელი ფუნქციის წინასწარმეტყველების მაგივრად გასარკვევია: „სულ მალე“ (ან „მოგვიანებით“), უფრო მძიმე „ჟამთა შლილობის“ პირობებში, „ძეგლის დადება“, როგორც მოქმედი სამართალი, საკუთრივ არაგვის ხეობის მთიანეთში ეფექტიანად გამოიყენებოდა თუ არა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართლის მთიანეთზე.

ამასთან ერთად, თავი რომ დაეანებოთ იმ ფაქტის საგანგებოდ კონსტატაციას. თუ რამდენად განსხვავებული და გამოუცნობი ქრონოლოგიური რეალიების აღმნიშვნელი ცნებებია „მოგვიანებით“ და „სულ მალე“, განხილული მოსაზრება ხომ ძალაუვნებურად მაინც „ძეგლის დადების“ პარტიკულარულობის ხაზგასმის საქმეს ეშაახურება, ვინაიდან სამართლის ძეგლის მიჩნევა თავდაპირველად მხოლოდ არაგვისა და თუნდაც იმავე ქსნის საერისთავოების მთიანი მხარეებისათვის განკუთვნილ სჯულმდებლობად თავისთავად აღნიშნული „განაჩენის“ პარტიკულარული ხასიათის აღიარების ტოლფასია. მართალია, ვახტანგ VI-ის კრებულის შესავალში მოცემული განმარტების თანახმად, „ძეგლის დადებით“ „სჯიდნენ სამნივე ეს სამეფონი ქართლისანი“⁶¹, მაგრამ ჯეროვან ფაქტობრივ არგუმენტაციას მოკლებული ეს თეზისიც ხომ თავისთავად შაინც ვერ გამორიცხავს საკუთრივ სამართლის წიგნის გაანალიზების საფუძველზე. შემუშავე-

59 ზ. რატიანი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, როგორც საქართველოს სოციალური ისტორიის წყარო, ჟინვალის ექსპედიცია, მეორე სამეცნიერო სესიის მასალები“, გვ. 6.

60 იქვე, გვ. 9.

61 ქსმ, ტ. I, გვ. 100.

ბულ საბოლოო აზრს მხოლოდ არაგველ მთიელთათვის შედგენილი საკვლევი სჯულმდებლობის პარტიკულარობის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ლიტერატურაში გამოუჩნდნენ დამცველები⁶².

მაგრამ საინტერესოა რა შედეგებს მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუკი გავიზიარებდით აღნიშნულ თვალსაზრისს და დაუშვებდით ისეთ ვარიანტს, რომ „ძეგლის დაღება“ თავდაპირველად მხოლოდ არაგვისა და ქსნის საერისთავოების მთიანი მხარეებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მოგვიანებით ამ სამართლით სჯიდნენ საქართველოს ყველა „მთის ალაგში“?

მაშინ ძალუენებურად მოგვიწყევდა იმ ფაქტთან შეკრებება, რომ „ძეგლის დაღებაში“ დადგენილი სისხლის ნორმები ერთნაირად გამოსადეგი იყო საქართველოს ნებისმიერი მთის რეგიონის (ქართლ-კახეთის მთიანეთის, სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, აფხაზეთის, იმერეთის, გურჯის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის მთიანეთის) მოსახლეობის იურიდიული ცხოვრების რეგულირებისათვის, რაც, ცხადია, გიორგი ბრწყინვალის კანონმდებლობის დანიშნულების აშკარა უნივერსალიზაციამდე მიგვიყვანდა. ამნაირი მიდგომის შესაბამისად კი სერიოზულად უნდა გვერწმუნა, რომ მაგალითად, ხადელი ციხისთავისა და ცხრაზმის, ხევის, თუშეთის ან თრიალეთის სიმაგრეებზე ნჯღომი ციხისთავების მკვლელობისათვის თანაბარი საზღაური (3000 თეთრი) იყო დაწესებული, ლომისის გლეხის სისხლის საურავი (1500 თეთრი) ლაპილის (სვანეთი) მთავარანგელოზის ეკლესიის ან ლარგვისის წმ. თევდორეს (ქსნის ხეობა) მონასტრის მოსამსახურე ყმების სისხლის საურავს უდრიდა; ქართლელი, ხანდოელი, ხადელი, ცხავატიელი ან გუდამაყრელი ხევისბერისა და ფხოველი ან ცხრაზმელი ხევისბერის იურიდიული სტატუსი იდენტური იყო; აზნაურის მკვლელობისათვის ყველა „მთური“ საზოგადოების წარმომადგენელს მოეთხოვებოდა 6000 თეთრის გადახდა, ხოლო სურამელის, შაბლრისძის, ქვენიფნეველის, ვარდანისძის, გელოვანის, ჭათარძის თუ ჭაყელთა სისხლი ერთნაირად იყო შეფასებული „ძეგლის დაღებაში“ დადგენილი ნორმის მიხედვით და ა. შ. მაგრამ ყველაზე დიდი უხერხულობა წარმოიქმნებოდა იმის ასევე იძულებითი მტკიცებისას, რომ თვით აჭარის მთიანეთშიც კი, როდესაც ის სამცხის სამთავროში შემავალ ერთ-ერთ საერისთავოს წარმოდგენდა და ნიადაგ ბეჭა I მანდატურთუხუცესის მიერ შედგენილი სამართლით სარგებლობდა,

⁶² Доклад к. Багратион-Мухранского кн. Воронцову от 7-го августа 1853 г. (по записке II отделения; Собственной Е. В. Канцелярии о законах царя Вахтанга), АКАК, т. X, Тифл., 1885, с. 67.

„ძეგლის დადების“ ნორმებით სჯიდნენ. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში უკვე კომენტარიც ზედმეტია, ისევე როგორც ზედმეტია სამართლის ძეგლის პარტიკულარობის უგულვებელყოფითვე განპირობებული სხვა არანაკლებ სერიოზული ხასიათის უზუსტობათა გამომზეურება და დეტალურად შეფასება.

ამრიგად, „ძეგლის დადების“ პარტიკულარობაში ექვის შეტანა დაუშვებელია, თუმცა გიორგი V-ის კანონმდებლობის დანიშნულების განსაზღვრისას მიზანშეწონილი არ ჩანს იმ ვარაუდის ბოლომდე გამორიცხვაც, რომ ხსენებული სამართლის ცალკეული ნორმებით ზოგჯერ შეეძლოთ ესარგებლათ არაგვის ხეობის მთიანეთის მეზობელი რეგიონების „მთის კაცთა“ საქმეების მოწესრიგების მომენტში. ამ კრილიში ეგების გასაგებიც გახდეს ის აზრი, თითქოს „ძეგლის დადებით“ სჯიდნენ სამნივე, „ესე სამეფონი ქართლისანი“, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი საკითხია ის, თუ ვის შეეძლო „ძეგლის დადების“ მუხლების გამოყენება. განსხვავებით იმ საკითხისაგან, თუ კონკრეტულად ვის ევალებოდა აღნიშნული კანონმდებლობის თითოეული ნორმის მტკიცედ დაცვა. რის მიხედვითაც განისაზღვრება კიდევ სჯულმდებლობის მოქმედების ტერიტორია და რეალური დანიშნულება. ასეთ დიფერენცირებულ მიდგომასთან დაკავშირებით კი უთუოდ საინტერესოა ითქვას, რომ, მაგალითად, საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე, არ ერიდებოდნენ ადგილობრივ სინამდვილესთან შესაბამისად მოდიფიცირებული ბიზანტიური, სომხური, სირიულ-რომაული სამართლის ნორმების გამოყენებას, მაგრამ აღნიშნული ნორმებით სარგებლობის პრაქტიკა ოდნავადაც არ ხდის სადავოს დასახელებულ სამართალთა სადაურობას და არ განგვაწყობს აზრისაყენ, თითქოს ხსენებული ძეგლები შედგენილი იყო საქართველოსათვის.

საერთოდ ჩვენთვის გაუგებარია, მაინც რა მიზეზით იქცა ესოდენ სადავოდ და საოჩქოფოდ „ძეგლის დადების“ პარტიკულარობის საკითხი, მაშინ როდესაც იმავე არაგვის საერისთავოს „მთის კაცთათვის“ მოგვიანებით (XVIII ს.) შედგენილი სხვა საკანონმდებლო ძეგლის — „მთიურთა ადგილთა განჩინების“ გააზრება ქართველ მთიელთა ზოგად სამართლად დღემდე არც ერთ მკვლევარს არ უცლია. ამასთან, სამართლიან გაკვირვებას იწვევს შემდეგი გარემოება: სამართლის მოქმედების საზღვრების ჩვენების მიუხედავად „ძეგლის დადების“ გავრცელების ფარგლების გაფართოებას მკვლევარნი არ უხერხულობენ, მაშინ, როდესაც „განჩინება მთიურთა ადგილთა“ საერთოდ არ შეიცავს პირდაპირ მინიშნებას მისი ნორმების გავრცელების ტერიტორიაზე, მაგრამ ამისდა მიუხედავად ხსენებული კანონმდებლობის სამოქმედო ასპარეზის გაფართოების საჭირო-

ება არავის დაუნახავს. ვფიქრობთ, მარტოოდენ ეს ფაქტიც სავსებით საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ ცალმხრივად ხდებოდა საკვლევე საკითხის გაშუქება სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაშასადამე, რა კუთხითაც არ უნდა მივუღვეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს, მის კვლევას საბოლოო ანგარიშით მაინც იმ დასკვნაზე მივყავართ რომ „ქეგლის დაღება“ პარტიკულარულ საკანონმდებლო ქეგლს წარმოადგენდა და მის სამოქმედო ტერიტორიაში შედიოდა არაგვის ხეობაში ლოკალიზებული მთის კუთხეები — ხადაცხავატი (შემდგომდროინდელი მთიულეთი), გუდამაყარი, ხანდო და კართალი (ამ კუთხის ძირითადი ნაწილი).

АРАГВИ И АРАГВИИЦЫ

Резюме

В книге последовательно освещены некоторые важные страницы исторического прошлого горцев Арагвского и Терекского ущелья, а также отдельные спорные вопросы этнонимии и локализации указанных историко-географических регионов Восточной Грузии.

Вначале рассмотрены вопросы происхождения разных географических имен, в частности названий рек, среди которых особое внимание уделяется выяснению этимологии гидронима «Арагви» с последующим уточнением необычайно широкого ареала его распространения. Путем привлечения богатого фактического материала и критической оценки различных взглядов вокруг исследуемой тематики, сделан вывод, что «Арагви» принадлежит к известной категории древнейших гидронимов описательного характера, который в самом начале, как видно, применялся в качестве обыкновенного номенклатурного географического термина со смысловым значением «быстрой реки», «бурной реки» или просто «реки» а впоследствии уже приобрел содержание рядового гидронима. Здесь же, с полным учетом историко-этнографической традиции исправлены ошибки связанные с неправильной номинацией изучаемых гидрообъектов.

Второй раздел книги всецело занят тщательными изысканиями вокруг весьма значительного, по до сих пор недостаточно объективно исследованного вопроса об участии в Крцанисской битве 1795 г. небольшого ополчения горцев, широко прославившегося под собирательным именем «Самаси арагвели» («Триста арагвицев»). На основе скрупулезного анализа сведений письменных источников, этнографических и фольклорных материалов и данных спе-

шальной литературы, доказано, что отряд арагвинцев был сформирован в основном из горцев Арагвского и Терекского ущелья, т. е. областей исторически входивших в состав Арагвского эриставства (сеньориального владения в пределах Восточной Грузии, позднее ставшего уделом царевичей), жители которых в письменных источниках XIV—XIX вв. фигурируют под собирательным термином «Арагвцы» («Арагвелли») или «Арагвские горы» («Арагвис мтиулли»).

В следующем разделе труда объектом исследования является уже этимология и ареал распространения терминов «Каракалкан», «каракалканцы», «калканцы», известных из персидских, турецких, русских, армянских и переведенных на русский и греческий языки грузинских письменных источников XV—XVIII вв. Установлено, что слово «каракалкан» следует осмыслить композитом тюркского происхождения, которое подлежит следующим расшифровкам: I кара («черный», тур.) + калкан («щит» тур.) > каракалкан («черные щиты»; «черные щитоносцы»); II кара («суша», «земля», тур.) + калкан («щит») > каракалкан («земля щитоносцев», «страна щитоносцев») или III кара («злой», «свирепый», тур.) + калкан («щит») > каракалкан («злые щитоносцы», «свирепые щитоносцы»).

Так были прозваны мусульманскими писателями (по видимому летописцами Тамерлана) расположенные в Арагвском и Терекском ущельях горные области (Чартали, Хандо, Гудамакари, Мтиулетн, Хевн, Трусо...), жители которых заслужили эти названия описательного содержания или благодаря характеру своего вооружения (в силу ношения черных кожаных щитов), или же по той простой причине, что они своим воинственным нравом и решительной борьбой с врагом оставили войнам Тамерлана особенно мрачные воспоминания о сравнительно безуспешных походах в глубь указанных ущелья. Как свидетельствуют многочисленные письменные источники под собирательным термином «каракалкан», «калканцы», как правило, подразумевалась именно территория Арагвского эриставства (владелец этой политико-административной единицы именовался «эриставом каракалканским») с местным населением т. е. «арагвинцами». Вопреки утверждениям отдельных авторов название «каракалканцы» по исторической традиции не применялось по отношению жителей других горных областей Грузии (напр. Хевсурети, Пшави, Тушети). Тем более, необоснованы попытки некоторых исследователей представить термин «каракалкан» (или «калкан») этнонимом, которым якобы обозначались ингуши (конкретно галганцы) и осетины.

В четвертом разделе книги по новому решен вопрос локализации одного из наиболее интересных пунктов в

исследуемом регионе — Мтиулткари, который хотя довольно часто упоминается в письменных источниках XVIII века, но впоследствии о нем больше никаких сведений не находим. На основе изучения историко-этнографических данных и критической оценки специальной литературы, выяснено, что крепость Мтиулткари, ранее идентифицированная с крепостью Хамуша, и село Мтиулткари, были расположены в непосредственной близости с Мугуда, на местности ныне сплошь покрытой лесным массивом и называемой Козурт-кари.

Наконец, в книге по новому и более подробно освещены вопросы о причинах и цели создания свода законов Георгия V Блистательного — «Дзеглис дадеба», границах его функционирования и назначения указанного судебника.

Доказано, что судебник XIV века «Дзеглис дадеба» был составлен лишь для населения вполне определенного горного региона Восточной Грузии, включавшего в себя несколько областей Арагвского ущелья: Хада и Цхавати (объединенных впоследствии в отдельную горную область, известную под названием Мтиулет), Гудамакари, Хандо и Чартали (действие судебника распространялось на основную часть этого уголка выше с Мэнесо). Показана неправомерность попыток отдельных исследователей искусственно расширить а иногда даже уменьшить пределы территории распространения действия «Дзеглис дадеба», или же представить судебник в статусе общего для всей нагорной части Грузии законодательства игнорируя тем самым его партикулярное значение.

Путем привлечения фактического материала из самого «Дзеглис дадеба» и с учетом всех данных, имеющих прямое или косвенное отношение к изучаемому вопросу, установлено, что создание специального судебника лишь только для горцев Арагвского ущелья, было обусловлено крайне тяжелым положением дел в упомянутом районе, которое, в свою очередь, являлось прямым следствием чрезвычайно неблагоприятной обстановки во всей стране, сильно пострадавшей в период монгольского господства. Такого рода мероприятие служило не только делу быстрейшего устранения беспорядков, имевших место в названном регионе, и утверждению здесь царской власти, но и делу надежного ограждения указанных районов от новой волны тревожных событий того же характера, в чем и заключается с одной стороны цель, а с другой — назначение «Дзеглис дадеба».

შემოკლებათა განმარტება.

- დსსი — დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან
თსუშ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წრომები
კეკ — კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მსეი — მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის
მსკი — მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის
მგბქემ — მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ქართლის ეთნოგრაფიული მასალები
სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
ქსბ — ქართული სამართლის ძეგლები
ქკ — ქართლის ცხოვრება
ВДИ — Вестник древней истории
ЗКВАМАН СССР — Записки коллегии востоковедов при Азиатском музее Академии наук СССР
МИИМГАМИД — Материалы извлечённые из Московского главного архива министерства иностранных дел С. А. Белокуровым
МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края.
ОРВЗК — Обзорение Российских владений за Кавказом
ЧОИДРПМУ — Чтения в обществе истории и древностей российских при Московском университете

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
სახელწოდება არაგვის ეტიმოლოგიისა და გავრცელების არეალის შესახებ	6
არაგვი და არაგველები	72
ყარაყალყანთა ეინაობის საკითხისათვის	119
შთიუღთყარი	138
სამართალი არაგველთათვის	175
Арагви и арагви́нцы (резюме)	220
შემოკლებათა განმარტება	223

Итонишвили Вахтанг Валерианович

Арагви и арагвицы

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

სბ 4160

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი შ. თაყაიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ლ. ჭაში
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 21.11.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.3. 1989;

ქალაქის ზომა 60X90; ქალაქი № 1: ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 14.25;

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.25; პირობითი საღებავ-გატარება 14.50;

ტირაჟი 20 000: შეცვლა № 3600;

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19